

ნ. ვეზეთიანი

ქართული კულტურის  
ქუჩა  
ქუტუნიკუნიკუნი

XVIII-XIX სს



გამომცემლობა „საბოთა საქართველო“  
თბილისი—1967

\*

წიგნში განხილულია ქართული კულტურის ევრის ჩასახვისა და განვითარების ისტორია პეტერბურგში.

XVIII — XIX საუკუნეთა მანძილზე პეტერბურგში ქართველთა რამდენიმე თაობა ცხოვრობდა. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან პეტერბურგში მცხოვრები ქართველები კულტურულიტერატურულ საქმიანობას ჰკიდებენ ხელს. მათ მიზანი იყო მოწინავე კულტურისა და მეცნიერებადაუფლება, საქართველოს კულტურული ცხოვრების აღორძინება.

ისევე როგორც მოსკოვის ქართულმა კოლონიამ. პეტერბურგის ქართულმა კერამაც დიდი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ასპარეზზე. ამავე დროს მან დიდად შეუწყო ხელი ქართული და რუსული კულტურის, მათი თვალსაჩინო წარმომადგენლების დაახლოებას.

ნაშრომი წარმოადგენს პეტერბურგის ქართული კულტურის კერის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას.

\*

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

პეტერბურგის ქართული კოლონიის ისტორია მხოლოდ ერთი ფურცელია იმ დიდი პოლიტიკურ-ისტორიული და კულტურული მატრიანისა, რომელმაც ქართველ ერს შემოუნახა და მოუთხრო საქართველოდან შორეულ რუსეთს გადახვეწილ ქართველთა ყოფა და დიდი შთაგონებით გამთბარი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა. ამიტომ, საქართველოს ისტორიისათვის უაღრესად დიდია ყველა იმ კოლონიის მნიშვნელობა, რომელთაც თავიანთი ყოფა რუსეთის ცალკეულ ქალაქებს დაუკავშირეს.

უნდა ითქვას, რომ რამდენადაც მოსკოვის ქართული კოლონიის შესწავლას გარკვეული ისტორია აქვს, იმდენად პეტერბურგის ქართული კოლონიის ისტორია შეუსწავლელია. განსაკუთრებით დაუმუშავებელი და უცნობია ამ კოლონიის ჩასახვის პერიოდი. ამ საკითხისადმი მიძღვნილ ერთადერთ ნაშრომს წარმოადგენს პროფ. ვ. დონდუას მრავალმხრივ საინტერესო ნარკვევი „ვახტანგ VI დროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან“<sup>1</sup>. ძირითადად ეპიგრაფიკულ მასალებზე დაყრდნობით ავტორი გვაცნობს პეტერბურგში ვახტანგ VI ძმის — სვიმონ ბატონიშვილისა და მისი ოჯახის წევრების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება იმხანად პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა მოღვაწეობის ზოგიერთ საკითხსაც.

პეტერბურგის კოლონიის მოგვიანო პერიოდი, ე. ი. მე-19 საუკუნის დასაწყისი, შედარებით შესწავლილია, რადგანაც ამ პე-

<sup>1</sup> მიმოხილველი, 1953, III.

რიოდის ქართული კოლონიის წევრებად გვევლინებიან ისეთი ცნობილი მწერლები და მოღვაწენი, როგორც არიან იოანე, დავით და თეიმურაზ ბაგრატიონები, იონა ხელაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვანი. მათ შესახებ კი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთი ნაშრომი მოიპოვება.

ერთი მხრივ, იმ გარემოებამ, რომ დიდია მნიშვნელობა და დანიშნულება პეტერბურგის ქართული კოლონიისა ჩვენი კულტურულ-ისტორიული საკითხების კვლევის საქმეში, მეორე მხრივ, იმან, რომ ამ კოლონიის ისტორია ძირითადად შესწავლილი არ არის. გაგვაბედინა ხელი მოგვეკიდა ამ დიდი თემისათვის.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ნაშრომის დასაწყისში ლაპარაკია ქართული კოლონიის ჩასახვაზე პეტერბურგში, ამდენად იგი უფრო ისტორიულ საკითხებს ეხება. ეს არის პეტერბურგში ქართველთა ჩასვლისა და მოწყობის ხანა. ამიტომაც, რუსეთის სხვადასხვა არქივში დაცული მდიდარი მასალები ძირითადად ქართველთა ჩასვლისა და დაბინავების საკითხებს მოიცავს. ამ მასალებში ვხვდებით განკარგულებებს, ბრძანებულებებს და სხვა ხასიათის საბუთებს, რომლებიც გვამცნობენ, თუ სად ეძლევათ ბინა, რა ეძლევათ საზრდოდ, რა უფლებები ენიჭებათ ახალჩასულებს და სხვ.

პეტერბურგის ქართული კოლონიის ლიტერატურული და კულტურული მოღვაწეობა აყვავდა შემდეგ ხანებში, როდესაც პეტერბურგის ქართულ კოლონიას თავისი ფიზიკური არსებობის მტკიცე ბაზისი უკვე შექმნილი და უზრუნველყოფილი ჰქონდა.

## XVIII საუკუნის პირველი ნახევარი

### 1. პეტერბურგის დაარსების ისტორიიდან

ჩრდილოეთის ორი ძლიერი სახელმწიფოს — რუსეთისა და შვეციის ბრძოლა, როგორც ცნობილია, რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. პეტრე პირველს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ბალტიის ზღვის სანაპიროს მნიშვნელობა რუსეთისათვის. ამ გამარჯვებამ პეტრეს შესაძლებლობა მისცა დაეწყო ზრუნვა სამხედრო ნავსადგურის მოსაწყობად ზღვის სანაპიროზე, რასაც ახლო მომავალში ქალაქის მშენებლობაც უნდა მოჰყოლოდა. პეტრე პირველის ვარაუდით, ეს ქალაქი სამხედრო და სავაჭრო საქმიანობის ცენტრად უნდა ქცეულიყო.

1703 წლის 16 მაისს პეტრე პირველმა ნევის ერთ-ერთ კუნძულზე საკუთარი ხელით მიიტანა პირველი ქვა ციხე-სიმაგრის ბასტიონისათვის და მომავალ სიმაგრეს, პეტრე მოციქულის პატივსაცემად, სანკტ-პეტერბურგი უწოდა. ამავე ხანში ჩაეყარა საფუძველი ქალაქის მშენებლობასაც.

ცუდი ბუნებრივი პირობები, ჭაობიანი ნიადაგი, ნესტიანი ჰავა და ქალაქის აგებასთან დაკავშირებული სხვა სიძნელეები აუტანელს ხდიდა ქალაქის მშენებელთა ყოფას. პეტრე პირველის განკარგულებით, რუსეთის ყველა ქალაქიდან მშენებლობაზე იზიარებოდა მუშახელი, ხოლო სამეფო კარის თითოეულ წევრს გლეხობის დიდი ნაწილის მიშველიება ევალებოდა.

პეტრემ იძულებული გახდა ქალაქის მკვიდრთა ე. წ. „недо-  
росли“ პეტერბურგში გადასულიყო და უსარგებლოდ ყოფნის

ნაცვლად მონაწილეობა მიეღო ქალაქის მშენებლობაში. ადგილობრივი მოსახლეობის გარდა მშენებლობაში მონაწილეობდნენ გადასახლებული პირები, ტყეობაში მყოფი შვედები, გაქცეული ჯარისკაცები თუ გაქცეული ყმა გლეხები.

მძიმე პირობების მიუხედავად, ურყევი იყო პეტრე პირველის განზრახვა, რომ პეტერბურგი ახალ ამსტერდამად გადაექცია. წარმოებდა დაუცხრომელი შრომა ჭაობების ამოსაშრობად, ტყეების გასაჩეხად, არხების გასაყვანად, ქალაქის სხვადასხვა ადგილის ერთმანეთთან დასაკავშირებლად და სხვ.

პეტერბურგის მოსახლეობა თავიდანვე სიჭრელით ხასიათდებოდა. აქ განსაკუთრებით იგრძნობოდა უცხოელთა სიჭარბე, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, პეტრე პირველმა მიზნად დაისახა რუსეთისათვის მისაწვდომად ექცია ევროპული ტექნიკა, სამხედრო და საზღვაო საქმე, მრეწველობა და მეურნეობა. ბევრი უცხოელი მიიზიდა რუსეთის მანუფაქტურულმა წარმოებამ, ფლოტმა და განსაკუთრებით მეცნიერების, ხელოვნების ცალკეულმა უბნებმა. რითაც პეტრე პირველმა ფართო სარბიელი აპოვინა უცხოელ სპეციალისტებს.

როგორც პეტერბურგის მოსახლეობის ცნობილი მკვლევარი ა. ვ. პრედტეჩენსკი წერს, „უცხოელების დიდი ნაწილი პეტრე პირველის მიერ მოწვეული იყო სრულიად სხვადასხვა მიზნით: მხატვრები, ექიმები, მეცნიერები და სხვა მრავალი სპეციალობის წარმომადგენლები რუსეთში პოულობდნენ თავიანთი საქმიანობის ფართო სარბიელს. უცხოელები პეტერბურგში თავს შინაურად თვლიდნენ და მათ განცალკევებაზე არავითარი ლაპარაკი არ იყო. ისინი შეერწყნენ პეტერბურგის მოსახლეობას და თავიანთი არსებობით შექმნეს ის სპეციფიკური კოლორიტი, რაც ასე დამახასიათებელი იყო პეტრესდროინდელი პეტერბურგისათვის“<sup>1</sup>.

პეტერბურგის ამ ნაირფეროვან მოსახლეობას 1725 წლიდან შეემატა ქართველთა კოლონიაც, რომელიც ქალაქის მოსახლეობის ორგანულ ნაწილად იქცა.

---

<sup>1</sup> კრებული—Петербург Петровского времени. Л., 1948, А. В. Предтеченский, Население Петербурга, гл. :38

## 2. პეტერბურგში მყოფი ქართველები ვახტანგის ამალინ ჩასვლამდე

როგორც ზემოთ ვთქვით, პეტერბურგში ქართველთა კოლონია უშუალოდ ვახტანგის ამალინსაგან ჩამოყალიბდა. მათგან შეიქმნა ქართველთა ის წრე. რომლის წარმომადგენლებმა მალე პეტერბურგის ცხოვრებაში „თავ-თავისი ადგილი იპოვეს“.

მაგრამ გასაკვირი იქნებოდა, რომ პეტერბურგს, რომელსაც ვახტანგის ჩასვლის დროისათვის თითქმის ოცი წლის ისტორია ჰქონდა, ვახტანგის ჩასვლამდე არც ერთი ქართველი არ სწევოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოსკოვში ამ დროისთვის უკვე არსებობს ქართველთა მძლავრი კოლონია, რომელსაც ახლო ურთიერთობა აქვს პეტრე პირველის სამეფო კართან. ამ დროის მოსკოვის კოლონიის წარმომადგენელია გიორგი დადიანი, რომელიც რუსეთში ჩასულა არჩილის დროიდან, მაღალ წრეებში გზა გაუქაფავს და დაუწყია მთარგმნელის თანამდებობაზე მუშაობა ქართველებისა და რუსეთის სამეფო კარს შორის. აპრიორულად შეიძლება ითქვას, რომ გ. დადიანის სამოღვაწეო ასპარეზი ხშირად მოითხოვდა მის ყოფნას პეტერბურგშიაც.

მოსკოვის კოლონიიდან პეტერბურგს გადასახლებულა ქართველი სასულიერო პირი ზებედე ზებედეს ძეც. მისი ცხოვრება მეტად თავისებურად წარმართულა.

პეტრე პირველის ცნობილი ისტორიკოსის ნ. უსტრიალოვის ნაშრომში აღნიშნულია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის ტყვეობასთან დაკავშირებით სტოკჰოლმს გამგზავრებულა ერთი იმერელთა ვადიშვილი. მას უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება ტყვეობაში მყოფი შვედი ოფიცრების ალექსანდრე ბატონიშვილზე გაცვლის შესახებ. როგორც ცნობილია, შვედები ამ წინადადებაზე არ დათანხმდნენ და ალექსანდრე ბატონიშვილის საფასურად რუსეთის ხაზინიდან დიდძალი ოქრო მოითხოვეს. პეტრე პირველმა წერილით აცნობა ალექსანდრე ბატონიშვილს შვედების წინადადება, რაზეც ალექსანდრემ ღრმად პატრიოტული პასუხი გასცა<sup>1</sup>.

პეტერბურგის სინოდის საქმეებში დაცული ერთი ცნობიდან ჩანს, რომ თავის მხრივ, ალექსანდრე ბატონიშვილსაც გამოუგზავ-

<sup>1</sup> იხ. ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, 1959, გვ. 212—215.

ნია მისი თანმხლები თავადი, რომელსაც რუსეთის მეფისათვის უნდა ეცნობებინა ალექსანდრეს მდგომარეობა და მოლაპარაკება ეწარმოებინა რუსებსა და შვედებს შორის.

ამ ცნობაში ნათქვამია: „შვედებთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა და სტოკჰოლმს გაიგზავნა იმერელი ბატონიშვილი ალექსანდრე არჩილის ძე — მისი თანმხლები თავადითურთ. შემდეგში ეს თავადი ბატონიშვილს გაუგზავნია პეტერბურგს ხელმწიფესთან. რათა რუსეთს აღეძრა შუამდგომლობა შვედების წინაშე. ბატონიშვილის ტყვეობიდან განთავისუფლების შესახებ. თავადის თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია და ის პეტერბურგში დარჩენილა“<sup>1</sup>.

ამავე ცნობიდან ჩანს, რომ ეს თავადი პეტერბურგიდან საქართველოში ჩასულა და იქ ავად გამხდარა. მომაკვდავი ბერად აღკვეცილა და ზედწოდებად ზებედე აურჩევია. მაგრამ იგი სიკვდილს გადაარჩენია და გამოჯანსაღებულა. ცნობაში აგრეთვე ნათქვამია:

1724 წელს, როდესაც ქართლის სამეფოს თავს დაესხა ოსმალთა ჯარი. ზებედე ქრისტიანობის შენარჩუნებისა და ოსმალთაგან თავის დაღწევის მიზნით საქართველოდან გაქცეულა და მოსკოვს ჩასულა თავისი ძმისწულის ქრისტეფორესა და სპირ მსახურის თანხლებით.

როგორც ჩანს. ზებედეს რუსეთში გამგზავრებით უსარგებლია კახეთის მეფე კონსტანტინეს და მისთვის გაუტანებია თავისი ცნობილი თხოვნა რუსეთის მიერ კახეთისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ<sup>2</sup>.

ამჯერად ზებედე დარჩენილა მოსკოვში, სადაც მისთვის საცხოვრებელ ადგილად დონის მონასტერი განუწყესებიათ. ამ დროს დონის მონასტერში, როგორც ცნობილია, იმყოფებიან მოსკოვის ქართული კოლონიის სასულიერო პირები. ერთ-ერთ განცხადებაში ამ მონასტრის არქიმანდრიტი იოაკიმე სივიწროვის გამო ითხოვს ზებედეს განწყესებას სხვა მონასტერში.

მოსკოვში ზებედე ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს. 1730 წელს მას მოსკოვში გადაუწერია საბას „საპოთხის კარი“. აქ

<sup>1</sup> ЦГИАЛ. ф. 796, Описание документов и дел Синода. т. VI, 1726. № 232.

<sup>2</sup> ზებედეს შესახებ იხ. გ. პაიჭაძე, კონსტანტინე კახთა მეფის ელჩები რუსეთში, სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, № 1, 1963, გვ. 24 — 30.



დროისათვის მისი საცხოვრებელი ადგილი მოსკოვის ბოლოავლენ-სკის მონასტერი უნდა იყოს, რადგანაც ამ მონასტრის ერთ-ერთი მოღვაწე -- კირილე არქიმანდრიტი -- მის მიერ გადაწერილ „კონდაკს“ სახელდობრ ზებედეს უძღვნის.

საინტერესოა ზებედეს მიერ 1730 წელს მოსკოვში გადაწერილი „კონდაკი“, რომელიც კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. „კონდაკის“ გადაწერა მისთვის უთხოვნია არქიმანდრიტ ექვთიმეს. ხელნაწერს ახლავს ასეთი მინაწერი ქართული ასოებით: „ახ ბოჲე მოი, ჟალ უნოსტ სვოეი, ა ნინე ტაკოი სტაროსტ, ღმერთო, ღირს მყავ ჩემი ქვეყნის ნახვას“<sup>1</sup>.

მართლაც, ზებედეს ამის შემდეგ კვლავ საქართველოში ვხვდავთ. 1737 წელს მას მარტვილში გადაუწერია „გულანი“ და ხოტევის მონასტრისათვის შეუწირავს. მისი მოღვაწეობის შემდეგ წლებს შუქს ფენს ლენინგრადის ისტორიულ არქივში დაცული ანტონ კათალიკოსის წერილი სენატის სახელზე. ამ წერილში ნათქვამია:

„ლოცვა-კურთხევით წარმოვგზავნეთ იოანე ღვთისმეტყველის მონასტრის იღუმენი ზებედე. გთხოვთ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს დახმარების ხელი გაუწოდოთ მას და მიეშველოთ თურქთაგან აკლებულ და გადატაკებულ ჩვენს მონასტრებს“.

ანტონის ამ თხოვნის საფუძველზე სენატი ზებედეს ნებას აძლევს პეტერბურგის მართლმადიდებლებში მოაგროვოს მოწყალეობა დასახელებული ეკლესია-მონასტრების აღსადგენად. საეკლესიო ღვთისმსახურების წარმოების ნებართვა ზებედესათვის სენატს არ მიუცია, მაგრამ აღუთქვამს შუამდგომლობა სანკტ-პეტერბურგის არქიმანდრიტ ფეოდოსისთან.

სამწუხაროდ, ზებედეს ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. შესაძლოა მომავალმა კვლევა-ძიებამ შეავსოს ეს ხარვეზი და ნათელი მოჰფინოს პეტერბურგის ამ ერთ-ერთი უძველესი მკვიდრის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდს. ზებედეს ბიოგრაფიას ამშვენებს ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად ტყვეობაში გატარებული მძიმე წლები, სტოკჰოლმიდან პეტერბურ-

<sup>1</sup> საქ. სახ. მუზეუმის ქართულ ხელნ. აღწერილობა, ფ. H. ტ. VI, გვ. 279.

გისაკენ მგზავრობის ეპიზოდი და საქართველო-რუსეთს შორის არაერთგზისი მიმოსვლა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური. თუ კულტურულ-სარწმუნოებრივი მისიით.

მეორე საინტერესო პიროვნება, რომელიც რუსეთში ვახტანგის ამაღლის გამგზავრებამდე ჩასულა, არის კარგად ცნობილი რომანოზ არაგვის ერისთავი. რუსეთში დაცული ხელნაწერი მემკვიდრეობის მიხედვით, რომანოზ ერისთავი წარმოგვიდგება როგორც მოქმედი და ენერგიული ადამიანი, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი და სასულიერო მოღვაწე.

მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ლენინგრადის ისტორიულ არქივებს რომანოზის შესახებ მთელი რიგი საქმეები შემოუნახავს. პირველი, რაც თვალში გვხვდება, არის მისი განუწყვეტელი მიმოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის. რომანოზის ყოველ მგზავრობას დიდი შინაგანი მიზეზი ჰქონდა. თუ იმდროინდელ სამგზავრო პირობებს გავითვალისწინებთ, სხვაგვარად ნართლაც ვერ ავხსნიდით რომანოზ ერისთავის ამ განუწყვეტელ მიმოსვლას.

რუსეთში რომანოზი პირველად 1722 წელს ჩავიდა. საცხოვრებელი ადგილი მოსკოვის ბოგოიაველენსკის მონასტერში გამოუყვეს. სამწუხაროდ, საარქივო მასალებიდან არ ჩანს ამ გამგზავრების წიხეზი.

1725 წელს რომანოზი საქართველოში დაბრუნდა, ხოლო 1727 წელს კვლავ მოსკოვს გაემგზავრა. აქ მას დაენიშნა ჯამაგირი 75 მანეთის ოდენობით წელიწადში, აგრეთვე 3 სამონაზვნო ულუფა. საცხოვრებელი ადგილი ისევ ბოგოიაველენსკის მონასტერია. 1730 წელს რომანოზ ერისთავი საქართველოში გამოემგზავრა. აქ ის მიტროპოლიტად ეკურთხა, 1732 წელს კი მოსკოვს დაბრუნდა. ექვსი წლის შემდეგ, 1738 წელს რომანოზი საქართველოშია, ხოლო 1740 წელს ყიზლარს ჩავიდა. აქედან სინოდის სახელზე ის წერილს გზავნის: „მათის მაღალის სიწმინდის მლოცველი მიტროპოლიტი რომანოზ შიშითა და კრძალვით თაყვანს ვცემ სიწმინდესა მათსა და ვითხოვ წყალობასა, ვითარცა უძღვები შვილი მამისაგან ზეცათასა: ურჯულომ ძმები, ნათესავნი, დედა და სხვა ათასი სული ერთ დღეს სრულიად დაგვიხოცეს და დაწვეს და ტყვედ წაასხეს. მეც

მეძებდენ სასიკვდილოდ, წავედ, გავეცალე, რვა თვე მეღეტინის ცართან ვიყავ... აქ (ყიზლარში) დამიჭირეს. აღარ გამომიშვეს მოსკოვში მივსულიყავ და რისაც ღირსი ვიყავ, იმ ალაგს დავეყენებინე. დიდს ხელმწიფესა და წმინდას სინოდსა ჩემი ამბავიც შეეტყო. სამი წიგნი მაქვს, ერთი მეფისა და ორი ჩვენის პატრიარქისა. ვითხოვ დიდის ხელმწიფის, თვითპყრობელისამ სრულიად რუსეთისა იმპერატორისა ანნა იოანესისა გამო მაშინ და სიკვდილამდე ხელმწიფის მლოცველი ვიყო და აღარსად წავიდე, მათის დიდებულების სადღეგრძელოდ. თუ აქედან სადმე წაველ, ან გამყიდიან, ან დამატყვევებენ. და ურჯულოს მოვჩჩი და ქრისტიანობაში მოველ, აქედამ რომ დავიკარგო, ჩემთვის წარწყმედა იქნება“<sup>1</sup>.

ხელს აწერს რომან მიტროპოლიტი.

ამავე საქმეში, გარდა რომანოზის წერილისა, დაცულია მეფე ალექსანდრეს. დომენტი პატრიარქისა და გრიგოლ კათალიკოსის საშუამდგომლო წერილებიც.

ნეფე ალექსანდრე რომანოზის ბედუკუდმართობაზე ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნავს, რომ მას „ამ ქვეყანას (სამშობლოში) ერთს ალაგს დგომა და ყოფა უნდოდა“, მაგრამ ამ ქვეყნის განსაცდელმა ვერ აღუსრულა წადილიო.

რომანოზს გაუხსენებია „დიდის ხელმწიფის წყალობა“ და კვლავ რუსეთს წასვლა განუზრახავს. ალექსანდრე სთხოვს რუსეთის ხელმწიფეს რომანოზი სიკვდილამდის იმსახუროს და კუთვნილი პატივი უბოძოს<sup>2</sup>.

ამ წერილებით მკითხველს ნათლად წარმოუდგება რომანოზ ერისთავის პატრიოტული სახე. რუსეთში მატერიალურად და ფიზიკურად უზრუნველყოფილ ერისთავს სამშობლოს ნახვის სურვილი რამდენჯერმე ატოვებინებს რუსეთის საზღვრებს. მაგრამ შინაური აშლილობითა და ყიზილბაშთა თარეშით გამოწვეული შფოთი და რბევა რომანოზს აიძულებს კვლავ მიატოვოს სამშობლო და რუსეთს მიმართოს. საშუამდგომლო წერილებს გაუჭრია და რომანოზი ყიზლარიდან ჯერ მოსკოვს, ხოლო შემდეგ პეტერბურგს მიემგზავრება. აქ ის რუსეთის ქვეშევრდომობას იღებს. პეტერბურ-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 796, оп. 18, № 148.

<sup>2</sup> იქვე.

გის სასულიერო წრეებში რომანოზს დიდი გავლენა და ავტორიტეტი მოუპოვებია. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა პეტერბურგში ვახტანგის ამაღლის ჩასვლის შემდეგ.

ქართველ იერომონახ ექვთიმესთან და იოსებ სამეგბელთან ერთად რომანოზი საეკლესიო ღვთისმსახურებას ასრულებს ეკატერინე იოანეს ასულთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რომან მიტროპოლიტის შუამდგომლობით, პეტერბურგში ჩასულ ქართველ სასულიერო პირებს ცალკეულ ეკლესიებში ღვთისმსახურების ჩატარების ნებაც დაერთოთ. 1748 წელს კი, როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, „რომან მიტროპოლიტმა მძიმე ავადმყოფობის გადატანის შემდეგ, ითხოვა საქართველოში, დავით გარეჯის მონასტერში გაშვების უფლება, რათა იქ დაეყუდოს და მოასვენოთ თავისი სხეული“<sup>1</sup>.

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ზემოხსენებული ზებედე ზებედეს ძე, რომელიც სამშობლოში დამარხვაზე ოცნებობდა, მაგრამ გამოჯანსაღებისთანავე კვლავ რუსეთისაკენ მიუწევდა გული. რომანოზ ერისთავიც, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, შორეული სამშობლოსაკენ ისწრაფვის, რომ იქ გაატაროს სიცოცხლის უკანასკნელი დღეები. ამჯერად საქართველოში წასვლაზე რომანოზ ერისთავს უარს ეუბნებიან, რადგან მან უკვე აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობა. როგორც ჩანს, მის განმეორებით თხოვნებს გაუპრია და 1749 წელს საქართველოში დაბრუნების ნებართვა მიუღია. ფაქტიურად კი ეს იყო სამშობლოში დაკრძალვის თაობაზე მიღებული უფლება.

რომანოზ ერისთავი ლიტერატურულ ასპარეზზეც მოღვაწეობდა. მას გადაუწერია ზოგი ხელნაწერი, მაგალითად, „ფსალმუნის კითხვის წესი“. ითვლება ცალკეული ხელნაწერების მომგებლადგანსაკუთრებით საინტერესოა რომანოზის მიერ გადაწერილი კრებული S — 287.

როგორც დავინახეთ, არც ზებედე და არც რომანოზ ერისთავი არ არიან ვახტანგის ამაღასთან ერთად წასული პირები. ზებედე არჩილის კოლონიის გადმონაშთია პეტერბურგში, ხოლო რომანოზ

---

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 796, оп. XX, 1740 г. №  $\frac{519}{514}$ ,

ერისთავი პირადი ინიციატივით გადასახლებულა რუსეთს ვახტანგის ჩასვლამდე ორი წლით ადრე.

ბუნებრივია, რომ ვახტანგისა და მისი ამაღლის ჩასვლას პეტერბურგში ორივე ემიგრანტი განსაკუთრებული სიხარულით შეეგებებოდა. ისინი შეუერთდნენ ვახტანგის ამაღას და სასულიერო პირებს შეძლებისდაგვარად გზას უკაფავდნენ საეკლესიო ასპარეზზე. ამ მხრივ განსაკუთრებული ღვაწლი რომანოვ ერისთავს მიუძღვის.

პეტერბურგის მოსახლეობის რიგებში, სხვადასხვა მიზეზის გამო, მანამდე სამშობლოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველობაც აღმოჩნდა. სინოდის საკანცელარიო საქმეებში განხილულია ჯერ მოსკოვსა და შემდეგ პეტერბურგში მცხოვრები ერთი ქართველის საქმე, რომელიც პავლე პეტროვის სახელს ატარებს. პავლე პეტროვს, როგორც მონაზონს, თავდაპირველად მოსკოვში უცხოვრია, ხოლო შემდეგ პეტერბურგს გადასულა ექიმ მინიატთან. აქ მას ანაფორა გაუხდია და თარჯიმნობა დაუწყია. საინტერესოა პეტროვის პასუხები სინოდის მიერ წარმოებულ დაკითხვაზე. ამ პასუხებიდან ჩანს, რომ ის არის ქართველი. დაბადებულა სტამბოლში. ჯერ კიდევ ბავშვობისას თურქებს დაუტყვევებიათ. ტყვეობიდან ბერძენ არქიმანდრიტ გაბრიელს გამოუსყიდია და რუსეთს ჩაუყვანია. აღკვეცის გარეშე ბერის ტანსაცმლით შეუმოსავს და ბერძნული სახელი — პაისი უწოდებია. პეტროვის მოსკოვიდან პეტერბურგში გადასვლაც გაბრიელის ინიციატივით მომხდარა. მის პეტერბურგელ მეგობარს, ექიმ მინიატს რუსული არ სცოდნია და გაბრიელს პეტროვი მასთან თარჯიმნად გაუგზავნია.

სინოდის მიერ ძიებაზე გამოძახებული გაბრიელი ადასტურებს, რომ პეტროვი თურქეთის ფაშისაგან არის ნაყიდი. ამ ფაქტის დამამოწმებელი საბუთი მას ერთ ღროს ჰქონია, მაგრამ შემდეგ დაუხვია. მონაზვნის კაბით შემოსვა კი სტამბოლის არქიერის ანანias ნებართვით მომხდარა. რაც შეეხება პეტერბურგში პეტროვის უნებართვოდ ჩაყვანას, გაბრიელი იმ უბრალო მიზეზით ხსნის, რომ მან, როგორც ბერძენმა, არ იცოდა ადგილობრივი კანონები.

საქმე განსახილველად გადაეგზავნა მოსკოვის სინოდალურ კანტორას, რომელმაც დაადგინა: „აეკრძალოს პეტროვს ბერის

სამოსითა და სახელით სარგებლობა, რადგან ამ სამოსს კანონიერი აღკვეცის გარეშე ატარებდა და ასევე თვითნებურად გაიძრო იგი<sup>1</sup>.

ასე თავისდაუნებურ ბრალდებებში გაეხვია სტამბოლში გაყიდული ქართველი კაცის შვილი, რომელმაც ბავშვობაშივე გაიზიარა მშობლის ბედი. ის არც თურქია, არც ბერძენი პაისი და არც რუსი პეტროვი, მაგრამ ბედის უკუღმართობამ მას საკუთარი გვარი და სახელიც გადაავიწყა და თავისი ქართველობაც მხოლოდ იქედან იცის, რომ ფაშას მიუცია ამის საბუთი ბერძენი გაბრიელი-სათვის.

რა თქმა უნდა, ამ ქართველს, რომელმაც თვითონაც ძლივს იცის თავისი ქართველობა, პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრები ვერ იცნობენ და მასთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

### 3. ვახტანგის პირველი წარმომადგენელი კეტიკაშვილის სახეობა კარზე

სპარსეთის ლაშქრობის შესახებ მოლაპარაკებისას პეტრე I და ვახტანგ VI შორის შუამავალ პირად რუსეთში გვევლინება ბაადურ თურქესტანიშვილი. ბაადურ თურქესტანიშვილის სახელს ხშირად ეხვდებით ისტორიულ საბუთებში და იმ მიმოწერაში, რომელიც წარმოებდა საქართველოსა და რუსეთს შორის 1722 წელს სპარსეთის ლაშქრობის საკითხებზე.

როგორც ცნობილია, სპარსეთის ლაშქრობის გეგმის ჩაშლამ ცუდ დღეში ჩააგდო საომრად მომზადებული ვახტანგ VI. ამ დროს ბაადურ თურქესტანიშვილი ვახტანგისაგან პეტრე პირველთან არის წარგზავნილი და ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილი ვახტანგ VI პირადად მასაც სდებს ბრალს დადებული შეთანხმების დარღვევაში: „შენც ხომ კარგად იცი, ქართველი კაცი ამდენის ხნის ლაშქრობას ვერ გასძლებს, ნუზლი შემოაკლდების და შესწუხდებიან... რაც გვატყუე, ის გეყოფის, მართალი ამბავი მოგვწერეთ“<sup>2</sup>, — სწერს ვახტანგი ბაადურ თურქესტანიშვილს.

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 796, оп. XVI, 1736, №  $\frac{92}{352}$

<sup>2</sup> Броссе, Переписка грузинских царей с Российскими государями, 1861, гл. 155.

მეორე წერილში ვახტანგ VI საქრისტიანოს უბედურებას და ზარალს ბაადურის ელჩობას აბრალებს: „ბატონო ბაადურ, რაც შენი წყალობით ქრისტიანებს და მონასტრებს ზარალი დაადგა, იმდენი პასუხი უნდა აგო ღრმთის წინაშე“<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, არც ბაადურს და არც რომელიმე სხვა ელჩს არ ძალეღვა იმ ეკონომიურ-სტრატეგიული გეგმების შეცვლა, რომელიც იმხანად რუსეთს დასჭირდა. ასეა თუ ისე, ბაადურ თურქესტანიშვილი ვახტანგის სამეფოს პირველი წარმომადგენელია პეტერბურგის სამეფო კარზე.

რუსეთში მყოფ ელჩს, როგორც ჩანს, ახლო მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია არა მარტო მაღალ წრეებთან, სამეფო სახლის წარმომადგენლებთანაც კი. ამ მხრივ საინტერესოა პეტრე პირველის ძმისშვილის ეკატერინე იოანეს ასულის წერილი ბაადურ თურქესტანიშვილისადმი, რომელიც 1873 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „Русская старина“-ში.

„ბატონო თავადო ბორის... თუ ღმერთმა ქნა, მეც მალე ვიქნები მოსკოვს და ჩამოვალ ვსესვიატსკოეში. გავჩერდები მეფის ასულთან და შენთან კი გაჩერდება ის, შენ რომ იცნობ. მადლობელი ვარ ჩემს ოჯახურ წვეულებაში მონაწილეობისათვის.

მეფის ასული ეკატერინე. პეტერბურგ.

21 დეკემბერი.

1792 წ. №2.

როგორც წერილის შინაარსი და ხასიათი გვამცნობს, ბ. თურქესტანიშვილს უკვე ამჯერად რუსეთში საკმაოდ მოეპოვება მეგობრები. პირველ რიგში ეს ვსესვიატსკოეს წრეა, დარეჯან არჩილის ასულის ნაცნობ-მეგობართა გარემო, სადაც, როგორც ჩანს. ხშირად სტუმრობს ეკატერინე იოანეს ასულიც და ბორის თურქესტანიშვილიც. წერილიდანვე ვტყობილობთ, რომ ბ. თურქესტანიშვილი პეტერბურგის სასახლის წვეულებათა საპატიო სტუმრად ითვლება.

<sup>1</sup> АВПР, 110, 1723, д. № 3; ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ხელნაწერთა პირების ფონდიდან.

<sup>2</sup> Русская старина, 1873, т. VIII, გვ. 51.

ამრიგად, ბ. თურქესტანიშვილი პირველი ქართველია, რომელიც საქართველოდან პეტერბურგს საგანგებო დავალებით ესტუმრა, ხოლო შემდეგში მისი მუდმივი მკვიდრი და პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრი გახდა.

#### 4. რუსეთისაკენ

როგორც ცნობილია, 1722 წელს ვახტანგ VI სამხედრო კავშირი დაამყარა რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველთან. ეს კავშირი ძირითადად გაპირობებული იყო იმით, რომ ძლიერი მოკავშირის საშუალებით ვახტანგ მეექვსეს რეალურად მიაჩნდა აღმოსავლეთის შბრძანებელთა უღლისაგან გათავისუფლება. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს, „რუსეთი პეტრეს სახით პირველი დიდი სახელმწიფო იყო, რომელიც ამიერკავკასიის მიწაზედ მოვიდა, ერანსაც და ოსმალეთსაც დაუპირისპირდა და კავკასიის ქრისტიან ხალხებს კავშირი და მფარველობა შესთავაზა“<sup>1</sup>.

მაგრამ რუსეთის არმიის ეკონომიურმა პირობებმა პეტრე პირველი იძულებული გახადა ლაშქრობა მოეხსნა. და მოხდა ის, რისაც ეწინოდა ვახტანგ მეექვსეს, როდესაც ერთ-ერთ წერილში არტემ ვოლინსკის სწერდა: „აქამდის რომ ფოცხვრის ჭანგისაგან გამოხსნას ვეხვეწებოდით, ახლა ბაბრის ჭანგში არ შეგვაგდონო“<sup>2</sup>.

განრისხებული სპარსეთის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებამ ქართლ-კახეთს შორის მტრობა ჩამოაგდო, რაც ძმათა შორის სისხლისღვრით დამთავრდა. ვახტანგისა და კონსტანტინეს შორის ურთიერთ ბრძოლით ოსმალეთმა ხელსაყრელი დრო იგდო ხელთ და 1723 წელს თბილისი აიღო. 1723 წლიდან ტახტზე ავიდა ვახტანგის გამაჰმადიანებული ძმა იესე, რომელმაც ოსმალეთთან საერთო ენა მონახა.

ივ. ტოლსტოი, აცნობებდა რა ქართლის სამეფოს შემდგომ ამბავს, პეტრე პირველს სწერდა: „მეფე ამ თავდასხმის გამო საზღვარგარეთ გადავიდა, იმერეთის ერთ სოფელში, რომელსაც ცხილ-

<sup>1</sup> მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკ. 1, გვ. 185 — 186.

<sup>2</sup> Переписка груз. царей с Российскими государями, СПб, 1861, გვ. 147.



ვანი ეწოდება. იქედან გამომგზავნა თქვენს უმაღლესობასთან დახმარების სათხოვრად და თუ დახმარება არ ხერხდება, პირადად მის მიღებას ითხოვს...“<sup>1</sup>.

ამავე წერილიდან ჩანს, რომ ვახტანგთან ჯგუფ-ჯგუფად მიდიან სამეფოს მესვეურები და ცალკეული წარმომადგენლები: „უბედურების ეამს ქართველი თავადები მოდიოდნენ მეფესთან და არწმუნებდნენ, რომ ისინი ბოლომდე ერთგულად ეგულებინა“<sup>2</sup>.

ქართლის თავადები თავგამოდებით ებრძოდნენ ოსმალებს და აწყობდნენ აჯანყებებს. გლეხობას წელში წყვეტდა ორმაგი გადასახადი. დამპყრობლებს არ გაუუქმებიათ ადგილობრივი ფეოდალური გადასახადები, პირიქით, ოსმალურიც დაუმატეს.

ამის შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს: „აღწერეს ქართლი არულად და დასდევს ხარკი კაცს სულზედ დრაჰკანი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზედ აბაზი, კამბეჩსა და ცხენზედ ექვსი შაური, ზოსავალსა ზედა ხუთის თავი ხილითურთ და ამის გამო იქმნა ჳირი დიდი“<sup>3</sup>. გლეხობა ამ ხარკს ვეღარ უძლებდა და საცხოვრებელი ადგილიდან გარბოდა. ოსმალებმა საეკლესიო მამულების მიტაცებაც იწყეს. ხელი შეუწყვეს ტყვეების გაყიდვას და სამწყსოში მაჰმადიანობის გავრცელებას. „რაოდენნი ქალწულნი განიხრწნენ და ქეშმარიტნი დედანი და მოწესენი ბოროტებითა და სისხლი მართალთა დაითხია ურჯულოთაგანო“, — განაგრძობს ვახუშტი.

„ქართლის ჳირის“ თემამ ღრმა კვალი დასტოვა როგორც თანამედროვე ისტორიკოსთა (ვახუშტი, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი) თხზულებებში, ასევე საისტორიო ეპოსში (იესე ტლაშაძის „ბაქარიანი“, უცნობი ავტორის „ვახტანგიანი“ და სხვა).

1724 წელს ვახტანგ VI პეტრე პირველისაგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„ჩვენს სამეფოში მცხოვრებმა თქვენი ბრწყინვალეების დამკვამცნო თქვენი უბედურების შესახებ და შეგვატყობინა თქვენი

<sup>1</sup> АВПР, ფ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, 1723, № 3.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, ცხოვრება ქართლისა (ქართლის ცხოვრება), გამოც. დ. ჩუბინაშვილისა, 1854, გვ. 88.

<sup>4</sup> ლაპარაკია დარეჯან არჩილის ასულზე.

სურვილი ჩვენს სამეფოში გამოგზავრებისა. ჩვენ არათუ ნებას გრთავთ, არამედ იმედსაც გაძლევთ, რომ არ დაგტოვებთ და ჩვენს მოწყალეებასაც არასდროს მოგაკლებთ“<sup>1</sup>.

1724 წლის 15 ივლისს ვახტანგ VI ოჯახით და 1200-კაციანი აპალით დაადგა რუსეთის გზას.

მიემგზავრებოდა სამეფოგამოცლილი ვახტანგი რუსეთს და თან მიჰყვებოდა ქართველთა გოდება რუსეთის ხელმწიფესთან. „ასე მაგათს ურჩს გაუჭიროს საქმე, როგორც ყოველს საქართველოსა და საქართველოს კაცთ რჯულით და ქვეყნით ურჯულოთაგან ჩვენ საქმე გაგვიჭირდა. ერთი ქვეყნის მომღელი რამ იყო, ეს მეფე ვახტანგ იყო, ესეც დაგებარებინა და მანდ წამოვიდა და ასე დავრჩით. ჩვენი საიმედო ამის მეტი აღარა არის რა, რომე ეგება მაგათგან ერთი ზურგი მოებას და ამ ქვეყანას მოეშველოს, თვარამ ეს ქვეყნები გაუთათრებელი არ დარჩება. ახლა ჩვენი სახვეწარი ეს არის, მაგათი საფარველი დაგვდვან, რომ მაგათის დღეგრძელობის მლოცველნი ვიყვნეთ“<sup>2</sup>, — სწერდა შოშიტა რაქის ერისთავი რუსეთის იმპერატორს.

ვახტანგის რჩეულ ამალას მიჰყვებოდნენ სამეფოს საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთაგან საქართველოში ზოგი შვილს ტოვებდა, ზოგი კი მშობელს. მიმავალთ წერილს ატანდნენ მართოდ დარჩენილი მშობლები და რუსეთის ხელმწიფეს სთხოვდნენ: „თქვენ იცით და თქვენმა ხელმწიფობამ... უფროსი შვილი თქვენს საფარველს ქვეშ მოდის, თქვენი ანგელოზებრივი თვალ-ყური უგდეთ, გებრალეობდეთ ასე დარჩენისათვის, ბატონო“<sup>3</sup>.

1724 წლის 5 სექტემბერს ვახტანგმა ასტრახანიდან პეტერბურგს გაგზავნა ვახტანგ ამილახვარი და ფრანგისტან თურქესტანი-შვილი, რომელთაც ვახტანგის წერილი წარუდგინეს საგარეო საქმეთა კოლეგიას. წერილთან ერთად კოლეგიას გადასცეს ვახტანგ მეფის ამალის ნუსხაც. ვახტანგი თხოულობდა ნებართვას შუა რუსეთში შესასვლელად.

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერზე: კს-ლების არქივი (Грузинские дела, 1723 г., № 3).

<sup>2</sup> Переписка, გვ. 173.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 161.

მალე ვახტანგმა პეტრე პირველისაგან წერილი მიიღო, რის თანახმადაც მას ნება ეძლეოდა მცირე ამალით პეტერბურგისაკენ გამგზავრებულიყო.

იმპერატორის ბრძანებით ქართველთა მეფისა და მისი ამალის შესახვედრად პეტერბურგიდან გაემგზავრნენ ღრაგუნთა პოლკის წარმომადგენლები.

## 5. ვახტანგისა და მისი მცირე ამალის პირველი ჩასვლა პეტერბურგს

ვახტანგ მეფე გაემგზავრა პეტერბურგს და თან იახლა 82 კაცი. მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული სია გვაცნობს ვინ შევიდა იმ ამალაში, რომელიც ვახტანგს გაჰყვა პეტერბურგში. ესენი იყვნენ: მეფე ქართველთა ბაქარ ვახტანგის ძე, სვიმონ ლეონის ძე, თურქესტან თურქესტანოვი, თავადი ედიშერი, თავადი დადიანი, ბორის თურქესტანოვი, პროტოპოპი გიორგი, თავადი ფალავანდოვი, თავადი როსტომი, მდივანი მელქისედეგი, ფრანგისტან თურქესტანოვი და სხვა პირები, რომლებიც მხოლოდ სახელებით იხსენიებიან<sup>1</sup>.

როგორც ვიცით, ვახტანგი პეტერბურგისაკენ ისწრაფოდა პეტრე პირველთან შეხვედრის მიზნით. მაგრამ ცარიცინს მიახლოებულ ვახტანგსა და მის ამალას ეუწყათ საზარი ცნობა — პეტრე პირველი პეტერბურგში გარდაცვლილიყო.

ჩვენი ისტორიკოსებიც და პოეტებიც, რომელთა თხზულებებშიც მოთხრობილია ვახტანგის რუსეთს გამგზავრების ამბავი, საგანგებოდ ჩერდებიან ამ მძიმე მომენტზე: „ხელმწიფე თურმე ოცდარვას იანვარს ამიერ სოფლით მიფარულიყო, შეექმნათ მწუხარება და გლოვა, მაგრამ ბრძანებასა ლუთისასა არა გაეწყობოდა რა“, — მოგვითხრობს სეხნია ჩხეიძე. მისივე ცნობით, ვახტანგი თავისი ამალითურთ იძულებული გახდა მოსკოვში გამგზავრებულიყო. დ. გურამიშვილის სიტყვით:

<sup>1</sup> АВПР, ф. 110, 1726 г., № 1.

„რომლისაც ხელმწიფისაგან მუნ იყვნენ დაბარებულნი,  
იმისთვის ველარ მიესწრათ, მით იყვნენ გამწარებულნი“.

ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი სრულიად გულწრფელად  
გადმოგვცემს, რომ გარდაცვალების წინ პეტრე პირველს ანდერძი  
დაუტოვებია: „საქართველოს უჭირსო და რჯულის გულისათვის  
მოუხმარენითო, ჩემის ხაზინით ჯარი ათხოვეთო“<sup>1</sup>, ხოლო „ვანტან-  
გიანის“ ავტორი პოემაში პეტრე პირველის ანდერძს მოგვითხრობს  
და მას ასე ამთავრებს:

„გარდავლე ესე სოფელი მტრისა მამსრელმა ხლმიანმა  
ნურვინ გყოთ შეწუხებული ჩემის სიკვდილის ზიანმა“<sup>2</sup>.

სეხნია ჩხეიძის ცნობით, ამ ამბის გაგების შემდეგ ვანტანგი  
გაემგზავრა მოსკოვს, სადაც ორ თვეს გაჩერდა. შემდეგ ეცნობა  
ეკატერინე დედოფალს ვანტანგის ჩასვლა, „ებოძა სამასი თუმანი  
და დაებარებინა მისს“ პეტერბურგში. მოსკოვში მას „დახვდა  
დარეჯან — ასული არჩილ მეფისა და შეიტკბნენ ფლად. შემდგო-  
მად მივიდა პეტერბურგს იმპერატრიცის ეკატერინეს წინაშე და  
მან პატივსცა მეფებრ დიდებით და მიანიჭნა ურიცხუნი“.

სეხნია ჩხეიძის უფრო ვრცლად აქვს აღწერილი ვანტანგის  
პირველი შესვლა პეტერბურგში: „რა მიიახლა სამის დღის სავალს,  
პოლკოვნიკი მემანდრად მოაგებეს, ათასის თავს ჰქვიან, მოაგებეს  
ხომალდები საკვირველი, მნახავთათვის სასიამოვნე, გაბძანდა და  
მოაგებეს ჯარი, შეიქნა სროლა ზარბაზნისა, რომე ყურთა ხმა  
ალარ იყო, მიიყვანეს სადგომსა, სადაცა სავანე ჰოემზადათ, ებძანა  
ხელმწიფეს წყალობა, სამ დღეს იყო მასპინძელა თავისის მოხე-  
ლეებითა, რაც მოუნდებოდათ ლხინი მათად შესაფერად. მას ყამსა  
ხელმწიფობდა დედოფალი. ამისათვის, რომ ხელმწიფეს პეტრეს  
ძე არ ესვა და შეილი-შვილი ყრმა იყო, მომცრო. დაჰპატიჟა მეფე  
ვანტანგ დედოფალმა და მიბძანდა სამეგლიშოსა სახლსა. იყო გარი-  
გება დიდი და დარბაისელთა მორთვა მძიმითა მოკაზმულობითა...  
მიიწვიეს მეფე და მიბრძანდა პირსა ტახტისასა. მოახსენა ხელმწი-  
ფესა სამძიმარი უცხოსა რიტორისა ენითა, რა ქება და მიმტკივნება  
მღულრისა ცრემლითა, დაყოვნდა ცოტასა ხანსა და ხელმწიფობისა

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 459.

<sup>2</sup> ლიტ. ძიებანი, ტ. IV, გვ. 201.

და ტახტისა მილოცვაჲ ჰკადრა. მოეწონათ სიბრძნე და სიტყვა-მკვე-  
რობა: უბრძანა ხელმწიფემ მადლი და წყალობისა სიტყვები და  
წამობძანდა თვისსა სადგომსა, გამოხდა მცირედი ხანა. ბძანა  
მეჯლიში ბალთა შიგან. იჯდა ხელმწიფე, მარჯუნით უჯდა სიძე და  
ელჩი შვეთისა, მიიწვიეს მეფე ვახტანგ და მათთან დასვეს ძე მე-  
ფისა ბაქარ, ამათი დარბაისელნი და ქართველნი შიგან ჩარევით.  
ნახეს ლხინი უამესი. რალა ითქმოდა სმისა და საზთა მღერისა“<sup>1</sup>.

„ვახტანგიანის“ ავტორიც მთელ თავს უძღვნის ვახტანგის  
პირველ ჩასვლას პეტერბურგში:

„მესამე დღეს დედოფალმან მიიყვანა სახლად მისად,  
ძმით და შვილით ტბილად დახვდა, ლმობიერად, არ პირ მქისად.  
კეთილობით მის მის ალაგს სად უნდოდა სიტყვა თქმისად,  
ხელმწიფისგან დანაბარი თქვენ იყავით წინა წლისად.

მიუბოძა სუფრის რიგი, ვერცხლთ კოკები ანუ ჭამი,  
თითოს კაცი ვერ ზიდევდა, თუ არ სწევდა ორი, სამი,  
უწყალობოდ არ გაუშვა გასასვლელად მცირე წამი,  
განისვენეთ უმწუხაროთ. განიხარეთ ლხინთა ქამი.

მერმე უბრძანა სხვათა ბალთა წასვლა თნ ზღება ლხინებათ.  
იქ შადრევანი კაცთ სახედ პირში არიან დინებათ,  
ზარბაზნებიცა წყალს ისვრის. მნახავსა გახდის შინებათ,  
ამ ბალთ მხილველი აროდენ შეიქმნას გულით წყინებათ“.

ამავე დროს, პოემის ავტორის სიტყვებით. დედოფალმა ვახ-  
ტანგს სთხოვა, მეუღლე რუსუდანი თავისი ამალით მოსკოვში ჩა-  
მოეყვანა.

ვახტანგის ამალის პეტერბურგში პირველ ჩასვლას ეხება გაბ-  
რიელ გელოვანის მიერ გადაწერილი „გეოგრაფიის“<sup>2</sup> ანდერძი. იგი  
იხსენებს: „დედოფალმა ეკატერინემ ვითარ ნუგეშინი სცა. . ანუ  
რაგვარად უზომოებით წყალობა მიანიჭა“ პეტერბურგში პირვე-  
ლად ჩასულ ვახტანგს. ამასთან იგი აღნიშნავს, რომ: „თუმცაღა  
თვით არა ეხილვა ვისმე უხილავთა კაცთაგან უსაზღვრო პატივი,  
არა ირწმუნებოდა, რომელი პანკრატინთა შარავანდელთა შორის  
ვგონებ არცალა ვისმე მიეთვალოს“.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 334.

<sup>2</sup> საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის  
ხელნაწ., S — 1131.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმეებში დაცულია ბრძანებულება, რომელიც ეხება ვახტანგის პირველ ჩასვლას პეტერბურგში და ეკატერინეს მიერ ბოძებულ წყალობას:

«Во знак своей к нему царю Вахтангу милости, Кавалерию святого Андрея ему дать указала,

1. Жалованную грамоту на царство грузинское по желанию и прошению его дать только, чтоб он оную содержал в Москве.

2. Гвоздь Господень отдать ему, только б он содержал его в Москве в дому своем, а из России никуда не вывозил.

3. Деревни сестры его царевны Дарьи Арчиловны по наследству отданы будут... те, которые она кому при жизни своей определит.

4. Сыну его царевичу Георгию при дворе быти ее величества соизволяет и предать на его волю, когда он похочет его прислать»<sup>1</sup>.

შემდეგში, როგორც ცნობილია, ამ ბრძანების შესაბამისად დარეჯან არჩილის ასულის მამულები ებოძა ბაქარს, ხოლო პეტერბურგში აღზრდილი გიორგი ვახტანგის ჰე ერთხანს პეტერბურგშივე დარჩა საცხოვრებლად.

ვახტანგის და მისი ოჯახის პეტერბურგში გატარებულ დღეებთან დაკავშირებით საინტერესოა საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტი:

«Святейшему Правит. Синоду из канцелярии Александра-Невского монастыря»<sup>2</sup>.

მასში ნათქვამია: „1725 წლის 10 სექტემბერს ალ. ნეველის მონასტრის კანცელარიაში გამოცხადდა მარკ ნიკიტინი და განაცხადა: პოლკოვნიკი ბატონი ლუტკოვსკი (პოლკოვნიკი ლუტკოვსკი მიუჩინეს ვახტანგს თანმხლებად პეტერბურგში) პრინციისთვის გამოყოფილ მონასტრის ცხენებით დღე და ღამ მოზრდილი კარგით დადიოდა პრინციისვე ბრძანებით. მას თან ახლდა თვითონ მარკიტ. ლუტკოვსკი პრინცს ახლდა კრონშტადტში, პეტერპოფში.

<sup>1</sup> АВПР, ф. 110, 1725 г., № 1 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქივიდან).

<sup>2</sup> იქვე.

პეტერპოლიდან მან გამოგზავნა მსახური ანისიმ გრიგორიევი ქართველთა სხვადასხვა საჭიროებათა უზრუნველსაყოფად“.

განცხადებაში ნათქვამია, რომ „მეცეს საკმარისი საქმელი ამ ცხენებს, რომლებსაც აქამდე საკვები ეძლეოდათ ალექსანდრე ნეველის მონასტრიდან და ახლა კარგა ხანია აღარ ეძლევათ, ამის გამო ერთი მათგანი დაეცა და შესაძლოა სხვებიც მიყვნენ მას“.

ზემოაღნიშნული განცხადებიდან ჩანს, რომ პეტერბურგში ახლად ჩასული ვახტანგისა და მისი წრისათვის გამოუყვიათ ერთ-ერთი მოზრდილი კარეტა. თან უახლებიათ პოლკოვნიკი ლუტკოვსკი, მეეტლედ ჰყოლია გამოცდილი მარკ ნიკიტინი. სტუმრებს დაუთვალეირებიათ კრონშტადტი, პეტერპოლი, ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და სტუმრად ყოფილან მიწვეული ცალკეულ ოჯახებში.

პეტერბურგში ვახტანგის პირველ ჩასვლასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი საკითხი. დაესწრნენ თუ არა ისინი პეტრე პირველის დაკრძალვას?

ბუტკოვი თავის წიგნში «Материалы для новой истории Кавказа» ვახტანგის პეტერბურგში ჩასვლასთან დაკავშირებით იხსენიებს გოლიკოვის «Делния Петра Великого»-ს, რომელშიაც ნათქვამია, რომ: „ვახტანგი 1724 წ. ჩაეიდა პეტერბურგში და მეცემ იგი მიიღო დიდი პატივისცემით“. ბუტკოვი არ იზიარებს ჩასვლის ამ თარიღს და წერს:

«Еслиб Вахтанг был в Петербурге, то бы конечно нашлся при погребении Петра — 18 марта 1725 года, но в церемониале ни одного грузина не видно»<sup>1</sup>.

„ვახტანგიანში“, რომელიც ვრცლად ეხება პეტერბურგში პირველად ჩასვლის ამბავს, ნათქვამია, რომ ჩასულებმა დედოფალს სთხოვეს:

„ცხედრის ხილვას გეაჩებით, ყელს საბელი ვიქნათ დებად.  
ხელით ჩვენიით თავი სრულად მოვიკვდინოთ გულის ნებად“<sup>2</sup>.

რაკი ცხედრის ხილვას თხოულობენ, თითქოს მეფე დაკრძალული არ უნდა იყოს, მაგრამ იქვე ნათქვამია:

<sup>1</sup> Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. I, гл. 64.

<sup>2</sup> ვახტანგიანი, გვ. 204.

„შეწუხებით დართო ნება. საფლავთ ნახვა ესმით ყურსა, მივიღნენ და ზედ აყრიან ცრემლთა ცისებრ მონაჭუსსა, რად ჩაგვეყარე ჭოჯოხეთსა, სად უშრეტი კუპრი დღუსა, არ გვაღირსე პირის ხილვა, შევესწარიოთ დღესა კრულსა“.

აქ უკვე პეტრეს საფლავზეა ლაპარაკი.

გაბრიელ გელოვანის მიერ გადაწერილ „გეოგრაფიის“ ან-დერძშიც, როგორც ვთქვით, იხსენიება ვახტანგ მეფის პეტერ-ბურგში პირველად ჩასვლა. ყოველივე იმის აღწერას ვერ ვახერხებო. თუ როგორ ჩამოვიდა, როგორ მიიღესო, „ანუ დიდისა ხელმწიფისა მეფედ მეფის პეტრე ალექსის ძისა მიერ ამა სოფლით გარდაცვალებასა, მისისა დიდებულებისა გლოვასა ტყეებასა შინა ვითარ ესწრა“ და სხვაო. აქ გარკვეულად არის ნათქვამი, რომ ვახტანგი თავის ამალითურთ დასწრებია პეტრე პირველის გარდაცვალებით გამოწვეულ „გლოვასა და ტყეებას“.

მართლაცდა, ჩვენ ვიცით, ცარიცინს მიახლოებულ ვახტანგს ეცნობა, რომ ხელმწიფე წინა დღეს გარდაცვლილიყო. ამის შემდეგ ისინი გაემგზავრნენ მოსკოვს, სადაც დარეჯან არჩილის ასულთან შეხვედრამ ვახტანგსა და მის ახლობლებს ბევრი ცრემლი აფრქვევინა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ დარეჯან არჩილის ასული, რომელიც ასე ახლო, პირად ურთიერთობაში იყო პეტრე პირველთან ახალგაზრდობიდანვე. არ წასულიყო პეტრე პირველის დაკრძალვაზე. მართალია, ვახტანგის ამაღლა მოსკოვში ხანგრძლივად შეჩერდა, მაგრამ არც პეტრე პირველის დაკრძალვა მომხდარა გარდაცვალებისთანავე. როგორც პ. ი. პეტროვი წერს: „სამეფო კარზე შეიქმნა სამგლოვიარო კომისია გენერალ-ფელცენშტეინის ი. ვ. ბრიუსის თავმჯდომარეობით. ამ კომისიას დაეკისრა ზრუნვა გარდაცვლილი იმპერატორის დიდებულად დაკრძალვისათვის, როგორც ეს მიღებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ცერემონიალურ მზადებას დასჭირდა 40 დღე, ასე რომ, დაკრძალვა პეტრე-პავლეს ეკლესიაში მოხდა მხოლოდ 10 მარტს“<sup>1</sup>.

საფიქრებელია, ორმოცი დღის განმავლობაში ვახტანგის ამაღლა მოასწრებდა ცარიცინიდან მოსკოვში, ხოლო იქიდან პეტერ-ბურგში გამგზავრებას.

<sup>1</sup> П. И. Петров, История Свѣт-Петербурга, 1885.



საძწუხბაროდ, მასალებში ჩვენ ვერ შევხვდით პეტერბურგში პირველად ჩასვლის ზუსტ თარიღს<sup>1</sup>. ზუსტი თარიღის მიგნება თავისთავად გაარკვევდა ამ საკითხს. ისე კი პეტრე პირველის დაკრძალვის ცერემონიალის სქემაში, რომელიც ჩვენ ლენინგრადში ვნახეთ, ქართველებიც იხსენიებიან. ასე მაგალითად, სხვადასხვა წარმომადგენლებს მოჰყვება «Зная с гербами провинциальными, за ними следуют лошади, покрытые черным сукном, и а которых гербы провинциальные» და მათ შორის იხსენიება «грузинский, карталинский, иверский»<sup>2</sup>.

ასტრახანში დარჩენილი ამაღის ნაწილი გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც დ. ბრეგაძე წერს: „უპირველეს ყოვლისა, როგორც ნ. ორბელიანის ერთი იამბიკოდან ვგებულობთ, ემიგრანტებს მატერიალური უზრუნველყოფის საქმე მოუგვარებელი ჰქონიათ და ქართველი თავადები, რომლებიც სამშობლოში „თავმდგომობასა“ და „სარქობას“ იყვნენ დაჩვეული, იძულებული გამხდარან თვითვე ემუშავათ. მათ უკმაყოფილებას იწვევდა ისიც, რომ რუსეთის მმართველობამ ყველას არ მისცა მოსკოვში ჩასვლის უფლება. მეფეს ჩამოცილებული ამაღა თავს შეურაცხყოფილად თვლიდა და ცდილობდა კვლავ მეფის ამაღის პირობებში ყოფილიყო. მხლებელთა მძიმე მდგომარეობას აცნობებს ნ. ორბელიანი ვახტანგ VI ასტრახანიდან პეტერბურგს მიწერილ იამბიკოში. ეს იამბიკო პოლიტიკური ხასიათისაა და ასტრახანშე დარჩენილთა მდგომარეობას „შეფარვით“ გამოხატავს:

„თვალნი ვერ მხედნი შენი არ ნათლიან მაქვს  
თუმც ვარებ არგნით, უფერხ სნეულ მაქვს ანაქვს  
არ წამალ სენთა, ან საზრდელ გვამთასა არა მაქვს  
შენი ყოველნი ჰირვეულ ძუ ხვად ვინ აქ გაქვა“  
მემსხვერპლე უქმად უზმა უსეფად დგან აქ...  
აქათ ძღვნილ ქარტა არ წესიერ რბის შენდა  
არცა შენს მიერ მსრბოლთავან მოვიდა ჩვენდა  
კაცთ რების შენდა ქენების არც თუ ვინ ისმენდა,

<sup>1</sup> სეხნია ჩხეიძე წერს, რომ როდესაც ეკატერინე დედოფალს ეცნობა ვახტანგის ცარიცინს ჩასვლა, „დაეზარებინა მათს“ პეტერბურგში. თუ ვახტანგა და მისი მცირე ამაღა მათსზე აღრე არ ჩასულან პეტერბურგში, თავისთავად ცხადია, პეტრეს დაკრძალვას ვერ დაესწრებოდნენ.

<sup>2</sup> ЦГИАЛ, ф. 796, т. IV, 1725 г.

ჯატა სამთვისა შენ მიერ ვით მალხენდა  
ვარ მომუშარ კმუნვით ცხოვრებლით მაძლარ შენდა...  
ვცხოვრებ უსაზრდელ მწოლ უფლავ შელონებით  
ვალ არ ცხენ არ ეტლ არ ნალო ავ ქვეითობით  
უმოს, უგებ, ულოცველ, უსანათობით,  
თუშეა გხედვიდე ნეტარ შენთან მყოფობით,  
ქრისტესდა ვქმენი ვარშეა ასეც წყალობით.  
სიწმინდის სახმარ წინდვად მხართა კიდებით  
თავადნი მუშეაკად მიწად ხეთა კიდებით,  
აქანი კნიაზ მუშეკ გვიხმობენ ქირღებით,  
ვიბრუნებთ სულსა ესრეთ მციროთ დიდებით  
თუ სულიერ ხარ, ესრეთ ვითარ ვისჯებით<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, ვახტანგს თავისი ამაღლის წევრები არ დაევიწყებია, მაგრამ სამეფო კარზე გამგზავრებულ ვახტანგს იმხანად თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის რეალური 'მესაძლებლობა არ მიეცა, ამიტომ იგი და მისი მცირე ამალა, რომელთანაც ერთად პეტერბურგსა და მოსკოვში იმყოფებოდა, მატერიალურად და ფიზიკურად თუმც თავს უზრუნველყოფილად გრძნობდა, მაგრამ თავისი პოლიტიკური მიზნების შესრულების საქმეში სრულ გაურკვევლობას განიცდიდა. რაღა დღეში იქნებოდნენ ასტრახანში დარჩენილები? ამიტომაც იმავე წელს პეტერბურგიდან მოსკოვს მიმავალი ვახტანგი აღგენს თხოვნას, რომლის პასუხი დატულია საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში: „როდესაც მეფის მხლებელ ქართველთაგან ვინმე მოისურვებს თავის ქვეყანაში დაბრუნებას რაიმე საჭიროებისათვის, ნება დაერთოს მეფეს გადაწყვიტოს საკუთარი სურვილისამებრ“<sup>2</sup>.

თხოვნის ამ პასუხიდან ჩანს, რომ ვახტანგს შესაძლოდ მიაჩნია, რუსეთში გამყოლ პირთა გარკვეულმა ნაწილმა უკან დაბრუნება ამჯობინოს.

ვახტანგის ამაღლის რუსეთში გამგზავრების შემდეგ, იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთემ წერილი გაუგზავნა იმპერატორ პეტრე პირველს, რომელშიც აცნობებდა იმერეთის პოლიტიკურ მდგომარეობას და დახმარებას სთხოვდა.

<sup>1</sup> დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, 1958, გვ. 12 — 13.

<sup>2</sup> АВПР, ф. 110, 1727 г., № 2.

მაგრამ ამ ნაბიჯს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. შემდეგში ალექსანდრე მეხუთეს მოკავშირედ გამოდის შამშე ქსნის ერისთავი (ქართლში შაჰის წინააღმდეგ ერთ-ერთი დიდი მებრძოლი, რომელიც შაჰის საწინააღმდეგო აჯანყებაში დამარცხებული თავს აფარებს იმერეთის მეფე ალექსანდრესთან); ქართლისა და იმერეთის მთელი იმედები რუსეთისაკენაა მიმართული.

ალექსანდრე მეფის წარმომადგენლად რუსეთში იგზავნება ტიმოთე გაბაშვილი, რომელიც 1738 წელს შამშე ერისთავთან ერთად მოსკოვში ჩავიდა. ცნობილია, რომ რუსეთმა, ირანთან დამოკიდებულების გაფუჭების შიშით, უმჯობესად სცნო შამშე ერისთავი პეტერბურგამდე არ მიეშვა, ხოლო ტიმოთე გაბაშვილი ანა იოანეს ასულის წინაშე წარსდგა ალექსანდრე იმერთა მეფის გაგზავნილი წერილითა და რუკით.

ტიმოთე გაბაშვილის პეტერბურგში ყოფნა შესწავლილი და გამოკვლეული აქვს ელენე მეტრეველს. თავის ნაშრომში ავტორი ეხება რა ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობას, მის პეტერბურგში ყოფნაზეც ჩერდება<sup>1</sup>.

ტიმოთე გაბაშვილის პეტერბურგში ყოფნას შეეხო სოლ. ყუბანეიშვილიც წერილში „ტიმოთე გაბაშვილი რუსეთში“<sup>2</sup>.

ტიმოთე გაბაშვილის პეტერბურგში ჩასვლას ორგვარი მიზანი ჰქონდა — დიპლომატურ-პოლიტიკური და კერძო. ეს უკანასკნელი გამოიხატა იმ გაუგებრობის გამორკვევაში, რაც ვახტანგის ამაღლის წევრთა და ალექსანდრე V შორის მოხდა. ტიმოთეს დავალებული ჰქონდა გამოეძია იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიერ პეტრე პირველისადმი გაგზავნილი ნივთების ბედი. როგორც ელ. მეტრეველი წერს, „ამ საქმეს მეტად უსიამოვნო ხასიათი მიუღია და გაუფუქებია ვახტანგის ოჯახის წევრებსა და ტიმოთეს შორის დამოკიდებულება, რის გამოც ტიმოთემ ვერ დაამყარა კონტაქტი მოსკოვში მცხოვრებ ქართველებთან, ვახტანგის კოლონიის წევრებთან“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956.

<sup>2</sup> კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 339 — 353.

<sup>3</sup> მიმოსლვა, გვ. 097.

## 6. ღახმარამბის ლოდიწი

რუსეთში ჩასული ვახტანგისათვის ცხადი შეიქმნა, რომ ამჟერად რუსეთი საქართველოსათვის ვერ მოიცილიდა, მაგრამ სულ მალე, როცა რუსეთი საამისო დროს იპოვიდა, იქ მყოფი ქართლის სამეფოს წარმომადგენლები რუსეთთან ერთად რისხვად მოველინებოდნენ სპარსეთ-ოსმალეთის ქვეყნებს.

ამრიგად, რუსეთში ჩასულებმა იწყეს ზრუნვა დაბინავებამოწყობისათვის. ს. ყუბანეიშვილი თავის წიგნში „დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში“ ვრცლად ეხება ვახტანგის ამალის მოსკოვში დასახლების საკითხს.

ვახტანგი პეტერბურგიდან მოსკოვს იმავე წელს გაემგზავრა და საცხოვრებლად პრესნაზე დამკვიდრდა; „ვახტანგის ამალისათვის 1725 წლის უწყისის მიხედვით მიუციათ 18 222 მან. და 65 კაპ., ხოლო მოწყობისა და გზის ხარჯების დასაფარავად — 26658 მან. პურის გარდა, რომელიც მათ მიიღეს სინოდის მამულებიდან.

1725 წლის 17 აგვისტოდან ვახტანგის ამალას დაენიშნა ჯამაგირი ყოველწლიურად საპატრიარქო მამულებიდან 24000 მანეთი ფულად, 4000 ჩარეკი პურის ფქვილი და მის ნაცვლად უნდა მიიღოთ ფულად 3450 მანეთი, 2000 ჩარეკი შვრია, 36000 ფუთი თივა 200 ცხენისთვის და 500 საყენი შეშა“<sup>1</sup>.

ვახტანგის ოჯახის წევრთა შორის თავისი აქტიურობითა და საქმიანობით გამოირჩევა ბაქარ ვახტანგის ძე. იგი მამასთან ერთად უშუალო მონაწილეა ქართლის პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და მისი უკეთესი მერმისის დაუცხრომელ ძიებაშია.

ჯერ კიდევ პეტერბურგში ახლად ჩასული ბაქარი სამეფო კარის სახელზე ადგენს თხოვნას, რომელიც ოთხი პუნქტისაგან შედგება:

«1. Вашему императорскому величеству известно, что отца моего, так и меня и от всех подданных наших наше прошение такое было, и ныне просим дабы Вашего импера»

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, დ. გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, 83-29 — 30.

ტორსკოგო ვეღიწვთა მიღწივამ ზაღიწენემ ნე ოწაღიწე  
ნაღუ სტრანუ.

2. იგდა კ ნეწაღიწიუ ნაღეი სპოღიწენე დო ნაღიღ სტრან  
დო ვრემენი ნედოღწიწი, პროღუ ვაღეი იმპერატორსკოგო ვეღიწვთა,  
წბოღი წაკუი-ნიბუღდ სღუღბუ ნა თოი სტორენე მიწე პრიკა-  
ზაღი ნ დაღე სპოღიწენე, წემ ბი სღოგ სება ს მოიწი სოღერჯაღი  
ნ წბოღ ოტუდა ნაღუ სტრანუ მოგ ბი ი წემ ტაიწამ ობრაღოღ  
უკრეღწაღი ნ ობნადეღიწაღი ბეღ უბიწუკუ ვაღეიღ ვეღიწვთა თეღ,  
წბოღი ოღე ვ პოდღანსტო ნეპრიაღელსკოგო ნე პრიღღი, ოტწბოღ  
ბ ვ სღაბოღწი ნ ვ ოტწაღიწენე ნე ვპაღი ნ სო ვრემენემ ოღიღაღი  
ბი ვაღეიღ იმპერატორსკოგო ვეღიწვთა მიღწივამ ზაღიწენე-  
წენე.

3. ი ოღეღი ონოგე იე სოიღვოღენო ბუღდ, პროღუ ვაღეიღ იმ-  
პერატორსკოგო ვეღიწვთა, პრიღვეღი იღ ასტრახანი იენუ ნ დე-  
ტეი მოიღ ვ სპბ ნ მიღწივამ პოღაღოღაღი წემ ბი მოგ იღ  
ზღეღი სოღერჯაღი, ა მენა ოპრეღღიწეღი ვ სღუღბუ ვაღეიღ იმ-  
პერატორსკოგო ვეღიწვთა ვ წაკუი სოიღვოღენო ბუღდ.

4. ტაღოღ, წბოღი წიღაღი ნ დვორიანე ობრეღაღიწენე პრი მიწე  
იღ ონოღ, უ ოტორიღ იენი ნ დეტი ვ თეღ კრიაღ ოწაღღენი ნ  
იღ ვაღეიღ იმპერატორსკოგო ვეღიწვთა მიღწივამ სპოღიწენე  
წინიწიწი, წემ ბი მოღღი დო დოღოღ სოიღი დოღეღაღი. ა ოტორი-  
ღეღი პოღეღაღი სიუდა ვიღვეღი იენ სოიღი ნ დეტი ი თემ ბი  
ვოღმოღიწი ბიღოღ».

თბოღენას ზელს აწერს ბაქარ ვახტანგის ძე. დაწერის თარიღია  
1727 წლის 10 დეკემბერი<sup>1</sup>.

ბაქარი შეგუებუღია იმ აზრს, რომ საქართველო-რუსეთის  
კავშირი რამდენიმე ხანში საჭირო შედეგს გამოიღებს, ოღონდ მა-  
ნამდღე საჭიროა გზების გამონახვა იმ ხალხის გასამხნეველად, რომ-  
ღებიც სპარსეთ-ოსმალეთის მუქარას მთლად არ გაუტეხია.

სწორედ ამავღი დიდი პოღიტიკური მნიღვენეღობა რუსეთში  
არსებუღი ქართული კოღონიებისა. მათი რუსეთში არსებობა დო  
სამეღფო კართან ახღოს ყოღენა ამხნევეღს დო ასულდგმულეღს სა-  
ქართველოში მყოღთ. ამიტომ წერს აკად. ნ. ბერძენიღვიღი:

<sup>1</sup> АВПР, 1727 წ., № 2 (ისტორიის ინსტიტუტის არქივიდან).

«Грузинская колония в Москве была настоящим центром политических эмигрантов-патриотов, неустанно боровшихся за дело освобождения родины от насилия кизилбашей и турок»<sup>1</sup>.

1728 წელს ვახტანგ VI კასპიისპირეთის საკითხთა მოსაგვარებლად გილანს გაიგზავნა. 1729 წლის 17 დეკემბერს სენატს ეცნობა, რომ ბაქარ ვახტანგის ძეს მიეცა გენერლის ჩინი და არტილერიაში დარჩენის ბრძანება.

1730 წელს ვახტანგისა და ქართლის სამეფოს სხვა წარმომადგენლებს სიტყვიერად ეცნობათ, რომ „როგორ შეიძლება ამჯერად საქართველოს დასახმარებლად გაიგზავნოს რუსეთის ჯარები, როდესაც თურქეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევს და ასეთმა შეუფერებელმა ნაბიჯმა შეიძლება მისი დარღვევა გამოიწვიოს“. ამ წელს ვახტანგი კვლავ პეტერბურგშია და თანდათან რწმუნდება თავისი მიზნების განუხორციელებლობაში.

ვახტანგ VI ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელიც 1730 წელს არის დაწერილი, როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, ჩვენი აზრითაც, სწორედ პეტერბურგშია შექმნილი:

„დავემონე კაეშანსა, სედა მომხედა მისთვის წამლად  
მელნად ნაღველს მოვიხმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად,  
ლხინის ბალის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასალამად  
ველი, სამე გამოიჩნდეს გამოყვანი დასამალმად.

მიავაგს ჩვენი სიცოცხლე რუსთა წალკოტის წესებსა  
რა გამოჩნდება ნაყოფი, ჳია სჳამს ბევრ ათასებსა,  
სისრულეშია სიცივე დაჳრის და დააკვნესებსა  
დანაშწიფარსა ყინული ფოლაღებრ დააკვნესებსა“.

1731 წელს ანა იოანეს ასულის სახელზე ვახტანგ VI წერს წერილს, რომელშიც მოაგონებს რუსეთს ქართლის პოლიტიკურ მდგომარეობას. წერილი სავსეა ისეთივე ზევდით, როგორც ზემომოყვანილი «კაეშანი“:

«Всепресветлейшая и великая государыня... Анна Иоановна... Российского государства обычай есть человекоубий-

<sup>1</sup> Н. А. Бердзенишвили, Путеводитель к выставке. «Грузинская колония в Москве», Мимомбиლველი, 1953, 111, გვ. 283.

ყზ რაზბოიწიკა ბეზ პოკაიწია ნე უმერტვათ ი ედიწოგო ჟელობიწია ბეზ რეზოლუციი ნე ოსაწვლია, ა ია უჟე სედიწოგო გო ო სემ პროსუ, ნო ტოკმო ი პო სიე ვრემა რეზოლუციი ნე პოლუჟი ტაკო ბოჟე, სოტლოკო რაზორენია იზმენიწიკუ გოსუდარსთა როსიიწიკო-გო სოკლოკო ია ნა სემ სვეტე რაზორილსა. ა ეჟელი მოიწი პრიჩინაწი ვტორიწიწი გრუზია რაზორიწია ი ობუსურმანიწია, ტო კონეწიწი ია ჳ დუშოუ პროპადუ»<sup>1</sup>.

1732 წელს ვახტანგი ისევ პეტერბურგს ეწვია.

ეს ის პერიოდი, როდესაც თამაზ შაჰის სარდალმა ნადირმა ოსმალთა ჯარი დაამარცხა და მას ადერბაიჯანი გამოაცალა. ამ ამბავმა ქართველები ოსმალთა წინააღმდეგ უფრო მედგრად აამოქმედა. საქართველოდან ვახტანგი ზედიზედ ლეზულობს წერილებს— ქართველი თავადები აცნობებენ ქართლის მდგომარეობას, ხელსაყრელი დროის დადგომას და სთხოვენ დააჩქაროს დახმარების მიღება და თვითონაც დაბრუნდეს: „ახლა რომ თქვენ დრო და საქმე გაქვს, თუ მოინდომებთ მარტო ქართლს არა და ძველიდგან სამზღვრებს სრულ შემოიკრებთ. წინააღმდეგი არავინ ჰსჩანს ასეთი, რომ შეეძლოს რამე. ღმერთმან იცის, ამით ვისაც ეს ქვეყანა დაუგდევით, თავი ხელთ აღარა აქვს. შენი მეზობელი რომ არის, არაფერი შეუძლიან, თუცა შეეძლოს რამე. რადგან თქვენ ამ ქვეყანას ასე უინადრეთ და აღარა ინაღვლეთ რა, ის დაიჭერდა. ...თუ ქართველთას ბძანებ, ღმერთმან იცის. ყოველს კაცს უნდა მანდემ შეწევნა. ერთმანერთი აღარაფერი სამღურავი არის, ყოველმან კაცმან თქვენს ერთგულებაზედ პირი შეკრვეს კიდევ... სამი ოთხი პოლკონი გამოითხოვეთ, სხვა არცკი გინდათ... თუ გინდათ ეა არის, თუ არა, გინდათ მანდ სხდომა და ბატონი ბძანდებოდეთ. ბოლო რაც მოხდეს ნურავის დააბრალებთ, არც ღმერთთან გექნებათ პასუხი, არც კაცთან. ამ ქვეყნის სისხლსა და წახდენას თქვენგან იძევს“<sup>2</sup>, — სწერს ვახტანგს ბესარიონ კათალიკოსი.

„ღმერთი მამეცეს თავდებად, დაიჭერეთ ესე ქვეყანა დაკარგული არის თქვენგანა, თუ თავს არ შეიღებთ. დამიჯერეთ, ახსენე

<sup>1</sup> АВПР. ф. 110, 1731 г. (ისტორიის ინსტიტუტის არქივიდან).

<sup>2</sup> Броссе, Переписка..., გვ. 199. ამ საკითხზე იხ. დ. გვრიტიშვილი—ქართველი ხალხის ისტორიიდან თურქ და სპარს დამპყრობლების წინააღმდეგ. მიმოხილველი, ტ. III.

ღმერთი და ეცადენით რასმე. ღმერთმან მოგაყენათ დრო, ნულარ გვიანობთ, თუ ეს ქვეყანა გინდათ, ეს არს, თუ არა და ნება თქვენია“<sup>1</sup>, — სწერს შოშიტა ერისთავი ვახტანგს იმავე ხანებში.

„ურუმღი ისე დასუსტდა, რომ ბაღდადი წაართვეს, ორასი კაც არ არის ქართლში, მანამდე მე ეს გზა მიჰირავს მობძანდით, ხონთქარი, ყუენი თქვენ შემოგებეწებათ, ეს ქვეყანაც მუქთად თქვენ დაგარჩებათ... თუ ეხლა არ ეცადეთ, დაიკარგა ეს ქვეყანა თქვენ-იდამ“<sup>2</sup>, — იწერება ბარძიმ არაგვის ერისთავი.

ვახტანგმა საქართველოდან მიღებული წერილები რუსულად ათარგმნინა და იმპერატრიცას წარუდგინა, სთხოვდა საჭირო დახმარებას და ან მის, ან ბაქარის საქართველოში წარგზავნას. იმპერატრიცამ ვახტანგს ალუთქვა მატერიალური დახმარება, მაგრამ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის გამწვავების გამო ჯარებით დახმარებაზე უარი განუცხადა.

1733 წელს ვახტანგმა ანა იოანეს ასულის მოთხოვნის საფუძველზე წარგზავნა «Известия о состоянии наших краев», რომელშიც 16 საკითხი იყო განხილული. აქ ვახტანგი კვლავ ითხოვს, რომ ან ის და ან ბაქარი გაიგზავნოს საქართველოში. ამავე დროს იგი ახსენებს იმპერატორს თავის დამსახურებას რუსეთის წინაშე, კერძოდ, გილანში წარგზავნის ამბავს: «Прежде сего послан был в Гилян и дана мне инструкция, и сверх той инструкции к пользе Российской империи многие услуги оказал». ვახტანგი გულმოკლულია, რომ მისი დეაწლი რუსეთის დამსახურებაში ჯეროვნად არ დაფასდა: «Только от зависти все уничтожено, якобы виноватого зделали»<sup>3</sup>.

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ევროპიდან დაბრუნებულ სულხან-საბა ორბელიანის სიტყვები იმავე ვახტანგის მიმართ:

მეფისთვის მოეკედი, ვერა სენა, არც ვინ აუწყა შორითა,  
ჩემნი ერთგულნი სარჩელნი ბოროტად უთხრეს ჳორითა.

ვახტანგის თხოვნის საფუძველზე ანა იოანეს ასულმა გასცა განკარგულება, რომ ვახტანგი და ბაქარი კასპიისპირეთისაკენ

<sup>1</sup> ბროსე, Переписка, გვ. 207.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 192.

<sup>3</sup> Грузинские дела, 1733, № 1 (ისტორიის ინსტიტუტის არქივიდან)



გამგზავრებულიყვნენ (დერბენდი-ბაქო). აქ ისინი უნდა შეხვედროდნენ რუსეთის სარდლობას. როგორც დ. გურამიშვილი გვაუწყებს, მათ ჭერ კიდეც გზაში გაიგეს, რომ შემახია თამაზ ხანს დაუპყრია, ე. ი. ამ მხარეს ისევ სპარსეთი დაპატრონებოდა. სასოწარკვეთილი ვახტანგი სრულიად უმიზნოდ დარუბანდში ჩავიდა.

ამავე პერიოდს დაემთხვა სპარსეთის მოთხოვნა რუსეთისადმი, რათა პეტრე პირველის მიერ დაპყრობილი კასპიისპირეთის ადგილები მას უკან დაებრუნებინა. განძის ტრაქტატით ანა იოანეს ასულმა სპარსეთის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა იმ განზრახვით, რომ სპარსეთი მას თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის მოკავშირედ გამოსდგომოდა.

1736 წელს სპარსეთიდან პეტერბურგში ჩადის ელჩი ხულეფა მირზა, ანუ როგორც დ. გურამიშვილი უწოდებს, ხულუფა. ამ დროს ვახტანგი და ბაქარიც პეტერბურგში იმყოფებიან, მათ ჭერ არ იციან სპარსეთის შესვლის ამბავი შემახიაში და ოსმალეთის შემახიიდან და შემდეგ საქართველოდან განდევნაზე ოცნებობენ. ამ განზრახვას ხულუფამდე მოუღწევია, რომელსაც დროულად უცნობებია სპარსეთში ვახტანგისა და ბაქარის უახლოესი მიზანი<sup>1</sup>.

სწორედ ამ ხანებში სპარსეთის შაჰი ნადირი ვახტანგს უთვლის დაბრუნდეს ქართლში, თანაც სამეფო ტახტის უზრუნველყოფას პირდება. ერთი მხრივ, ნადირის მიმართ უნდობლობამ, და მეორე მხრივ, იმან, რომ, როგორც დ. გურამიშვილი წერს, „არ წავიდა, არ მიენდო, მისი ყმობაც ითაკილაო“, საბოლოოდ განსაზღვრა ვახტანგის საქართველოში დაბრუნების შეუძლებლობა. ამ დროიდან იგი ერთგვარად სცილდება პოლიტიკურ სარბიელს, ბაქარისა და აშალის დანარჩენ წევრთაგან დაშორებული ასტრახანში დამკვიდრებას ირჩევს.

1737 წელს პოლიტიკურ მიზნებსა და იმედებში დამარცხებული ვახტანგ VI გარდაიცვალა.

---

<sup>1</sup> იხ. ვ. დონდუა, დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, 1959, გვ. 110 — 111.

## ა. სასულიერო წოდება

უნდა აღინიშნოს, რომ პეტერბურგში დასახლებული ქართველობა ბევრად ნაკლებია რუსეთის სხვა ქალაქებში მყოფ ქართველთა რაოდენობაზე. ამის მიზეზი ძირითადად ორი რამით აიხსნება: ერთი ის, რომ პეტერბურგი წარმოადგენდა სატახტო ქალაქს, რომლის დასახლებასაც რუსეთის სახელმწიფო გარკვეული გეგმით აწარმოებდა; მეორე ის, რომ პეტერბურგის მკაცრი ჰავა ადვილად შესაგუებელი არ იყო ქართველი ემიგრანტებისათვის. ამან განაპირობა ალბათ ის გარემოებაც, რომ ვახტანგის მრავალრიცხოვანი ამალიდან პეტერბურგში საცხოვრებლად შედარებით ძვირფასი იყო ნაწილი დარჩა.

სანამ ცალ-ცალკე შევეხებოდეთ ამ კოლონიის ზოგიერთ წარმომადგენელს, ზოგადად გავეცნოთ მათ საქმიანობას.

სასულიერო წოდება პეტერბურგში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩასვლისთანავე შეუდგა საქმიანობას. მან დაიწყო ზრუნვა იმაზე, რომ მოეპოვებინა საეკლესიო ღვთისმსახურების ჩატარების უფლება. ასეთი საპირობება ქართული კოლონიის წინაშე დგას, რადგანაც ჩასულთა უმეტესობამ არ იცის რუსული ენა და ქართულად ღვთისმსახურების წარმოება მათთვის სასწრაფო და აუცილებელია. მაგალითად, ერთ ცნობაში ნათქვამია, რომ: „მეფე ვახტანგი გამოგზავნილ მსახურთა საშუალებით აცხადებს რა, რომ მის სახლში არ არის ეკლესია, თხოულობს ნება მიეცეს ილუმენ ქრისტეფორეს და მღვდელ ევსტათეს დროებით ღვთისმსახურება კადეტთა კორპუსის ეკლესიაში ჩაატარონ“<sup>1</sup>. შემდეგ პეტერბურგის საეკლესიო წრეებს ეცნობიან და ავტორიტეტს იხვეჭენ იოსებ სამებელი, ფეოდოსი გუჯარელი და სხვანი, რომლებიც მალე რუსულ საეკლესიო ღვთისმსახურებასაც ეუფლებიან და რუსული ეკლესიის სხვადასხვა რიტუალებში მონაწილეობასაც იღებენ. ასე მაგალითად: იოსებ სამებელი და რომან მიტროპოლიტი ესწრებიან «на освящении церкви св. Симеона Богопримца». იგივე რომანოზი და იოსებ სამებელი ღვთის-

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 796, 1734 г., №  $\frac{3}{306}$ .

მსახურებას ატარებენ ეკატერინე იოანეს ასულისათვის ალექსანდრე ნეველის მონასტერში.

საეკლესიო ღვთისმსახურების უფლება ყველას როდი ეძლეოდა. მაგალითად, მღვდელ მოსე გიორგის ძეს ჩამოართვეს ეს უფლება იმიტომ, რომ მას დაუკარგავს მღვდლად დადგინების სიგელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანა იოანეს ასულის ტახტზე ასვლის ცერემონიაში უკვე იხსენიება პეტერბურგის ქართული სასულიერო წოდება.

შემდეგ წლებში პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ სასულიერო პირებს დიდი წვლილი შეაქვთ ქართველ ტყვეთა გამოსყიდვის საქმეში, რაც ამ კოლონიის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მაჩვენებელია.

## ბ. სვიმონ ბატონიშვილი

პეტერბურგში გადასახლებულ ვახტანგის ოჯახის წევრთაგან, როგორც ეს უკვე ცნობილი გახდა პროფ. ვ. დონდუას გამოკვლევებიდან, ყურადღებას იპყრობს სვიმონ ბატონიშვილი.

პროფ. ვ. დონდუას მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომში „ვახტანგ VI დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან“ მოცემულია სვიმონ ბატონიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის მთავარი პერიოდები. ავტორი აღწერს სვიმონ ბატონიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას ჯერ კიდევ ქართლში ყოფნისას, ხოლო შემდეგ ეხება მის და მისი ოჯახის ცხოვრებას პეტერბურგში. ნაშრომმა ნათელყო, რომ „სვიმონ ბატონიშვილი გვევლინება, როგორც თავისი დროის მოწინავე ადამიანი ევროპარუსეთის პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის სასარგებლოდ უარყოფელი ქვეყნის აზიური, დრომოჭმული ტრადიციებისა. ხოლო მისი და მისი ოჯახის თავგადასავალი საგულისხმო ილუსტრაციაა იმდროინდელ პროგრესულ ქართველთა ცხოველი რწმენისა, რომ ზნეობრივი და გონებრივი ზრდის პირობები მათთვის სწორედ რუსეთში უნდა მოპოვებულიყო“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვ. დონდუა, ვახტანგ VI დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 64.

პეტერბურგის ალ. ნეველის ლავრის ეზოში მოთავსებულ საფლავთა წარწერების მეცნიერულმა ანალიზმა მკვლევარს შესაძლებლობა მისცა დაედგინა სვიმონ ბატონიშვილის ვაჟების საინტერესო ბიოგრაფია, რომელთაგან ერთ-ერთი პოლანდიაში «дел отечеству полезных учился». როგორც მეცნიერი წერს: «ეს გარემოება რამდენადმე მოგვავაზონებს მისი ახლო წინაპრის ალექსანდრე არჩილის ძის ბედს, რომელსაც წილად ხვდა ამავე მიზნით პოლანდიაში ყოფნა, ვით პეტრე პირველის „დიდი ელჩობის მონაწილეს“.

### გ. გიორგი ვახტანგის ბიოგრაფიული

პეტერბურგში 1725 წელს ჩასულმა ვახტანგმა, როგორც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, იმპერატრიცა ეკატერინე პირველისაგან რამდენიმე ხასიათის წყალობა მიიღო. მათ შორის ერთ-ერთი ასე იკითხებოდა: «Сыну его царевичу Георгию при дворе быти ее величества соизволяют и предать на его волю, когда он похочет его прислать». და გიორგი ვახტანგის ძეს ებოძა ძმათა შორის განსაკუთრებული პატივი სამეფო კართან ახლო ყოფნისა და პეტერბურგში ცხოვრებისა.

როგორც ჩანს, პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ უფლისწულს აღზრდის კარგი პირობები უნდა ჰქონოდა. ამასაც უნდა შეეწყო ხელი იმაში, რომ შემდეგ წლებში მას ვხედავთ, როგორც გამოჩენილ სამხედრო-საზღვაო მოღვაწეს, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა იხსენიება გენერალ-მაიორის ჩინით.

1742 წელს «Санкт-Петербургские ведомости»-თ საზოგადოებას ეუწყა, რომ «4 октября грузинский царевич Георгий возвратился по счастливом окончании кампании в Финляндии»<sup>1</sup>.

გიორგი ბატონიშვილის მონაწილეობაზე რუსეთ-შვეციის ომში ლაპარაკია ნ. შპილევსკის წიგნში: «Описание войны между Россией и Швецией в Финляндии в 1741-42 гг.».

გიორგი ვახტანგის ძის სამხედრო-საზღვაო მოღვაწეობას ვრცლად ეხება ალ. ფირცხალაიშვილი წერილში: „XVIII ს. მოს-

<sup>1</sup> Санкт-Петербургские ведомости, № 80, от 4 октября 1742 г.

კოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან“. როგორც მკვლევარი წერს, „1747 — 1748 წწ. ბატონიშვილი გიორგი ვახტანგის ძე მონაწილეობას ღებულობდა 30 ათასიანი დამხმარე კორპუსის ლაშქრობაში რეინზე. ამ ლაშქრობას სარდლობდა გენერალ-ანშეფი ვ. რეპნინი. გიორგი ვახტანგის ძეს დავალებული ჰქონდა მოეწყო საგალერო ფლოტი, რომლის მეთაურიც თვით იქნებოდა და რომლითაც იგი კრონშტადტიდან მიტავაში (კურლიანდია) გადასხამდა დამხმარე ხუთ პოლკს. პეტრე პირველის შემდეგ ნიჩბოსანი საგალერო ფლოტი მოძველდა და ხმარებიდან გამოვიდა, მაგრამ გიორგი ვახტანგის ძემ იგი აღადგინა და სწრაფად მოაგვარა ჯარისკაცების გადასხმის საქმეც“<sup>1</sup>.

აღ. ფირცხალაიშვილი განიხილავს გიორგი ვახტანგის ძის მიერ გაგზავნილ პატაეებს სამხედრო და საადმირალო კოლეგიებში; რის საფუძველზეც ჩანს, რომ „გიორგი ვახტანგის ძე ბატონიშვილი იყო სამხედრო საქმის საუცხოო მცოდნე, მამაცი მებრძოლი. თავის მეორე სამშობლოს დიდი პატრიოტი, ჯარისკაცებზე მზრუნველი და სხვა ღირსებით შემკული პიროვნება“.

შვიდწლიანი ომის ისტორიიდან ჩანს, რომ გიორგი ბატონიშვილს მონაწილეობა მიუღია ამ ომშიც და რომ იგი იმპერატრიცა ელისაბედისა და მთავარსარდალ გრაფ ფერმორის ბრძანებით ასრულებდა ფრიად საპასუხისმგებლო და მძიმე დავალებას.

დასასრულ, აღ. ფირცხალაიშვილს მოჰყავს «Московские ведомости»-ს დამატებაში გამოქვეყნებული ნეკროლოგი გიორგი ვახტანგის ძის გარდაცვალებაზე. ბატონიშვილი ავად გამხდარა 1786 წლის 1 სექტემბერს და გარდაიცვალა იმავე წლის 19 დეკემბერს 77 წლის ასაკში. ნეკროლოგში ნათქვამია: „ვერც მისმა ხანგრძლივმა ავადმყოფობამ, ვერც მისმა სისუსტემ ვერ გასტეხა მისი სულიერი სიმტკიცე“. ნეკროლოგში აღწერილია გიორგი ვახტანგის ძის დასაფლავების ცერემონიალი, დაკრძალვა მოხდა მოსკოვში, დონის მონასტერში: „წინ მიდიოდა „კონეოი“, შემდეგ მრავალრიცხოვანი სამღვდლოება მოსკოვის ეპისკოპოსის პლატონის მეთაურობით; იქ იყვნენ არქიელები და არქიმანდრიტები, სამღვ-

<sup>1</sup> აღ. ფირცხალაიშვილი, XVIII საუკუნის მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან, მნათობი, 1959, № 5.

დღეობა... სამღვდლოების შემდეგ მოდიოდნენ ოფიცრები, რომელთაც ფარჩის ბალიშებით მოჰქონდათ განსვენებულის ორდენები, შტაბ-ოფიცრს კი ობერ-ოფიცრის დახმარებით მანტია და სხვ“...

ამავე ნარკვევში მოყვანილია ს. შვირიოვის ცნობა მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან (С. Шевырев, История имп. Московского университета, написанная к столетнему его юбилею 1755—1855 гг.), რომელშიაც ნათქვამია: 1785 წ. 12 მარტს საქართველოს უგანათლებლესმა გიორგი ვახტანგის ძე ბატონიშვილმა უნივერსიტეტს აჩუქა 10.000 მანეთი, უნივერსიტეტმა საჯაროდ მადლობა გამოუცხადა გიორგი ბატონიშვილს, ამასთან აღუთქვა „ჩაენერგა მადლობის გრძნობა თავის აღსაზრდელების გულში, რომლებიც მისგან დავალებული იქნებიან განათლების ნაბოძპარიტ“.

ამის შემდეგ ისმის საკითხი: ხომ არ უნდა გვქონდეს ერთგვარ აღრევასთან საქმე, თითქოს ვახუშტი ბატონიშვილს შეუწირავს დიდი თანხა მოსკოვის უნივერსიტეტისათვის. ცნობილია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი მოსკოვში მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა და საიდან უნდა ჰქონოდა მას უნივერსიტეტისათვის შესაწირი თანხა?

ჩვენი აზრით, შორეული წარსულის გადმოცემებმა შეცდომით ერთი ძმის მოქმედება მეორე ძმას დაუკავშირა. ამიტომ მოსკოვის უნივერსიტეტში, ვფიქრობთ, ვახუშტის ძეგლი კი არ იქნებოდა, არამედ გიორგი ვახტანგის ძისა, რომელსაც, როგორც პიროვნებას, რუსეთის კულტურულ ცხოვრებაში იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომ «Московские ведомости» თავის ფურცლებზე მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბავს დიდი მწუხარებით და დაწვრილებით აუწყებს რუსეთის საზოგადოებას.

მართალია, გიორგი ბატონიშვილის ცხოვრების მეორე პერიოდი პეტერბურგს აღარ უკავშირდება, მაგრამ იგი მაინც პეტერბურგის ქართული კოლონიის ერთ-ერთი პირველი წარმოადგენელია, რომლის ფეხის ადგმა სამხედრო-საზღვაო ასპარეზზე პეტერბურგში დაიწყო.

პეტერბურგში უცხოვრია და სწავლა-განათლება მიუღია ვასტანგ VI უკანონო შვილს პაატას. ეს ის ცნობილი პაატაა, რომლის ინიციატივითაც 1765 წელს ერეკლე მეორეს თავადებმა ამბოხება მოუწყვეს, რაც ისტორიაში მარკოზაშვილის აჯანყების სახელით არის ცნობილი.

ლენინგრადის ცენტრალურ არქივში დაცულია საქმე პაატა ბატონიშვილისა, რომელიც საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამ პიროვნების შესახებ. საქმიდან ყველაზე საყურადღებოა მისი წერილი იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულისადმი.

პაატა ხელმწიფეს აუწყებს ვახტანგის მთელი ოჯახის ყოფას რუსეთში. აქვე ლაპარაკია რუსეთს დასახლებული მისი ძმების — ბაქარის, გიორგისა და ვახუშტი ბატონიშვილის მატერიალურ მდგომარეობაზე. ამ ძმებს, პაატას სიტყვით, რუსეთმა საკმაოდ მყარი მატერიალური პირობები შეუქმნა, ხოლო მას ბავშვობიდანვე 300 მანეთის მეტი არ დაენიშნა და ახლაც მისი შემოსავალი ამ თანხას არ აღემატება, რის გამოც მუდმივ სიღარიბესა და სივიწროვეს განიცდის. მისივე სიტყვით, ამას თან ერთვის, ხარჯები, რომელსაც თხოულობს სწავლა-განათლება. აქედან გამომდინარე. პაატა ბატონიშვილი ითხოვს ან გაუუმჯობესდეს საცხოვრებელი პირობები, ან სამშობლოში გამგზავრების ნება მიეცეს.

პაატა ბატონიშვილის საქმეში ნათქვამია: „სენატისათვის ცნობილია, რომ პაატა ბატონიშვილი რუსეთში დაეუფლა საარტილერიო საქმეს. ამიტომ მთავარი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ პაატა რუსეთისგან ბოძებული საარტილერიო მეცნიერების პასპორტით არ წარუდგეს სპარსეთის შაჰს და იქ საარტილერიო მეცნიერება არ გაავრცელოს. თუნდაც თვით პაატამ არ ისურვოს შაჰისადმი სამსახური, შაჰი გაიგებს რა მისი ცოდნის შესახებ. აიძულებს მასთან დარჩეს, ამიტომ, სენატის აზრით, მისი რუსეთიდან გაშვება არ შეიძლება“...

ამავე საქმიდან ჩანს, რომ ბატონიშვილი პაატა 22 იანვარს ყალბი პასპორტით ვასილი ეგოროვის სახელით, ვილაც იოსებ პავლეს ძის თანხლებით ვითომდა მოსკოვს გაემგზავრა და ნება ითხოვა მცირე ხნით მიტავამდე მისვლისა. აქედან კი შუალამისას საღლაც გაიპარა.

სპეციალურ საგამომძიებლო აგენტურას შეუსწავლია პაატას მარშრუტი და დაუდგენია: „ვასილ ეგოროვი მეორე პირთან ერთად იმყოფება კენინსბერგში... მას თავის პირადი მასალები ბერლინში გაუგზავნია და, როგორც ჩანს, პრუსიის ჯარში აპირებს შესვლას“.

ამიტომ საგარეო საქმეთა კოლეგია უმაღლესი საიმპერატორო კარის სახელით პრუსიისგან ითხოვს, რომ „ეს ქართველი, როგორც გაქცეული პირი, დაუბრუნდეს რუსეთს“<sup>1</sup>.

პაატას შემდეგი გზებისა და მოქმედების შესახებ ჩვენ აღარაფერი ვიცით 1751 წლამდე. ამ წელს კი პაატა ბატონიშვილს ისევ ეხედავთ. კერძოდ, შემონახულია 1751 წელს სტამბოლიდან პაატას გამოგზავნილი წერილი გიორგი ბატონიშვილისადმი. ეს წერილი თავის დროზე გამოქვეყნებულ იქნა ი. ლორთქიფანიძის მიერ, მაგრამ ზემოთ მოყვანილ მასალებთან ერთად საკიროდ მიგვაჩნია მისი მოტანაც: „როგორც იქნა, სტამბოლს მივალწიე. ვწუხვარ, რომ ბატონის გამოუსალმებელი დავრჩი, შემეძლო ლიუბლინში გხლებოდი, როცა თქვენ იქ ბრძანდებოდით, მაგრამ მოგერიდეთ, რადგან ჯარი გახლდათ. თქვენი ჯარი მშვიდობით გამოვიარე. მე სტამბოლში დიდად გაკირვებული ვიყავი და ამ დროს ერთმა პატროსანმა კაცმა 100 თუმანი მასესხა. იმედი მაქვს შემდეგში ეს გადავიხადო. მე არა კაცი ერთ თეთრსაც არ მანდობს, მაგრამ მამის შენის შვილობით მანდვეს, ხომ მოგეხსენებათ, კიდეც ბევრი საქმე მაქვს. სანამ მოვრჩებოდე და ამ კაცს ვალს გადაეუხდიდე, დიდი ხანი გაივლის. გთხოვთ ახლა ასი თუმანი ამ ვაჟარს უბოძოთ, თქვენთვის იგი არაფერი დასაკლისია. მერე კიდეც ეს არის, რომ მამის შენისაგან შექმნილ სახელს არ წაახდენ. იქნებ სხვას თქვენი სახლის შვილს დასკირდეს აქ ხელის გამართვა, თქვენთვისაც დიდი სახელი იქნება. თუ მოწყალეობას მოიღებთ, ფული ამ არუთინას გადაეცით, იგი იცნობს იმ ვაჟარს, ვისგანაც სესხი ავიღე, თუ არა და შენ კარგად იყავ. დრო გაივლის და სახელი გაგვიტყდება, თორემ მის გადახდას მეც შევიძლებ“<sup>2</sup>...

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 810, 1745 г., № 1341 (ისტორიის ინსტიტუტის ასლების არქივი).

<sup>2</sup> მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1940, ნაკვეთი II, გვ. 96 — 97.



როგორც ი. ლორთქიფანიძე წერს: „დარჩენილია მოკლე ბარათი 1753 წ. იმის შესახებ, რომ გენერალ-მაიორმა გიორგი ბატონიშვილმა არ აიღო თავისთავზე ამ ვალის გადახდა და წერილი გადასცა კანცლერს“. გიორგი ბატონიშვილის ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ძმისადმი შემდეგით უნდა აიხსნას: იგი, როგორც დიდი პატრიოტი რუსეთისა, თავისი ძმის მოქმედებას ქვეყნის მოღალატეობად თვლის. სხვაგვარად ვერ ავხსნიდით იმ ფაქტს, რომ გიორგი ვახტანგის ძის მდგომარეობის კაცი, რომელსაც 10.000 მან. შეუწირავს უნივერსიტეტისათვის, საკუთარ ძმას ამ თანხის გადახდაზე უარს ეუბნებოდეს.

პაატა ბატონიშვილის ანგარებთანმა, პატივმოყვარულმა ბუნებამ 1765 წელს უკანასკნელად მაშინ იჩინა თავი, როდესაც ქართლის ბაგრატიონების ტახტისათვის ერეკლე მეფეს ბრძოლა გამოუცხადა.

### მ. ქართველი კუსარევი ამბარაუბრი

გავიდა 15 წელი, რაც ვახტანგის გამყოლი ამაღა რუსეთში იპყოფებოდა. საერთაშორისო მდგომარეობა ისე წარიმართა, რომ რუსეთის მთავრობა ვერ ჩაერია ქართლის სამეფოს საქმეში. ამას თან დაერთო, როგორც დ. გურამიშვილი წერს, ისეთი ბოძის წაქცევა, როგორც ვახტანგი იყო რუსეთში მყოფი ქართველებსათვის.

15 წლის მანძილზე მასპინძლობას უწევდა რუსეთი ვახტანგის ამაღას, პატრონის გარდაცვალების შემდეგ კი მათ წინაშე დაისვა საკითხი — მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა და შესულიყვნენ მის სამსახურში, ან სამშობლოში დაბრუნებულებიყვნენ. ამაღის წვერებში სხვადასხვა აზრი შეიქმნა. ერთი ნაწილი საქართველოში დაბრუნებას ირჩევდა და წერდა თხოვნას სამშობლოში გამგზავრებაზე. მეორე ნაწილი კი საქართველოში მოსალოდნელ ომებსა და აჯანყებებს რუსეთში მშვიდობიან ცხოვრებას არჩევდა. 1733 წელს 87 ქართველი თხოვნას წერს ანა დედოფლის სახელზე, რომ მიიღონ ისინი რუსეთის სამსახურში და ჩამოაყალიბონ ქართველ პუსართა პოლკი. ამავე წელს სენატმა მოსთხოვა ბაქარს წარედგინა

იმ პირობა სია, რომლებიც ჩაერიცხებოდნენ ქართველ ჰუსართა ასეულში. როგორც ს. ყუბანეიშვილი წერს, ქართულ ჰუსართა ასეულში პირველად ირიცხებოდა 70 რიგითი ჰუსარი, 17 მეთაური და დამხმარე პერსონალი: კაპიტანი 1, პარუჩიკი 2, პრაპორშჩიკი 2, მღვდელი 1, ვახშისტრი 2, კვარტირმეისტერი 2, კაპრალი 3, ასეულის მწერალი 1, დალაქი 1, მედოლე 2.

თავადებსა და აზნაურებს წინასწარ ჩამოართვეს მეფის რუსეთის ერთგულების ფიცი, რომ ისინი და მათი ჩამომავლობა სამუდამოდ დარჩებოდნენ რუსეთის ქვეშევრდომები და უპასპორტოდ არ წავიდოდნენ საზღვარგარეთ<sup>1</sup>.

ჩვენ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია ქართველ ჰუსართა პოლკზე დაწერილებით შეჩერება, რადგანაც არსებობს ამ საკითხის ისეთი ამომწურავი ისტორია, როგორც ს. ყუბანეიშვილის წიგნია. ამიტომ ჰუსართა პოლკს შევეხებით იმდენად, რამდენადაც ქართველ ჰუსართა წარმომადგენლებმა პეტერბურგშიაც მოიყარეს თავი.

მოსკოვის საგარეო საქმეთა არქივში დაცულია იმ პირობა რეესტრი, რომლებიც შედიან სამხედრო სამსახურში. მასში ცალკეა გამოყოფილი ის სია, რომელიც პეტერბურგში დასახლებულ ქართველ ჰუსარებს გულისხმობს: თავ. ევგ. ამილახოროვი, გიორგი ამილახოროვი, პაპუნა ციციევი, დიმიტრი ციციევი, გივი ბარათოვი, შვილი მისი სერგეი ბარათოვი, თავ. ფრანგისტან თურქესტანოვი, თავ. როსტომ სააკაძე, თავ. ადამ ციციევი, თავ. იოთამ ერისთავი, გერასტი თულაევი, იოსებ ხმელაძე, გივი ცანავა, დიმიტრი ქავთარევი<sup>2</sup>.

ს. ყუბანეიშვილს თავის წიგნში აღნიშნული აქვს, რომ „პეტერბურგში მყოფმა ქართველ ჰუსართა პოლკის ოფიცრებმა 1740 წელს სენატს მოახსენეს, რომ მათთვის განკუთვნილი მამულები არ შეიძლება კმაყოფილებით იქნეს მიღებული, რადგანაც კომლთა შემადგენლობა ისეთია, რომლებსაც მამულები არ გააჩნიათ. ამის გარდა მათ შორის მოიპოვებიან ბრმები, ყრუები, ლატაკნი, ობლები და ღრმად მოხუცებულები, რომლებსაც გარდა ერთი ქოხისა არაფერი გააჩნიათ და ზოგს ესეც არ აქვსო... სენატმა შეი-

1 ს. ყუბანეიშვილი, დ. გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, გვ. 41 და 58.

<sup>2</sup> АВПР, 1738 (ისტორიის ინსტიტუტის ხელნაწერთა ასლების ფონდიდან).

წყნარა ქართველ ჰუსართა ოფიცრების თხოვნა და საკითხი აღძრა იმპერატორის კაბინეტის წინაშე, სადაც აღნიშნულია, რომ ქართველები მიცემული მამულებით არ შეიძლება კმაყოფილი დარჩენილიყვნენ, რადგანაც ადგილი გაპარტახებულია...“<sup>1</sup>.

ჩვენს მიერ ზემომოყვანილი სიიდან ყურადღებას იპყრობს ორი პიროვნება, პაპუნა ციციშვილი და ევგენი ამილახვარი, რომელიც აგრეთვე ელისეს სახელით უნდა იხსენებოდეს.

1741 წელს, როგორც ცნობილია, სამხედრო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჰუსართა პოლკები ერთნაირ ფორმაში ჰყოლოდა. ამ დადგენილების საფუძველზე ეცნობა ქართველ ჰუსართა პოლკის პოდპოლკოვნიკ ქაიხოსრო გურიელს, რომ პოლკს ნაციონალური ფორმის ნაცვლად ხმარებაში შემოეღო ჰუსართა პოლკისათვის დაკანონებული ფორმა.

ქართველ ჰუსართა შორის ამ გადაწყვეტილებას დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. ს. ყუბანეიშვილს მოტანილი აქვს ცნობა, რომ „1741 წ. 30 დეკემბერს ქართული პოლკის მაიორმა ელისე ამილახვარმა და კაპიტანმა პაპუნა ციციშვილმა სახელმწიფო სამხედრო კოლეგიას მიმართეს თხოვნით, რაშიც გაკვირვებას გამოხატავდნენ ძველ ფორმასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე და ცდილობდნენ სამხედრო კოლეგია დაერწმუნებინათ ქართული ფორმის სხვა ფორმებზე უპირატესობის შესახებ. ამილახვარი და ციციშვილი სწერდნენ, რომ ჩვენი მუნდირი და ამუნიცია უძველეს დროიდან, ალექსანდრე მაკედონელის მიერ არის შემოღებული იმ სახით, როგორც ჩვენს დრომდის არსებობსო. ისინი იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ქართველი ხალხი მტერთან წარმოებულ ბრძოლებში ამ ფორმით ხალისიანად და მარჯვედ იბრძოდნენ, უცხო მუნდირებში კი ყოველივე ამას მოკლებული იქნებიანო. ამას გარდა სამხედრო კოლეგიას იმასაც აგონებდნენ, რომ რადგანაც საქართველოს სამეფო იწერება მისი უმაღლესობის ტიტულში და ასევე იწოდება რუსეთის იმპერიაში ქართული პოლკიც, ამიტომ უფრო მიზანშეწონილია, რომ ქართველ ჰუსართა პოლკი თავიანთ, ნაციონალურ ფორმაში იმყოფებოდესო“<sup>2</sup>.

1 ს. ყუბანეიშვილი, დ. გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, გვ. 48.

2 იქვე, გვ. 75.

ამ საქმეს მსვლელობა არ მისცემია, ამგვარი საკითხებისათვის იმ დროს სამხედრო კოლეგიას აღარ ეცალა, რადგანაც ამ პერიოდს დაემთხვა რუსეთ-შვეციის ომი. რუსეთ-შვეციის ომში კი გმირულად დაეცა ამ წამოწყების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, ჰუსართა პოლკის კაპიტანი პაპუნა ციციშვილი.

ქართულ ჰუსართა პოლკის წარმომადგენელთა მატერიალური მდგომარეობა, როგორც ჩანს, კარგი ყოფილა. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის ცენტრალურ არქივში დაცული ერთი საბუთი. ეს იმ ნივთების სიაა, რომელიც ევგენი ამილახვარს საქართველოში გამოუგზავნია რუსეთში მყოფი ზაქარია ციციშვილის ხელით. ზაქარია ციციშვილს ეს ნივთები ჩამოუტანია და თვითონვე დაუწყია მისი ფლანგვა. ნივთების სრული ნუსხა, როგორც ჩანს, ებარა ვილაც გიორგი მღვდელს, რომელიც შეწუხებულთა ამ გარემოებით და წერილის ბოლოს ევგენი ამილახვრის მისამართით წერს: „შე დალოცვილო, ზაქარიას შექმას შენი მამა-ძმანი შიშველნი და მშვიდნი არიან, ამათ ერგოს, ის არა სჯობდა? რათ ჰქენ ასრე?“<sup>1</sup>.

ეს წერილი. ერთი მხრივ, გვაცნობს ქართველ ჰუსართა რაზმის წარმომადგენლის მატერიალურ უზრუნველყოფას რუსეთში, მეორე მხრივ კი მიუთითებს საქართველოში დარჩენილი მისი მშობლებისა და ძმების სრულ მატერიალურ უმწეობაზე. ის გარემოება, რომ ევგენი ამილახვარს ეს სიმდიდრე თავისიანებისათვის კი არ გამოუგზავნია, არამედ ზაქარია ციციშვილისათვის მიუბარებია დროებით, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ევგენი ამილახვარი საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობდა და ფიქრობდა, სულ მოკლდნაში თვითონვე ექნებოდა საშუალება გამოგზავნილი ქონება თვითონაც მოეხმარა და სხვებისთვისაც გაენაწილებინა.

XVII საუკუნის ბოლოდან, პეტრე პირველის მეფობის ხანიდან, ხშირი ომების შედეგად რუსეთში განსაკუთრებით მოძრავლად ინვალიდების რიცხვი. ომის ინვალიდებისა და გადამდგარი ოფიცრების შენახვა სახელმწიფოს დააწვა, რასაც არცთუ ისე პატარა ხარჯი უნდა გამოეწვია სახელმწიფოში. ამიტომ პეტრე პირველმა ასეთ სამხედრო პირთა თავშესაფრებად მონასტრები განაწესა. ეს ტრადიცია გრძელდება პეტრე პირველის გარდაცვალების შემდეგაც. ამიტომ სინოდის საქმეებში ხშირად გვხვდება «Опрее-

<sup>1</sup> საქ. ცენტრ. არქივის ხელნაწერი, ფ. 1449, № 759.

ღენიე რასპორჟიემ სვთეისჟე სინოდო ოტსავნოხ ოფიცერ-  
სკიხ დ ნიჟნიხ ჩიოვ ნა პოდლჟაჟე რპიტანიე კ რაზნოხ  
მონასტეროზ ჯა ნესოტაიუნოტოხ დ ნესპოსობოტოხ ნი კ  
კაოკი სლუჟბე, ვსლედსვინი პოლუჩენნოხ ნა ვოინაჟ დ პოჟოდაჟ  
რაი, უეჩიი დ ვსაკიჟ ბოლენიჟ». და ერთ-ერთ ასეთ განცხადებას  
«Из военных коллегий в святаиший Синод об определении от-  
ставных военных в монастыри»<sup>1</sup> ბელს აწერს გიორგი ბატონი-  
შვილი ანუ გიორგი ვახტანგის ძე. მოსალოდნელია, რომ ამ განცხა-  
დებით გიორგი ბატონიშვილი მონასტრებს აბარებდა ქართველ ჰუ-  
სართა იმ წარმომადგენლებსაც, რომლებმაც რუსეთის ომებში დაჰ-  
კარგეს ფიზიკური არსებობისათვის საჭირო ყველა პირობა.

სრულიად შესაძლებელია დავით გურამიშვილიც ვერ ასცდენ-  
ნოდა ყოფილ მეომართა ამ თავშესაფრებს, რომ მას ცხოვრების  
საკუთარი სახსრები არ ჰქონოდა. როგორც ს. ყუბანეიშვილმა  
გამოიკვლია, დაავადმყოფებული დ. გურამიშვილი ითხოვს ნებარ-  
თვას პეტერბურგში გასაშვებად, „რათა გამოცხადებულიყო სა-  
ხელმწიფო სამხედრო კოლეგიაში ქართულ ჰუსართა პოლკიდან  
განსათავისუფლებლად“<sup>2</sup>. 1760 წელს დ. გურამიშვილი პეტერბურ-  
გის ჰოსპიტალში მოუთავსებიათ, რის შემდეგ სამხედრო კოლე-  
გიას გენერალიტეტის საერთო სხდომაზე განუხილავს მისი საკითხი.  
გაუთვალისწინებია ის გარემოებაც, რომ მას სამხედრო სამსახურში  
შესვლისას მფლობელობაში მიუღია 30 კომლი (მალოროსიაში) და  
დაუდგენია: „პრუსიაში ყოფილი ტყვე, ქართული ჰუსართა პოლ-  
კის პოდპორუჩიკი თავადი დავით გურამიშვილი, ავადმყოფობისა,  
სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში უვარგისობის გამო, დარჩეს  
თავის კმაყოფაზე, დაჯილდოებული იქნეს სახელობითი სიის მი-  
ხედვით პორუჩიკის ჩინით და ამოირიცხოს პოლკის სიიდან“<sup>3</sup>.

მაშასადამე, ამ დროის პეტერბურგის ქართველ ჰუსართა  
რიცხვში, ასე თუ ისე, დ. გურამიშვილიც შედის, რომელსაც, თუმ-  
ცა ავადმყოფს და ძალ-ღონე მოშლილს, ფეხი შეუდგამს პეტერ-  
ბურგის მიწაზე.

<sup>1</sup> ЦГИАЛ, оп. ХХХІХ, 1759 г. №  $\frac{4}{54}$

<sup>2</sup> ს. ყუბანეიშვილი, დ. გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, გვ. 98.

<sup>3</sup> იქვე.

## 8. კულტურულ-ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი პეტერბურგის ქართულ კოლონიაში

ვახტანგის რუსეთში ჩასვლა იმ დროს დაემთხვა, როდესაც რუსეთი პეტრე პირველის რეფორმატორული პოლიტიკის შედეგად კულტურულ ცხოვრებაში უდიდეს ძვრებს განიცდიდა. პუშკინის სიტყვებით რომ ვთქვათ: «Самодержавною рукой он смело сеял просвещение».

პეტრე პირველი თვალყურს ადევნებდა ცივილიზაციის წარმატებებს და ყოველ სასარგებლო წამოწყებას რუსეთის ნიადაგზე ნერგავდა.

პეტრე პირველის მრავალმხრივი მოღვაწეობა რუსეთის სახელმწიფოს დიდ მიზნებს უსახავდა წინ. როგორც ს. მ. სოლოვიოვი წერს: «Начертана была обширная программа на много и много лет вперед, начертана была не на бумаге: она начертана была на земле, которая должна была открыть свои богатства перед русским человеком, получившим посредством науки полное право владеть ею, на море, где явился русский флот, на реках, соединенных каналами... начертана была в народе посредством образования, расширения его умственной сферы, богатых запасов умственной пищи, которую доставил ему открытой запад и новый мир, созданный внутри самой России»<sup>1</sup>.

პეტრე პირველის უშუალო ინიციატივით რუსეთში აყვავდა საგამომცემლო საქმიანობაც. პირადად მისი მონაწილეობით ხდებოდა წიგნებისა და მთარგმნელების შერჩევა, წიგნის გაფორმების ორგანიზაცია და სხვა. პეტრე პირველის ხელმძღვანელობით იცემა რუსული და ევროპული ენების ანბანი, სახელმძღვანელოები — არითმეტიკის, გეომეტრიის, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვ. საგნების, იბეჭდება წიგნები სამხედრო-საზღვაო საკითხებზე, ცალკეული დარგების ლექსიკონები და ცნობარები.

პეტრე პირველის მიერ შემოღებულმა ახალმა შრიფტმა გამოყენება პოვა საერო-სამოქალაქო დანიშნულების წიგნებში, ხოლო

<sup>1</sup> История Русской литературы, т. III, гл. 26, изд. АН СССР.

ძველი შრიფტი მხოლოდ საეკლესიო ლიტერატურას დაეთმო. ან დროს საფუძველი ეყრება ცალკეულ პიროვნებათა ბიბლიოთეკებს, რომლებიც თანდათან მდიდრდება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილი ლიტერატურით. მოწინავე აზრის გადმოტანა და შესისხლხორცება — ამას ქადაგებს პეტრე პირველის საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ამ იდეის სრული გამომხატველია თეოფანე პროკოპოვიჩის შემდეგი სიტყვები: «Разумный есть и человек и народ, который не стыдится перенимать доброе от других и чуждых. Безумный же и смеха достойный, который своего и худого отстать, чуждого же и доброго принять не хочет».

ასეთია ეპოქის სულისკვეთება იმ დროის რუსეთში, როდესაც ვახტანგ VI მრავალრიცხოვანი ამალა ჩადის იქ.

ვ. დონდუას სიტყვით, „ვახტანგი თითქო ჰბაძავს თვითონ პეტრეს მაგალითს, რომელიც „დიდი ელჩობის“ სათავეში მღვდონი 250-ზე მეტი კაცით ეწვია დასავლეთ ევროპას. როგორც იმ დიდ ელჩობას, ისე ვახტანგის ელჩობასაც უთუოდ ჰქონდა დასახული სამხედრო-პოლიტიკურს გარდა, აგრეთვე სასწავლო-კულტურული ამოცანები, რუსული კულტურის მიღწევათა ადგილზე გაცნობა და შეთვისება“<sup>1</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთში ახლად ჩასული ქართველები (განსაკუთრებით კი პეტერბურგში), სადაც ვახტანგის ამალის ჩასვლამდე ქართველთა კოლონია არ არსებულა, მაშინვე ვერ დაიწყებდნენ ზრუნვას კულტურის საკითხებზე.

რუსეთში მყოფი ვახტანგი, რომელიც დიდის მოთმინებით ელის იმ ხელსაყრელ მომენტს, როდესაც საშუალება მიეცემა რუსეთის დახმარებით სპარსეთ-ოსმალეთზე გალაშქრებისა, ნელ-ნელა იწყებს ზრუნვას კულტურულ-ლიტერატურული საკითხების მოსაგვარებლად.

პირველ რიგში იგი იწყებს ოცნებას იმ ბექდურ-საგანმომცემლო ტრადიციების გასაგრძელებლად, რომელსაც რუსეთში საფუძველი ჩაუყარა არჩილ მეფემ. 1730 წელს ვახტანგი წერს ვრცელ თხოვნას, რომელშიც მადლიერების გრძნობით იხსენებს იმ ამბავს, რომ გასულ წლებში პეტრე პირველის შემწეობით მრავალი ძველი

<sup>1</sup> ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, მიმომხილველი, III, გვ. 47.

ქართული წიგნი დაიბეჭდა რუსეთში და ივერიაში გადაიგზავნა სასულიერო და სხვა საზოგადოების მიერ გამოსაყენებლად.

«А у меня ныне имеются в Грузинской земле многие духовные и протчие чины, у которых за разорением от неприятелей турок многие церковные и прочие книги отобраны и сожжены, а другие обветшали, о чем многократно из Грузии у меня таких книг требуют, и хотя государство мое и разорено, однакож оставшие тамо духовные чины в монастырях, а прочие в селах еще обретаются, хотя малое число. Чтоб и тех в конец не разорить и не разогнать, того ради Вашего графского сиятельства всепокорно прошу, дабы Вашего графства представительством доложить ея Имп. Величеству, чтоб ея Императорского величества и рассмотрением Вашего графского сиятельства повелено было вышепоказанные на грузинском языке книги печатать в России, как прежде сего печатаны были, и послать во оную грузинскую землю для церковной службы, за что отныне духовные и протчие чины за ея Императорское Величество многолетнее здравие будут вечные богомольцы».

თხოვნას ხელს აწერს ვახტანგ მეფე.

ვახტანგის ამ თხოვნის საფუძველზე დგება საქმე, რომელიც ეგზავნება მოსკოვის სტამბას. მასში ნათქვამია: «В прошлых годах при царе Арчиле Вахтанговиче Меретинском на грузинском языке книги печатаны были и ныне к тому печатанию принадлежащие фундаменты и литеры во оной типографии имеютца ль и можно ли печатать? И в то время грузинские книги печатали из типографских ли служителей, или присланными от царя Арчила грузинцами и откуда на оные деньги держаны».

Секретарь Иван Аврамов.

მოსკოვის სტამბაში საკირო ცნობათა შეკრების საფუძველზე საქმეში დატულია შემდეგი პასუხი: «В Московской типографии в прошлых годах при царе Арчиле Вахтанговиче Меретинском книги печатные были, а именно: книги Псалтыри



учебные. И ныне к печатанию тех книг фундаментальных материалов имеется пуансонов 174, матриц 175, да одна форма, литер 1 под 32 фунта три четверти с осьмухою.

А можно ими печатать впредь какие книги, о том неизвестно для того, что еще набора в лицах не имеется. И по качеству тетрадей оной набор типографии не сведом, а во время то как оному меретинскому царю Арчиле Вахтангиевичю книги печатались, тогда были типографския мастеровы токмо становья передорщники и батынщники, а наборщники и разборщники были их диалекта присланные». ხელს აწერს სტამბის ღირექტორი თევდორე პოლიკაროვი<sup>1</sup>.

ამ საინტერესო საქმის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1730 წლიდან ვახტანგის კოლონიაში კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა იწყება. ვახტანგი შეუდგა ქართული წიგნების სასტამბოდ გამზადებას. ამ საქმეში მას გვერდში უდგას ბაქარ ბატონიშვილი, ხოლო შემდეგში იოსებ სამეხელი და ქრისტეფორე გურამიშვილი. ვახტანგს გაუმზადებია 19 წიგნი; მათ შორის—ოთხთავი, სამოციქულო, ჟამნგულანი, ჟამნი, კონდაკი, კურთხევანი და ტიბიკონი.

როგორც ცნობილია, 1737 წელს ვახტანგი გარდაიცვალა და ამ საქმის გაგრძელება-განხორციელება ბაქარს ხედა წილად. მოსალოდნელი იყო პეტერბურგში წამოყენებული საქმე პეტერბურგშივე განხორციელებულიყო, მით უფრო, რომ ქართველები მოითხოვდნენ წიგნები დაბეჭდილიყო პეტერბურგში, მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, მაგრამ 1727 წლის 4 ოქტომბრის ბრძანებით საეკლესიო წიგნების ბეჭდვა შეიძლებოდა მხოლოდ მოსკოვში, სინოდის მეთვალყურეობით. ამიტომ ქართველთა დიდი ცდითა და მეცადინეობით მოსკოვში, არჩილის სასახლეში, აღდგა ადრე არსებული ქართული სტამბა და განხორციელდა ის დიდი საქმე, რაზედაც ოცნებობდა ვახტანგ VI. ამ სტამბის პირველი პროდუქტი იყო 1740 წლის აგვისტოში დაბეჭდილი „ფსალმუნნი“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> АВПР, ф. 110, 1730 г., № 5 (ისტორიის ინსტიტუტის ასლების არქივიდან)

<sup>2</sup> იხ. ს. ყუბანეიშვილი, რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში, „ლიტ. ძიებანი“, X, 1956.

ჯერ კიდევ ვახტანგის სიცოცხლეში, 1736 წელს, პეტერბურგში, სამეცნიერო აკადემიასთან მოეწყო სტამბა. ამ საქმის დიდი მონაწილეა იმხანად პეტერბურგში მყოფი ქრისტეფორე გურამიშვილი. (ამავე ქრისტეფორეს საშუალებით პეტერბურგში დამზადდა ქართული შრიფტი მოსკოვის სტამბისათვის).

პეტერბურგის ქართულ სტამბაში 1736—37 წლებში გამოდის რუსულ-ქართული ანბანი. ანბანს დართული ჰქონდა ლოცვები ლათინური ტექსტითა და გერმანული შენიშვნებით<sup>1</sup>.

რუსულ-ქართული ანბანის დაბეჭდვას დიდი პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა რუსეთში საცხოვრებლად გადასული ქართველი საზოგადოებისათვის.

ვახტანგმა, რომელიც რუსეთში ყოფნის რამდენიმე წელს ითვლიდა, იწყო ზრუნვა იმაზე, რომ ჩასულ ქართველობას შესაძლებლობა მისცემოდა რუსული ენის შესწავლისა.

ამრიგად, რუსულ-ქართული ანბანის გამოსვლას პეტერბურგში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საერთოდ რუსეთში პეტრე პირველის დროიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირად იცემა რუსული და ევროპული ენების ანბანი. ის, რაც კეთდება რუსეთის სინამდვილისათვის, ქართველები უფარდებენ ქართველთა საჭიროებას. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ვახტანგის, დ. გურამიშვილის და საერთოდ იმ დროის ემიგრანტული პოეზიის ქადაგება სწავლა-განათლების საჭიროებაზე.

პეტერბურგში გამოცემული რუსულ-ქართული ანბანის სახით საქმე გვაქვს პეტერბურგის ქართული კოლონიის პირველ დიდ კულტურულ-ისტორიულ ღონისძიებასთან.

ბუნებრივია, რუსულ წერა-კითხვას დაუფლებული ქართველებისათვის შეუძლებელი აღარ უნდა გამხდარიყო ადგილობრივ სასწავლებლებში განათლების მიღებაც.

კადეტთა კორპუსში სწავლა-განათლებას იძენენ ქართველი

---

<sup>1</sup> იხ. Булич С. К., Очерк истории языкознания в России, т. I. 1904 г., გვ. 474—476; ქრ. შარაშიძე, ქართული ანბანი მე-19 საუკუნემდე (ქრ. ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია) და М. Абрамшвили, Из истории грузинского книгопечатания за пределами Грузии. Книга, исследования и материалы, сборник, III, М., 1960 г.

ახალგაზრდები, ძაგრამ მათ ჯერ არ იციან რუსული ენა და ითხოვენ ქართულად ღვთისმსახურების ჩატარების უფლებას.

ქართულ-რუსული ანბანის დაბეჭდვას უნდა გადაელახა ის დაბრკოლებანი, რაც ენის უცოდინარობის გამო ხვდებოდა რუსეთში ჩასულ ქართველობას.

პეტერბურგში ქართულ ხელნაწერთა ფონდებში შენორჩენილი ვახტანგის შრომათა ცალკეული ფრაგმენტები, ასტრონომიული და ასტროლოგიური ჩანაწერები მიუთითებენ იმაზე, რომ დროდადრო პეტერბურგში მცირე ხნით მყოფი ვახტანგი ლიტერატურულ საქმიანობას არ წყვეტდა.

პეტერბურგშივე გადაიწერა ვახტანგ VI ლექსთა კრებული, რომლის გადამწერია მელქისედეგ კავკასიძე. პროფ. ა. ბარამიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ხელნაწერი „წარმოადგენს ვახტანგის პოეტური თხზულებების თავისებურ ხელნაწერ გამოცემას“<sup>1</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ იგი საფუძვლად დაედო ვახტანგ VI პოეტური მემკვიდრეობის გამოცემასაც.

როგორც ლენინგრადელი მეცნიერი ქალის რ. ორბელის შრომიდან ჩანს, მე-18 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში უნდა იყოს თარგმნილი სუმაროკოვის პიესა «Синав и Трувор»<sup>2</sup>. მის თარგმნას ჩვენი მეცნიერები მე-19 საუკუნის პირველ ათეულს უკავშირებდნენ.

პეტერბურგში შეიქმნა ვახტანგ ვახუშტის ძე ორბელიანის საინტერესო მემუარისტული თხზულება „პეტერპოლის აღწერა“.

ვახტანგ ორბელიანი პეტერბურგში შემთხვევით მოხვედრილი პირია. იგი სულხან-საბა ორბელიანის ძმის ვახუშტის შვილია, რომელიც რუსეთში 1735 წელს ჩასულა. დ. ბრეგაძეს მიაჩნია, რომ „მისი ჩასვლის მიზეზი პოლიტიკური იყო და ალბათ იმიტომ მოხვდა იგი პეტერბურგშიო“<sup>3</sup>. მაგრამ თხზულების შესავალში ნათქვამი

---

<sup>1</sup> ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, გვ. 172.

<sup>2</sup> Р. Р. Орбелин, Грузинские рукописи Института народов Азии Академии наук (საკანდ. დისერტაცია).

<sup>3</sup> დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, გვ. 312.

ავტორის სიტყვები „მე, ვახტანგ ორბელიანი წელს ჩლვ (1736) თვესა აგვისტოსა 3 (6), მეფეთ მეფობასა დიდისა რუსეთისა მპყრობელისა იმპერატრიცა ანნა იოანეს ასულისასა უმეტესობათა ჩემთაგან მრავალ განსაცდელ შემთხვეული, ვიმყოფებოდი სამეუფოსა ქალაქსა პეტერბურხს“, სრულებით გარკვეულად მიუთითებს იმაზე, რომ რალაც პირად საქმეს, პირად საჭიროებას მიუყვანია იგი პეტერბურგს.

ვახტანგ ორბელიანი რუსეთიდან 1738 წელს საქართველოში დაბრუნებულა და აქვე დარჩენილა საბოლოოდ.

„პეტერპოფის აღწერა“ ვერ ჩაითვლება პეტერბურგის ქართული კოლონიის ლიტერატურულ პროდუქციად იმიტომ, რომ მისი ავტორი არ არის კოლონიის მკვიდრი. მაგრამ ეს ნაწარმოები ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში გამოხატულია ქართველთა ყოფაცხოვრება პეტერბურგში. აქედან ჩანს, რომ ქართველ ბატონიშვილებს ხშირად ეძლევათ შემთხვევა დრო გაატარონ პეტერბურგის გარეუბნებში და კერძოდ პეტერპოფში. პეტერბურგის ქება ხშირად ესმის ვახტანგ ორბელიანს „მეფეთა შვილებისა და მეცნიერ კაცთაგან“, რომელთაც აიძულეს მწერალი დაეთვალიერებინა იგი. პეტერბურგის ნახვით აღტაცებულ ვახტანგ ორბელიანს განუზრახავს აღეწერა თვალით ნახული დიდებული სანახაობა და ღმერთს შეჰვედრებია: „მათქმიე, რაცა ვიხილო აქა საკვირველებანი და უცხონი“.

ჩრდილოეთის მწვანესა და ხილნარს იმდენად მოუხიბლავს ავტორი, რომ გაოცებული აღნიშნავს: „ქვეყნისა ხისა მხრის კაცი ვიყავ და საქართველოს შინა აღზრდილი და მუნ უცხო მდგართა ვაშლთა გამაყვირნეს“-ო.

ვახტანგ ორბელიანს ბევრი რამ სამშობლოს აგონებს. მისთვის ნაცნობ სახეებს, გმირებს, მისთვის ნაცნობ სინამდვილეს იგი თავისი შესანიშნავი მხატვრული შედარებებით წერს: „მშვენიერად ნაზებულთა ნაძვებთა სიწლო-სიმოჭლენი მაჯნუნისა ესესხებინა და ყარაფლისა მეწამულობა ლეილისა ბაგეთაგან ევასხებინა. ფერმიხდილსა ნარგისობასა ტარიელის ხელობისა ფეროვნება დაესწავლა და ვარდებთა მავლვარობასა ნესტან-დარეჯანისა ღაწვისა შეგირდობა მიეთვალა. არღავანსა სისხლთა მღვრელობა ხოსროვისა მიეტაცა და კუქურსა ზამბახსა შირინის ცხვირთა სოთობა მოეშვა,

აღვისა ასულობა ავთანდილისა მოეყიდა და ყაყაჩოსა ძოწეულობა არაბელისა თინათინისა მოევაჰრა<sup>1</sup>.

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს საბას „მოგზაურობა ევროპაში“, რომელსაც სიცილიურმა ღვინომ ატენური ღვინო გაახსენა, ალიკორნის საზღვრებმა ოდიშის ტყიანი ადგილები, ზღვაში შექრილმა ერთმა კლდემ თბილისის მეტეხი და სხვ.

პეტერბურგის საარქივო მასალებში რატომღაც ვერ ვხვდებით ვახტანგის ამალის სამაყო წარმომადგენლის ვახუშტის სახელს.

როგორც ცნობილია, პირველი მეცნიერი, რომელმაც ვახუშტის რუკები ნახა და აღტაცებული დარჩა, იყო ცნობილი ფრანგი ასტრონომი ჟოზეფ-ნიკოლა დელილი. იგი 1726 წელს მიწვეულ იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ობსერვატორიის დირექტორად და ამრიგად პეტერბურგში გაატარა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი.

როგორც მარი ბროსემ აღნიშნა, დელილი დიდი ინტერესით შეუდგა ვახუშტის მიერ შედგენილ რუკებზე მუშაობას და 1738 წელს სიხარულით აცნობა თავის ფრანგ მეგობარს ქართველი პრინცის მიერ შესანიშნავი რუკების მოტანა.

ქრისტიანე შარაშიძე თავის ნარკვევში „ვახუშტი ნათარგმნ შრომებში“, ეხება ვახუშტის მიერ თარგმნილ ვილჰელმ სტრათემანის თხზულებას „თეატრო ანუ ასპარეზი მატიაწული“. ავტორი იძლევა ჭერ თვით თხზულების, შემდეგ თარგმანის შესანიშნავ მეცნიერულ ანალიზს. ჩვენთვის საინტერესოა ვახუშტის მიერ თარგმნილი ეს თხზულება იმ მხრივ, რომ მთარგმნელის ადგილსამყოფლად მითითებულია პეტერბურგი, თარგმნის შესრულების თარიღად—1740 წელი. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, მიუთითებს ვახუშტის ყოფნაზე პეტერბურგში, ხოლო მეორე მხრივ, გვაფიქრებინებს, რომ ვახუშტის ყოფნა პეტერბურგში შესაძლოა უშუალოდ დელილთანაც იყოს დაკავშირებული.

ასეთია ზოგადად პეტერბურგის ქართული კოლონიის კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროს პეტერბურგის ქართული კულტურის კერას ჭერ კიდევ მოკლე ხნის ისტორია აქვს.

<sup>1</sup> „პეტერპოფის აღწერა“, დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში,

## XVIII საუკუნის მეორე ნახევარი

### 1. პეტერბურგელ მართველთა ასიმილაცია

პეტრე პირველის გარდაცვალების შემდგომი პერიოდი რუსეთის ისტორიაში ერთგვარი უკანდახევით აღინიშნა და პეტერბურგიც ნგრევისა და დაწვა-განადგურების მსხვერპლად იქცა. პეტრე პირველის მიერ დაწყებული მშენებლობანი ქალაქში თავმინებებული და უპატრონოდ დატოვებული იყო. მთავრობის ყოველი ღონისძიება ამოდ რჩებოდა და ქალაქში არათუ ახალი მშენებლობა, არამედ ძველის დამთავრებაც კი ძნელი ხდებოდა. ამას თან დაერთო პეტერბურგის მცხოვრებთა მიერ ქალაქის და საკუთარი სახლკარის დაწვა-განადგურება, რათა პეტერბურგიდან გახიზვნის საშუალება მისცემოდათ.

მოსახლეობა წვადა საკუთარ ქონებას, შეგნებულად რჩებოდა უთავშესაფროდ და გარბოდა ქალაქიდან. მრავალი საუცხოო ნაგებობა ხანძრის მსხვერპლი გახდა. ანა იოანეს ასულმა გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც პეტერბურგი რამდენიმე ნაწილად დაიყო. ქალაქის ასეთი დაყოფა მიზნად ისახავდა ქალაქის ყოველი ნაწილის მოქალაქეთა ზუსტ აღწერას ყოველ სამ დღეში. სახელმწიფო იძულებული იყო მიეღო უმკაცრესი ზომები ქალაქის მკვიდრთა შესანარჩუნებლად. ამგვარმა ღონისძიებებმა მეტი წინააღმდეგობა გამოიწვია მოსახლეობაში. მაშინ ანა იოანეს ასული და შემდგომში ელისაბედ პეტრეს ასული იძულებულნი გახდნენ მოსახლეობის გაზრდის მიზნით შეერბილებინათ მკაცრი ზომები. ეკატერინე მეორემ კი გამეფებისთანავე გააუქმა ძალად დასახლების

კანონი, რასაც მოჰყვა პეტერბურგის მოსახლეობის თვითღინებითი ზრდა.

პეტრე პირველის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში, ეკატერინე მეორის გამეფებამდე, პეტერბურგის ქართველ მოქალაქეთა ყოფა მეტად მკრთალად გამოიყურება. ამის მიზეზი უნდა იყოს ის არეულობის ხანა ქალაქისა, რაზედაც ახლა გვქონდა საუბარი.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, რუსეთში პეტრე პირველის დროიდან ფართოდ გაეღო კარი უცხოელ სპეციალისტებს და მოგზაურებს. როგორც მოსკოვში, ასევე პეტერბურგში საკმარისად მომრავლდა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა კოლონიები.

1763 წელს რუსეთის სახელმწიფომ დააარსა ე. წ. «канцелярия опекунства иностранных», რომელსაც დაევალია რუსეთში დასახლებული უცხოელების მფარველობა. ეს ორგანიზაცია, რომელიც თავისი უფლებებით სამინისტროს უთანაბრდებოდა, ეკატერინე მეორემ შექმნა როგორც ოფიციალური გამგებელი დაწესებულება რუსეთში მცხოვრებ უცხოელთა კოლონიებისათვის, თუმც მის წესდებაში გათვალისწინებული ცალკეული მუხლები რუსეთის სახელმწიფოს ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს ჰქონდა პრაქტიკაში.

კანცელარიას ჰყავდა თავისი პრეზიდენტი, რომელსაც უშუალოდ ეკატერინე ნიშნავდა, და წევრები, რომელთა შერჩევაც ხდებოდა პრეზიდენტის მიერ. სააპეკუნო ხელმძღვანელობდა 1763 წელს შედგენილი მანიფესტით, რომელსაც სხვა უცხოელებთან ერთად უნდა დამორჩილებოდნენ ქართული კოლონიის წარმომადგენლებიც პეტერბურგში.

სხვადასხვა ქვეყნის ხიზანთა დიდი ნაწილი რუსეთში მოხვდა წმინდა მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, ანუ პისარევსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, «Колонисты мечтали найти на новых местах чуть ли не молочные реки в кисельных берегах»<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> Гр. Писаревский, Из истории иностранной колонизации в России в XVIII в., М., 1909 г.

ამას ვერ ვიტყვიტ ქართველი კოლონისტების შესახებ, ამიტომ განსხვავებული დარჩა მათი შემდგომი საქმიანობაც.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი რუსეთში პოლიტიკური ძლიერების და კულტურული აღორძინების ხანაა. პეტრე პირველმა რუსეთს გზა გაუხსნა დასავლეთისაკენ ბალტიისპირეთით, რუსეთის გამარჯვებამ შეიღწლიან ომში იმ დროს უძლიერეს პრუსიის სახელმწიფოზე აამაღლა რუსეთის პრესტიჟი. სამეფოს საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა ღირსეულად შეინარჩუნა ეკატერინე მეორემ, რომელმაც ორი დიდი ომი აწარმოა თურქეთთან, როგორც ხელისშემშლელ ძალასთან შავ ზღვაზე გაბატონებისათვის.

ეკატერინე მეორის მეფობის ხანაც აღინიშნება დიდი კულტურული ძვრებით: მრავლდება სასკოლო-სასწავლო დაწესებულებები, ყალიბდება სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებები, სხვადასხვა ლიტერატურული სკოლები და მიმართულებები. ამ ხანას ემთხვევა საფრანგეთში განმანათლებლობის აღმოცენება, რომელიც თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით (ვოლტერი, დიდრო, ჟან ჟაკ-რუსო და სხვ.) ფეოდალიზმისა და ეკლესიის რაობის საკითხს აყენებს. «Желая создать в своей стране плюзию просвещенной монархии, Екатерина была заинтересована в общественном мнении Западной Европы. Прежде всего ей надо было заручиться поддержкой вождей общественного мнения, вождей всей Европы, перо и влияние которых могли ей очень пригодиться и во внешней политике, и в создании ее личного авторитета»<sup>1</sup>. ცნობილია ეკატერინეს პირადი ურთიერთობა ვოლტერთან, დალამბერთან, დიდროსთან, მარმონტელთან და სხვებთან.

თუმცა ეკატერინეს, როგორც მეფის, პრაქტიკული საქმიანობა სრულ წინააღმდეგობაში იყო განმანათლებლურ იდეებთან, მაგრამ მის მიერ განმანათლებლობასთან სიახლოვის დაშვებამ იმ დროის რუსეთში მთარგმნელობითი საქმიანობა კულმინაციურ წერტილზე აიყვანა. სწორედ ამ პერიოდში რუსულ ენაზე ითარგმნა არა მარტო ამ დროის ცნობილი მწერლები, არამედ ძველი საუკუნეებისაც. ეკატერინე მეორე აარსებს ე. წ. «Собрание, старающееся о пе-

<sup>1</sup> История русской литературы, т. IV, 1947, Москва-Ленинград, гл. 14.



რეაღი ინოტრანნიჰ კნიგ ნა როსიისკიი იაჰიკი» და საკუთარი ბიუჯეტიდან გამოჰყოფს დიდ თანხას ჰილდოდ საუკეთესო მთარგმნელებისათვის. «Санкт-Петербургские ведомости» სისტემატურად აჰვეყნებს განცხადებებს ამის თაობაზე, იწვევს მთარგმნელებს, იუწყება როდის და რა ითარგმნა და სხვ. ეკატერინე მეორის მიერ წამოწყებულმა ამ საქმიანობამ ტონი მისცა მთელ იმდროინდელ ჟურნალისტიკას: ითარგმნება ფრანგულიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან, ძველი ბერძნულიდან. სხვათა შორის ამ მთარგმნელთა სიაში იხსენიება ციციანოვი პ. დ., რომელსაც უთარგმნია «Тюркаре или кокетка в заблуждении... Переведенная с французского, представленная в театрах неоднократно»<sup>1</sup>.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სწრაფი ასიმილაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა პეტერბურგის ქართველ კოლონისტებში.

პირველ თავში ჩვენ ვლაპარაკობდით იმ ახლადფეხადგმულ კულტურულ ღონისძიებებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა პეტერბურგის ქართველ კოლონისტებში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თუ ახლადჩასულ სამხრეთელებს ძირითადად თავისი წრე ჰქონდათ და მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობა აკავშირებდათ, შემდეგში მათი ყოფაცხოვრება და საქმიანობა შეერწყა და ორგანულად შეუერთდა პეტერბურგის მოსახლეობის საერთო ინტერესებს და საქმიანობას. ახლა ქართული კოლონიის წარმომადგენლები არათუ თავისუფლად ფლობენ რუსულ ენას, არამედ იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების მუდმივი ხელისმომწერიც არიან.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის პეტერბურგის ქართულ კოლონიაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ისევე ის წრე და მათი შთამომავლობა, რომელზეც პირველ ნაწილში გვქონდა ლაპარაკი.

პეტერბურგში ვახტანგის ამალის პირველი ჩასვლიდან 25 წელი გავიდა. გარდახვეწილთა გარკვეულმა ნაწილმა საქართველოში დაბრუნება ირჩია და საქართველოს გზას გაუდგა. ხოლო რუსეთს და კერძოდ პეტერბურგს დარჩენილი ამალის წევრები შე-

---

<sup>1</sup> В. П. Семеновиков, Собрание, старающееся о переводе иностранных книг (СПб). 1913 г.

ეთვისნენ პეტერბურგის ყოფას და თავის თავს „პეტერბუხელი“ უწოდეს. საინტერესოა იოსებ სამებელის მიერ 1734 წელს გადაწერილი სამღვდელმთავრო კონდაკი, რომლის ანდერჟში იგი თავის თავს „იოსებ პეტერბუხელს სამებელ ყოფილს“ უწოდებს.

## 2. თეიმურაზ მეორის ჩასვლა პეტერბურგში

როგორც ცნობილია, 1744 წლიდან ქართლის სამეფო ტახტზე ავიდა თეიმურაზ II, რომელსაც ცოლად ჰყავდა ვახტანგ VI შვილი თამარი.

ჯერ კიდევ 1736 წელს თეიმურაზი თავის წერილში იმპერატორცა ანა იოანეს ასულისადმი აღწერდა საქართველოს გაჭირვებულ მდგომარეობას და წერდა: „ათას ოთხასი წელიწადია ამ ქვეყანას ქრისტიანობა არს... უკეთუ არ გვეწვევის ხელი ბრწყინვალისა სიმაღლისა ამალღებულის მეფობისა თქვენისა, სრულიად აღიფხვრების სჯული ქრისტესი და მივეცემით ურჯულოებასა.

უკეთუ მაგათი დიდებული სიმაღლე და ძალა მეფობისა მაგათისა შეგვეწოდეს, ბაქარ, მეფის ვახტანგის შვილი ქართლში გამოისტუმროს და, თუ ხემწიფის ძალი და წყალობა იქნების, მე და მაგას თავს დაგვადგას სამსახური ღვთისა და მაგათის ამალღებულის ძალით სამსახურს ვეცდებით და წინაც წავიყვანთ“<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, ამ დროს ბაქარი აპირებდა ქართლში გამგზავრებას, მაგრამ რუსეთის სახელმწიფომ გარკვეული პირობა აღუთქვა, რის შემდეგ ბაქარი საბოლოოდ რუსეთში დარჩა. მიუხედავად ამისა, ფარული ბზარი ვახტანგის მემკვიდრეებსა და თეიმურაზის სამეფოს შორის მაინც გაჩნდა, რაც შემდეგში აშკარა ბრძოლებშიც გამოიხატა (პაატა ბატონიშვილის აჯანყება, ალექსანდრე ბაქარის ძის ბრძოლა ტახტისათვის და სხვ.).

1752 წელს მღვდელმთავარი ათანასე ამილახვარი და სვიმონ მაყაშვილი რუსეთს გაიგზავნენ ქართლისა და კახეთის მეფეთა ელჩებად. 1760 წელს კი რუსეთში გასამგზავრებელ სანზადისს შე-

<sup>1</sup> Мари Броссе, Переписка..., გვ. 213.

უდგა თეიმურაზ II. გამგზავრებამდე თეიმურაზმა და ერეკლემ წერილები დაუგზავნეს ბაქარის ქვრივისა და აგრეთვე შვილებს (ლეონსა და ალექსანდრეს), სთხოვნენ დახმარება გაეწიათ თეიმურაზისათვის, როცა იგი პეტერბურგში ჩავიდოდა. მაგრამ ბაქარის ცოლმა ეს წერილები ოფიციალურად კანცლერს გადასცა და განაცხადა — ჩვენ არ გვინდა ასეთ დაფარულ საქმეში მონაწილეობის მიღებაო.

იასონ ლორთქიფანიძეს, რომელმაც საინტერესო მასალა გამოამზეურა მოსკოვ-პეტერბურგის არქივებიდან, რამდენიმე მაგალითი მოჰყავს იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად ცივად შეხედნენ რუსეთში მყოფი ქართველები თეიმურაზის ჩასვლას: „პეტერბურგში გაერკელებული ყოფილა ხმა, ვითომც თეიმურაზი გადნოვიდა რუსეთში, რადგან მასა და ერეკლეს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდაო. რომ ეს ასე არ იყო, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ თეიმურაზთან ერთად ერეკლემაც გაუგზავნა სხვადასხვა პირებს წერილები და სთხოვა დახმარებოდნენ თეიმურაზს, როცა იგი სხვადასხვა შუამდგომლობას აღძრავდა მთავრობის წინაშე“<sup>1</sup>.

ი. ლორთქიფანიძეს ამავე მასალებში მოტანილი აქვს საყურადღებო ცნობა თეიმურაზის ცხედრის წამოსვენება-დაკრძალვის შესახებ. კერძოდ, ცხედრის გამოსვენება და ამაღლის გამოსვლა პეტერბურგიდან მოხდა 20 თებერვალს. მოსკოვში ცხედრის დასასვენებლად ამაღამ სთხოვა დიმიტრი ციციშვილს, რომ რამდენიმე დღით დაეთმოთ ბაქარ ბატონიშვილის ქვრივის სახლი, რომელიც იმ დროს თავისუფალი იყო. ამ თხოვნაზე დიმიტრი ციციშვილმა, ამ სახლის გამგემ, უარი განაცხადა და მიზეზად მოიტანა. რომ სახლი ძველია და ბაქარის ქვრივმა შეკეთება დამავალაო. ი. ლორთქიფანიძე წერს: „ამგვარი შეუფერებელი უარი, რასაკვირველია, ადასტურებს როგორც ბაქარის ოჯახის, ისე ციციშვილის უკმაყოფილებას თეიმურაზისა და ერეკლესადმი“-ო.

ლენინგრადში ჩვენ შეგვხვდა ცერემონიალის ტექსტი, რომლის მიხედვითაც მოეწყო თეიმურაზ მეორის შესვლა რუსეთის იმპერატორთან. ვფიქრობთ, ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს მისი

<sup>1</sup> ი. ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1940, ნაკვ. II, გვ. 41.

შინაარსის გაცნობა. ხელნაწერის სათაურია: «Церемониал, касающийся до приему ожидаемого к здешнему императорскому двору грузинского владетеля Теймураза»<sup>1</sup>.

ცერემონიალში აღნიშნულია, რომ სანკტ-პეტერბურგში იშ სახლს, რომელშიც იცხოვრებს თეიმურაზი, დაენიშნება სპეციალური დაცვა, რომელიც ერთი პრაპორშიკის, ერთი სერჟანტის, ორი კაპრალის, ორი ჯარისკაცისა და ერთი მედოლისაგან შედგება.

თეიმურაზთან მუდმივ თანმხლებად ქართული ენის ცოდნის გამო დაინიშნება სტატ-კანტორის მრჩეველი თავადი ამილახვარი და მიეცემა ბრძანება მუდამ მზადყოფნაში ჰქონდეს საკარო კარეტა, ორი ცხენოსანი, ორი ლაქია და ერთი ეტლი. ამილახვარა აცნობებს თეიმურაზს, რომ პეტერბურგში ყოფნის მთელ მანძილზე თეიმურაზისათვის გამოყოფილი იქნება კარეტა პირადი სარგებლობისათვის. ჩამოსვლისთანავე თეიმურაზი ინახულებს კანცლერს გრაფ ვორონცოვს, რომელიც მას მიიღებს ზუსტად ისე, როგორც ევროპელ ელჩებს იღებენ. მისი საშუალებით თეიმურაზი გაიგებს, როდის დაიშვება მის უდიდებულესობასთან. მაშინ თავადი ამილახვარი გაემგზავრება საკარო კარეტით, რომელიც განკუთვნილია ქალაქში სასეირნოდ, ხოლო ამ უკანასკნელში იჯდება სამი რჩეული პირი თეიმურაზის ამალიდან. ამ აუდიენციის შესახებ ეცნობება მხოლოდ სამეფო კარის წარმომადგენლებს.

იმ აპარტამენტებში, რომელსაც მეფე აირჩევს, მისი უდიდებულესობა დახვდება ფეხზე მდგომი და თან იახლებს კანცლერს და რამდენიმე პირველთაგან ფრეილინას. ამის შემდეგ თეიმურაზს წაიყვანენ პეტრე თეოდორეს ძესთან, რომელიც აგრეთვე მას დახვდება ფეხზე მდგომი. ამის შემდეგ თეიმურაზს წაიყვანენ პავლე პეტრეს ძესთან. ყველა ამ აუდიენციის ღრის მასთან იქნება თავადი ამილახვარი. ყველა აპარტამენტში, სადაც თეიმურაზს მოუხდება მისვლა, ღია იქნება ორივე კარი.

ბანკეტებზე, თეატრალურ წარმოდგენებსა და სხვა ამგვარ ადგილებში სხვადასხვა ქვეყნის ელჩები მას არ დაუთმობენ დედოფლის ხელს (права руки), რაც წინასწარ უნდა ეცნობოს მას, — ნათქვამია „ცერემონიალში“.

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 469, оп. 1, д. 162.

1761 წელს «Петербургские ведомости»-ში აღინიშნა თეიმურაზის ჩასვლა პეტერბურგში და დაიბეჭდა მისი სიტყვა, წარმოთქმული ელისაბედის კარზე.

როგორც ჩანს, თეიმურაზის გარეგნობას გარკვეული შთაბეჭდილება მოუხდენია პეტერბურგის მაღალ წრეებზე. ამაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ 1761 წელს პეტერბურგში სამხატვრო აკადემიის მხატვარს ა. ანტროპოვს და გრაფიურისტებს ე. ვინოგრადოვს და ა. გრეკოვს შეუსრულებიათ თეიმურაზ II პორტრეტი<sup>1</sup>.

პეტერბურგში გატარებულმა დრომ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა თეიმურაზ მეორეზე. ამის უტყუარი დადასტურებაა მისი პოეტური შემოქმედება, რომელშიაც დიდი ადგილი დაუთმო პეტერბურგში მიღებულ ემოციებს. სწორედ სასახლის რჩეულ ქალთა შორის უნდა შეხვედროდა თეიმურაზი ცნობილი სარდლის ალ. ბუტურლინის ქალიშვილს ვარვარას, რომლისადმი დიდი ზრძნობით გამსჭვალულა უკვე ხანში შეაუღლი მეფე-პოეტი:

„ღამშვენებულსა პირზედა გიხდების შავი ხალია,  
აწ შენსა მოშორებასა ვინდა მოელის, ბრალია,  
სასურველსა და სიყვარულს, მოგშორდე, დამწვაეს ალია,  
არ არის შენიცა სწორი ევროპიაში ქალია“.

მიმართავს ვარვარა ბუტურლინას თეიმურაზი. ევროპაში „გაშლილი ვარდის“ ტრფობასა და სიყვარულს თეიმურაზი იქამდე მიჰყავს, რომ შოთა რუსთაველის ქების ობიექტების გადაფასებასაც კი ახდენს.

პოეტის აზრით, შოთა რუსთაველის სიტყვის ძალა და ბარაქა არარსებულ, გამოგონილ ნესტანისა და თინათინის შემგობაზე კი არ უნდა დახარჯულიყო, არამედ:

„სჯობდა მას ზედა თქმულიყო, ვის მზე არ შეედარების,  
ევროპიაში რომელსა ბნელი არ მიეკარების,  
კინც რომე ნათლობს ნიადაგ. შუქი არ დაემაღლების“<sup>2</sup>.

1 თ. კუონია, გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1947, გვ. 258.

2 ამის შესახებ იხ. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 471 — 472.

პოეტს ნაღველს ჰგვრის ის გარემოება, რომ სამშობლოში დაბრუნება მოაშორებს სასურველ და ძვირფას ადამიანს:

„როსაც რომ მოგეშორები ტურფას, რა სასახელოსა,  
ესრეთცა ვგონებ გაყარამა მე თქვენმა გამახელოსა!  
ლამაზ თვალთ მოვეშორები, როს წავალ საქართველოსა“.

გარჯარა ბუტურლინისადმი მიძღვნილ ამ ლექსიდან კარგად ჩანს, რამდენად დაახლოებია თეიმურაზი პეტერბურგის მაღალ საზოგადოებას. უეჭველია, მას არა ერთი და ორი თბილი მოგონება დარჩებოდა პეტერბურგში გატარებული დღეებიდან.

პეტერბურგში თეიმურაზის ყოფნასთან დაკავშირებულ მასალებში ჩვენ არ შეგვხვდა ცნობა თეიმურაზის რაიმე ურთიერთობისა იმ ქართველებთან, რომლებიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდნენ. ზემოხსენებული ცერემონიალიდან ჩანს, რომ პეტერბურგში მის მუდმივ მხლებლად, ქართული ენის ცოდნის გამო, დაინიშნა სტატკანტორის მრჩეველი თავადი ამილახვარი. გარდა ოფიციალურად გამოყოფილი ამ ქართველისა, პეტერბურგში თეიმურაზთან ურთიერთობაში არ ჩანს არც ერთი იქ მცხოვრები ქართველი. ჩვენი აზრით, ეს იმითვე უნდა აიხსნას, რითაც ი. ლორთქიფანიძე ხსნიდა რუსეთში მყოფი ვახტანგის შთამომავლების დამოკიდებულებას თეიმურაზ-ერეკლესადმი.

მაგრამ თეიმურაზს, როგორც ცნობილია, პეტერბურგში ახლდა თავისი ამაღლა. ამაღლის ძირითად წევრთა ვინაობა დაწვრილებით აღნიშნულია ზემომოტანილ ცერემონიალის დანართში, კერძოდ. თავად ამილახვარის მიერ შედგენილ წერილში კანცლერის მიმართ. მოსალოდნელია, რომ პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებს, თუ თვით თეიმურაზთან არა, მისი ამაღლის წევრებთან მაინც უნდა დაემყარებინათ რაღაც კავშირი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თეიმურაზის ამაღლის წევრები პეტერბურგში ეცნობიან ქართველთა ნამუშევარს და ზაალ ავალიშვილი (პირი, რომელსაც თეიმურაზის გარდერობი აბარია) გარკვეულ თანხასაც იღებს და პირადად თავისთვის აწერინებს ქართულად თარგმნილ აპოვთეგმატას. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ხელნაწერი ზაალ ავალიშვილს საქართველოში წამოუღია და იგი ჩვენს ხელნაწერთა ფონდებშია დაცული.

აზიის ხალხთა ინსტიტუტში დაცული ერთი ხელნაწერი (C-44) თეიმურაზის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებზე მოგვითხრობს: „წელსა 1762, იანვრის 8, შუადღეს უკან, ჟამსა მეექუსესა დაწყებისასა, ნეტარად სახსენებელი კეთილმორწმუნე მეფე ქართლ-კახეთისა (sic!) თეიმურაზ, რა ნებითა ღვთისათა მიერ სოფლით განსულასა განემზადა და მერმისა მის საუკუნისა მიმთხვევად წარსდგა, სულთ ბრძოლის წარკითხვის უკან მარჯვნივ კერძო მიწეა და მოჩქარებით უკაფიოდ საუბარი რამ დაიწყო. და რა ყური მიუგდეთ, ვსცანიოთ, რომ ლოცვას ამბობდა. ამასთან იესო ტკბილი მისცა პირშიგან მღუდელმან, რომელი დიახ წმიდად კაფიად და სასოებით იწყო წარმოთქმად, სიმონ დეკანოზის ჩაკითხვით რა რომ რამდენიმე წარმოთქვა, დიახ თამამად წამოიწია და ნახევრად წამოჯდა, მითამც რამე უნდოდა, ჩაეკითხენ რა გეპრიანებაო. მან მართლა გაღიმებულმან თქვა ხელმწიფის კურთხევაში ვიყავ და ვილოცებოდით, არ დამაცალეთო. რა ესე წარმოთქვა მაშინვე მიწვა იმავე მხარეს და ისრე მილულვით იწყო კუალად ლოცვავე ძნად სასმენელად. მღვდელმან ისევ იესო ტკბილი მისცა და ეგრე შეასრულებინა და ჩასძახა თუ ენით ვერა სთქვამ, გონებაში გქონდესო, წმიდად უპასუხა: მესმის და გულში მაქვსო და ამას უკან მითამც კუალად ლაპარაკი მოუმატა. მღვდელი ჩაეკითხა: რას ბრძანებო. მან გამოჩენით წარმოსთქვა: კათოლიკეებს ხომ შეიწყნარებენო? მღვდელმან მალ უპასუხა: დიახ შეიწყნარებენო. მეფემ მეორედ წარმოსთქვა: მე ხომ აღმოსავლეთის კათოლიკე ვარო და მიიძინა. ამის მხილველნი და მსმენელნი მრავალნი იყვნეს მას ჟამსა, რომ ჰეშმარიტად ესრეთ იყო<sup>1</sup>,— აბოლოებს თეიმურაზის გარდაცვალების ამბავს ამბის მთხრობელი, რომელიც მისი ამაღლის წარმომადგენელი უნდა იყოს.

### 3. ჭარბიველები რუსეთის პოლიტიკურ და კულტურულ ასპარეზზე

მოსკოვისა და პეტერბურგის ქართულმა კოლონიებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ და კულტურულ ასპარეზზე. ეს საკმაოდ ცნობილი და მეცნიერებაში აღი-

<sup>1</sup> აზიის ხალხთა ინსტიტუტი, C-44.

რებული ფაქტია. მას არაერთხელ შეხებიან ჩვენი ცნობილი ისტორიკოსები და ლიტერატორები.

როგორც ა. ბარამიძე წერს: «Московская грузинская колония сыграла огромную роль в деле взаимного ознакомления и сближения русского и грузинского народов.. На деятельности первых же членов Московской грузинской колонии явно сказалось благотворное влияние русской культуры, это влияние в дальнейшем все углублялось и распространялось на все области культуры (науку, просвещение, общественную мысль, литературу, искусство и т. д.). В Московской грузинской колонии были укреплены основы подлинного братства и дружбы русского и грузинского народов»<sup>1</sup>.

აკად. ნ. ბერძენიშვილი ერთ-ერთ თავის ნაშრომში — „XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან“ — ეხება ვახტანგისა და მისი ამალის მოსკოვში წასვლის საკითხს და აღნიშნავს, რომ: „მთელი XVIII საუკუნის სიგრძეზე ისინი (ამ კოლონიის წარმომადგენლები, — ნ. ბ. ) რუსეთში განაგრძობდნენ სასარგებლო საქმიანობას, სთარგმნიდნენ რუსულიდან სამეცნიერო სასწავლო წიგნებს, კვლავ აღადგინეს არჩილის მიერ გამართული სტამბა, სადაც ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს, განაგრძობდნენ სამშობლოში დაწყებულ სამეცნიერო შრომებს და სხვ.<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს იმ უდიდეს მნიშვნელობაზეც, რაც ჰქონდა მოსკოვის ქართულ კოლონიას პოლიტიკური თვალსაზრისითაც: «Грузинская колония в Москве была настоящим центром политических эмигрантов-патриотов, неустанно боровшихся за дело освобождения родины от насилия кизилбашей и турок»<sup>3</sup>.

„მაგრამ, — სამართლიანად წერს მეცნიერი, — ორი თაობის სიგრძეზე ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ქართული კულტურის კერა უმემკვიდრეოდ გადასაშენებლად იყო განწირუ-

<sup>1</sup> А. Г. Барамидзе, Давид Гурамишвили, Тбилиси, 1955, გვ. 12.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკ. I, გვ. 183 — 184.

<sup>3</sup> Н. А. Бердзенишвили, Путеводитель к выставке „Грузинская колония в Москве“, Мемориальный, III, 1953 წ., გვ. 283.



ლი: საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის ქართული კოლონია კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობას ვერ ქმნიდა<sup>1</sup>.

ყველაფერი ის, რაც გამოთქმული აქვს ნ. ბერძენიშვილს მოსკოვის ქართული კოლონიის შესახებ, თავისუფლად შეგვიძლია მივუყენოთ პეტერბურგის ქართულ კოლონიას. შესძლებდა თუ არა ათეული წლების განმავლობაში საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი პეტერბურგის ქართული კოლონია თავისი სახის შენარჩუნებას, რომ XIX საუკუნის დასაწყისში პეტერბურგში ქართველ კოლონისტთა რიცხვს არ შემატებოდა ერეკლე მეფის მრავალრიცხოვანი შთამომავლობა?

თუ პეტერბურგში ჩასვლისას ქართველი კოლონისტები, როგორც ახლადჩასულნი, შეურიგდნენ და შეეგუენ პეტერბურგში დარჩენას, ე. ი. შეეგუენ მის მკაცრ ჰავას, ახლადამენებული ქალაქის მთელ რიგ სიძნელეებს და სხვა, შემდეგ ხანებში ქართული კოლონიის წევრებიც ცდილობენ, პეტერბურგის მოსახლეობის სხვა წარმომადგენლების მსგავსად, საცხოვრებლად აირჩიონ უფრო ადვილად შესაგუებელი ადგილი. ამაზე მეტყველებს სინოდის სახელზე გაგზავნილი მთელი რიგი განცხადებები. ქართველი სასულიერო პირები ითხოვენ პეტერბურგის ახლო მდებარე ეკლესია-მონასტრებიდან მოსკოვთან ახლო მდებარე ეკლესია-მონასტრებში გადაყვანას იმის გამო, რომ მათი ჯანმრთელობა ვერ უძლებს პეტერბურგის სუსხიან ჰავას. ამითვე უნდა აიხსნებოდეს მთელი რიგი მაღალი გვარის ოჯახთა გადასვლა საცხოვრებლად პეტერბურგიდან სხვადასხვა ქალაქში.

ვახტანგის ამალის ჩასვლიდან პეტერბურგში 25 წელი გავიდა. ვახტანგის ამალის ბევრი წევრი მთელი ოჯახით გადავიდა რუსეთში. ბავშვების დიდი ნაწილი ვერ შეეგუა რუსეთის უჩვეულო ჰავას და ისინი პეტერბურგის მიწამ მიიბარა ადრეულად. გავიხსენოთ სვიმონ ბატონიშვილის ორი ვაჟის — დიმიტრისა და სტეფანეს ხვედრი<sup>2</sup>. პეტერბურგის ნეკროპოლთა აღწერებში იშვიათი როლია მცირეწლოვანთა სახელები. რამდენიმე ათეული წლის

1 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944 წ., გვ. 184.

2 ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი პოლიტიკური ისტორიიდან. მიმოხილველი, III, 1953.

შემდეგ ამაღის წევრთა გადარჩენილი მცირეწლოვანი თაობა წამოიჩინა, წამოიზარდა და ბევრი მათგანი პეტერბურგის სხვადასხვა სასწავლო-დაწესებულების მოსწავლე გახდა. მხედველობაშია მისაღები, რომ ქართველი კოლონისტების ეს უმცროსი თაობა პეტერბურგში ის აღარ არის, რაც მათი მამების თაობა იყო. თუ მათ მამებს, საქართველოში გაზრდილებს და მრავალჭირგადატანილებს რუსეთში ცხოვრების მთელ მანძილზე თვალწინ საქართველო და მისი მომავალი ედგათ, მასზე ფიქრობდნენ და იქ დაბრუნებას ნატრობდნენ, ეს უმცროსი თაობა 3—4 წლის ასაკიდან ცხოვრობს რუსეთში, აწმყოთი ცოცხლობს და მის წარმოდგენაში მკრთალადაა ასახული საქართველო და მისი რაობა. შემთხვევითი არ არის, რომ ამ თაობამ წარმოშვა რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე კარგად ცნობილი მოღვაწენი, რომელთაც თავიანთი ქართველობა თითქმის დავიწყებული ჰქონდათ<sup>1</sup>.

ერთი მხრივ, ქართველობის შემცირებამ პეტერბურგში, მეორე მხრივ, კი იმან, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმცროსი თაობა ის აღარ იყო, რაც მათი მამების თაობა, ქართული კოლონიის, როგორც ქართული კულტურის კერის სახე, შეიძლება ითქვას, წაშალა და პეტერბურგში მცხოვრები ქართველები რუსულ სამწერლო ასპარეზზე გამოიყვანა.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს აღარაფერი იქმნება ქართულ ენაზე. ამ პერიოდში შეიქმნა დ. ციციშვილის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი არითმეტიკა; საბას ლექსიკონი, 1756 წელს გადაწერილი მელქისედეგ კავკასიძის მიერ; ფლორიანის „ნუმა პამფილია“, თარგმნილი 1795 წელს; „აპოფთეგმატა“, გადაწერილი 1762 წელს; სამედიცინო ხასიათის რჩევა-დარიგებანი, რომლის სათაურია „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა“, 1782 წელს გადაწერილი; „სწავლანი სამეცნიერონი“, გადაწერილი 1761

---

<sup>1</sup> რუსეთის სხვადასხვა ქალაქში საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწე ქართველების შესახებ იხ. ო. გვინჩიძის — ალექსი წერეთელი რუსეთის გენერალური კონსული ბულგარეთში, თბ., 1962; მისივე — რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან, თბ., 1957. მისივე — ნ. წერეთელი — უკრაინული ზეპირსიტყვიერების მკვლევარი. თბ., 1954; Н. Тарсаидзе, Материалы по истории поселения грузин в России в первой половине XVIII века, Тб., 1964.

წელს; „მოკლედ სიტყვისგება სოგრატიისი“ და სხვ. საფიქრებელია, პეტერბურგის ქართველ კოლონისტთა წრეში კიდევ მრავალი ქართული წიგნი შეიქმნა, ან გადაიწერა, მაგრამ მათ დღემდე არ მოუღწევია. ყველა ზემოდასახელებული ხელნაწერი ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის საკუთრებას შეადგენს, ე. ი. შექმნისთანავე განკუთვნილი იყო საქართველოში გამოსაგზავნად. საინტერესოა ფლორიანის თხზულების მინაწერი: „ვინაიდან სიყვარული და შეკრულება თვისისა მამულისად აღვიძებს კეთილად მგრძობელთა ერთა, რათამცა ნაყოფთა თვსთა გამოღებითა ჰმსახურონ მამულსა და უმეტესად თავსაცა თვსცა, ამისთვის მე, ახალ ნერგ ნაყოფთა მჩენამან სწავლათა შინა, ვიწყე შურისგება სხვათა ენად. რომელ ვხედვიდი მრავალთა ისტორიათა დაწერილთა თვს შორის... ვიცი მსურველნი მოცალეობისა ჟამსა კეთილსათნობითა ჯერიჩენებთ წარკითხვასა ამისსა და უფროს ამისთვის ოდენ, რომელ ქართულსა ენასა ზედა ესე პირველი არს და არა არს სხვა თვნიერ ამისა“!

საკმარისია მხოლოდ ეს ერთი მინაწერი იმის ნათელსაყოფად, თუ რას ისახავს მიზნად პეტერბურგში მცხოვრები ქართველების მთარგმნელობითი საქმიანობა.

მაგრამ ამ პერიოდში არავითარი საგამომცემლო საქმიანობა არ ჩანს ქართულ ენაზე და თარგმანების რიცხვიც შეზღუდულია, თუმც, როგორც ნათქვამია იუფეროვის «Академическая типография»-ში, 40 — 50-იან წლებში ქართველები კვლავ იძლევიან შეკვეთას ქართული შრიფტის ჩამოსასხმელად.

#### ა. ხ. ივანაძი

ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის შესანიშნავი მცოდნე პროფ. პ. ნ. ბერკოვი თავის ერთ-ერთ წერილში, ლაპარაკობს რა რუსი მკითხველის ინტერესზე სხვა ერების ლიტერატურათა მიმართ, აღნიშნავს, რომ რუსი მკითხველის ინტერესი XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისშიც კი საკმაოდ განსაზღვრული იყო. მისი ყურადღება მიპყრობილი იყო ანტიკური

და დასავლეთევროპული ლიტერატურული პროდუქციისადმი. რაც შეეხება კავკასიის ქვეყნების ლიტერატურასო, წერს პ. ბერკოვი: «Русский читатель XVIII века разделял с западноевропейским почти полную неосведомленность в этой области»<sup>1</sup>.

მოსკოვ-პეტერბურგის ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა XVIII საუკუნის 70-იან წლებში პეტერბურგში, პირველად რუსულ ენაზე, ბექდური სახით გამოაქვეყნეს ორი თხზულება. ერთი მათგანია:

I. «Похождение новомодной красавицы принцессы Гланданы и храброго принца Барамы».

ტრ. რუხაძე თავის წიგნში ვრცლად შეეხო „ბარამგულანდამიანის“ ქართული და რუსული რედაქციების საკითხს<sup>2</sup>, საგანგებო შედარება აწარმოვა და მრავალი საინტერესო აზრი გამოთქვა. ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

II. 1779 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა: «История Георгианская о юноше князе Амилохорове... которую рассказывает Усим купец Анатольский, переведена на русский язык И. С. СПб, 1779 г.».

ეს თხზულება დიდი ხანია რუსულ-ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შევიდა როგორც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს პოლიტიკური აზროვნების ამსახველი ძეგლი.

თხზულებაში ასახულია თეიმურაზ მეორისა და ერეკლეს მეფობის ხანა; სამეფოსა და ცალკეულ თავადებს შორის წარმოებული მწვავე ბრძოლები.

ამ თხზულების, როგორც ისტორიული ვითარების ამსახველი ძეგლის და აღ. ამილახვრის, როგორც იდეოლოგის, შეფასება და შესწავლა მოცემულია გ. აკოფაშვილის საინტერესო ნაშრომში: „საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში მე-18 საუკუნის დასასრულს“.

ავტორი აღ. ამილახვრის ცხოვრებისა და შემოქმედების შეს-

---

<sup>1</sup> П. Н. Берков, Шота Руставели в русской литературе, Известия Академии наук СССР, Отд. общ. наук, 1938 г., № 3.

<sup>2</sup> ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 135—146.

წავლის საფუძველზე უარყოფს მეცნიერებაში გამოთქმულ შეხედულებას, რომ ალ. ამილახვარი ფრანგი განმანათლებლების იდეების გავლენის ქვეშ იმყოფება და განათლებული აბსოლუტიზმის დამცველია. გ. აკოფაშვილის სიტყვით: „განათლებული აბსოლუტიზმი“ სრულიად უცხოა ამილახვარის მსოფლმხედველობისათვის და ფრანგი განმანათლებლების იდეებმა, რომლებსაც უდავოდ იცნობდა ალ. ამილახვარი, მის პოლიტიკურ თეორიაზე მხოლოდ ზედაპირული კვალი დააჩინეს“<sup>1</sup>.

გ. აკოფაშვილი ალ. ამილახვარის მტრობას ერეკლე II მიმართ ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ საფუძველებს უძებნის. იგი წერს: „ა. ამილახვარს სურს ისე წარმოადგინოს საქმე, თითქოს ამილახვართა გვარი ყოველთვის კანონიერი დინასტიისათვის იბრძოდა და ახლაც ალექსანდრეს დროს ამისთვის განავრძობს ბრძოლას. სინამდვილეში, კახეთის ბაგრატიონთა არაკანონიერება ქართლის სამეფო კარზე (რის აზრის გატარებასაც დაჟინებით ცდილობს ალ. ამილახვარი თავის თხზულებაში) არის უფრო საბაბი ალ. ამილახვარისა და მამამისის ოპოზიციისა ქართლში გამეფებული კახეთის ბაგრატიონების მიმართ. ნამდვილი მიზეზი უფრო ღრმაა და თავადების მიმართ ერეკლეს მიერ წარმოებულ მკაცრ პოლიტიკაშია საძიებელი“<sup>2</sup>.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრეობისათვის იბრძვის, თუ ერეკლეს საშინაო პოლიტიკას ებრძვის ალ. ამილახვარი, ამ ნაწარმოების მიხედვით ავტორი მკითხველის თვალწინ დგას, როგორც ერეკლეს საგარეო და საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილო, მეფისადმი მტრულად განწყობილი ფეოდალი. თხზულების მიზანია დაგმოს, დასცეს და გააბიაბრუოს იმ დროს უკვე მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ერეკლე მეფის სახელი და ავტორიტეტი. ამასთან, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ თხზულება დაიწერა რუსულ ენაზე და ბეჭდური სახითაც ამ ენაზე გამოქვეყნდა.

---

<sup>1</sup> გ. აკოფაშვილი, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I. 1955, გვ. 173.

<sup>2</sup> იქვე.

პირველ რიგში საკითხავია, ვინ არის *И. С.*, რომელიც სათაურში მითითებულია როგორც მთარგმნელი. როგორც *ა. ბარამიძე* გაარკვია, ამ ინიციალების ქვეშ იგულისხმება სვიმონ იგნატიევი<sup>1</sup>. ამავე აზრს იზიარებს ტრ. რუხაძე—*ს. იგნატიევს წვლილი უდევს აგრეთვე ალ. ამილახვარის „გეორგიანული ისტორიის რუსულ თარგმანსა და ერთ-ერთ რუსულ-ქართულ ლექსიკონში“<sup>2</sup>,—წერს მკვლევარი.*

გფიქრობთ, *ს. იგნატიევი* შეიძლება ყოფილიყო ალ. ამილახვარის მხოლოდ ხელშემწყობი და დამხმარე თხზულების რუსულად გამოქვეყნების საქმეში. იგი რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის თანამშრომელია და ქართული საბუთების რუსულ ენაზე თარგმნა და რუსულიდან ქართულად გადმოღება მას ევალება. როგორც პროფ. ი. ცინცაძე წერს: „სიმონ ეგნატაშვილი ოთხმოციანი წლების საგარეო პოლიტიკის მესაქეს ფელდმარშალ გ. პოტიომკინს ჰყოლია ქართული საბუთების მთარგმნელად აყვანილი და იმავე დროს გარსევან ჰაეჭავაძესაც „შველოდა“ ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ემსახურებოდა საელჩოში რუსულად მიმოწერის დროს“<sup>3</sup>.

*ს. ეგნატაშვილის* თარჯიმნობის ხასიათზე, მის ორგულ დამოკიდებულებაზე საქართველოს საელჩოს მიმართ, საკმარისად აღინიშნა პროფ. ი. ცინცაძისა და პროფ. *ა. ბარამიძის* ნაშრომებში. *ს. ეგნატაშვილი* ერეკლეს საწინააღმდეგოდ განწყობილ იმ პირთა დასს მიეკუთვნება, რომლებიც ყოველნაირად უშლიდნენ ხელს თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკის წარმატებას. ამით უნდა აიხსნებოდეს მისი, როგორც თარჯიმნის, ასეთი „ღვაწლიც“ ერეკლეს სამეფოს მიმართ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად გვეჩვენება ის როლი, რომელიც ალბათ სიმონ იგნატიევს ეკუთვნოდა, როგორც შემძლე პირს, გეორგიანული ისტორიის დაბეჭდვაში. ალბათ წიგნზე მითითებული მისი ინიციალები *И. С.* მის ამგვარ დამსახურებასა და რედაქტორობაზე უნდა მიუთითებდეს და არა მთარგმნელობაზე. *ს. იგნატიევის* სხვა თარგმანები, განსაკუთრებით

1 იხ. *ა. ბარამიძე* — ბესიკის გარეშე, ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 151 — 163.

2 ტრ. რუხაძე — ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 136.

3 ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, 1950 წ., გვ. 147.

«Песнь слепого певца», რომელსაც ჩვენ ახლა შევხვებით, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ გეორგიანული ისტორიის მთარგმნელი ვერ თარგმნიდა მხატვრულად და ენობრივად ასეთ მაღალ სიმაღლეზე მდგომ, „ბრმა მემუსიკის სიმღერას“.

მიუხედავად ს. ეგნატაშვილის იმ საჩოთირო რეპუტაციისა. რომელიც მან საესეებით დაიმსახურა, ის მაინც საინტერესო ფიგურაა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოსკოვ-პეტერბურგის ქართველთა ლიტერატურული წრისა. აქ, პირველ რიგში, უნდა მოვიხსენიოთ მის მიერ შედგენილი ქართულ-რუსული ლექსიკონა, რომელზედაც ს. ეგნატაშვილს რამდენიმე წელი უმუშავია. როგორც ა. აბრამიშვილის წერილიდან ჩანს<sup>1</sup>, სვიმონის შვილს ნიკო ეგნატაშვილს მამის გარდაცვალების შემდეგ მინისტრ პ. ზავადარსკისთან და შემდეგში ა. კ. რაზუმოვსკისთან მიმოწერა უწარმოებია მამის მიერ შედგენილი ლექსიკონის თაობაზე. ლექსიკონის ბედი დღემდე უცნობია და არ ვიცით, რა მოცულობისა იყო და სად დაიკარგა იგი.

ს. ეგნატაშვილის რუსულ თარგმანებს შორის საპატიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს ზემოხსენებულ „ბრმა მემუსიკის სიმღერას“, რომელსაც რუსულად ეწოდება. «Грузинская песнь слепого певца Екатерине великой»<sup>2</sup>.

1783 წელს მფარველობითი ტრაქტატის პროექტის წაღება ერეკლე მეფესთან გრიგოლ პოტიომკინმა დაავალა თავის ბიძაშვილს — პავლე პოტიომკინს, რომელსაც დამხმარედ ამ საქმეში მიუჩინა პოლკოვნიკი ტამარა. ამავე პერიოდს ემთხვევა იმერეთის მეფე სოლომონის თხოვნა რუსეთის წინაშე, რომ დაიცვან იმერეთი ოსმალეთის სადაზვერვო მოქმედებისაგან. პოტიომკინმა ტამარას დაავალა ჩასულიყო იმერეთში, სოლომონ მეფისათვის გადაეცა რუსეთის კეთილი სურვილები და მისი წერილი. ქუთაისში შეიკრიბნენ საზოგადოების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, რომელთაც შეადგინეს თხოვნა და გამოხატეს თავისი სწრაფვა რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლისა.

1 ა. აბრამიშვილი, ერთი უცნობი ქართულ-რუსული ლექსიკონის შესახებ, ვახ. «სახალხო განათლება», 1952, 24 დეკემბერი.

2 Труды и летописи общества истории и древностей Российских. т. VIII.

აქ, ამ ზემის დროს, ქუთაისელ ბრმა მემუსიკეს, ანუ დღევანდელი გამოთქმა რომ ეიხმართ, ხალხურ მოლექსეს, ჩონგურის აკომპანიმენტზე უნდა წარმოეთქვა ეკატერინე მეორისადმი მიძღვნილი სახობო ლექსი, რომელსაც აღტაცებაში მოუყვანია პოლკოვნიკი ტამარა და ს. იგნატიევისათვის (რომელიც, როგორც ჩანს, თან ხლებია) მისი თარგმნა დაუვალებია.

რუსულ ენაზე ს. იგნატიევის მიერ თარგმნილი ეს ლექსი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში არსად არ ყოფილა მოყვანილი და ამიტომ საკიროდ ვთვლით მის წარმოდგენას.

«Первый восторг моего воображения, первый предмет моих мыслей, первое движение моего сердца и первое ударе-ние моих перстов — есть слава твоя, о Екатерина.

Несчастливая прародительница человеков Азия! Ты лишена лепоты своей, вздохи твои гнусны и слезы презрительны кажутся пожертвовавшим тобою детям твоим.

Повергнувшее и обезобразившее тебя чудовище терзает прекрасные члены, точит кровь твою. Силы земные бегут и трепещут, в сердце их презрительный страх, на языке клевета противу тебя. Кто устрашает устрашающего? Кто помрачает блистание очей свирепых? Кто томит силу когтей ужасных и трясет челюсть кровожадного?

Твой взор, о Екатерина!

Ты первая из детей, подающая надежду возлюбленной праматери человеков, лишенной места и достоинства своего. Ты, поддержав ослабленную главу ея, рекла: не унывай, я чту тебя. Ты прекрасна очам и мила сердцу моему, ты мне своя, не чужая.

Возстани, древняя Сарра! Облекися, отри слезы, разчешы власы, украси дом твой и возрадуйся, да възграют в нем опять чада твои не иноплеменнычи. Се из севера возстанет туча огнедыущая и молнии мечущая, ея спасительные потоки очистят мглу и изнесут поругание из дома твоего»<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> Труды и летописи общества истории и древностей Российских, ч. VIII, М., 1837.



თარგმანი რომ აშკარად სტილიზებულია და ასეთი არ იქნებოდა იგი ხალხურ მოლექსესთან, ეს ფაქტია, მაგრამ მაინც ეს ნაწარმოები საინტერესოა არა მარტო როგორც ქართულიდან რუსულად თარგმნილი პოეტური ძეგლი, არამედ როგორც ქართული ხალხური სიტყვიერების ისეთი ნიმუშიც, რომლის რუსულად თარგმნა საჭიროდ მიუჩნევია იმერეთში მყოფ რუს წარმომადგენელს.

იმერელი ბრმა მუსიკოსის სიმღერაში, ერთი მხრივ, გამოვლინდა ის დიდი იმედი ეროვნული მეობის შენარჩუნებისა, რომელსაც რუსეთთან სიახლოვე და კავშირი უნერგავდა ქართველ ხალხს, მეორე მხრივ, ს. იგნატიევის დიდი პატრიოტული გრძნობით გამთბარმა და მაღალი ოსტატობით თარგმნილმა ამ ნაწარმოებმა ისიც გამოავლინა, რომ ს. იგნატიევის მოღალატური მოღვაწეობაც ქართულ-რუსულ საელჩოთა შორის, ერეკლეს მმართველობისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას და არა მისი ანტიპატრიოტული მოქმედებით. თუმცა, როგორც გ. ქიქოძე წერდა ალ. ამილახვართან დაკავშირებით, ამგვარი „პოლიტიკური მოღვაწეობა მაინც საზარალო იყო ქართველი ერის ინტერესების თვალსაზრისით, ვინაიდან ის მიმართული იყო ქართველ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს კი ერთადერთი ძალა იყო, რომელსაც შეეძლო ჩვენი ერისთვის ხელმძღვანელობა გაეწია მე-18 ს. II ნახევარში“<sup>1</sup>.

## ბ. დიმიტრი პავლეს ამ ციციშვილი

ვახტანგის ამაღლას რუსეთში რამდენიმე ციციშვილი გაჰყვა თავის ოჯახებით. ამიტომაც რუსეთის კულტურულ-ლიტერატურულ სარბიელზე XVIII — XIX საუკუნეებში არაერთხელ გვხვდება ციციშვილების გვარი. როგორც კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, ციციშვილთა სახელები ძირითადად უკავშირდება რუსეთში ჩასული ორი წინაპრის — პაპუნა ციციშვილისა და იასე ციციშვილის სახელებს.

როგორც ცნობილია, 1742 წელს პაპუნა ციციშვილი გმირულად დაიღუპა რუსეთ-შვეციის ომში, როგორც ქართველი ჰუსარი.

<sup>1</sup> გ. ქიქოძე, გეორგიანული ისტორია, მნათობი, 1939, № 7.

მას დარჩა ერთი ვაჟი — დიმიტრი. რუსეთში სხვადასხვა ადგილას გაბნეულ ცნობათა მიხედვით, დიმიტრი პაპუნას ძე, ანუ პავლეს ძე ციციანოვი გვევლინება თავისი დროის ერთ-ერთ საინტერესო მოღვაწედ. როგორც ვახტანგის ამალის ნუსხიდან ჩანს, რუსეთში წასულ პაპუნა ციციშვილს თან წაუყვანია თავისი ერთი ვაჟი, რომელიც ამ დროს ორი წლის უნდა ყოფილიყო (დ. ციციშვილი დაიბადა 1723 წელს).

დიმიტრი ციციშვილის სახით საქმე გვაქვს რუსეთში ჩასული ვახტანგის ამალის იმ ახალ თაობასთან, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. იგი ერთი პირველთაგანია იმ ქართველ მოსწავლეთა შორის, რომელთაც პეტერბურგის სასწავლებელთა კარი შეაღეს. დიმიტრი ციციშვილი 1739 წელს შედის კადეტთა კორპუსში (сухопутный шляхетный Кадетский корпус). 1742 წლის 25 თებერვალს ჩატარებულ გამოცდებზე, რომელიც მოეწყო კურსდამთავრებულთათვის პროფესორების კრაფტის, ვინგეიმის, გეიკსიუსისა და გელერტის მონაწილეობით, დიმიტრი ციციშვილმა, ანუ იმ დროს უკვე ციციანოვმა, მეტად მაღალი შეფასება მიიღო. საინტერესოა თანამედროვის მიერ მოცემული დახასიათება დ. ციციანოვისა, რომელიც ჩვენ შეგვხვდა წიგნში -- «Именной список всем бывшим и ныне находящимся в сухопутном шляхетном Кадетском корпусе», ч. I, 1761 г.: «По немецки говорит и сочиняет немецкия письма без диспозиции, французскаго и латынскаго автора разумеет, переводит с оных сих языков на российской и немецкой, имеет доброе начало в переводах с немецкого на французский язык, притом весьма добраго и порядочнаго поведения».

ამავე წერილში ლაპარაკია იმ სხვადასხვა მეცნიერებაზე, რომელთაც დაუფლებია პეტერბურგში დიმიტრი ციციშვილი: ფიზიკა, იუს-ნატურა, გეოგრაფია, კრიმინალისტიკა და სხვ. ერთ-ერთი ცნობით მიხეილ ხერსაკოვმა სთხოვა დიმიტრი ციციშვილს მონაწილეობა მიეღო რუსული კანონმდებლობის გამოცემაში<sup>1</sup>.

ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებულ ერთ ხელნაწერში, რომელიც პავლე ციციანოვის (მთავარმართებლის)

<sup>1</sup> К. П. Шаликов, Жизнь князя П. Д. Цицианова.

რუსულიდან თარგმნილ ბიოგრაფიას წარმოადგენს, მისი მამის, ე. ი. დიმიტრი ციციშვილის შესახებ ნათქვამია: „თავადი დიმიტრი ციციანოვი აღიზარდა სუხოპუტნის კადეტის კორპუსსა შინა, უამსა ღრაფის რუმიანცევის ზადუნაისკისა, თავადის ა. ა. ვიაზემსკისა, ვ. ნ. მილსინისა, ა. პ. სუმაროკოვისა და სხვათა პირთა, რომელთა მოუგეს თავთა თვისთა გამოჩინებული სახელნი“<sup>1</sup>.

ამრიგად, ჩვენს წინ არის ვახტანგის ამალის წევრთა პირველი თაობა დიმიტრი ციციშვილის სახით. იგი რუსეთის კულტურული ცხოვრების ცენტრშია და როგორც მოყვანილი ადგილებიდან ჩანს, მისივე საინტერესო წარმომადგენელია.

ეს თაობა, თუმცა რუსეთში იზრდება, ჯერ ძალიან ახლოს დგას საქართველოსთან, მის ცალკეულ წარმომადგენლებთან და მის კულტურასთან. ამას მოწმობს დიმიტრი ციციშვილის მოღვაწეობა რუსეთში ქართული კულტურისათვის. ტრ. რუხაძე თავის წიგნში „ქართულ-რუსული ურთიერთობა“ მიუთითებს, რომ დიმიტრის ზედამხედველობით რუსეთში დაიბეჭდა შემდეგი წიგნები: „დავითნი“, „სახარება გამოკრებული“ და „უამნი“. შემთხვევითი არ არის, რომ ანტონ კათალიკოსი თავის „წყობილსიტყვაობაში“ აქებს მის საბრძნეს, გონიერებას და უწოდებს მას „რუსთაცა და ქართუელთა მეცნიერს“.

საინტერესოა ჩვენში დაცული დიმიტრი ციციშვილის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი არითმეტიკა, რომელიც მას 15 წლის ასაკში შეუსრულებია. როგორც ანდერძიდან ჩანს, თარგმანი მიძღვნილია ბაქარ ბატონიშვილისადმი: „უწყოდი, რამეთუ მათა მეფობის სიმაღლე არა მიიღებს დაუმწიფებელსა ნაყოფსა... ამისთვის ვთხოვ წყალობად, რათა ათუთხმეტის წლის აღორძინებულის ხისა ნაყოფი მცირედითა შეწყნარებითა მიიღოს...“<sup>2</sup>.

ამგვარ მოღვაწეობას გულისხმობს იოანე ბატონიშვილი, როდესაც დ. ციციშვილის შესახებ წერს: „დიმიტრი ციციშვილი აღიზარდა მოსკოვს სასწავლებელსა შინა. ამან მიიღო უცხოდ სხვადასხვა ენათა სწავლანი და საუფლისწულო ხელოვნება, ისწავა

1 ბ. S—1446.

2 ბ. H—2115.

მათემატიკა და სთარგმნა ქართულად ლეომეტრია და სხვებთაცა შეეწია თარგმანებასა ზედა წიგნთასა ქართველთა<sup>1</sup>.

მაგრამ ტრ. რუხაძე ექვობს, რომ იოანე ბატონიშვილს რაღაცა ეშლება, იგი წერს: „აქ რაღაც აღრევასთან უნდა გვეკონდეს საქმე. ჩანს იოანე ბატონიშვილმა ანტონის „წყობილსიტყვაობაში“ ნახსენები დიმიტრი ციციშვილი გააიგივა ამის მოსახელე ციციშვილთან, რომელიც ალ. პუშკინის სკოლის მეგობარი იყო პეტერბურგის ლიციეიდან, ხომ არ ყოფილა მესამე დიმიტრი ციციშვილი?“<sup>2</sup>. ამას მკვლევარს აფიქრებინებს ის გარემოება, რომ 1791 წელს რუსეთში გამოცემულა დ. ციციშვილის „Завещание“. ამასთან დაკავშირებით ტრ. რუხაძე წერს: „ანტონის დროის დ. ციციშვილი, რომელიც 1777 წელს გარდაიცვალა, XVIII საუკუნის ბოლო წლებში ვერ შეთხზავდა წიგნებსო“ (იგულისხმება ეს ანდერძი).

საქმე ისაა, რომ აღნიშნული ანდერძი დაწერილია დ. ციციშვილის გარდაცვალების წინ, მაგრამ გამოცემულია მისი შვილების მიერ გვიან, 1791 წელს, ეს რომ ასეა, ჩანს იქიდან, რომ ამ ანდერძს ბოლოს დართული აქვს დიმიტრი ციციშვილისა და მისი მეუღლის ელიზავეტა მიხეილის ასულის საფლავთა ეპიტაფიები. ეპიტაფიებში აღნიშნულია ორივეს დაბადების და გარდაცვალების წლები და მათი მოკლე დახასიათება. ეპიტაფიებს წინ უძღვის სიტყვები: «Любезнейшему и любезнейшей... родителю и родительнице, верую к богу горевшим».

აქედან ცხადია, რომ დ. ციციშვილის ეს ანდერძი, რომელსაც ასახელებს მკვლევარი, გამოცემულია არა დ. ციციშვილის სიცოცხლეში, არამედ გარდაცვალების შემდეგ, მისი გავლენიანი შვილების მიერ.

ამრიგად, იოანე ბატონიშვილს დ. ციციშვილის პიროვნება კი არ ერევა ვილაც მესამე დიმიტრი ციციშვილში, მას მხოლოდ ის ეშლება, რომ დ. ციციშვილის განათლების ადგილად მიიჩნევს მოსკოვს და არა პეტერბურგს. ამის მიზეზი კი ადვილად გასაგებია.

---

<sup>1</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, გვ. 206.

<sup>2</sup> ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 260.

რადგანაც დ. ციციშვილმა თავისი ცხოვრების მეორე პერიოდი გაატარა მოსკოვში.

სხვათა შორის ტრ. რუხაძეს დ. ციციშვილის გვიან გამოცემულმა „ანდერჰმა“ გამოათქმევინა მოსაზრება მესამე დიმიტრი ციციშვილის არსებობის შესახებ. რასთან დაკავშირებითაც ტრ. რუხაძეს ეს ვარაუდი დასჭირდა, იქ არ აღმოჩნდა მართალი მკვლევარი, მაგრამ თავისთავად სამი დიმიტრი ციციშვილის ვარაუდი გამართლდა. ეს იყო დიმიტრი ციციშვილის შვილიშვილი დიმიტრი იოანეს ძე ციციანოვი, რომლის სახელსაც ვხვდებით პაეთა კორპუსის მოსწავლეებს შორის.

ეს მესამე დიმიტრი ციციშვილი არის დიმიტრი პავლეს ძე ციციანოვის შვილიშვილი, ანუ პავლე ციციანოვის ძმის — ივანეს შვილი.

### გ. სერგეი ლაზარეს ძე ლაშქაროვი

ვახტანგის ამალის მეგვიდრეთა თაობას მიეკუთვნება აგრეთვე ეკატერინეს ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი დიპლომატი სერგეი ლაზარეს ძე ლაშქაროვი.

როგორც მისი ერთ-ერთი რუსი ბიოგრაფი წერს: „ლაშქაროვი ვახტანგთან ერთად რუსეთს გადმოსახლებულ ლაზარე გრიგოლის ძე ბიბილურის შთამომავალი იყო“<sup>1</sup>. ლაშქაროვთა ამ შტოს ხშირად ვხვდებით XVIII — XIX საუკუნეების პეტერბურგში.

სერგეი ლაზარეს ძე ლაშქაროვიც ერთ-ერთი პირველი ქართველია, რომელმაც პეტერბურგის კადეტთა კორპუსში მიიღო განათლება. ბიოგრაფი მის შესახებ წერს, რომ მან მშვენივრად იცოდა იტალიური, ფრანგული, არაბული, სპარსული, ძველი და ახალი ბერძნული, სომხური და ქართული, რომელიც მან ადრევე ისწავლა.

მალე ს. ლ. ლაშქაროვი კონსტანტინოპოლში გაიგზავნა, სადაც მოლაპარაკება აწარმოვა ოსმალეთთან და რუსეთის ფლოტისთვის დარდანელის სრუტეში შესვლის უფლება მოიპოვა. 1782 წელს ლაშქაროვი დაინიშნა ყირიმის ხანის შაჰინგირეის კარზე, რამაც უზრუნ-

<sup>1</sup> Русский архив, 1884 г., кн. II, гл. 5.

ველყო ყირიმის ნახევარკუნძულის რუსეთთან შემოერთება. 1788 წელს ლაშქაროვი სპარსეთში ინიშნება რუსეთის წარმომადგენლად; თუმც მას არ მოუხდა სპარსეთში ყოფნა, რადგანაც თავადი პოტიომკინი მას იყენებს სხვადასხვა აზიურ საქმეებთან დაკავშირებით. ამავე წელს მას მიეცა ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენი.

პოტიომკინის სიყვარული და პატივისცემა ლაშქაროვის მიმართ თანდათან იზრდებოდა. ბიოგრაფი ერთ ასეთ შემთხვევას გვიამბობს: „...ერთხელ, ნოემბერში, სამსახურის საქმეზე პოტიომკინთან მყოფმა სერგი ლაზარეს ძემ გამოსვლისას ვერ ნახა რა თავისი ქურკი, ნებიერად მოთავსდა სასტუმრო ოთახის ერთ-ერთ სავარძელში. თავადმა გაიგონა შრიალი, გამოვიდა და მიზეზის გაგებისთანავე ბრძანება გასცა ლაშქაროვისათვის ებოძებინათ მისი მწვანე ქურკი მელიის ბეწვით, ანდრიას ბრილიანტის ვარსკვლავითურთ“.

შემდეგში ლაშქაროვს სააზიო საქმეების მართვაც დაევალა და ამან განაპირობა მისი ურთიერთობა ქართველ მეფესა და ბატონიშვილებთან. ამავე პერიოდს უკავშირდება ლაშქაროვის ურთიერთობა იმხანად პეტერბურგში მყოფ გარსევან ჭავჭავაძესთან.

1784 წელს პეტერბურგს გაემგზავრნენ ერეკლე მეორის შვილები მირიანი და ანტონი. როგორც ი. ცინცაძე წერს, „საქართველოს საელჩო სახელმწიფო მართვა-გამგეობის ახალ წესებს ეცნობოდა. საქართველოში უფრო კარგად ირანისა და თურქეთის წესებს იცნობდნენ და ზოგჯერ მაგალითებსაც იქედან იღებდნენ. 1783 წლის შემდეგ კი ქართველი დიპლომატები პეტერბურგში არსებულ მდგომარეობას გაეცნენ და ამის შედეგია სახელმწიფო მმართველობის რეფორმისათვის ინტენსიური მუშაობის დაწყება ჩვენში“<sup>1</sup>.

ზ. ცქიტიშვილის წერილში „გარსევან ჭავჭავაძის დიპლომატიური მოღვაწეობა“ განხილულია გ. ჭავჭავაძის დიპლომატიური საქმიანობა საერთოდ და კერძოდ პეტერბურგში ხუთჯერ ჩასვლის პერიოდში. მკვლევარი წერს: „როგორც ცნობილია, რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგენი გარსევანს საქართველოს გამცემად და

---

<sup>1</sup> ი. ცინცაძე, 1783 წლის მთარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960 წ., გვ. 151—152.

მოლაღატედ სთვლიდნენ. მაგრამ იგი რომ ნამდვილი პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა და ზუსტად ასრულებდა იმ მითითებებს, რასაც მას საქართველოს მეფეები აძლევდნენ, ამაში ეპკვის შეტანაც კი არ შეიძლება... საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველმა ელჩებმა (გ. ჰავეკავაძემ, გ. ავალიშვილმა, ე. ფალავანდიშვილმა) არაფერი იცოდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ მანიფესტის მომზადებაზე. ამის შესახებ მათ მხოლოდ მანიფესტის გამოცხადების შემდეგ გაიგეს. განაწყენებული ელჩები 1801 წ. 6 ნოემბერს განცხადებას აძლევენ ვიცეკანცლერს კურაკინს: «Ныне мы видим, что принятие Грузии обнародовано, манифест об этом составлен и утверждён, нам же ни о чём от кого не было дано знать ни о принятии Грузии, ни о составлении манифеста, пока все это не было заключено... мы этим, не извольте гневаться, обижены, а сверх того мы себя считаем несчастными, ибо вам лучше других были известны наши донесения, ведение дела и старания, между тем, благодаря подобному присоединению, в обоих царствах мы оказались лишёнными уважения и доверия»<sup>1</sup>.

ამასთან ზ. ცქიტიშვილს მოჰყავს ს. ლაშქაროვის წერილი კურაკინისადმი: „ს. ლაშქაროვი, — წერს ზ. ცქიტიშვილი, — რომელსაც არაფერი ჰქონდა დასამალავი მეფის მთავრობის ოფიციალურ პირებთან, გაკვირვებით მოახსენებს კურაკინს, რომ ენორინგმა მანიფესტი გამოაცხადა თბილისში საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და როცა მას დედოფლები (დარეჯანი და მარიამი) შეეკითხნენ თუ რატომ მოხდა სამეფოს გაუქმება, ენორინგმა ყველაფერი საიდუმლო მრჩეველს ლაშქაროვს და გ. ჰავეკავაძეს დააბრალა. ამის საწინააღმდეგოდ თვით ლაშქაროვი მოახსენებდა ბ. კურაკინს: «Вашему сиятельству известно, что положенные сделано в Москве без всяких представлений, а сколько мне помнится, сказано — что по возврате из Москвы грузинские дела здесь будут кончены, да и сам Кнорринг при выезде отсюда тудаж и тож самое мне объявил, что грузин-

<sup>1</sup> ზ. ცქიტიშვილი, გარსევან ჰავეკავაძის დიპლომატიური მოღვაწეობა. მაკნე, 4, 1964, გვ. 167.

სკიე დელა პო ვოზვრატე იზ მოსკვყე კონჩუტყე. ყე ნე პონიჲაჲ, ოტკუდა ონ ვჲყე ნ ობყევილ ონოე ცარიცამ».

ლაშქაროვის ხსენებულ წერილს ზ. ციციშვილი დიდ მნიშვნელობას აძლევს ქართველი ელჩის უდანაშაულობის დასამტკიცებლად... აკრიტიკებს რა გენერალ კნორინგის უტაქტო მოქმედებას მანიფესტის გამოცხადების დღეს, ლაშქაროვი წერს, რომ კნორინგი ისე უნდა მოქცეულიყო თბილისში მანიფესტის გამოცხადების დღეს, როგორც მე ყირიმელი თათრები დავაფიცეო.

თუ ამ წერილს, როგორც ზ. ციციშვილი ამბობს, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ელჩის უდანაშაულობის დასამტკიცებლად, ამ წერილითვე ს. ლაშქაროვი ჩვენს წინ დგას არა როგორც ვახტანგის ამალის წევრთა მემკვიდრე ქართველი, არამედ როგორც მხოლოდ და მხოლოდ რუსი დიპლომატი.

#### დ. პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი

პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი იმ დიმიტრი ციციშვილის შვილია, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. დიმიტრი ციციშვილს ექვსი ვაჟი დარჩა: გიორგი, რომელიც შემდეგში ეგორად უნდა იხსენიებოდეს, პეტრე, პავლე, იოანე, მიხეილი და ნიკოლოზი. პყოლია მას აგრეთვე ერთი ქალიშვილი, რომელიც ცოლად გაჰყვა იმ დროის ცნობილ ქართველ პოეტს დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონს.

რუსეთის ისტორიაში პავლე ციციშვილის სახით ჩვენ გვყავს კარგად ცნობილი ნიჭიერი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე. თუ ლაშქაროვს, როგორც ქართველს, რუსეთი ადვილად იყენებდა სააზიო საქმეებსა და რუსეთში მყოფ ქართველ ელჩებთან ურთიერთობაში, პავლე ციციშვილი, როგორც ქართველი, მან საქართველოში გამოგზავნა და თავისი პოლიტიკური მიზნების პრაქტიკული განხორციელება დააეღა.

სიკვდილს შიახლოებულმა დიმიტრი ციციშვილმა შვილებს ანდერძი დაუტოვა. ეს ის ანდერძია, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. სახელს და თანამდებობას თვალისჩინივით გაუფრთხილდით, ქველმოქმედებით, წესიერებით და ცუდი საქციელისაგან თავის არიდებით ნამდვილი ქრისტიანის სახელი მოიპოვეთ, მოსამ-



სახურეებს ისე მოექცეით, რომ მათ მონობა არ იგრძნონო, — ასე აყალიბებს თავის ანდერძს დ. ციციშვილი.

დ. ციციშვილის მიზანია, შვილებს გაუღვივოს ქრისტეს სიყვარული და წესიერი, პასუხისმგებლობით სავსე მოქალაქის შეგნება.

ამ ანდერძის ავტორი დიმიტრი პავლეს ძე ციციშვილია, რომელიც, რუსეთში ახლად ჩასული, მშობლიური კულტურის გამდიდრება-გაძლიერებაზე ფიქრობდა და თავის თარგმნილ მათემატიკურ სახელმძღვანელოებს საქართველოში გზავნიდა. მისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში დაწერილ ამ ანდერძში კი არსად არ იხსენიება არც საქართველო, არც ქართველობა, არც რაიმე დარიგება ამ მხრივ. შვილებთან მისი სასაუბრო ენაც რუსულია და არა ქართული. ამიტომ საკვირველი არაა, თუ დიმიტრი ციციშვილის შვილი პავლე ციციანოვი იმხანად უკვე გარუსებული ქართველია.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ცნობილია პავლე ციციანოვის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდი. ამიტომ ჩვენ მის დახასიათებას აღარ შევუდგებით. ხოლო სანამ მის ლიტერატურულ საქმიანობას შევებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ რუსული ბიოგრაფიული წყაროები პავლე ციციანოვის შესახებ.

1823 წელს მოსკოვში დაიბეჭდა პლ. ზუბოვის «Жизнеописание кн. П. Д. Цицианова». ავტორი პავლე ციციანოვს აღიარებს რუსეთისა და საქართველოს უდიდეს პატრიოტად, აქებს მის მამაცობას და სტრატეგიულ ნიჭს. საქართველოს მიმართ პავლე ციციანოვის დიდ დამსახურებად მთელ რიგ კულტურული ღონისძიებების გატარებას მიიჩნევს, რომელმაც. — წერს ავტორი, ააყვავა საქართველო მის იქ ყოფნის პერიოდშიო.

1848 წელს «Кавказский календарь»-ში დაიბეჭდა ალ. ვისკოვატოვის მიერ შედგენილი პავლე ციციანოვის ბიოგრაფია. ავტორი ვრცლად ეხება პავლე ციციანოვის სამხედრო მოღვაწეობას და საქართველოში მისი მთავარმართებლობის პერიოდს. ავტორი თვლის, რომ მრავალრიცხოვანი რუსი მოხელეების ჩამოყვანა საქართველოში სხვადასხვა თანამდებობებზე ციციანოვს იმისთვის ესაჭიროებოდა, რომ რუსი ჩინოვნიკების მოზიდვით საქართველოში არსებული სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის ბოლო მოეღო.

ბიოგრაფის სიტყვით, უშუალოდ პ. ციციანოვის სახელს უკავ-

შირდება რუსეთისაგან უფლების გამოთხოვა, რომ ქართველ ახლ-  
გაზრდებს სამხედრო განათლება რუსეთის სასწავლო დაწესებუ-  
ლებებში მიეღოთ. ციცივილი ალაღინა აღა-მაჰმად-ხანის დროს  
დანგრეული სტამბა, დიდი რაოდენობით შემოიტანა საქართველოში  
საჭირო ლიტერატურა, რუსეთიდან გამოითხოვა მცოდნე სამედი-  
ცინო პერსონალი, ნებართვა აფთიაქის ვახანისა და ბოტანიკური ბა-  
ღის გასაშენებლად და სხვ. კიდევ მრავალი პროექტი ჰქონ-  
და მას შედგენილი, მაგრამ უეცარმა სიკვდილმა ხელი შეუშალა  
ზოგიერთი მათგანის განხორციელებასო, — წერს ალ. ვისკოვატოვი.

მიუხედავად იმისა, რომ პ. ციციანოვის საქართველოში ყოფ-  
ნას მრავალი სასარგებლო წამოწყება დაემთხვა, იგი ქართულ  
ისტორიოგრაფიაში ვერ შევიდა როგორც ეროვნული კეთილდღე-  
ობისათვის მებრძოლი გმირი. ამიტომ მეფისდროინდელ ისტორიო-  
გრაფიას მიზეზების გამოძებნა უხდებოდა, რომ რეაბილიტაცია მო-  
ეხდინა დ. ციცივილის ზოგიერთი ინიციატორული ღონისძიებე-  
ბისა. კერძოდ: «Кавказ»-ში დაბეჭდილ წერილში პ. ციცივილის  
მიმართ ნათქვამია: «ახალი მმართველის პირველი ღონისძიება იყო  
დაეწყნარებინა ქვეყანა შინაშლილობისა და უწყსოებათაგან,  
შემდეგ კი ეზრუნა საგარეო საქმეებზე. თვითონ ქართველს, სამ-  
შობლოს საჭიროების კარგად მცოდნეს და ნათესავს დაქვრივებუ-  
ლი მარია მდედოფლისას, სულ მოკლე ხანში საშუალება მიეცა  
წესრიგში მოეყვანა ყველაფერი ის, რაც ხელს უშლიდა საქართვე-  
ლოს მშვიდობიან ცხოვრებას. გაგზავნა რა რუსეთში სამეფო სახ-  
ლის წევრები, რომლებიც თავიანთი ინტრიგებით წეწავდნენ სა-  
შობლოს, ციციანოვმა მიაღწია სასურველ მშვიდობას და საქარ-  
თველოს დაუდგა სამოქალაქო აღმავლობის ბედნიერი ხანაო»<sup>1</sup>.

როგორც სრულიად უმართებულოდ რუსეთის სახელმწიფოს  
საგარეო და საშინაო დახმარება ახლადშეერთებული საქართველო-  
სადმი პავლე ციციანოვის პირად დამსახურებას მიეწერა, ასევე  
კარიერით გატაცებული პავლე ციცივილის პირადი ინიციატივა  
ბატონიშვილთა გადასახლებისა სრულიად უსაფუძვლოდ საქართვე-  
ლოს კეთილდღეობისათვის გამოწვეული აუცილებლობით ახსნა  
იმდროინდელმა ისტორიოგრაფიამ.

<sup>1</sup> Кавказ, 1860 г., № 27, В. Терков, П. Д. Цицианов.

ახლა ჩვენ შევხებით პ. ციციანოვის სალიტერატურო მოღვაწეობას, ვინაიდან ჩვენი მიზანია სწორედ ქართველ კოლონისტთა კულტურულ-ლიტერატურული და არა მათი სახელმწიფოებრივი საქმიანობის შესწავლა.

პავლე ციციანოვი, როგორც მთარგმნელი და მწერალი, რუსული და ქართული კულტურის ასპარეზზე კარგად ცნობილი მოღვაწის დიმიტრი ციციშვილის ღირსეული მემკვიდრეა.

ტრ. რუხაძეს თავის წიგნში მოტანილი ცნობა S—1446 ხელნაწერიდან „შესთხზნა აგრეთვე ლექსნი, რომელთაგან მრავალნი გონებანი და გრძნობანი აღძრულ იყვნენო“, რატომღაც არ მიაჩნია პავლე ციციშვილის მიმართ თქმულად. „ეს პავლე ციციშვილი, — წერს ტრ. რუხაძე, — არა გვეგონია იყოს იგივე მთავარმართებელი პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი“<sup>1</sup>. ძნელი წარმოსადგენია, რას უნდა მიეყვანა მკვლევარი ამ დასკვნამდე. S—1446 ხელნაწერი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ვისკოვატოვის მიერ შედგენილი პ. დ. ციციანოვის ცხოვრება და მოღვაწეობა. უკეთ რომ ვთქვათ, მისი თარგმანი<sup>2</sup>. მასში მეტად საინტერესო ცნობებია მოცემული არა მარტო პავლე დიმიტრის ძის, არამედ მისი მამისა და ძმების შესახებაც. ასე რომ გამორიცხულია ვარაუდი, თითქოს აქ სხვა ვიღაც პავლე ციციშვილი იგულისხმებოდეს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პავლე ციციანოვმა თარგმნა ფრანგულიდან «Тюркаре или кокетка в заблуждении», რომელიც იდგმებოდა რუსეთის სხვადასხვა სცენაზე. 1767 წ. კი თავის ძმასთან, ეგორ ციციანოვთან ერთად უთარგმნია «Экономия жизни человеческой или сокращение индийского нравоучения». პუშკინის სახლში მივაკვლიეთ პავლე დიმიტრის ძე ციციანოვის ერთ უცნობ ორიგინალურ თხზულებას, რომლის სათაურია «Беседа трех российских солдат в царстве мертвых». ეს თხზულება მრავალმხრივ არის საინტერესო:

1. ის უნდა წარმოადგენდეს პავლე ციციანოვის ავტოგრაფს;
2. დღევანდელი ლიტერატურათმცოდნეობა მას არ იცნობს;

<sup>1</sup> ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 99.

<sup>2</sup> ამ ხელნაწერის შესახებ იხ. გ. მიქაძის ფილოლოგიური ძიებანი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა საზოგადოების მოამბე, 1963, № 3, გვ. 200—201.

3. შინაარსობრივად მეტად საინტერესო თხზულებაა და იძლევა მთელ რიგ საინტერესო ცნობებს იმდროინდელი რუსეთის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებიდან.

როგორც სათაურიდან ჩანს, საუბარი წარმოებს სამ რუს გარდაცვლილ ჯარისკაცს შორის, იზმაილის აღებისას პოტიომკინთან მებრძოლ სერგეი დეუეილის, მინიხის თანამედროვე ივანე გავრილოვსა და რუმინანცევთან მებრძოლ სტეფანე სტატნის შორის. ავტორს დაპირისპირებული ჰყავს სამ სხვადასხვა მხედართმთავართან მებრძოლი ჯარისკაცები.

თხზულების განხილვამდე, შევეცდებით მოკლედ შევხებით ნაწარმოებში წარმოდგენილი ეპოქის ისტორიულ ქარგას.

1787 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. რუსეთი, რომელიც იმხანად ომს არ აპირებდა, უეცრად ომის საჭიროების წინაშე დადგა. რუსეთს სამხრეთში ორი არმია ჰყავდა: უკრაინის, რომელსაც გრაფი რუმინანცევ-ზალუნაისკი ხელმძღვანელობდა და ეკატერინოსლავის, რომელსაც პოტიომკინი მეთაურობდა. 1789 წლიდან რუმინანცევი გაწვეულ იქნა და მისი არმიაც პოტიომკინისას შეუერთდა. სხვათა შორის, პ. ციციანოვი ამ არმიაში რეპნინის კორპუსის ერთ-ერთ პოლკს მეთაურობს და იზმაილის ბრძოლებში მონაწილეობს.

ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის ამ ომში იზმაილის შტურმი, რომელსაც პოტიომკინი მეთაურობდა. რუსეთისთვის მეტად მძიმე პირობებში წარიმართა. თვით პოტიომკინმა, რომელზეც იმედს ამყარებდა რუსეთი, დაკარგა ყოველგვარი იმედი და დათმობაზე დაიწყო ფიქრი. მაგრამ სწორედ ამ დროს განახლა იზმაილის ალყა სუვოროვმა და ათი საათის თავგანწირული ბრძოლის შედეგად, სადაც 4000 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა და 600 დაიჭრა, იზმაილი აღებულ იქნა. ამის შემდეგ გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა თვით პოტიომკინიც, რომელმაც ხელთ იგდო ოჩაკოვო. რუსმა ხალხმა კიდევ ერთი გმირული ფურცელი ჩასწერა თავის მატიაწეში.

რუსეთ-თურქეთის ამ ომმა, საბოლოო გამარჯვების მიუხედავად, რუსეთის არმია დიდ განსაცდელში ჩააგდო. მსხვერპლთა შორის მცირე ადგილი არ ეჭირა სიცივისა და შიმშილისაგან დახო-

ცილებსაც. 1790 წელს ქ. იასაში დაიდო ზავი, რის მიხედვითაც ოჩაკოვოს ტერიტორია ეკატერინოსლავის გუბერნიისაში შევიდა.

პ. ციციშვილის ზემოაღნიშნული თხზულება დაწერილია იასაში 1790 წელს, ბრძოლის დროს.

შესავალში ავტორი გადმოგვცემს, რომ ერთხელ, ცუდ გუნებაზე მყოფს, ჩაეძინა და სიზმრად მკვდართა სამკვიდრო იხილა. სადაც სამ ჭარისკაცს შორის გამართული ბაასის მოწმე შეიქმნა.

დღუჟილნი ყვება ეკატერინოსლავის არმიის გასაჭირს: «Провиантские зимою отпускают деньгами, то есть обещаниями для того, что их почти никогда не выдают». ჭარს პროლუქტი არა აქვს, რაც აქვს, უვარგისი, ამბობს დღუჟილნი: «Прошлою зимой в Бендерах давали такой гнилой хлеб, что за зиму ту человек по 60-ти и больше из роты померло».

შემდეგ დღუჟილნი აღნიშნავს იმ უდისციპლინობას, რომელიც ჭარშია გამეფებული. გავრილოვი (მინიხის დროის ჭარისკაცი) კი განცვიფრებულია, მინიხის დროის დისციპლინას იგონებს და ამბობს: «В наше время этого не бывало, хотя армия и внове еще тогда была, хотя в Крым нас важивали и мучения было много, да уже повиновение было совершенное, то уже дисциплина была...».

ციციანოვი არც გუდოვიჩს იხდობს: «Будучи командиром над Килней, он ни разу не был брат на батарее, а все осматривал в подзорную трубку от резерва... да еще что говорят, бывало, и в туман прегустой все в трубку смотрит».

დღუჟილნი გულსტიკივლით მოუთხრობს ჭარისკაცებს იმ უკანონობაზე, რაც გამეფებულია ჭარისკაცთა დაწინაურების საქმეში: «У всякого генерала человек по двадцати в доме служат лакеями, да таки у самого Светлейшего на дворе человек 200 солдат, то конюхами, то гусарами, то лакеями и чорт знает каких людей нет, а что всего хуже, что этих гусаров, лакеев и конюхов, которые у него служат, Светлейший производит в офицеры тотчас. То-то брат досадно нашему брату, ты лоб подставляй, да живот неси на смерть, а твой набитый дурак брат, за то только, что велик вырос и хорошу тарелку подает, через год выскочит в офицеры».

მოტანილი ადგილები საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა სასტიკი სატირა მიუძღვნა ციციანოვმა გრიგოლ პოტიომკინს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელ ნაწარმოებში ავტორი მას მხოლოდ და მხოლოდ «Светлейший»-ს სახელით იხსენიებს.

ექვი არ არის, რომ ციციანოვის ეს ნაწარმოები თავის დროზე გახმაურებული არ ყოფილა. მით უფრო, არ ეცოდინებოდა მისი არსებობა თვით პოტიომკინს, რადგანაც, ჯერ ერთი, იგი 1791 წელს, ე. ი. თხზულების დაწერიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა და მეორეც, რომ საექვოა ამგვარ თხზულებას ხელი არ შეეშალა ციციშვილისთვის სამხედრო კარიერის გზაზე. ხოლო რომ ეს ნაწარმოები შემდეგში ცნობილი გამხდარა, ამაზე მიუთითებს «Русский архив»-ში დაბეჭდილი ერთი წერილი გრიგოლ პოტიომკინის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: «Взятием Измаила был достойно завершён славный для русского 1790 год, события которого воспеты Державиным и описаны многими отечественными биографами былых времен. Но если поэзия льстивая и пристрастная выставляла только лицевые стороны, а история обходила молчанием трудности тогдашнего военного быта. и некоторые неудачи в действиях военачальников, тем не менее находились люди настолько правдолюбивые, чтобы не ослепляясь успехами, высказывать о героях горькую правду».

წერილის ავტორი მიუთითებს პ. ციციანოვის ამ თხზულებაზე. (მკვდართა გასაუბრების თემა რუსულ მწერლობაში საკმაოდ ცნობილი ხერხია. ერთი ამ სახის ნაწარმოები—სუმაროკოვის „მკვდართა უბნობა“ ქართულადაც იყო თარგმნილი).

ავტორის პოზიცია ნათელია: აიძვია რა ნაწარმოების გმირებად დაბალი რანგის სამი ჯარისკაცი, ამით მას საშუალება მიეცა ელაპარაკნა იმაზე, რაც ხალხს (ამ შემთხვევაში ჯარის ფართო მასებს) აწუხებს. სამი ჯარისკაცის საუბარში მხილებულია ჯარის, მისი ყოფის, მისი ცალკეული გარდაქმნა-სიახლეების ის უარყოფითი მხარეები, რომელიც ტვირთად დააწვა ჯარის დაბალ შემადგენლობას.

ავტორი თავის გმირებს უბრალო რუსი ჯარისკაცის სასაუბრო ენით ალაპარაკებს.

ეს ნაწარმოები საინტერესო ნიმუშია XVIII საუკუნის რუსული სატირული ლიტერატურისა. მასში ნათლად იგრძნობა ხალხის მასების აქტივობა და კლასობრივ-დემოკრატიული ინტერესების გამოვლენის ტენდენცია.

## 2. ვარვარა ილიას ასული თურქესტანოვა

ვანტანგის ამალის შთამომავალთა შორის (რუსული ლიტერატურის ასპარეზზე) იხსენიება თურქესტანიშვილების ანუ თურქესტანოვთა გვარი.

ვანტანგს, როგორც ვიცით, რამდენიმე თურქესტანიშვილი გაპყოლია რუსეთში. თურქესტანიშვილთა ნაწილი მოსკოვს დასახლდა. ნაწილმა კი პეტერბურგში არჩია ცხოვრება. პეტერბურგში, როგორც ჩანს, დარჩა თურქესტანიშვილთა ის შტო, რომელიც ვანტანგის ელჩის ბორის თურქესტანიშვილის სახელს უკავშირდება.

ბორისის შვილი ილია ბორისის ძე დაბადებულა 1736 წელს და გარდაცვლილა 1788 წელს. სამწუხაროდ, მისი ბიოგრაფიული ცნობები ჩვენთვის ცნობილი არ არის, მხოლოდ როგორც ნიკოლოზ თურქესტანიშვილის მოგონებიდან ვგებულობთ, იგი „წვეროსანი“ თავადის სახელით ყოფილა ცნობილი.

ილია თურქესტანიშვილს ათი შვილი ჰყოლია, რომელთაგან მოწიფულობის ასაკისათვის მხოლოდ სამ დას მიუღწევია — ვარვარას, ეკატერინას და სოფიოს.

მათგან ვარვარა ილიას ასული თურქესტანოვა XVIII საუკუნის გასულისა და XIX საუკუნის პეტერბურგის უმაღლესი საკარო საზოგადოების მშვენებაა. მასში თანაბრად შერწყმული ყოფილა კარგი გარეგნობა და ჰკუა. რომელიც, როგორც ჩანს, ვარვარას სხვა, თავის წრის ქალთაგან განასხვავებდა.

ჩვენ ამჟამად. საკმარისი მასალის უქონლობის გამო, მთლიან წარმოდგენას ვერ ვიძლევიტ ვ. თურქესტანოვას შესახებ, ხელთ არა გვაქვს მისი ბიოგრაფიული ცნობები, არ ვიცით სად და რა განათლება მიიღო მან, მაგრამ მისი იმ ლიტერატურული მასალის მიხედვით, რაც ჩვენ ხელთ გვაქვს, ვ. თურქესტანოვა წარმოგვიდ-

გება თავისი დროის ერთ-ერთ შესანიშნავ. მოწინავე ქალად. იგი არ არის იმ ქალთა კრებულის წევრი, რომელთა მიზანს სასახლის გართობასა და დროსტარებაში მონაწილეობა შეადგენს. მისი მეგობრების წრეც განსაზღვრულია როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა საზოგადოებაში, თუმცა ყოფნა უხდება ორივე დედაქალაქის მრავალრიცხოვანი საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებში; ჰყავს უამრავი უცხოელი მეგობარი რუსეთში მცხოვრები ემიგრანტების სახით და სხვ.

ჩვენს წინ არის მიმოწერა ეკატერინეს დროის შვეიცარიის დიპლომატიური წარმომადგენლის ფერდინანდ კრისტინსა (1763—1837 წწ.) და ვარვარა თურქესტანოვას შორის. ეს მიმოწერა მოსკოვში მყოფ კრისტინსა და პეტერბურგში მცხოვრებ თურქესტანოვას შორის გრძელდებოდა 1812—1819 წლებში და მისი ძირითადი ნაწილი დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე «Русский архив»-ის რამოდენიმე ნომერში. შედარებით მცირე ნაწილი ამავე «Русский архив»-ში დაიბეჭდა რუსულ ენაზე.

ამავე ყურნალში ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ვ. თურქესტანოვას დღიური საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობიდან.

ხსენებული მიმოწერა, შეიძლება ითქვას, ერთგვარი მატთანა იმ დროის მოსკოვ-პეტერბურგის ცხოვრებისა. პირადი ხასიათის წერილებში ავტორები საუბრობენ იმ დროის მრავალ მნიშვნელოვან მოვლენაზე. ვარვარა თურქესტანოვამ შესანიშნავად იცის ისტორია და თანამედროვე პოლიტიკური ვითარების კურსშია.

წერილებიდან ჩანს, რომ ვ. თურქესტანოვას პეტერბურგელ მეგობართა შორის ერთ-ერთი ახლო მეგობარია «княгиня Грузинская» ანა ალექსანდრეს ასული, რომელსაც ვარვარა ილიას ასულ «тетушка»-ს სახელით იხსენიებს. ეს არის პეტრე ბაგრატიონის მამიდა—თავად გოლიცინის მეუღლე. როგორც წერილებიდან ჩანს, ვარვარას და ანა ალექსანდრეს ასულ გრუზინსკაიას უახლოესი მეგობრობა აკავშირებთ, ისინი მსჯელობენ რუსეთის ჯარების მდგომარეობაზე, რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის იმხანად დადებულ კავშირზე და სხვ.

ერთ-ერთ წერილში თურქესტანოვა აცნობებს კრისტინს, რომ პეტერბურგი ელის მოროს ჩამოსვლას. მორო (1763—1813 წწ.),



ნაპოლეონის გენერალი იყო, რომელშიც ნაპოლეონმა თავისი მოქიშპე დაინახა, ბრალი დასდო შეთქმულებაში, დააპატიმრა და საფრანგეთიდან განდევნა. მან რამდენიმე წელი იცხოვრა ამერიკაში, ხოლო 1813 წელს ალექსანდრე პირველის მიერ რუსეთში იქნა მიწვეული.

თურქესტანოვას აზრით, მისმა ჩამოსვლამ შეიძლება სხვადასხვანაირი შთაბეჭდილება მოახდინოს რუსეთში მყოფ ემიგრანტებზე. თვით თურქესტანოვა დიდ პოლიტიკურ ნდობას არ უცხადებს მოროს. იგი წერს: «Как бы хорошо ни позолотили эту пилюлю, я всегда буду ощущать дурной ея вкус... быть принуждена смотреть на Моро, как на спасителя трех мпархий, мне кажется столь странным, что никогда этого не пойму».

როგორც ცნობილია, დრეზდენთან ბრძოლაში მორო სასიკვდილოდ დაიჭრა, მისი ცხედარი წაასვენეს პეტერბურგში და დაკრძალეს წმ. ეკატერინეს კათოლიკური ეკლესიის ეზოში.

თურქესტანოვა ამის თაობაზე აღნიშნავს: «Смерть Моро объявлена во всех газетах, сожаление об нем всеобщее. Сетуют на странность его судьбы, которая принудила его оставаться столько лет в Америке спокойным в недрах своего семейства, и которая потом заставила его отправиться навстречу смерти почти в ту минуту, как он сошел на берег, и найти могилу в Петербурге».

თურქესტანოვა სწერს კრისტინს, რომ მოროს ცხედარი მიასვენეს ცარსკოე სელოში, მოამზადეს კატაფალკი, დაკრძალვისას სიტყვას წარმოთქვამს მამა როზავენი — იეზუიტი, მეტად განათლებული და მკვერმეტყველი კაცი.

წერილებში ადგილი ეთმობა აგრეთვე ვანდაჰს — ნაპოლეონის მეორე გენერალს, რომელიც აგრეთვე განდევნილი იყო საფრანგეთიდან. ერთ-ერთ წერილში კრისტინი ატყობინებს თურქესტანოვას, რომ მოსკოვში იმყოფება ვანდამი, რომელსაც მოსკოვის საზოგადოება რატომღაც დიდი პატივისცემით ხვდება და ვახშნებს უმართავს. ერთ ასეთ ვახშამზე კრისტინიც ყოფილა მიწვეული, მაგრამ იგი არ წასულა, რადგანაცო, წერს იგი «Я не ощущаю в себе столь нежного сердца, как те, которые так легко прощают

все обиды и несчастия, причиненные этой проклятой богом ордой, честь которой оставляет Вандамм».

ვარვარა თურქესტანოვაც იზიარებს კრისტინის შეხედულებას ვანდამის შესახებ და გაკვირვებულია, რომ ნაპოლეონის გენერლი პატივსაცემად ვახშმები ეწეობა ფერფლადქცეულ მოსკოვში.

მიმოწერაში მოხსენიებულია XIX საუკუნის დასაწყისის მრავალი საინტერესო პირი, გენერალ-ლეიტენანტ სტროგონოვის მეუღლე, მოსკოვის მთავარსარდალი 1812 წელს იური დოლგორუკოვი, ოსტერმანი—მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, ფინანსთა მინისტრის გურიევის მეუღლე და სხვანი. მთლიანად მიმოწერა ნათელს ხდის 1812—13 წლების მოსკოვ-პეტერბურგის საზოგადოების ინტერესებს, სულისკვეთებას, ფიქრსა და აზრს, რომელიც იმხანად, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადად, საომარ-პოლიტიკურ თემატიკას ჰქონდა დაპყრობილი.

როგორც ნ. ი. ტურგენევი სწერს (თურქესტანოვას შესახებ) პ. ა. ვიაზემსკის: «Она была добрая, умная и любезная и необыкновенно умная женщина, благоденствовала многим, несмотря на недостаточное состояние и оставила приятные о себе воспоминания в многочисленном знакомстве»<sup>1</sup>.

ამრიგად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ნიდაგსა და მის ინტერესებს მოწყვეტილი პეტერბურგის ქართული კოლონია თავის ეროვნულ ხასიათს კარგავს და რუსული კულტურის სარბიელზე გამოდის.

---

<sup>1</sup> Остафиевский архив, кн. I.

## XIX საუკუნის პირველი ნახევარი

### 1. ერაკლე II შთამომავალთა პირველი წარმომადგენლები კეტიარბურგში

ერეკლე მეფის შთამომავალთა შორის ზოგიერთმა პეტერბურგი ჯერ კიდევ მანამდე იხილა, სანამ იგი მათი სამუდამო ადგილსამყოფელი გახდებოდა.

1784 წელს პეტერბურგს ეწვივნენ მირიან და ანტონ ერეკლეს ძენი. პაველე პოტიომკინის განკარგულებით ბატონიშვილებს პეტერბურგში საგანგებო პირობები შეექმნათ, თითოეულ მათგანს საჩუქრად ებოძა ოთხი ათასი მანეთი და წლიურად ორი ათასი მანეთი დაენიშნა. სულ მალე მირიანი მუნდირში გამოეწყო, თმები ევროპულად შეიკრიჭა, ცეკვისა და ფარიკაობის შესწავლას მიჰყო ხელი. მირიანმა მალე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება—სასახლისა და უმაღლეს საკარო საზოგადოების წევრებათა სასურველი სტუმარი გახდა. განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა მასში ლევ ალექსანდრეს ძე ნარიშკინის ოჯახი. ლევ ნარიშკინის ბრწყინვალე წვეულებანი გამოირჩეოდა არა მარტო თავისი სიმდიდრითა და სიუხვით, აზიური ფუფუნებისა და მაღალი ევროპული გემოვნების შერწყმით, არამედ საზოგადოებითაც, რომელსაც მასპინძელი საგანგებოდ არჩევდა. ამ ოჯახში თავს იყრიდნენ პეტერბურგის ცნობილი ლიტერატორები, ნიჰიერი მუსიკოსები, ენამანვილი მოსაუბრენი და განთქმული მხატვრები. ეკატერინე II, რომელიც ხშირი სტუმარი იყო ნარიშკინის მეჯლისებისა, ხშირად ჭუმრობდა მის შესახებ: „ჩემს სახელმწიფოში ორი ადამიანი (ნა-

რიშინი და გრაფი შერემეტიევი — ნ. მ.) ყოველ ღონეს ხმარობენ. რომ დაიქცნენ, მაგრამ ვერ მოახერხესო“<sup>1</sup>.

მირიან ბატონიშვილს პეტერბურგში თავი გამოუჩინია როგორც მხატვარს. როგორც პოტიომკინის კანცელარიის მმართველის ვ. ს. პოპოვის წერილიდან ჩანს, მირიანი აპირებს ავტოპორტრეტის შესრულებას და მეფისთვის საჩუქრად მირთმევას<sup>2</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ ნარიშკინის სალონში მირიან ბატონიშვილი როგორც მხატვარი ყურადღებას იქცევდა. პოპოვის მოწმობით ამ წრეში იგი სრულიად თავისუფლად გრძნობდა თავს.

1797 — 1798 წლებში პეტერბურგში იმყოფება დავით ბატონიშვილი. პეტერბურგით მოხიბლულ დავითს მისი დატოვება გასძინელებია: „წამოსვლა მინდა, მაგრამ სული და ხორცი გაეყრება კაცს აქაურობის მნახველს“... იწერება ერთ-ერთ წერილში დავით ბატონიშვილი. დავითიც კმაყოფილია რუსეთის უმაღლესი წრეების მიღებით: „აქაური დიდკაცები მწყალობენ, პეტრე დიდის სურათს ამსგავსებენ ჩემს სურათს“<sup>3</sup>, — იწერება იგი.

ბატონიშვილთა პირველი ჯგუფური ჩასვლა პეტერბურგში მოხდა 1801 წელს, როდესაც იქ იოანე, ბაგრატ და მიხეილ ბატონიშვილები ჩავიდნენ.

გამყოლ პირთა შორის ბატონიშვილების ამაღაში შევიდნენ იოანეს „ატუტენტი“, როგორც თავის თავს უწოდებს გაბრიელ რატიშვილი და ნიკოლოზ ონიკოვი. ბატონიშვილთა ამ ორმა თანამგზავრმა, რომელთაგან გაბრიელ რატიშვილს უთუოდ სამწერლო ნიჭი ჰქონდა, ქართულ მწერლობას შემოუწინაბა ორი თხზულება. რომლებშიც ავტორები ვრცლად და დაწვრილებით მოუთხრობენ მკითხველს ბატონიშვილთა ამ ჯგუფის რუსეთში გამგზავრების ამბავს.

იოანეს, ბაგრატისა და მიხეილის პეტერბურგში ჩასვლა გარსევან ჭავჭავაძის იქ ყოფნას დაემთხვა. ამიტომ პირველ მასპინძლად პეტერბურგში ჩასულთ გარსევანე ჭავჭავაძე დაუხვდათ, რომელსაც მხარს უმშვენებდა სერგეი ლაზარეს ძე ლაშქაროვი. პირველი

<sup>1</sup> Воспоминания Фаддея Булгарина, ч. I, СПб., 1846 г.

<sup>2</sup> Русский архив, 1873 г. т. X. შესაძლოა ერმიტაჟის ფონდებში დაცული იყოს მირიანის მეორე შესრულებული ავტოპორტრეტი.

<sup>3</sup> ბ. S 3254.

წავსაყუდელი ქართველმა ბატონიშვილებმა სერგეი ლაშქაროვის სასახლეში პოვეს. სამი დღის მასპინძლობის შემდეგ ახალჩასულთ განუწყვეს თავ-თავისი საცხოვრებელი ბინები და გამოუყვეს მოსამსახურე პერსონალი. მეფისწულებს კარეტა და დღეში ასორმოცდაათი მანეთი ებოძა.

პეტერბურგში ჩასულები მოხიბლა ქალაქის მრავალრიცხოვანმა არხებმა, უზარმაზარმა ხიდებმა, სწორმა ქუჩებმა, ტაძრებმა, სასახლეებმა, ხელოვნების მდიდრულმა ნიმუშებმა და ქალაქის მშვენიერმა პარკებმა. „პეტერბურგს ვაქებ, რაოდენ შვიძლოს ენამ ქებანი“, — აცხადებს გ. რატიშვილი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალ ჩასულებზე ალექსანდრე ნეველის მონასტერმა, რომელმაც მათ მცხეთის სიონი გაახსენა. სერგეი ლაშქაროვთან ერთად ბატონიშვილები იყვნენ ქალაქის დასათვალიერებლად, პეტრე-პავლეს ციხის სანახავად, ინახულეს პეტრე პირველის, ელისაბედ პეტრეს ასულის, ეკატერინე II -სა და პავლე I საფლავები.

სხვადასხვა სანახაობით მოხიბლულმა ბატონიშვილებმა ალექსანდრე I ხელმწიფედ კურთხევის ცერემონიალზე დასწრებაც ისურვეს და მოსკოვს გაემგზავრნენ. ამგვარ დროსტარებასა და მხიარულებაში მყოფ ბატონიშვილებს უეცრად ეცნობათ, რომ „არღარა იქმნების მეფობა საქართველოსა მემკვიდრეთა მეფეთა მიერ, არამედ იქმნებიან ბრძანებასა ქვეშ როსიისასა“. გაბრიელ რატიშვილი აღწერს იმ გაურკვეველობასა და სრულ დაბნეულობას. რომელმაც მოიცვა რუსეთს ჩასული ბატონიშვილები. თუ, ერთი მხრივ, რუსეთთან კავშირი მათ სამეფოს დამოუკიდებლობას უკარგავდა და სამეფოს გაუქმებას უქადდა, მეორე მხრივ, სამთავე მეფის ძეთა მკერდზე დაბნეული ანას პირველი კლასის ორდენები და მრავალგვარი დაპირებები სასიხარულო მომავალზე აფიქრებინებდა. ამიტომ გურამიშვილისებურად გოლებს გ. რატიშვილი:

„ვკადრეთ მისთვის მადლობანი, გამოვედით კარსა გარე,  
ღმერთმან უწყის მისს შემდგომად ვა თუ დღე გვხვდეს გასამწარე“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> გ. რატიშვილის „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“ ყველგან მოტანილი გვაქვს ი. შადურის გამოცემის მიხედვით — ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ.

დაბნეულობას ბოლო მოუღო ალექსანდრე კურაკინის მრჩეველის ბანტიშ-კამენსკის მიერ მოტანილმა ცნობამ, რომ „ხელმწიფესა მიმნიჭებელსა საქართველოს მეფე ძეთათვის განსვენებითისა მყუდროებისა, აწინდელთა ვითარებათა გამო ჰნებავსა, რათა იგინი მამულისა თვისისადმი არღა უკუნქცეულ იქმნენ, არამედ რათა დაშთენ რუსეთისა მამულსა შინა“.

გაბრიელ რატიშვილი დიდი მღელვარებით გადმოგვცემს იმ საჩოთხრო მდგომარეობას, რომელშიც იგი მოექცა. საქართველოში მართოდ დარჩენილი მოხუცი მშობლების მდგომარეობა მას საშუალებას არ აძლევდა რუსეთში სამუდამოდ დარჩენილიყო, ამიტომ დიდის ბოდიშით და მოკრძალებით მოახსენებდა იოანე ბატონიშვილს: „მარად მსურვებია ერთგულებით და თავდადებით უკანასკნელი წვეთი სისხლისა ჩემისა დამეთხია წინაშე თქვენსა და მარად განუშორებელი ვყოფილიყავი, მარა დღეს ყოველთა შემაწუხებელმან ჩარხმა უკუღმა მბრუნავმა იმუშავა ჩემდა არა საამოვნოდ და მცა მიზეზი მოშორებებისა თქვენისა“...

იოანე ბატონიშვილმა ადვილად გაუგო ერთგულ გ. რატიშვილს და ლაშქაროვს მისი სამშობლოში დაბრუნების ნებართვა გამოსთხოვა.

გაბრიელ რატიშვილი გულისტკივილით გამოესალმა პეტერბურგს, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა და სხვებთან ერთად თან გამოიყოლა დიდი სევდა ძვირფას თანამემამულეთა სამუდამო დაშორებისა.

## 2. რ უ ს მ თ ი ს ა კ ე ნ

1802 წელს საქართველოში გენერალ კნორინგის ნაცვლად მთავარმართებლის პოსტზე გენერალი პ. ციციანოვი დაინიშნა.

ჩვენ წინა თავში შევეხეთ პავლე ციციანოვის ლიტერატურულ მოღვაწეობას და განვიხილეთ მისი სატირული ხასიათის თხზულება. თუ 1790 წელს დაწერილ თხზულებაში პ. დ. ციციანოვი სატირის ქარცეცხლში ატარებს რუსეთ-თურქეთის ომისდროინდელ სხვადასხვა სურათებს, კერძოდ, მოგვითხრობს იმ სიძნელეებზე, რომელიც მეფის რუსეთმა დააკისრა რუსეთის მშრომელ მოსახლეობას და

განსაკუთრებით მის უზარმაზარ სამხედრო ძალას ჯარისკაცთა სახით, საქართველოში მთავარმართებლობის პერიოდში პ. დ. ციციანოვი გვევლინება, როგორც მეფის რუსეთისათვის თავდადებული სამხედრო მოღვაწე და კარიერით გატაცებული მეფის მოხელე. მიუხედავად იმ დადებითი საქმიანობისა, რაც პ. ციციშვილის მოღვაწეობას უკავშირდება საქართველოში, მისი როლი სამეფო საგვარეულოს მიმართ ამოუშლელი დარჩა ისტორიიდან. ენერგიულმა, უნარიანმა და უფლებებით აღჭურვილმა პ. ციციანოვმა ყოველი ღონე იხმარა, რომ ქართლის სამეფოს არც ერთი წარმომადგენელი საქართველოში არ დაეტოვებინა<sup>1</sup>.

1803 წლის 27 ივლისს საქართველოს საზღვრები სამუდამოდ დატოვეს ქართლის კანონიერმა ტახტის მემკვიდრემ დავით გიორგის ძემ, აგრეთვე ვახტანგ ერეკლეს ძემ და ბაგრატ გიორგის ძემ; მათთან ერთად რუსეთიანენ მიეზღვაურებოდა ღირსება აყრილი წარიაჲ დედოფალი — გიორგი XII მეუღლე — როგორც ბრალდებული გენერალ ლაზარევის მკვლელობის საქმეში<sup>2</sup>.

---

1 წერილებში პ. ციციანოვი თავის ამ მოქმედებას უკავშირებს იმ უსიამოვნებას, რომელიც არსებობდა ერეკლე მეფის მრავალრიცხოვან შთამომავლებს შორის, რომელსაც, მისი სიტყვით, ქართლ-კახეთის სამეფო გაჩინაგებოსკენ მიჰყავდა.

2 როგორც ცნობილია, მარიამ დედოფალი მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე და არ ემორჩილებოდა ბრძანებას სამეფო სახლის წევრთა რუსეთში გაგზავნის შესახებ. 1803 წლის აპრილის თვეში გენერალ ლაზარევის განკარგულებით ალყაშემორტყმულ იქნა დედოფლის სასახლე, საიდანაც ლაზარევისვე ბრძანებით, ძალდატანებით უნდა გაეყვანათ დედოფალი. დედოფლის ამგვარმა შეურაცხყოფამ გამოიწვია გენ. ლაზარევის მკვლელობა, რასაც ზოგი თვით დედოფალს მიაწერდა, ზოგი კი — დედოფლის თანმხლებ თავად ხიმშიაშვილს. მარიამ დედოფალი, როგორც დამნაშავე ლაზარევის მკვლელობის საქმეში, ვორონეჟში იქნა გადასახლებული, სადაც 8 წელი გაატარა პატიმრობაში. შემდეგ კი ნება მიეცა მოსკოვში ცხოვრებისა, სადაც გარდაიცვალა კიდევ.

მიუხედავად იმისა, რომ მარიამ დედოფალი, როგორც ლაზარევის მკვლელობის მიზეზი, გადასახლებულ იქნა, პ. ციციშვილისათვის, როგორც დედოფლის ნათესავისათვის, მეფის რუსეთის მთავრობას ერთგვარი მიკერძება და ლმობიერება დაუწამებია. ეს ჩანს პ. ციციანოვის ახლო მეგობრის დ. ვ. როსტოპჩინის წერილიდან პ. ციციანოვისადმი, რომელშიც იგი აცნობებს მას, რომ რუსეთის წრეებში გავრცელებულია ხმები: «ты как будто легко при сем случае поступил, что имя царицы другое поставил» (Девятинадцатый век, М., 1872 г.).

რუსეთის იმპერიის დედაქალაქით ერთ დროს აღფრთოვანებული დავით ბატონიშვილი, ვახტანგ VI მსგავსად სამეფოგამოცლილი, მიემგზავრებოდა რუსეთს და თან მიჰქონდა განუსაზღვრელი სევდა სამშობლოსაგან დაშორებისა: «Тому уже 1233 года, как со времен Юстиниана — Кесаря род наш вышел в Грузию, а ныне с такой несправедливостью удаляется из нашей отчизны. Мы никого в этом не обвиняем, как только наша несчастие»<sup>1</sup>. სწერდა დ. ბატონიშვილი პ. ციციანოვს.

1805 წლის 4 აპრილს პეტერბურგს გაიგზავნენ რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყებაში დამარცხებული იულონ და ფარნაოზ ერეკლეს ძენი.

1806 წელს პეტერბურგში თავისი სურვილით მიემგზავრება შემდეგში პეტერბურგის ქართული კოლონიის ცნობილი წარმომადგენელი იონა ხელაშვილი.

1810 წელს პეტერბურგში ჩავიდა შვიდი წლის განმავლობაში ირანის სამეფო კარზე შეკედლებული თეიმურაზ ბატონიშვილი. ამრიგად 1801-დან 1810 წლამდე სამეფო საგვარეულოს წევრები თანდათანობით თავიანთ ქვეყანას გამოეთხოვნენ და სამუდამო ადგილსამყოფელი პეტერბურგში პოვეს. მაგრამ მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს მემკვიდრენი როდი არიან ამ ხანის პეტერბურგის ახალი წარმომადგენლები. პეტერბურგში უპოვია ბინა იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის მეუღლეს ანას, მამუკას ასულს. ის 1802 წლიდან პეტერბურგშია და რუსეთს ევედრება სოლომონ მეორესთან მძევლად დატოვებული მისი შვილის — კონსტანტინეს გამოხსნას.

1807 წელს პეტერბურგში ჩადის სოლომონ მეორისაგან დარბეული გიორგი ალექსანდრეს ძე, ხოლო 1811 წელს მისი ოჯახი — დარეჯან დედოფალი ორი მცირეწლოვანი შვილით დიმიტრით და ალექსანდრეთი.

1811 წელს პეტერბურგში ჩავიდა ოდიშის დედოფალი ნინო, გრ. დადიანის მეუღლე და შვილი გიორგი XIII-ისა.

1818 წლიდან პეტერბურგში ცხოვრობს სოლომონ მეორის

<sup>1</sup> Археографические Акты, III, гл. 173.





ვახტანგ VI



დავით ბატონიშვილი

მეუღლე მარიამ კაციას ასული დადიანი, აგრეთვე მისი და მარია-  
ში — მეუღლე მელქისედეგ ანდრონიკაშვილისა და სხვა.

1812 წელს სახელმწიფო საბჭომ ქართველ ბატონიშვილთა შიშართ შემდეგი ბრძანება გამოსცა: «Царевичи, сыновья грузинских царей, сами по себе сохраняют сие титуло, дети же именуются князьями грузинскими, а дети царевичей имеретинских — имеретинскими и таким образом будут уважены с первыми родами империи. Наконец, дети, рожденные от царевен грузинских и имеретинских, вышедших замуж за князей удерживают фамилию своих отцов»<sup>1</sup>. ბრძანებულებაში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებს ენიშნებათ გადიდებული შემკვიდრობითი პენსიები და ხაზგასმული იყო ის ვარემოებაც, რომ: «Пенсии они ни в каком случае не могут быть обращаемы на уплату казенных и частных долгов их, а должны считаться неприкосновенною собственностью означенных членов бывших закавказских царских домов и их наследников»<sup>2</sup>.

ამრიგად, პეტერბურგის ქართველთა კოლონიას, რომელსაც XIX საუკუნის დასაწყისისათვის ქართული ეროვნული ელფერი წაშლილი ჰქონდა, შეუერთდა ქართველ ბაგრატიონთა ახალი წყება.

პეტერბურგის ძველმა სამისამართო კალენდრებმა რამდენადმე შემოგვიჩინა ქართველთა საცხოვრებელი მისამართები. მათი საშუალებით შესაძლო გახდა გავერკვია ქუჩა და სახლი ცალკეული პეტერბურგელი ქართველი მოქალაქისა. ასე მაგალითად:

Багратион Иван Георгиевич — царевич — Васильевский, № 622.

Багратион Баграт Георгиевич — царевич — Васильевский, № 261.

Грузинский Парпаоз Ираклиевич — Литейный, № 15

---

<sup>1</sup> Русский архив, 1837 г. Судьба князей Багратионов — Имеретинских в России, გვ. 280.

<sup>2</sup> იქვე.

Грузинский князь Иван Егорович — 2-я Административная, № 221

Имеретинская царица Анна Матвеевна — 3-я Административная, № 73.

Багратион Константин Давидович — Имеретинский царевич — Московская, № 25.

Грузинская царица Соломония Рывазовна — Литейный, № 15.

Туркестанов — князь — Екатерининский канал, № 185.

Цицианов Дмитрий Евсеевич — Литейный, № 821,

Цицианов — князь Дмитрий Иванович — 3-я Административная, № 157<sup>1</sup>.

როგორც ეს სამისამართო კალენდრები გვიჩვენებენ. ქართველებს საცხოვრებელი ბინები მიუღიათ ქალაქის ცენტრალურ რაიონებში, ახლად ჩასულების ძირითადი ნაწილი კი მოწყობილად ვასილის კუნძულზე. აქ, წმ. ანდრეას ტაძრის ეზოში, მათ დაუარსებიათ ქართული ეკლესია.

როდესაც ვლადიმერბოთ ერეკლეს შთამომავალთა პეტერბურგში ჩასვლის შესახებ, არ შეიძლება არ გავახსენდეს პეტერბურგში ვახტანგის ამალის წევრთა ჩასვლის ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ ბატონიშვილთა ჩასვლა პეტერბურგში დაახლოებით იმავე ხასიათის მოვლენაა, რაც ვახტანგის და მისი ამალის, ამ ორ ისტორიულ ფაქტს შორის მაინც დიდი და პრინციპული სხვაობაა.

1. ვახტანგმა თვითონ დასტოვა ოსმალთა და ლეკთაგან აკლებული სამეფო, სადაც „მეფეს აღარ ედგომებოდა“, ერეკლეს შთამომავლობას დაატოვებინეს სამეფო, მართალია აღა-მაჰმად-ხანისაგან ახლად აკლებული, მაგრამ მაინც ძლიერი, რომლის არსებობას ჯერ კიდევ ეტყობოდა ერეკლეს მმართველობის ხელი.

2. თუ ვახტანგს თავის ქვეყანაში აღარ ედგომებოდა და რუსეთი მოწყალეებით აღუთქვამდა „ჩვენ თქვენ არ დაგტოვებთ და ყოველთვის თქვენი შემწე ვიქნებით“, ერეკლეს შთამომავალთა სამისო არაფერი ჰქონდათ. არც ერეკლეს მიერ რუსეთთან დად-

---

<sup>1</sup> Руководство к отысканию жилищ по Санкт-Петербургу, 1824 год, Санкт-Петербургская адресная книга на 1809 год.

ბული ტრაქტატით, არც 1801 წლის საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტით, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული არ ყოფილა ის, რომ ქართველ ბატონიშვილთა პირადი კუთვნილება სახელმწიფოს საკუთრებად გადაიქცეოდა და მათ სამუდამო საცხოვრებლად პეტერბურგი შეიქნებოდა. ამიტომ, თუ რუსეთში ჩასულ ვახტანგის ამაღლის მატერიალური უზრუნველყოფის საკონტაქტო უშუალოდ რუსეთზე იყო დამოკიდებული და იმით განისაზღვრებოდა, რა ხასიათის მოწყალებას გაცემდა ეკატერინე ალექსის ასული, ერეკლეს სამეფო სახლის წევრებს თან მიჰყვებოდა პირადი საკუთრებიდან მიღებული, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული შემოსავალი და ამის მიხედვით დანიშნული საკმაოდ დიდი პენსიები. ამიტომ ერეკლეს შთამომავლებს პეტერბურგში ჩასვლისას არ დასჭირებიათ იმ მატერიალური სივიწროვისა და უხერხულობის გადატანა, რაც „სხვის კარზე მყოფთა“ ვახტანგის ამაღლის წევრებს დასჭირდა. ბრძანებულებაში, რომელიც ბატონიშვილთა ჩასვლა-მოწყობის საქმეს ეხებოდა, აღნიშნული იყო, რომ ბატონიშვილების პატივი რუსეთის სახელმწიფოში უთანაბრდებოდა უმაღლესი არისტოკრატიული წოდების პრივილეგიებს.

ყოველივე ამან ქართველი ბატონიშვილები უეცრად პეტერბურგის ცხოვრების ცენტრში მოაქცია, მრავალი მათგანი სენატორის თუ სხვა მაღალი ტიტულის მატარებელი გახდა. პეტერბურგის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში კვლავ ჩნდებიან ქართველი მოსწავლეები, პაჟთა კორპუსში განათლებას იძენენ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი, ალექსანდრე და დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკები და სხვანი.

პეტერბურგის ქართულმა კოლონიამ გააერთიანა და საერთო გზით წარმართა თავ-თავის ქვეყანაში ერთმანეთის მოქიშპე ტახტის მძიებლები და ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ცალკეული ადამიანები. პეტერბურგში ერთად ცხოვრობენ, ერთად მისტირიან წარსულ დიდებას, ეთხოვებიან წარსულის ლანდებს დარეჯან დედოფალიც თავისი შვილებით და დავით ბატონიშვილიც თავისი ძმებით<sup>1</sup>. პეტერბურგში იმყოფება სოლომონ მეორისგან

---

<sup>1</sup> აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია დავით ბატონიშვილის წერილი იულონისადმი (E — 241), რომლითაც დავითი

შევიწროებული ანა მამუკას ასული, იმავე სოლომონისაგან დარბეული გიორგი ალექსანდრეს ძის მეუღლე დარეჯანი და თვით სოლომონის მეუღლე მარიამიც. ცალ-ცალკე თითოეული და ერთად ყველა მისტირის განვლილ ყოფას, იგლოვს სამუდამოდ დაკარგულ სამშობლო მხარეს, თანდათან ქრება აღრე არსებული პირადი მტრობა და მათი გამაერთიანებელი ხდება საერთო გოდება და უბრაუნებელ წარსულზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ პეტერბურგელ ქართველებში აღარ არსებობდა ცალკეული უსიამოვნებანი ან პატარა-პატარა კინკლაობანი, მაგრამ ეს იყო ვიწრო, პირადი ხასიათისა, თორემ პეტერბურგის ქართულ კოლონიაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში საერთო ინტერესებით გაერთიანდნენ თავ-თავის ქვეყანაში პოლიტიკურ ნიადაგზე ერთმანეთზე ამხედრებული ქართლისა და იმერეთის სამეფოთა, თუ სამეგრელოს სამთავროს სხვადასხვა წარმომადგენლები.

ცდილობს დაუმტკიცოს იულონს მისი უდანაშაულობა სამეფო ტახტთან დაკავშირებულ არეულობაში. მოგვყავს იგი მთლიანად:

„უგანათლებულესო მეფის ძეო თულონ, ჩემო მოწყალეო ხელმწიფე! ამ უამად ოდეს წარვიკითხე განცხადება ესე ერთადმი ქართლოსიანთა, ამად საჭიროდ ვრაცხე მორთმევაი ამისი, ვითარცა ნანდვილისადმი პატრონისა ჩვენისა, რათა განიხილოს სხვათა თანა პაზრთა ორინცა ესე ამას შინა აზრნი შთადებულნი უგანათლებულესობამ თქვენმან.

ამას შინა აცხადებს ორსავე მხრისა შფოთსა და სხვასაცა ახლისა მხრისა პირისპირ განრეშობობასა სახლისადმი ჩვენისა და ამა მიზეზებითა აპირობენ შეძენობასა დიდისა იუსტიციისაგან აპყვეებულისა სახლისასა.

ვინაიდან უბრალოსა არა ეპირება განმართლება თავისა, გარნა შესაწყალსა ზომიერსაცა შინა, ამით განმხნობილი ვიმართლებ თავსა უგანათლებულესობისა თქვენისა წინაშე, ვითარცა მონაი პატრონისად და ვითარცა შვილი მამისად. ოდეს მამამან თქუენმან და პაპამან ჩემმან ინება კანონისა დადებაი სახლისათვის თუსისა თანმოწმობითა ქართველთა და შემდგომად ძმისა თქვენისა დაგადგინათ მოსაყდრედ, უკეთუ ესე იყო ჩემდა საგრანო, მაშინცა ვიწყე რუდუნად მეგობართა შორის ჩემთა, მაგრამ არა რაი და შემდგომად უამთა რაოდენთამე, ოდეს გარდაიცვალა მამა თქვენი და პაპა ჩემი, თქუენვე ხართ მოწმე და მხილველ, რომელ მე არა ვიყავ მამულსა ჩემსა, რაიცა აღთქუით აღთქმაი ურთიერთარს ძმათა, ოდეს მოვიქეც მუნით და ვცან მითცა არა ვიწყე რუდუნად, რისათვის დემრთი მყავს მოწმედ და სინიდისი და კუალად ამაზნადცა დავიმოწმებ სინიდისსა ჩემსა, ვიღრე გარსევან ქაჰკჷაჰაქსა არა მიერთმი ღრამატაი ძმისათუს თქუენისა, მუნ უამამდის არა რა მოცუნიეს და ოდეს შევესწარ წარკითხვასა, რომელთაც მხიარულთა პირითა ჰყვის ჩემდამი მოლოცვაი და ნაცვალგებით არა თუ მადლობისა მიმთვალველ

XIX საუკუნის ქართველების საზოგადოებრივ საქმიანობაში იმთავითვე თავი იჩინა ორგვარმა ინტერესმა. თუ ერეკლეს შთამომავლობას რუსეთის მაღალი კულტურა, ლიტერატურული გარემო და ინტერესები ხიბლავს, იმერელ ბაგრატიონებს სამხედრო კარიერა იტაცებს<sup>1</sup>. ჯერ კიდევ 15 წლის ალექსანდრე ბაგრატიონი მონაწილეობას იღებს სიმონოვიჩის მეთაურობით მოწყობილ ლაშქრობაში სოლომონ მეორის წინააღმდეგ. შემდეგ ხანებში ალექსანდრე და დიმიტრი განსაკუთრებით გამოირჩევიან იმპერატორისადმი ერთგულებით, მონაწილეობას იღებენ ჯერ დეკაბრისტების აჯანყებისა და შემდეგ პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში. ამ განსაკუთრებული ერთგულებისათვის ნიკოლოზ პავლეს ძე მათ მიმართ გამონაკლისს უშვებს და უნარჩუნებს ბაგრატიონის სახელს.

---

ვიქმენ, არამედ ვაჩვენეა უსახური სახე, რომლისთვისა ვიქმენ მთელსა თვესა კრიტიკასა შინა და სხვა ესე ნიშანი დადებულნი ჩემზედა სხვისა არა რაიმესა მნიშვნელ იყო, გარდა სამსახურისა შინა აღრიცხულობისათვის, ვითარცა სხვანი სპასპეტნი, რომელიცა ემა ვიქმენ როკიკისა ჩემისა.

უკეთუ წყინებთი და განარეზუობანი მედვა გულს შემდგომად გარდაცვალებისა ძმისა თქვენისა, მეცა მოველ მეჩუეობასა, ვითარცა სხუანი, მაგრამ ანდერძი საკვირველისა და სანატრელისა პაპისა ჩემისა მქუნდა სავან დაბრკოლებისა, ვიდრე მოსულადმდე გიორგისა და ელიაზარისა, რომელთაცა წარმომიდგინეს აქთნი მინისტერიით სადღესასწაულოთა დღესასწაულებთა და მძღეს; ვითარცა კაცსა, არათუ მხოლოდ რჩევითა, არამედ შიშითაცა შეშინებულ მყევს სახელითა პავლესათა, რომელსაცა ძრწოლად მოეყვანა ყოველი სოფელი და გარდაასხეს გესლი სახლსა ჩვენსა, რომელიცა მათ თვისისა მამისა ეშმაკისაგან რწმუნებოდათ.

აწ დაუტევოთ ყოველივე ცულ სიტყვაობა, უგანათლებულესობა თქუენი დაშთა სახლსა ამას ნაცულად მეფისა ირაკლისა და გიორგისა, მამად და ერთა ქართლოსიანთა პატრონად. აწ შეიმე მამაკაცებრივ სიმხნე და აღადგინე დაცუჰად მიახლოებული სახლი ესე, რომელიცა არს აღგებულ უმეტეს ათისა საუკუნოსა და გამოიხსენ სახელი თქუენი ყვედრებისაგან ყოვლისა ევროპიისასა წინაშე და ყოველისა ქვეყანისა და ჩვენცა გვიზიარედ მონად მოყუსითურთ და მერგობით უგანათლებულესობისა თქუენისა წინაშე, რომელისაცა მსურველნი ქრისტიანებრითა აღთქმითა და ნამდვილითა სინდისითა ვგებულ ვართ მონად და მოსამსახურედ უგანათლებულესობისადმი თქუენისა, უმდაბლესი მონა დავითი, 1802 წ. ტფილისი.

<sup>1</sup> იმერელ ბაგრატიონებში გამონაკლისს წარმოადგენს გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი, ავტორი პოემისა „ხუმბარდიანი“. იგი მამაა ზემოდასახელებუ-

ასევე სამხედრო კარიერას ირჩევს კონსტანტინე დავითის ძე, ანა მამუკას ასულ ორბელიანის შვილი, ძე იმერთა მეფე დავით გიორგის ძისა.

რაც შეეხება ერეკლეს შთამომავლობას, იგი პეტერბურგში ჩასვლის დღიდან დიდ ადგილს უთმობს რუსული კულტურის გაცნობა-ათვისებას და სამშობლოს სიშორით გამოწვეულ ტრაგიზმს პოეტურ და სამწერლო შემოქმედებაში აქსოვს.

ცნობილია, რომ ერეკლეს მრავალრიცხოვან შთამომავლებში თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ქალი თუ კაცი, რომ კალამი არ აეღო ხელში. არც ერთი ქართველი მწერლის შთამომავლობას არ დაჰყოლია ისეთი პოეტური ტრადიციები, როგორც თეიმურაზ II შთამომავლობას დაჰყვა.

როდესაც ვლადპარაკობთ ქართული კულტურის კერაზე XIX საუკუნის პეტერბურგში, ძირითადად, ვგულისხმობთ იმ ლიტერატურულ წრეს, რომელსაც ამშვენებენ დავით, იოანე, თეიმურაზ, გრიგოლ და სხვა ბატონიშვილები. ისევე, როგორც თეიმურაზ მეორის პოეტური სუნთქვა პეტერბურგში შეწყდა, პეტერბურგშივე დასრულდა მისი ნიჭიერი შთამომავლობის შემოქმედებითი ცხოვრებაც.

### 3. კულტურულ-სალიტერატურო სარბიელზე

როგორც ვთქვით, პეტერბურგში ჩასულმა ბატონიშვილებმა ლიტერატურულ საქმიანობას მალე მიჰყვეს ხელი. მიუხედავად მთელი რიგი გარემოებისა, რომელთა შეჩვევაც უხდებოდათ რუსეთში ახლად ჩასულ სამეფო სახლის წევრებს, მათში მალე ჩამოყალიბდა სულიერ მოთხოვნილებათა მთელი სამყარო, რამაც გაუადვილა ემიგრანტებს სამშობლოს სიშორე და უცხო ქვეყანასთან დაახლოება. ბატონიშვილთა ამ ჯგუფის სახით პეტერბურგში ჩავიდა სალიტერატურო ტრადიციებზე აღზრდილი და განათლე-

---

ლი დიმიტრი და ალექსანდრესი. მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ხანი პეტერბურგში გაატარა და 1807 წელს ალ. ნეველის მონასტრის ეზოში დაკრძალეს. აღსანიშნავია, რომ მისი ლიტერატურული მონღვაწობა პეტერბურგთან არ არის დაკავშირებული.



ბული მოწინავე ნაწილი ქართული საზოგადოებისა, რომლებიც, როგორც მწერლები და მეცნიერები, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოყალიბდნენ. სრულიად მართებულად აღნიშნავს ლ. მენაბდე, რომ: „ისინი თბილისში აღიზარდნენ და გაიწაფნენ, აქ გაიცნეს და შეიყვარეს მშობლიური მწერლობის ტრადიციები, თბილისთანაა დაკავშირებული მათი შემოქმედებითი მუშაობის პირველი ნაბიჯები“, რომ „ბატონიშვილთა ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში დიდი როლი შეუსრულებია თბილისის კულტურულ-ლიტერატურულ გარემოს, თბილისის მწიგნობართა და მეცნიერთა წრეს“<sup>1</sup>.

შეუძლებელია XIX საუკუნის პეტერბურგს ახლის ძიების წყურვილი არ აღეძრა ახლად ჩასულებში.

საქართველოში კი ამ დროს კოლონიალური ჩაგვრით გამოწვეული სახალხო აჯანყებები მძვინვარებდა; კვლავ გრძელდებოდა მეფის რუსეთის ბრძოლა კავკასიაში, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო ირან-თურქეთის ბატონობისათვის.

1811 წელს გაუქმდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. საქართველოს ეკლესია უშუალოდ რუსეთის სინოდს დაუქვემდებარდა. საქართველოს კათალიკოსი ანტონ II ერეკლეს ძე რუსეთში გაიწვიეს, კათალიკოსობის ნაცვლად დაწესდა ეკზარხოსის თანამდებობა, რომელიც ვარლამ ერისთავს მიენდო. მალე მთავრობამ ვარლამ ერისთავი პეტერბურგში გაგზავნა და მის მაგივრად საქართველოში მოავლინა რიანანის ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი. როგორც ა. კიკვიძე წერს „თეოფილაქტემ თავისი მოწოდება გაიგო ისე, როგორც ამას მოითხოვდა მეფის მთავრობის ამოცანები საქართველოს ეკლესიის მიმართ... საეკლესიო რეფორმა ეხებოდა არა მარტო ეკლესიის მსახურთა შტატს, არამედ მემამულეთა უფლებასაც, მათ ქონებას, ადგილ-მამულს და ბოლოს სულადი საეკლესიო გადასახადების დაწესება და ეკლესიის უკეთ მოწყობის მიზნით გადასახადების გადიდება ხომ მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა ისედაც გაღატაკებულ გლეხობას“<sup>2</sup>.

1 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, 1962, გვ. 165.  
2 ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, 1954, გვ. 104.

თვით მთავარმართებელი ერმოლოვიც ვერ ფარავს იმდროინდელ მძიმე მდგომარეობას: «Перемены сии однако ж не весьма нравились, ибо в числе духовенства в здешней стране есть люди, принадлежащие знатным фамилиям, имеющие сильные связи. Их оскорбляла строгая подчиненность, уничтожавшая прежнее их значение. Не менее огорчало то, что не могли они употреблять доходы безотчетно и в свою пользу... простой народ... легко может быть возбужден к беспокойствам»<sup>1</sup>.

ამ დროს კი ერმოლოვი პეტერბურგში ჩადიოდა და თავისი პოლიტიკით აღფრთოვანებული თავს იწონებდა უმაღლესი მმართველობის წინაშე. საქართველოს ამ ხანის შესანიშნავ დახასიათებას იძლევა ნ. ი. ტურგენევის პირადი წერილი ვიაზემსკისადმი. ტურგენევი წერს: «Сюда приехал Ермолов. Я еще не мог видеть его. Начнет с министрами греметь о своей славе, от которой ни Грузии, ни России не легче. Корпус его тяготеет над бедными жителями Грузии и мирное и хотя продолжительное действие гражданской образованности не действует там, а только одна сила военная все ломит и давит. Все рассчитано для мншурного блеска личной славы главного начальника. Граждане, а с ними и гражданственность не процветают, им душно»<sup>2</sup>.

ასე ახასიათებენ საქართველოს მდგომარეობას ამ დროის პროგრესული ძალები. თუ ამის დანახვა რუსეთში შესძლეს ტურგენევმა, ვიაზემსკიმ, პუშკინმა და რუსეთის სხვა პროგრესულმა ადამიანებმა, ბუნებრივია, საქართველოდან ახლად ჩასული მოწინავე ქართველთა ჭგუფი უფრო მძაფრად და ნათლად განიცდიდა მშობლიური ქვეყნის მდგომარეობას. ამიტომ, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა ბატონიშვილების სევდიანი ჰანგების მიზეზი მხოლოდ მათი პრივილეგიების დაკარგვით და სამშობლოს სიშორით აგვეხსენა. ბატონიშვილთა და მათი წრის მთელი მოღვაწეობა პეტერბურგში იქითყენაა მიმართული, რომ მშობელ ქვეყანას გააცნონ მოწინავე კაცობრიობის მიღწევანი მეცნიერების ყველა დარგში. ამაზე

<sup>1</sup> ი. კიკვიძე — საქართველოს ისტორია, 1954, გვ. 105.

<sup>2</sup> Остафиевский архив, т. II, гв. 164.

ლაპარაკობს მათ მიერ ნათარგმნი შრომები ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიის, ბუნებისმეტყველებისა თუ მათემატიკური დარგებისა და მთელი მათი სწრაფვა მშობლიური ქვეყნის სულიერი ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

ახალჩასულთა პირველი ზრუნვის საგანი რუსული ენის დაუფლება იყო. ამ მხრივ, პირველ პრაქტიკულ ნაბიჯს იოანე ბატონიშვილი დგამს, რომელმაც სახელმძღვანელოდ აიღო 1788 წელს კლეოპატრა სარაფიანის მიერ პეტერბურგში გამოცემული სომხური და რუსული ენის თვითმასწავლებელი<sup>1</sup>. კლეოპატრა სარაფიანის წიგნში მოცემულ სომხურ-რუსულ ანბანსა და სიტყვებს იოანემ ქართული შესატყვისი თარგმანი დაურთო. როგორც ლ. ქუთათელაძე წერს, „ი. ბატონიშვილის მიერ გაწეული ეს შრომა საშუალებას მისცემდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებს, რომელთაც სომხური იცოდნენ და რუსული კი არა, ან არც სომხური იცოდნენ და არც რუსული, იოანეს თარგმნის საშუალებით დაეგროვებინათ რუსულ სიტყვათა მარაგი, ამასთანავე ესწავლათ რუსული წერა-კითხვა და ცალკეული წინადადებების შედგენა“<sup>2</sup>.

1807 წელს იოანეს რუსული ლექსიკონის თარგმნა დაუწყია. შემორჩენილია იოანეს მიერ ქართულად თარგმნილი ლექსიკონის რამდენიმე ნუსხა, მათ შორის რუსული აკადემიური ლექსიკონის თარგმანის უკანასკნელი რედაქცია, რომელიც ლ. ქუთათელაძის ვარაუდით, იოანეს 1817 — 1819 წწ. უნდა დაესრულებინა.

იოანე ბატონიშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონებზე მუშაობა მთარგმნელობითი მოღვაწეობით არ დასრულებულა. სხვადასხვა სახის (განმარტებითი, საბუნებისმეტყველო, სამკურნალო მცენარეთა) ლექსიკონების შედგენასთან ერთად, სიცოცხლის ბოლო წლებში, იოანე ბატონიშვილი მოკლე რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაზე მუშაობს, რომლის დაბეჭდვის დიდი სურვილი ჰქონია ავტორს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ლ. ქუთათელაძე, ი. ბატონიშვილის ავტოგრაფული ნუსხების მიმოხილვა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 219.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 225, 226. ი. ბატონიშვილის ლექსიკონების შესახებ იხ. აგრეთვე ა. ლონტი. ქართულ-რუსული ლექსიკონი იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა ლენინგრადის კოლექციაში, „ცხინვალის სახელმწ. პედაგოგიკის შრომები“,

1807 წლის 1 ნოემბერს პეტერბურგში გარდაიცვალა გიორგი ალექსანდრეს ძე (სოლომონ პირველის შვილიშვილი), 1807 წლის 9 ნოემბერს კი გარდაიცვალა ერეკლე მეორის მეუღლე დარეჯან დედოფალი. დარეჯან დედოფლის გარდაცვალება პირველი დანაკლისი იყო პეტერბურგში მყოფი ერეკლე მეფის ოჯახისა. უშუალოდ იმპერატორის ბრძანებით დარეჯან დედოფლის გარდაცვალება ეცნობა ცერემონიალური საქმეების დეპარტამენტს, რომელმაც შეიმუშავა ცერემონიალის გეგმა, რის მიხედვითაც დაიკრძალებოდა საქართველოს ყოფილი დედოფალი. ხუთშაბათს, დილის 10 საათზე, დედოფლის ბინაზე თავი მოიყარეს იმპერატორის სამეფო კარის წარმომადგენლებმა, სტატ დამებმა, ფრეილინებმა, ცხენოსანი არმიის წარმომადგენლებმა და სხვებმა, რომლებიც სამგლოვიაროდ მორთულნი საკარო ეკიპაჟების თანხლებით აღ. ნეველის მონასტრის სასაფლაოზე მიაცილებდნენ საქართველოს უკანასკნელ დედოფალს.

1808 წელს აღ. ნეველის სასაფლაოს კიდევ ერთი ქართველის საფლავი შეემატა ვახტანგ ერეკლეს ძის მეუღლის — ქეთევანის სახით.

1812 წელს კი გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა ჯიბრაილ ბატონიშვილი.

\* \* \*

1812 წელს საქართველოში მთავარმართებლის მარკიზ პაულიჩის ბრძანებით ეგზეკუცია ჩამოაყენეს. ამით იყო ქართველთა ვედრება გენერალ პორტნიაგინის მიმართ: „არა ძალგვიძსო მოცემა. რამეთუ ცოლ-შვილინცა ჩვენნი იზრდებიან ჟამსა ამას მხოლოდ მწვანილითაო, რამეთუ არა იპოვების პური“<sup>1</sup>. პორტნიაგინმა ბრძანება გასცა დაეპატიმრებინათ ყველა, ვინც ბრძანებას წინ აღუდგებოდა. ამ ვითარებამ 1812 წელს კახეთის ცნობილი აჯანყება წარმოშვა, რომელმაც ფართო მასშტაბი მიიღო. პაულიჩმა პათე-

11, 1955, გვ. 285 — 312; მისივე რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონების რედაქციებისათვის „ცხინვალის სახ. პედინსტიტუტის შრომები“, III, 1956, გვ. 279 — 314; მ. კელენჯერიძე, რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები XVIII—XIX საუკუნეებისა, თბ., 1961. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ლ. ქუთათელაძის „დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები“, 1967 წ.

<sup>1</sup> ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, 1941 წ., გვ. 118.

ტიკური სიტყვით მიმართა ხალხს და დიპლომატიურად მათი დამ-  
შვიდება სცადა. კახეთის მოსახლეობის დრტვინვა შემდეგ სიტყვებ-  
ში გამოიხატა: „ჩვენ რუსეთის მეფის მფარველობას ვეძიებდით  
და ღმერთმა იგი გვიწყალობა, მაგრამ მის უსამართლობამ და სი-  
სასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვავდო. ჩვენ დიდხანს ვითმენ-  
დით, ხოლო ეხლა, როცა ღმერთმა ეს საშინელი შიმშილი დაგვა-  
ტება თავს, როცა თვითონ ბალახ-ბულახს ვჭამთ, ჩვენგან პურსა  
და საკვებს მოითხოვენ. ღმერთია მოწამე: რომ რუსთა ღალატი  
არასოდეს ფიქრად არ გვქონია, ჩვენ ეს ძალდატანებამ გვაიძულა  
და გადავწყვიტეთ აქვე დავიხოცოთ“<sup>1</sup>.

კახეთის აჯანყებაში მონაწილეობდა იოანე ბატონიშვილის  
სრულიად ახალგაზრდა შვილი გრიგოლ ბატონიშვილიც. აჯანყების  
სასტიკი ჩაქრობის შემდეგ გრ. ბატონიშვილი მარკიზ პაულიჩმა  
დაიბარა და პეტერბურგში გაგზავნა. აქ იგი როგორც პოლიტიკური  
დამნაშავე; პეტრეზავოდის ციხის პატიმარი შეიქნა.

პეტრეზავოდის ციხის ტუსალი, სრულიად ახალგაზრდა გრი-  
გოლ ბატონიშვილი, მწარედ გოდებს განვლილი დღეების სიმწა-  
რეზე.

„ბედკრულსა შემთხვევას შეეხვდი მწარესა,  
მოვაკლდი ქართლისა ტყბილსა არესა,  
სატრფოს დედასა გულ მღმობარესა  
აწ ვიგლოვ პყრობილი მყინვართ მხარესა,  
ერთჯულთა თან ზრდილთა მოყუსად მქმარესა,  
ვსტირ თავსა ჩემსა, ვღვრი ცრემლსა ღვარესა;  
ესე სჯობს ვითხრიდე თვით სამარესა.  
...სჯობდა მამულისთვის მოკვლა თავისა,  
მტრისგან არ მიმელო ფიცი ზავისა,  
ტუვეობათ რა ვნახე კიდე ავისა.  
ვმართებს, ყმანო, ჩაცმა ჩემზედ შავისა“<sup>2</sup>.

გრ. ბატონიშვილის მიერ პეტრეზავოდის ციხეში დაწერილ  
ლექსებში გამოიხატა ის დიდი სევდა, უსამართლოდ განდევნილთა  
გულისტკივილი და მღუღრვა სოფლისადმი, რომელმაც სხვა ემიგ-

<sup>1</sup> ალ. ქავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 250—251. ამ საკითხზე იხ. ა.  
კვიციანი, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), 1954, გვ. 71—98.

<sup>2</sup> H — 2130.

რანტ ქართველთა ლექსებთან ერთად საგანგებო თემატიკა შექმნა. ე. წ. გარდამავალი ხანის ლირიკაში.

„ამისთვის გბრალდეთ, ჩვენთვის გულები  
შეიტყვენეთ, კსიანთ დაფარულები,  
ღიღი სასიკიპტროს სახლის შვილები,  
სად ვიდევნებით დაქსაქსულები“<sup>1</sup>.

აცხადებს გრ. ბატონიშვილი.

მირიან ბატონიშვილიც კი, რომელიც ყველაზე ადრე და ყველაზე აქტიურად ჩაება პეტერბურგის მხიარულ ყოველდღიურობაში, თავისთავთან დარჩენილი სრულებით აღარ გავს პეტერბურგის ბრწყინვალე საზოგადოებათა მხიარულ წევრს, არამედ სამშობლოსა და თავისიანებს მოშორებული მწუხარედ ღიღინებს:

„მოვედით, მოყმენო, შეკრბით ჯომარდნო,  
მწუხარეს მომხედეთ, შემიწყალენით,  
მოყვარენო მწენო, მტერთ გულის დარდნო  
მისმინეთ, ნაღველნი მით მიბრალენით.  
მოეშორდი მშობელთა და ნათესავთა  
სწორთა, მეგობართა, მოყმეთა თავთა,  
მით საწუთრომან მიმცა ნაღველთა შავთა,  
ამ დარდით მიხსენით, დამავალენით“<sup>2</sup>.

ამავე განწყობილების გამომხატველია ილია ბატონიშვილის მუხამბაზი:

„სევედამ მომხვია გულსა ბრკვალეზი,  
ზედ დამრთო ჭირნი მალის მალეზი,  
მარად მიოხავს გულსა ძალეზი,  
ამაოდ მდინდეს ცრემლთა თვალეზი.  
არასად ვინ ჩანს ჩემი მბრალეზი,  
რომელმან ესე ცეცხლის ალეზი  
დამშრითოს გულსა, მისხას წყალეზი“<sup>3</sup>.

და ბოლოს დავით ბატონიშვილის ბრწყინვალე ლექსი:

„გამიფრინდა სიხარულის ფრინველი,  
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა,

<sup>1</sup> ანთოლოგია, აღ. ბარამიძის გამოცემა, ტ. 11, 1928, S—1512. გრ. ბატონიშვილის შესახებ იხ. აგრეთვე ა. აბრამიშვილი—ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანის“ მე-19 ცალი და გრიგოლ ბატონიშვილის მარგინალები, კრ. შოთა რუსთაველს, უნივერსიტ. გამომც., 1966.

<sup>2</sup> ანთოლოგია, ტ. 11, გვ. 270

<sup>3</sup> იქვე; ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 114.

ემიგრანტ პოეტთა ლირიკის ეს მწუხარე ჰანგები თან ახლავს პეტერბურგელ ქართველთა ყოფას არა მარტო პეტერბურგში ჩასვლის პირველ ხანებში, არამედ იქ ცხოვრების მთელ მანძილზე. მათ ლექსებში, პირად წერილებში, თარგმანთა შენიშვნებში, თუ ბიოგრაფიული ხასიათის ცალკეულ ძეგლებში დაუსრულებლად ისმის გოდება ბედნიერი წარსულისა და უსიხარულო აწმყოს შესახებ.

უადგილო არ იქნება აქვე დავიმოწმოთ ლენინგრადში დაცული ერთი ხელნაწერი, რომელშიც ერთ-ერთი ბატონიშვილის სიზმარია მოთხრობილი. როგორც მისი შინაარსი გვიჩვენებს, პეტერბურგში კარგა ხნის დასახლებულ ბატონიშვილებს არ მოშუშებიათ თავიანთი ჭრილობები. საქართველოსა და მათ სამეფო სახლთან დაკავშირებული ასოციაციები მათ სიზმარშიც არ ტოვებს: „წელსა 1814, იანვრის 30, დამეს, პარასკევს, რომელი თენდებოდა შაბათს 31 იანვარს, ვიხილე სიზმარი ესევეთარი: მზე იდგა ბრწყინვალე მოწმენდილ ჰაერში, სრულიად ესრეთ დაბნელდა, რომელ ვარსკვლავნი იხილვებოდა. და კვალად იგი მზე შევიდა ერთსა შავსა ღრუბელს და დაფარა იგი მზე ღრუბელმან. მე ვდეგ ტფილისსა ქველსა სასახლესა შინა და ვსჭვრეტდი ფანჯრით გამო განკვირვებით და ვისწრაფე ოთახსა უკანასა ჩემსა და ეძინა ოთახსა მას ელიაზარ ფალავეანიშვილსა და განვადვიქე იგი და ვაჩვენე მზე იგი და განცვიფრებული სჭვრეტდა იგიცა. ხოლო ამასა შემდგომად შაველ სახლსა სხვას, რომელსა დიდ საწოლად უხმობდნენ. იდგა მეფე გიორგი და სჭვრეტდა მზესა მას და იცინოდა და მიბრძანა: ვერა ხედავ, ვითარ დაბნელდა მზე? მე მივუგე მას: ვხედავ! და მოვახსენე: ხელმწიფეო, გახსოვს ამაღლება დღეს 13 მაისს ასევე დაბნელდა მზე. ხოლო მან მრქუა მე: ის მზე არ დაბნელებულა მას უამსა, ვითარცა ახლა დაბნელდა. და განცვიფრებულს გამომეღვიძა“<sup>2</sup>.

1 ს. H — 2130.

2 აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწერი E—89.

როგორც ჩანს, სიზმრის სიმბოლური ხასიათით უნდა იყოს გაპირობებული, რომ სიზმრის მნახველს იგი საგანგებოდ ჩაუწყობია კიდევ.

ემიგრანტთა წრე თანდათან შეეჩვია თავის ხვედრს. უნდა ვენდოთ პლ. იოსელიანს, რომელიც ამბობს: რუსეთში მცხოვრები ქართველი ბატონიშვილები „სიცილით მოიგონებდნენ საქმეთა წარსულთა და მხიარულებით განაზავებდნენ მეფობისა ღირსებათა თვისთა და პატივისა დაკარგვისა სიმწარესა“<sup>1</sup>. განა ამასვე არ ლაპარაკობს გრ. ბატონიშვილი თავის კრებულის ერთ-ერთ კომენტარში: „პეტერბურგში მეფის ძის დავითის სახლში ვართ — სამეფოს სახლის შვილები ერთიან შეყრილნი და სადილად დავსხედით. დიდად შევექეციოთ, ჩამოვარდა საქართველოზე ამბავი და კურთხეულმა დავით ბატონიშვილმა ბძანა: „ნეტავ ასი ათასი სვიმონ ბებურიშვილისთანა კაცი მომცა და უცებ დამავლო ჩვენ ქალაქსაო“. მე, ბატონიშვილმა გრიგოლმა, გავიცინე და მოვანხენე: „ბატონო, ბებურიშვილი სვიმონ რა საჭირო არის მეთქი. აი ეს თქვენი ბიძა მირიან და თქვენი ძმა ბაგრატ რომ ერთ ალაგს იყუნენ, ჯარი რაღა საჭირო არის მეთქი. განსვენებულმა იმდენი იცინა, რომ იძახდა ვაი მუცელიო“<sup>2</sup>, — წერს გრ. ბატონიშვილი. მართალია ცრემლნარევი სიცილით, მაგრამ მაინც შეეგუენ ქართველები თავიანთ ყოფას და პეტერბურგის ცხოვრების საერთო ფერხულში ჩაებნენ.

ბატონიშვილების კულტურულ-ისტორიულ საქმიანობაში ქრონოლოგიურად ყველაზე ადრე ისტორიულმა თემატიკამ იჩინა თავი. უკვე 1805 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოდის დავითის ისტორიული ხასიათის თხზულება: «Краткая история Грузии со времен первого в оной населения».

წიგნის მიზანი იყო მკითხველისათვის, განსაკუთრებით რუსი მკითხველისათვის, გაეცნო საქართველოს ისტორია და მისი კულტურული წარსული. ამ პატარა წიგნში მოვლენათა მსვლელობა

---

<sup>1</sup> პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა; ტფილისი, 1986, 83-59.

<sup>2</sup> ი — 2130, გვ. 148.



მოყვანილია 1801 წლამდე. შემდეგ დავითი კვლავ დაუბრუნდა ამ წიგნს და ფაქტები 1816 წლამდე ძიიყვანა<sup>1</sup>.

ეს ვრცელი ვარიანტი ავტორს გენერალ ერმოლოვისათვის დაუწერია. თუ პირველი ნაწილი მხოლოდ ისტორიული ხასიათის თხრობას შეიცავდა, ამ მეორე ნაწილს პოლემიკური ხასიათი აქვს, რომელშიც დავითი აკრიტიკებდა ევროპელი მწერლების ცნობებს ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებათა და კულტურის შესახებ.

1805 წელს გოდერძი ფირალოვი რუსულ ენაზე თარგმნის „ვეფხისტყაოსანს“. როგორც ოქროპირ ბატონიშვილი წერს, მას „ვეფხისტყაოსანი“ დაუწერია 5 მოქმედებიან ტრაგედიად, თუმცა სცენაზე იგი არ დადგმულა<sup>2</sup>.

1805 წელს იმავე გოდერძი ფირალოვის მიერ ითარგმნება სამკურნალო წიგნი, ხოლო 1808 წელს ქართულ ენაზე გამოდის „ღონეი და შეწევნილება რომლითაც ისხნების ერი ყვავილის სნეულებისა სრვისგან“.

1805 წელს მირიან ბატონიშვილი ქართულ ენაზე თარგმნის ბრეველს „ათეისტს“. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან პეტერბურგში ახლად ჩასულ ქართველთა წრეში იწყება კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა.

1811 წელს პეტერბურგში ახლად ჩასული თეიმურაზ ბატონიშვილი გრაფ. ნ. რუმინანცევისათვის წერს ნაშრომს: „აღწერა აწინდელთა სპარსეთისა ყუენთა (ანუ შაჰთა) და გვარეულობისათჳს ყაჯართასა თუ საიდგან წარმოებენ“<sup>3</sup>.

მართებული უნდა იყოს შ. მესხიას მოსაზრება, რომ თეიმურაზის მიერ „1811 წლიდან 1830 წლამდე უნდა იყოს ნათარგმნი და დაწერილი ყველა ის შრომა, რომელთაც საქართველოს ისტორიასთან ნაკლები კავშირი აქვთ და მეცნიერების ამა თუ იმ დარგს ემსახურებიან. ბროსეს გაცნობის შემდეგ, ე. ი. 1830 წლიდან თეი-

<sup>1</sup> ეს ნაწილი არ გამოქვეყნებულა. დაცულია აზიის ხალხთა ინსტიტუტში.

<sup>2</sup> ოქროპირ ბატონიშვილის მიერ პიესად გადაკეთებული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობა, 1853 წ., გვ. 1.

<sup>3</sup> А. Сагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. 1894 წ., გვ. 17. შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1939, 1, გვ. 33.

მურაზს ამგვარი თარგმანებისათვის არ ეცალა<sup>1</sup>. შ. მესხია ამ პერიოდს უკავშირებს თეიმურაზის შემდეგ ნაშრომებს: „გრიგოლ კონსტანტინოპოლელ პატრიარხის დასაფლავებაზე თქმული სიტყვა“, წიგნი „ბუნებისათვის ღმერთთაჲსა“ ციცირონისა, „წიგნი არისტოტელისა ბოროტისათვის და კეთილისა“, „ტაქტიკა... ქარტებით“, „მხედრობის დარიგება ნაპოლეონისაჲან“, „ფრანციკულნი სჯულნი სამხედროთაგანთა“. ამავე პერიოდს მიაკუთვნებს მკვლევარი თეიმურაზის ორიგინალურ შრომებს: „საარინმატიკოთა და საგეომეტრიოთა პროპორციათა პროგრესიის კანონთა“, „რუსეთის სამმართველოთა და სამსაჯულოთა ადგილების და სჯულთათვის რომელთამე, მოკლედ ქმნილი“ და თეიმურაზის ერთადერთ პოემას „ვაშლი“, რომელიც ავტორს გრიგოლ დადიანისათვის მიუძღვნია<sup>1</sup>.

1812 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოვიდა «Письма грузинскаго царевича Вахтанга Ираклиевича».

წერილში ვახტანგ ბატონიშვილი თავის შეხედულებებს აყალიბებს სახელმწიფოს, სამეფოს შესახებ, იხსენიებს დიმიტრი თავდადებულს, მსჯელობს მინისტრებზე, სამხედრო პირებზე და ბოლოს ეხება ემიგრანტების საკითხს. ეს საკითხი ჩემში აქ ჩამოსულმა ემიგრანტების ჯგუფმა დაბადაო, ამბობს ვახტანგ ბატონიშვილი. უცხოელები მოშორებული არიან თავიანთ მიწას, თავიანთ საყვარელ ახლობლებს, ახალ ქვეყანაში მათ არ გააჩნიათ ნაცნობობა, მათი ნათესაური ურთიერთობანი ფრთაშეკვეცილია, ისინი თავიდან იწყებენ ცხოვრებას. ისინი, როგორც უცხონი, არ იცნობენ ადგილობრივ კანონებსა და წეს-ჩვეულებებს. ამიტომ ხშირად ზღბიან უსიამოვნებათა მიზეზი და უხეშობის მსხვერპლნი, ამიტომ, — წერს ვახტანგ ბატონიშვილი, — თითოეული უცხოელი უნდა ეცადოს, რომ რაც შეიძლება მალე გაეცნოს მისთვის აქამდე უცნობი ხალხის ხასიათს, ეძიოს მათში მეგობრები და ნაცნობები; ეცადოს დამხდურთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახუროს<sup>2</sup>.

ქართველთა დაახლოება პეტერბურგის საზოგადოებასთან პეტერბურგში ადრე არსებულ ქართველთა წრიდან დაიწყო. ქართველები უახლოვდებიან სერგი ლაზარეს ძე ლაშქაროვის ოჯახს,

<sup>1</sup> შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, გვ. 35.

<sup>2</sup> Письма грузинского царевича, Вахтанга Ираклиевича, 1912, გვ. 34—



ბაგრატ ბატონიშვილი



იოანე ბატონიშვილი

რომლის შვილები გულუხვ მასპინძლობას უწევენ მათ. ახლო ურთიერთობაში არიან ისინი ძმებ პეტრე და რომან ბაგრატიონებთან.

1812 წელს რუსეთი დიდ სამამულო ომში ჩაება. საკუთარი ქვეყნის ხსნისათვის ფეხზე დადგა მთელი რუსეთი. ისაკის ტაძრის კათედრიდან გაისმა ამბროსი მიტროპოლიტის პატრიოტული, მხნე მოწოდება პეტერბურგის მცხოვრებთა მიმართ. ბაგრატ ბატონიშვილმა თავის „ახალ მოთხრობაში“ ასე გადმოგვცა ამბროსი მიტროპოლიტის სიტყვა: „ჰოი, რუსნო, ჰოი, ერნო! დიდებო მეფეთა თქვენთაო! პატევო მართლმადიდებლისა ეკლესიისაო! სიმტკიცეო მამულისაო! მცველო სასაყდროთა ქალაქთაო, მშვენიერებო რუსეთისა მიწისაო! თანამემამულენი თქუენნი მოსკოვსა მხედრობა განვიდა უკუე სარბიელსა ზედა ბრძოლისასა და გულოვანსა რუსეთის მხედრობასა ეთანამონაწილევების განგმერად წინააღმდეგთა. მიმბაძველნი მისნი წარვედით მოსწრაფედ და შეუშინებლად თქუენდა განწესებულსა გზასა ზედა უფლისასა... წარვედით ერთითა განზრახვითა დათრგუნვად ბოროტმოქმედისა და მხედრობისა მისისა“<sup>1</sup>...

მტერთან ბრძოლაში რუს მებრძოლებთან ერთად პეტერბურგელი ქართველებიც ჩაებნენ: ილია და გრიგოლ ბატონიშვილები, კონსტანტინე იმერთა ბატონიშვილი, დავით იმერთა მეფის ძე, ბიბილური პავლე სერგის ძე, ქავჭავაძე ალექსანდრე, ციციშვილი დიმიტრი და სხვა. ქართველები რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ თანამომძეებთან ერთად ერთგულად იბრძოდნენ უცხო დამპყრობლის წინააღმდეგ და მამაცურად ეწირებოდნენ რუსეთს. პეტერბურგში მცხოვრები პეტრე ლარაძე თავის პატარა პოეტურ ხმას უერთებდა მოსკოვზე შექმნილ შედეგებს:

„ვანი, მოსკოვსა, წვად მდებ.რესა,  
შვილას წელს ტრფობით ნაგებარესა“.

პეტერბურგელმა ქართველებმა სხვებთან ერთად იზეიმეს მტერზე რუსეთის გამარჯვება<sup>2</sup>, თუმცა მათ სიხარულს დიდ ჩრდილს

1 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბილისი, 1941, გვ. 125 — 126.

2 ამ საკითხის შესახებ იხ. უფრ. „განათლება“, 1915 წ., 1; აგრეთვე ტრ. რუხაძის — ქართველები რუსეთის 1812 წ. სამამულო ომში; ი. ანთელავას — ქართველები 1812 წ. სამამულო ომში, 1952, ნ. ნაკაშიძის, ბოროდინოს გმირი, 1961.

აყენებდა საამაყო თანამემამულის — პეტრე ბაგრატიონის დაღუპვის ამბავი.

„პეტრეუ- ქართველთა ხარ დიდებო.  
სახსოვრად დაესდვა შენი ჭებაო“,

მღეროდა რომელიღაც ქართველი<sup>1</sup>.

ნაპოლეონის შემოჭრამ რუსეთში, მოსალოდნელია, რომ დიდად არივ-დარია ქართველი კოლონისტების საქმიანობა და მიზნებიც. დავით ბატონიშვილს პეტერბურგში ჩასვლისთანავე განზრახული ჰქონდა აეშენებინა ქართველთა ეკლესია, რომელშიც დაასვენებდა გრემის სასახლიდან სახსოვრად წამოღებულ საღმრთო საუნჯეს — ღვთისმშობლის ხატს და ქართველთა უძველეს რელიქვიას — ძელი ცხოველის სახით. დავითის სურვილი იყო „ძულანი ჩემნი დაეფლას ახლად აღშენებულსა შინა ეკლესიასა. აგრეთვე ჩვენისა ქუეყანისა უმაღლესთა და უგანათლებულესთა ძულანი დაიდვენენ მას შინა, ხოლო ქართველნი, რომელნიცა აღესრულუნენ, გარემოს ეკლესიისასა დაიმარხნენ“. დავითის ამ განზრახვისთვის ხელი შეუშლია ნაპოლეონის ლაშქრობას: „შემოსვლამან ნაპოლეონისამან ზემო განზრახულნი უსაღვთოესნი აზმნობანი შესცვალა,

<sup>1</sup> S — 1534; გაზ. კომუნისტი, 1942 წ. 17. IX.

როგორც ცნობილია, პ. ბაგრატიონი იყო არა მარტო შესანიშნავი მხედართმთავარი, არამედ დიდად კეთილშობილი ადამიანიც, რომელიც მუდამ ზრუნავდა ქარისკაცების მატერიალურ მდგომარეობაზე. როგორც ჩანს, პ. ბაგრატიონის ფართო კაცთმოყვარე ბუნებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მას გარდაცვალების შემდეგ დარჩენია საკმაოდ დიდი ვალები, რომელთა გადახდაც მის შმას, რომან ბაგრატიონს უნდა დაკისრებოდა. ისტორიულ არქივში დაცულია მთელი საქმე ამ დიდებული გმირის თაობაზე. წერილში რომან ბაგრატიონი ითხოვს რუსეთის სახელმწიფოს წინაშე, რომ რუსეთისათვის ერთგულ და თავგანწირულ პ. ბაგრატიონს რუსეთმა აპატიოს ეს დავალიანება, ანუ დააკმაყოფილოს პ. ბაგრატიონის კრედიტორები. კრედიტორთა შორის პ. ბაგრატიონის ნათესავი და მეგობარი დ. ბატონიშვილიც არის. დავითი დიდ ბოღიშს იხდის იმის თაობაზე, რომ იძულებულია აწ გარდაცვლილი გმირის მიერ ნასესხებ 500 ჩერვონეცზე ილაპარაკოს. მაგრამ რომ უკიდურესი გაჭირვება არა, წერს დ. ბაგრატიონი, ამ საკითხზე არაფრით არ შეგაწუხებდითო. როგორც საქმიდან ჩანს, რუსეთს დაუკმაყოფილებია რ. ბაგრატიონის და კრედიტორთა თხოვნა.

რომლისაგან სრულიად ევროპა ირღუეოდა, ვიდრე შეპყრობამდე მისა, რომელი წარგზავნეს წმინდის ელენეს ჰალაქსა შინა“.

ჩასვლის დღიდანვე პეტერბურგის ქართული კოლონიის მთავარი ფიგურა დავით ბატონიშვილია. სენატორის ხარისხი, გენერალ-ლეიტენანტის ჩინი და მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება, აგრეთვე ის დიდი მოწონება, რომელსაც დავითი პეტერბურგის საზოგადოებაში იმსახურებს, არის წუთები, როდესაც დავითს ათქმევენებს «Хорошо, как нигде, никогда не быво». მაგრამ ეს არის წუთიერი რამ, რასაც ის, როგორც აღანიანი განიცდის. სულ სხვაა ჩვენს წინ დავით ბატონიშვილი, როგორც სახელმწიფო, ან როგორც შემოქმედი მოღვაწე.

როგორც ისტორიკოსი, დ. ბატონიშვილი საჭიროდ მიიჩნევს ქართველი ხალხის ისტორია და რაობა გააცნოს დიდ რუს ხალხს, დაიცვას ეროვნული კულტურა და მისი მდიდარი ისტორიული წარსული. როგორც აპ. როგავა წერს, „მიუხედავად დიდი რუსი ხალხის მოწინავე ინტელიგენციის პროტესტებისა, მეფის მთავრობა მაშინ ნაკლებად ცდილობდა გასცნობოდა ქართულ მრავალსაუკუნოვან კულტურას და ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსული გამოემზეურებინა. ასეთმა გარემოებამ ათქმევინა დავით ბატონიშვილს თავის დროის ნიპილისტთა მამხილებელი სიტყვები: «Многие думают, что грузины не имели ни книг, ни типографии, и даже будто не умели ни писать, ни читать»<sup>1</sup>.

შემთხვევითი არ არის, რომ 1805 წელს პეტერბურგში გამოცემული „მოკლე ისტორიის“ ავტორი კვლავ დაუბრუნდა მას და ვრცელ ვარიანტში პოლემიკა აწარმოვა სხვადასხვა ევროპელ მწერალთა ცნობების შესახებ ქართულ ზნე-ჩვეულებათა და კულტურის საკითხებზე.

როგორც დ. ფურცელაძე წერს: „დავითი აძლევს ხელთ რუსეთის ბიუროკრატიის წარმომადგენლებს და კავკასიის ისტორიით დაინტერესებულ მწერლებს, აგრეთვე თვით საქართველოს მთავარ-მართებლებს მასალას, რომელსაც კოლონიზატორების თვალში მათთვის უცხო მხარე, ახალი პროვინცია რაც შეიძლება მაღლა

---

<sup>1</sup> დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, აპ. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბილისი, 1959, გვ. 194.

უნდა დაეყენებინა, მამაშვილური მოსარჩლეობისა და ჰირისუფლობის თვალსაზრისით წარმოეჩინა<sup>1</sup>.

პეტერბურგში მყოფი დავითი ყოველნაირად ცდილობს ახლოს იყოს საქართველოს ყოველდღიურობასთან.

როგორც ცნობილია, საქართველოს რუსეთთან შეერთება იმასაც ითვალისწინებდა, რომ სამოქალაქო საქმეების გადაწყვეტა მთავრობას უნდა ეწარმოებინა ადგილობრივი კანონებით, კერძოდ, ვახტანგ VI სამართლით. მხოლოდ საჰირო შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი, გამოიყენებოდა რუსული კანონმდებლობა. ამიტომ ვახტანგის სამართლის თარგმანის საჰიროება გადაუდებელ ამოცანად იქცა. სხვადასხვა დროს პეტერბურგში ვახტანგის კანონების თარგმანზე მუშაობდნენ დავით ჩოლოყაშვილი, მირიან ბატონიშვილი და ბოლოს დავით ბატონიშვილი (როგორც ცნობილია, ვახტანგის კანონების თარგმანმა არ დააკმაყოფილა რუსეთის მთავრობა და 1821 წელს კვლავ დაისვა საკითხი ვახტანგის სამართლის თარგმანის თაობაზე. გენერალ ერშოლოვის ინიციატივით და გენერალ ხოვენის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია ვახტანგის კანონების სრულყოფილი თარგმანის დასამზადებლად).

ამრიგად, ფაქტიურად, მართვა-გამგეობის საჰირო კანონების უქონლობის გამო, საქართველოში გამოგზავნილი მთავარმართებლები საქართველოს შინაურ საქმიანობას სუბიექტურად უდგებოდნენ და არეუ-დარევა შეჰქონდათ ადგილობრივ კანონმდებლობაში.

დავით ბატონიშვილს, როგორც ჩანს, მხედველობიდან არ გამოპარვია ეს გარემოება და 1812 წელს იმპერატორ ალექსანდრე I სახელზე შეაქვს პროექტი «О лучшем устройстве Грузии»<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის გამოც., ტექსტითა და გამოკვლევით, 1944, გვ. 41. დავით ბატონიშვილის, როგორც ისტორიკოსის შესახებ იხ. აგრეთვე არჩ. ბარამიძე — ძველი საქართველოს ქრონოლოგიის საკითხი XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. „მაცნე“, 1964, № 4, გვ. 182 — 183.

<sup>2</sup> И. К. Ениколопов, Две записки царевича Давида, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვ. 1: სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გვ. 041.



ალექსანდრე I პროექტის განხილვა მარკიზ პაულიჩს მიანდო, რომელმაც ცალ-ცალკე განიხილა დავითის პროექტში წამოყენებული საკითხები. დავითის ძირითადი მოსაზრებით — ბატონიშვილთა სამშობლოდან გაძევება საქართველოს კარგს არაფერს უქადის და ამიტომ საჭიროდ მიაჩნია, რომ საქართველოს მთავარმართველს, როგორც დამხმარე, მიეჩინოს ერთ-ერთი ბატონიშვილი.

მარკიზ პაულიჩმა საქართველოს უკეთ მოწყობის დავითისეულ პროექტში დაინახა ყოფილი ტახტის მემკვიდრის გამალბებული ცდა საქართველოში მეფობის აღსადგენად. მან ხელმწიფე დაარწმუნა, რომ დავითი იწუნებს რუსეთის მართვა-გამგეობას და რომ ამ „დამხმარე ბატონიშვილში“ ვინ უნდა იგულისხმებოდეს, თუ არა თვით ყოფილა ტახტის მემკვიდრე. ეს იყო დავით ბატონიშვილის პირველი მარცხი.

„რა შევიქენ სოფლისაგან, ესრეთ მწარეთ განაწირი,  
ამის გამო შესაწყალი, მოთქმით სევსა ჩემსა ვსტირი“,

გოდებდა იგი.

მაგრამ ყველას როდი ესმოდა დავითის ვარამი. პეტერბურგში მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფ პ. ლარაძეს ვერ აუხსნია დავითისაგან წუთისოფლის გმობის მიზეზი

„რად გმობ სოფელსა, რა უქმნია შენზედ ავები,  
აღესილი ყოვლის კეთილობით მოგცა ნავები,  
დღენი დაგიტკობ, არსით გქონდეს საზრუნავები!“

მიმართავს პ. ლარაძე დავითს.

მაგრამ რამდენად შეიძლებოდა სამეფოდ გამზადებული ნიჭიერი, მეტისმეტად ცოცხალი ბუნების დავითი შეგუებოდა იმ მდგომარეობას, რომ „არსით უჩნდა საზრუნავები“. როგორც გ. ქიქოძე აღნიშნავდა, მის მიერ დაწერილი „ათორმეტნი წერილებანი მოცალეობაში კაცთა შესაქცევად“, ან „ახალი შიხი“ ვერ დააკმაყოფილებდა მის მოქმედ, ახლის მაძიებელ და ფილოსოფიურად განწყობილ ბუნებას.

1814 წელს გარდაიცვალა ვახტანგ ერეკლეს ძე. პეტერბურგში

მყოფმა ქართული კოლონიის წევრებმა ალ. ნეველის მონასტრის ეზომდე მიაცილეს ახლობელი ნათესავი და თანამემამულე...

— მონასტრის კათედრაზე იონა ხელაშვილი იდგა და გარდაცვლილი ბატონიშვილის ჰირისუფლებს, პეტერბურგის ქართული კოლონიის სახით, საეკლესიო ქადაგებით მიმართავდა: „ჰოი იესიან ბაგრატოვანთა სახლო დავითისაო. ვინ აღრიცხნეს ლუაწლნი შენნი. რაოდენნიცა უჩვენენ ქუეყანასა ივერიისასა უმეტეს ათორმეტთა საუკუნეებთა შინა... არა გახსოვსა კეთილ-დღეობა შენი ოქროვანთა საუკუნეებთა შინა, ოდეს ქედაა ზედა ჯუარი ცხოველი გეტვრთა და თავს ზედა გვირგვინი ცხებულისა ქვისა მისგან პატივოსნისა, რომელ არს სარწმუნოება და ხელთა შინა შენთა გაქუნდა [სპერა] ზეგარდმო განჩინებითა და სკიპტრა ერთმონახობისა და პორფირი სისხლით მსახურებისა და წელსა ზედა ხრმალი მტერთა მათთვის, რომელნი ბუნებითი სჯულსა და მადლითა სარწმუნოებასა შეურაცხყოფენ... უკეთუ მოიხსენებ მდგომარეობასა შენსა, ოდეს ყუაოდი ჟამსა სიკაბუკისა შენისასა და აღმართნე დიდ დიდნი ეკკლესიანი და ზღუდენი და გოდოლნი სიბრძნისა არხიდექტურებითა შენითა და მაშინდელთა საუკუნეებთა შინა იყავნ ყრმა მრავალ და მარჯუნენ წელი შენი იღუა, ვიდრე არაბიადმდე და მარცხენე. ვიდრე დონისა მდინარემდე და გერჩდენ ზღუანი კასპიისა და პონტოიისა... და გერჩდენ ყოველნი ხსენებულნი აღვილნი და ერნი, გარნა ჩუენთა საუკუნესა შინა დაბერდი შინაგან სამსახედ მოძრაობისა გამო“<sup>1</sup>.

იონა ხელაშვილი პეტერბურგის ქართული კოლონიის ერთერთი თვალსაჩინო ფიგურაა, პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში განსწავლული და იქ მყოფი უმაღლესი ქართული არისტოკრატიის უახლოესი პირი. იგი შესანიშნავი მკვებრმეტყველიც არის. აღსანიშნავია მისი მრავალრიცხოვანი ქადაგებანი, რომელთაც იონა ხელაშვილი პეტერბურგის ქართველი მსმენელებისათვის წარმოთქვამს.

ქადაგებებში იონა ხელაშვილი გვევლინება მხურვალე პატრიოტად, რომელიც სამშობლოს ბედ-იღბლის საკითხს ღრმად შეუპყრია. პეტერბურგში ახლად ჩასულ იონას ქადაგებებში გამოს-

1 ხ. A — 7.

კვივის ავტორის პესიმისტური შეხედულება. მას აწუხებს, რომ „მილიონებთა ერთა ჩვენთაგან მცირე ნაშთი-ღა დავშით, რომელ მოოხრებულნი ზღუდენი და გოდოლნი და დიდ-დიდნი შენებულე-ბანი, და ველნი და მდინარენი, და ხეობანი და მთანი, და ბორცენი და ყოველნი უშენნი ადგილნი და გზანი და სახლნი მრავალ სართულიანნი იგლოვენ დიდ ფრიადისა დაცემისათვის [ქვეყნისა]... არა ვსტიროდეთა ამას ზედა, რომელნი მეფობისაგან და უკუდა-ვებისა დამხობილ ვიქმენით?“ — აცხადებდა იონა. ასეთი განწყო-ბილებით შეხვდა იონა ხელაშვილი საქართველოს რუსეთთან კავშრას. შემდეგ ხანებში იონას შეხედულებებში ვხვდებით გარ-დატეხას და 1814 წელს წარმოთქმულ ქადაგებაში იონა თუმცა საქართველოს აწმყოს ისევ უსიხარულოდ მიიჩნევს, მაგრამ მომავ-ლის იმედს გამოსთქვამს და ამ იმედს რუსეთზე ამყარებს: „კურთ-ხეულ არს მყოფი მაღალი, რომელმან ხელი მსგავსად კვიროს-ცხებულისა დაჰდუა ჩრდილოთ დაცემად სპარსთა მძინვარე ბავ-რაციისა და თურქთა ფიცხელისა დროშისა და აღლაგმად კავკასიელ-თა ნათესაობისა“. ამ თვალსაზრისს ავითარებს იონა 1814 წლიდან.

აღსანიშნავია, რომ ამავე თვალსაზრისის გამომხატველია იონაე ბატონიშვილის ფერწერული ნამუშევარი „საქართველო“, რომლის ალეგორიული მნიშვნელობა იმასვე ამბობს, რასაც იონა ხელა-შვილის შემომოყვანილი სიტყვები.

ტარასი ალექსი-მესხიშვილის ახსნით, რომელიც მას თვით იონა; ბატონიშვილისაგან მოუსმენია. „ეს ზეცით მოვლინებული, ღრუბ-ლებზე მჯდომარე. რუსეთის იმპერატორი არისო, რომელიც. მო-ავლინა ღმერთმან საქართველოსა შემწედ და მფარველადო“<sup>1</sup>

1814 წელს დავით ბატონიშვილმა დაწერა ისტორიული ხა-სიათის თხზულება, რომელიც მეცნიერებაში „ახალი ისტორიის“ სახელწოდებით შევიდა. ხოლო ბაგრატ ბატონიშვილმა ხელი მიჰყო „ახალი მოთხრობის“ წერას.

დავითის თხზულებაში მოთხრობილია საქართველოს ისტორია: 1744 წლიდან 1812 წლამდე. თუ დავითი ჩერდება მხოლოდ სა-ქართველოს ამბებზე, ბაგრატის თხზულება ითვალისწინებს 1744:

---

<sup>1</sup> იხ. ლ. ქუთათელაძე. „იონაე ბაგრატიონი — მხატვარი“, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნება“, 1940. № 12.

წლიდან როგორც საქართველოში, ისე რუსეთში მომხდარ მნიშვნელოვან მომენტებს<sup>1</sup>.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, ბატონიშვილთა ინტერესები პეტერბურგში მრავალნაირია: პოეზია, მხატვრობა, ისტორიული თემატიკა, თარგმანები რუსული მწერლობიდან, ყველაფერი ეს თავს იჩენს ბატონიშვილთა შემოქმედებაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის ოციან წლებში.

1814 წელს დავით ბატონიშვილი ამთავრებს მონტესკიეს კაპიტალური ნაშრომის „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“ («О разуме законов») თარგმანს. იმ გარემოებაზე, რომ დავითი ამ ნაწარმოებს უწოდებს „ერთ უმჯობეს წერილთაგანს ყოველსა ევროპასა შინა“, მკვლევარებს მასალა მისცა უფრო დაბეჯითებით ელაპარაკნათ დავითის ვოლტერტიანობაზე<sup>2</sup>.

თარგმანზე დართული დავითისეული კომენტარები ამქდავენებენ, რომ თუ ამ წლებში დანარჩენი ბატონიშვილები რუსეთის სახით უკვე ხედავენ ძალას, რომელსაც საქართველოს უკეთესი მერმისი უნდა შეექმნა, დავით ბატონიშვილს სიცოცხლის ბოლო წუთებამდე არ დავიწყებია რუსეთისაგან მიყენებული პოლიტიკური-პიროვნული უსიამოვნებანი.

დავითის ვოლტერტიანობის საკითხს ამ ბოლო დროს შეეხო დ. ფურცელაძე მის მიერ გამოცემულ დავითის „სამართლის“ წინასიტყვაობაში.

„მონტესკიე, — წერს დ. ფურცელაძე, — ილაშქრებდა აბსოლუ-

---

1 მ. ჭანაშვილი, მასალები საქართველოს ისტორიის ბატონიშვილ დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა; დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია; ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბილისი, 1941, თ. ლომოურის გამოცემა; ა. ბარამიძე, რეცენზია ლ. ასათიანის წიგნზე, მნათობი, 1941, № 7 — 8.

2 გ. ლეონიძე, დავით ბატონიშვილი, „ლიტერატურული საქართველო“, 1938, 10 X; ლ. ასათიანი, დავით ბატონიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I; გ. ქიქოძე, დავით ბატონიშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. III, 1965, გვ. 173; ტრ. რუხაძე, დავით ბატონიშვილი და მისი ლიტერატურული შემკვიდრება, ლიტ. ძიებანი, I, გვ. 142; თ. კუკავა, ნარკვევები XIX ს. I ნახ. ქართული საზოგად. და ფალოსოფიური აზრის ისტორიიდან, გვ. 107; აბ. როგავა, დ. ბეგრატონი, სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, 1959; გ. შიქაძე, ფილოლოგიური ძიებანი, XIX ს-ის დამდეგის საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან, „მაცნე“, 1964, № 6.

ტიზმის წინააღმდეგ, ქადაგებდა ხელისუფალთა განაწილებას და კონსტიტუციურ მონარქიას ამჯობინებდა. დავითს კი უკან ეწევა თავისი ქვეყნის ჩამორჩენილობა და სასიცოცხლო საჭიროებანი, თანაც თვალწინ მყოფი რუსეთის მაგალითი აქეზებს და აი იგი აღიარებს პრინციპს, რომელიც საქართველოს უკანასკნელ მეფეებს სანატრელად ჰქონდათ გამხდარი: „მეფე არის თვითმართლმადიდებელი, თვით დესპოტი“ (ე. ი. თვითმპყრობელი) და სჯულის-მდებელი. ამრიგად, მეფეს მიეწერება ხელისუფლების მთელი სისრულე, იგი ამბსოლუტური მონარქი, თვითმპყრობელია, დავითის „სამართალში“ ბატონყმობა ხელუხლებელი რჩება... სამართალში ოფიციალური ორთოდოქსალობით განცხადებულია ეკლესიის აუცილებელი კავშირი სახელმწიფოსთან, ამავე დროს ეკლესია დაქვემდებარებულია მეფისადმი... დასასრულ, — წერს დ. ფურცელაძე ევროპული საგანმანათლებლო ფილოსოფიის გაცნობამ და განყენებულად გაზიარებამაც გახადა დავითი თავისუფლად მოაზროვნე ადამიანად, შესძინა მას მთარული ეპიტეტი „ვოლტერიანელი“, მაგრამ მის „ვოლტერიანობას“ ღრმა ფესვები არ ჰქონია... კლასობრივი კუთვნილება და სამეფო სახლის წევრობა, ლამის იყო თვით მეფობა მის პროგრესულობას იმ დონით განსაზღვრავდა, რომელსაც თუნდ ეკატერინე II და სხვა გვირგვინოსნებიც იჩემებდნენ“<sup>1</sup>.

მართლაცდა, პეტერბურგის ქართველთა წრეში შექმნილ მდიდარ ისტორიულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არსად არ გვხვდება დავით ბატონიშვილზე „ვოლტერიანელის“ ეპითეტი. რომ პეტერბურგელი ქართველები, მართლაც, იცნობენ ვოლტერიანობას, იციან მისი რაობა, ეს ჩანს თუნდაც იონა ხელაშვილის პირადი წერილებიდან, რომელშიც იონა, როგორც იდეალისტური ფილოსოფიის მსახური, აღშფოთებას გამოთქვამს ვოლტერის ათეისტურ შეხედულებებზე: „ყბა ძაღლისა ვოლტერ მეტყველებს. რომელ სულნი კაცისნი წინა საუკუნეებთა შინა დამტკიცდნენო მოსურნეთაგან“<sup>2</sup>.

ამავე წერილში იონა აღნიშნავს, რომ ვოლტერმა „ოდეს შეუდგა სიბერისა აღმართსა, უარყო თვისნი სამსალა წიგნაკები

1 სამართალი ბატონიშვილის დავითისა, წინასიტყვაობა, გვ. 029, 032, 034.

2 H — 2226.

მაკუდინებლები სულელებისა და მყეფარ ძალეზად უწოდა თვისსა წიგნაკებსა და ილოცვიდა, რათამცა წიგნებითარე მისითა არავინ წარწყმედილიყო“. ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ იონას ქართველთა შორის სჭირდება ვოლტერის განქიქება და იმის ქადაგება. რომ ვოლტერმა, სიკვდილის სარეცელზე მყოფმა, თავდაყირა დააყენა თავისი მატერიალისტური შეხედულებანი. ფაქტია, რომ იონას წრეში მოიპოვებიან ქართველები, რომლებთაც მიუღიათ ვოლტერის მოძღვრება. მაგრამ იონას ლიტერატურულ და ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში არ ჩანს, რომ მას დავითი ამგვარ მოაზროვნეთა რიგებში ყავს მოქცეული. როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, „რონინში“ იონა იხსენებს დავითის ოცნებას „აღვაშენებ ეკლესიას სამრეკლოიანს და მას შინა საღმთო კანკლებად ღავასვენებ ამა წმიდათა ხატთაო“. თუნდაც მართო ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ დავითის პრაქტიკული საქმიანობა ვერ უთანხმდებოდა ფრანგი განმანათლებლების წიგნებში ამოკითხულ შეხედულებებს.

მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს დავითის მიერ 1817—1818 წლებში დაწერილი ორიგინალური ნაშრომი „შემოკლებული ფისიკა“, რომელშიც, როგორც თ. კუკავა წერს, „დავით ბაგრატიონი გვევლინება ისეთი მსოფლმხედველობის მატარებელ ადამიანად, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი იდეალისტური და რელიგიური თვალსაზრისი“. თ. კუკავას გამოკვლევებიდან ჩანს, რომ დ. ბატონიშვილი აღიარებს ობიექტური სამყაროს დიალექტიკურ ბუნებას და გნოსეოლოგიურ საკითხებშიც მატერიალისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს<sup>1</sup>.

1815 წელს თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ძირითადად მთარგმნელობითი მოღვაწეობით იფარგლებოდა, წერს ორიგინალური ხასიათის თხზულებას — „ცხოვრება შემოკლებით საქართველოსა, გინა გიორგიისა, რომელ არს სრულიად ივერია“. ამ თხზულებას თეიმურაზი შემდეგ წლებშიაც უბრუნდება. აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწერთა შორის თეიმურაზის ამ თხზულების რამდენიმე ვარიანტს ვხედავთ.

1817 წელს დავითს მოსკოვიდან პეტერბურგში ჩაუტანია იე-

<sup>1</sup> თ. კუკავა, ნარკვევები, გვ. 107—110.

რუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის „ისტორია“. ამ ძეგლს დაეითის ყურადღება იმით მიუპყრია, რომ მასში აღწერილია „საქართველოსი ზოგი რაიმენი ისტორიანი, ბევრი კარგი არის და სწორად და ზოგნი კი შემცდარია“. ბერძნული ენის არცოდნის გამო დავითსა და თეიმურაზს დამხმარედ ბერძნულის მცოდნე რუსი მიუწვევიათ, ხოლო რუსულიდან ქართულად თარგმანის ჯაფა თეიმურაზს უკისრია<sup>1</sup>.

1818 წელს იოანე ბატონიშვილი თარგმნის დერჟავინის „ღმერთს“. აღსანიშნავია, რომ დერჟავინის „ღმერთი“ ქართულად, როგორც ტრ. რუხაძემ გამოარკვია, ათიოდე ქართველ პოეტს უთარგმნია, ხოლო მათ შორის პირველი მთარგმნელი იოანე ბატონიშვილია<sup>2</sup>.

ამ ხანში ქართველთა მატერიალური მდგომარეობა პეტერბურგში თანდათან შეირყა. ერთი მხრივ, ნაპოლეონის შემოსევა<sup>3</sup> შემდგომი ხანა, რომელმაც საერთოდ დაღი დაასვა რუსეთის მატერიალურ კეთილდღეობას, მეორე მხრივ, განსაზღვრული ფინანსური დონე. რომლის ზემოთ არ უნდა ასულიყო ბატონიშვილთა სამეურნეო ხარჯები, ცუდ დღეში აყენებდა ეკონომიას მიუჩვეველ ნეფეთა შთამომავლობას.

1817 წელს დავითი წერს თხოვნას. თუ 1812 წელს დავით ბატონიშვილი საქართველოს უკეთ მოწყობის პროექტს ადგენდა, ეს უკანასკნელი მხოლოდ პირადული თხოვნის გამომხატველია. ავტორი შეგუებულა თავის ბედს, თუმც რუსეთის მთავრობას ერთხელ კიდევ ახსენებს ბატონიშვილების გამოძევების უსამართლობას. დავითი თხოულობს მატერიალური პირობების გაუმჯობესებას: «Благоволите Ваше Императорское Величество меня и братьев моих наградить соответственно взамен наследственного имения нашего, чем бы мы и потомки наши могли содержать себя в России нашему сану и званию безо всякой нужды... Не безызвестно Вашему Императорскому Величеству, что в нынешнее время по причине усиливающейся дороговизны на все жизненные припасы и возвышения курса едва мы можем

1 შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. გვ. 35.

2 გ. მიქაძე, ფილოლოგიური ძიებანი, „მაცნე“, 1964, № 6, გვ. 214—218.

პროტივ პრეჟნიეო სოდეჟთაჲ სებია ს ნუჟდაჲო ნასთაჟინნი, ნა-  
შინნი დოჟოდაინი»<sup>1</sup>.

დავითის ამ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია. განმეორებულ-  
მის ამგვარ ცდას გრ. არაკჩევეის პასუხი მოჰყვა, რომელშიც ხაზ-  
გასმით აღნიშნული იყო, რომ: «приносит (დ. ბატონიშვილი) прось-  
бы вовсе неосновательные и что если и после сего не будет  
жить спокойно, тогда последует уже повеление, чтобы отста-  
вить его от службы и выслать из Петербурга»<sup>2</sup>.

ეს იყო დავითის უკანასკნელი გაბრძოლება. 1819 წლის 13  
მაისს 53 წლის ასაკში გარდაიცვალა ტახტის ყოფილი მემკვიდრე—  
დავით გიორგის ძე ბაგრატიონი. პეტერბურგელმა ქართველებმა  
დავით ბატონიშვილს სამარეში ჩააყოლეს სამშობლოში დაბრუნე-  
ბის ილუზიები.

დავით ბატონიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებულია  
ერთი დიდი უსიამოვნო ფაქტი, რომელიც მისი სიკვდილის უშუალო  
მიზეზად თუ არა, ხელისშემწყობ გარემოებად მაინც შეიძლება და-  
გამხდარიყო<sup>3</sup>.

როგორც ცნობილია, პეტერბურგში დავითთან ახლოს იყვნენ  
თუმანიშვილთა გვარის სხვადასხვა წარმომადგენლები: დიმიტრი,  
ავთანდილი და სხვანი. ავთანდილ თუმანიშვილი უფროსი ძმა იყო  
კარგად ცნობილი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილისა. ხელთუ-  
ბანში მცხოვრები პატარა ავთანდილი უდღედობის გამო პეტერ-  
ბურგში გაუგზავნიათ დავით ბატონიშვილთან. ავთანდილი დავითის  
კარზე ცხოვრობს და მისი პირადი მდივნის მოვალეობას ასრულებს.

1816 წელს ავთანდილ თუმანიშვილი უშუალოდ დავითის დახ-  
მარებით რუსულ ენაზე უშვებს წიგნს: „საქართველოს ქალაქის  
გორის ისტორია“<sup>4</sup>. ავტორი მხატვრულად და დიდი სიყვარულით  
აღწერს მისთვის ნაცნობ მშობლიურ ქალაქს, ამავე დროს ლექსების

---

<sup>1</sup> И. К. Ениколопов, Две записки царевича Давида. Мასალები სა-  
ქართველთა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვეთი 1, გვ. 164.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> მიმითითა პროფ. პ. რატინმა.

<sup>4</sup> იხ. ტრ. რუსთაძე, ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 193; დ. რამი-  
შვილი, მიხ. თუმანიშვილი, 1957 წ., გვ. 5; გ. ბუნნიკაშვილი, გორის თეატრი,  
1965, გვ. 5.



წერაშიც ცდის თავის კალამს. იგი ახლოს არის ბატონიშვილების ყოველდღიურობასთან, ამიტომ მათი ყოფის ზოგი მხარე მის სატირულ გაბაასებებშიც იჩენს თავს, მაგალითად, „დიאלოგი კნენინა სოფიოზე“, რომელშიც გამოყვანილი არიან ბაგრატი ბატონიშვილის ცოლისდა სოფიო და მისი მოსამსახურე გოგო. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ ლექსის სახით ჩვენ საქმე გვაქვს სატირის ერთ-ერთ აღრინდელ ნიმუშთან. მასვე მიეკუთვნება ლექსი ოსე გაბააშვილზე:

„სალამალებქ კარნეტო, რისთვის მოგიწყენია?  
მინდა ღირსად შეგამყო, ქება შენი მსმენია!  
არ გშვენის აფიცრობა, აბა რისთვის პქენია?  
ჰსჯობს ისევე მამა-პაპათ მოიგონო ზენია...“<sup>1</sup>.

მალე ავთანდილ თუმანიშვილი დავით ბატონიშვილის დახმარებით სენატში დაინიშნა რეგისტრატორის თანამდებობაზე. როგორც მ. ხელთუბნელის მოგონებებიდან ჩანს, რომელიც პირველი შეეხებო ავთანდილ თუმანიშვილის ბიოგრაფიას, ავთანდილი უეცრად ბობრუსისკის ციხის პატიმარი გამხდარა, სადაც ამწყველედნენ „საშიშარ თავისუფალ მოაზროვნეთ და მთავრობის მტერთ“. ამ პირქუშ ციხეში მოულოდნელად გაგზავნილ იქნა ავთანდილი და იქ დღიდან სრულიად მოისპო რაიმე ცნობა მის თაობაზე... რა მოხდა? შეფის ოხრანეების მსხვერპლი გახდა ავთანდილი, როგორც დავით ბატონიშვილის ახლო კაცი, თუ დაიღუპა როგორც რუსეთის საიდუმლო საზოგადოებათა ან მასონთა წევრი — ძნელი სათქმელია. მაგრამ ორივე გარემოება თანაბრად საგულევებელია. ერთი რამ კი უეჭველია: „ბობრუსისკის ციხეში ამწყველედნენ მხოლოდ იმას, ვისაც მთავრობა უაღრესად მნიშვნელოვან სახელმწიფო დამნაშავედ სთვლიდა“<sup>2</sup>, წერდა მ. ხელთუბნელი.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებულ თუმანიშვილების არქივში დაცულია ავთანდილ თუმანიშვილის საქმე, რომელიც სწორედ ზემოდასახელებულ საკითხს ეხება. საქმეში წარმოდგენილია ასლი სახელმწიფო სენატის მე-5 დეპარტამენტის

<sup>1</sup> იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, II, 1940; გვ. 367—368.

<sup>2</sup> მ. ხელთუბნელი, წარსულიდან, 1938, გვ. 20.

მე-2 განყოფილების კრებულიდან, იგი თარიღდება 1819 წლით. საქმეში ნათქვამია: „მუშაობდა რა სახელმწიფო სენატის მეოთხე დეპარტამენტში რეგისტრატორად, ავთანდილ თუმანოვმა 1817 წლის ათ იანვარს თბილისში წერილი მისწერა რ. არეშოვს, რომლითაც აცნობებდა, რომ სენატში მოსულია გიორგი მეჩიტოვის საქმე, მაგრამ მან, თუმანოვმა ამ საქმეს მსვლელობა არ მისცა, რომ თუ მეჩიტოვს სურს, რომ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდეს, გამოგზავნოს დავით ბატონიშვილის სახელზე ჭერჭერობით 500 მან. ვერცხლით. თუ ამას არ შეასრულებს, თუმანოვი არაფერ შუაში იქნება, ხოლო მეჩიტოვი დაიღუპება“.

დაკითხვაზე თუმანოვმა სენატს მოახსენა, რომ მეჩიტოვი არის გორელი მოქალაქე, რომლის მიმართ საქმე აქვს აღძრული თავად ნიკოლოზ ამილახვარს, რომ მეჩიტოვმა სთხოვა დახმარება ავთანდილ თუმანოვს, როდესაც მათი საქმე სენატში მივიდოდა.

სახელმწიფო სენატის იუსტიციის მინისტრი განიხილავს ავთანდილ თუმანიშვილის საქმეს, როგორც სახელმწიფო დანაშაულს და აგრეთვე ისეთ ბრალდებას, რომელიც შეურაცხყოფს სენატორ დავით ბატონიშვილის ღირსებას. თუმანიშვილის წერილიდან ჩანს, — ნათქვამია საქმეში, არამართო სიყალბე, არამედ ცდა სენატორ დავით ბატონიშვილის სახელით 500 მანეთის მითვისებისა. საქმე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დავითისათვის სრულიად უცნობი იყო თუმანიშვილის მიზნები.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ სენატი ადგენს: ამ დანაშაულისა და სენატორის შეურაცხყოფისათვის თავად ავთანდილ თუმანოვს წაერთვას თავადის წოდება, განწესებულ იქნას ჯარში და ახალგაზრდობის გამო მიეცეს საშუალება სამხედრო დამსახურებისა. თუ სამხედრო საქმეში იგი ვერ გამოიჩენს უნარს, გაიგზავნოს ციმბირში.

როგორც საქმიდან ჩანს, ავთანდილ თუმანიშვილი პირველად მჭდარა „ადგილობრივ ციხეში“, ე. ი. პეტრე-პავლეს სიმაგრეში. საქმეში არაფერია ნათქვამი იქდა თუ არა იგი ბობრუსის ციხეში, რომელსაც მ. ხელთუბნელი ასახელებს.

რადგან ყოველივე ზემოთქმული მომხდარა 1819 წელს, ხოლო ამ წელს გარდაიცვალა დავით ბატონიშვილი, საფიქრებელია, მის გარდაცვალებაში რამდენადმე როლი ეთამაშა ავთანდილ თუმანი-

შვილის საქმეს, რომელიც დიდ ხირკს ცხებდა დავით ბატონიშვილის სახელს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დავითი ვერ მოსწრებია გამოძიების დასასრულს. გამოძიების დასაწყისში დავითი ცოცხალია, ხოლო ძიების დასასრულს იგი იხსენიება როგორც „განსვენებული სენატორი“.

ალ. ნეველის მონასტრის სასაფლაოზე დავით ბატონიშვილის საფლავი პეტერბურგელმა ქართველებმა ქართული ეპიტაფიით შეამკეს, იქ ნათქვამი იყო:

„ვიყავ ჰაბუკო, ასაკით არ დეხჭირი,  
წესით ზნეობით აღზრდული აზნაურებით,  
სამღვდელს წერილს დაღალულ და დამაშვრალ,  
სამოქალაქოს სკულისად ზედ მიწევნულ  
და სამხედროისა არ ვისგან დასაწუნი.“

არა რაი არს სოფელსა შინა მტკიცე,  
ყოველივე მსწრაფლ წარმავალ არს სრულიად,  
არცა სამდიდრე, არცა გლახაკება,  
არცა დიდება. აჩრდილია და სიზმარი,  
მოიძულე შენ ამაო, ჰეი, კაცო!“

ეპიტაფიის ავტორი, განსხვავებით პ. ლარაძისაგან, რომელიც დ. ბატონიშვილს წარმოგვიდგენდა როგორც მხოლოდ და მხოლოდ უზრუნველი ცხოვრების მოტრფიალეს („რად გმობ სოფელსა. რა უქნია შენზედ ავები, აღვსილი ყოველის კეთილობით მოგცა ნავეები“). ხაზს უსვამდა დავით ბატონიშვილის მრავალნაირი მოღვაწეობის ხასიათს და მის სახელმწიფოებრივ მოწოდებას. „მე თავი მაქვნდა მამულისა სახმარად, რომელმან საქმით არაერთხელ ვაჩვენე“. — ნათქვამი იყო ეპიტაფიაში.

\* \* \*

1818 — 1819 წლები პეტერბურგელი ქართველებისათვის ნაყოფიერი იყო ბეჭდური საქმიანობის მხრივ. ამ წელს ქართულ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა „საგნისათვის როსსიულისა ბიბლიის საზოგადოებისა და ღონისძიებათათვის მისაწთომელად მისადმი“. ამავე

პერიოდში დაიბეჭდა ორი წიგნი „სამკურნალო ცხენთა და პირუტყვთა“ და „წიგნი შესამზადებელი სანოვაგეთა მზარეულთაგან“. 1819 წელს პეტერბურგში გამოვიდა დიმიტრი ბაგრატიონის „წამება ქეთევან დედოფლისა“.

დიმიტრი ბაგრატიონი იმ დროს უკვე ცნობილი ქართველი პოეტი, მოსკოვის კოლონიის თვალსაჩინო ფიგურაა. დიმიტრი ბაგრატიონი, როგორც ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულების წევრი, ერეკლეს საქართველოდან გაუძევებია 1766 წელს. რუსეთში მოხვედრილ პოეტს გასძნელებია ყოფნა, ამას თან ერთვოდა მისი პოლიტიკური კატასტროფა და ის გარემოებაც, რომ ქართლის ტახტი სამუდამოდ დაკარგეს ვახტანგ VI შთამომავლებმა. საქართველოშიც ცოტანი როდი იყვნენ, რომლებიც უკანონოდ თვლიდნენ კახელ ბაგრატიონთა ასვლას ქართლის სამეფო ტახტზე და არ ივიწყებდნენ ერეკლეს სასტიკ ანგარიშსწორებას ვახტანგის შთამომავალთა მიმართ. შემთხვევით არ შემორჩენილა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ამის გამომხატველი ლექსი:

„ბაქარიანთა დაღევა  
ქართველზე წილნაყარია,  
სიკვდილი პაატაისა,  
ღმერთმა იცოდეს, ბრალია,  
შეინახილით ქვესურთ, ვინც  
გყვანდით წილს ნაბარგალია,  
ეკიდოს ბაგრატიონთა  
ე მაგათ ცოდვა-ბრალია,  
დალიენეს ბაქარიანი  
სულ საქართველოს კარნია“<sup>1</sup>.

წინა თავში ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ვახტანგ VI და ერეკლეს შთამომავალთა დაძაბულ ურთიერთობაზე, რომელიც რუსეთშიც კი პოულობდა გამომხატულებას. დიმიტრი ბაგრატიონიც ვახტანგის შთამომავალთა ერთ-ერთი წარმომადგენელია. მოსალოდნელი იყო, რომ დიმიტრი ბაგრატიონს, როგორც ერეკლესადმი უარყოფითად განწყობილ პირს და პ. ციციანოვის სიძეს (დის ქმარს) ერეკლეს შთამომავალთა წრეში სიმპათია არ ჰქონოდა მოპოვებული. მიუხე-

<sup>1</sup> ქართული ხალხური სიტყვიერება, II, პროფ. ქს. სიხარულიძის რედაქციით, 1964.



სოლომონ დოდაშვილი



გრიგოლ ორბელიანი

დავად ამისა, დიმიტრი ბაგრატიონს ახლო ურთიერთობა ჰქონია პეტერბურგელ ქართველებთან. აქ ისევე, როგორც მოსკოველ ქართველებში, დიმიტრი ბაგრატიონი „ბრძენის“ სახელითაა ცნობილი. მას მიმოწერა აქვს მირიან, ფარნაოზ და ქეთევან ბატონიშვილებთან, ლექსებით ბაასობენ დიმიტრი ბაგრატიონი და გრიგოლიოანეს ძე.

დიმიტრი ბაგრატიონის პოემის სახით პეტერბურგში გამოიკა პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოები და მისი პირველი მკითხველი პეტერბურგის ქართველთა წრე უნდა ყოფილიყო.

ამავე წელს დაიბეჭდა გრ. მუხრანბატონის მიერ თარგმნილი „ქვემარატი ისტორიული დამტკიცებანი ნამდვილ ყოფობისა ქრისტესი ქვეყანასა ზედა“.

1820 წელს იოანე იოანესოვის სტამბაში დაიბეჭდა უცხო მხრის კოლეგიის მრჩევლის გოდერძი ფირალოვის მიერ შედგენილ რუსული ენის თვითმასწავლებელი. ავტორი წინასიტყვაობაში აცხადებდა, რომ სიხარულით დაასრულა წიგნი, ანუ „თვითმასწავლებელი ორთა ენათა, ესე იგი რუსთა ქართულისა და ქართველთა რუსულისა“. ვინაიდან ამგვარი თხზულება ქართულად ჩვენ არ გვქონიაო, — დასძენდა ავტორი, — „ეს მისცემს დიდსა სარგებლობასა“ არა მარტო ქართველებს, არამედ „რუსთაცა მუნ მყოფთაო“ (ე. ი. საქართველოში მცხოვრებ რუსებსო, — ნ. მ.), რადგანაც ქართული ენის ცოდნა გაუადვილებს მათ ქართველებთან ურთიერთობასაო.

ამრიგად, გოდერძი ფირალოვის ქართულ-რუსული თვითმასწავლებელი რუსული ენის პირველი ნაბეჭდი სახელმძღვანელო იყო, რომელიც ამ დროს პეტერბურგელმა ქართველებმა აიღეს ხელში<sup>1</sup>.

1824 წელს გ. ფირალოვმა პეტერბურგში გამოსცა „საზოგადო მდივნობაი“, 1823 წ. გამოვიდა „კანონნი სამართლისა წარმოებისანი, ენციკლოპედია ანუ შეკრებილება სწავლათა ჰაზრათანი და განსჯანი სხუათა“, 1824 წ. დაიბეჭდა გეოგრაფიული ლექსიკონი,

---

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. А. Цагарели, О грамматической литературе, П. Н. Берков. Шота Руставели в русской литературе. Известия АН СССР, 1938, Отд. общ. наук, № 3.

თარგმნილი ტარასი მღვდელ-მონაზვნისაგან. 1825 წელს იგივე ტარასი მღვდელ-მონაზონი სცემს ქართულ ანბანს ყრმათათვის.

1824 წ. 6 ნოემბერს პეტერბურგში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ქარიშხალმა დაბრკოლება შეუქმნა მდინარე ნევის მიმართულებას, მან გადმოლახა ნაპირი და დაფარა პეტერბურგის არხები და მიწისქვეშა წყლის სადინარები. აქაფებული ნევის ტალღები სასახლის მოედანზე მძვინვარებდა და ნევის პროსპექტის მთელ სიგრძეზე მოედინებოდა. პეტერბურგში მომხდარ სტიქიურ უბედურებათა შორის ეს ერთ-ერთი უსაშინელესი იყო.

პირადად იმპერატორის აქტიური მონაწილეობით სასწრაფოდ დაარსდა დაზარალებულ მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი, რომელსაც დაევალა ზრუნვა მოსახლეობის მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად. ამავე მიზნით სახელმწიფომ მოსახლეობისათვის გაიღო 1 მილიონი მანეთი.

წყალდიდობის მეორე დღეს დანგრეულ სახლებსა და სხვადასხვა ნანგრევთა შორის ათასობით ეყარა დამხრჩვალ-დასახიჩრებულითა გვამები, რომელთაც დასტიროდნენ უსახლკაროდ დარჩენილი ჭირისუფლები<sup>1</sup>.

ბუნებრივია, ქალაქის ამ სტიქიურ უბედურებას ვერც ქართველები გადაურჩებოდნენ.

ლენინგრადის ცენტრალურ საისტორიო არქივში შემონახულია ბაგრატ და იოანე ბატონიშვილების თხოვნა საერთო საქმეთა დეპარტამენტში. ბაგრატის თხოვნა დაწერილია 11 ნოემბერს, ე. ი. წყალდიდობის 4 დღის შემდეგ. ბაგრატი წერს: „ამ თვის შვიდ რიცხვში მომხდარი დიდი სტიქიური უბედურების—წყალდიდობის დროს, მე მთელი ჩემი ოჯახითურთ აღმოვჩნდი დაღუპვის წინაშე. ჩემი ერთსართულიანი ხის სახლი გარემოცული იყო წყლით, რომელიც შეიჭრა ყველა ოთახში. იძულებული ვიყავით თავშესაფარი სახლის სახურავზე გვეძებნა, საიდანაც აშკარად ვხედავდით ჩვენი მდგომარეობის მთელ საფრთხეს. შვილების ტირილი და მათი დედის სასოწარკვეთილება აღრმავებდა საშინელებას და ცხადს ხდიდა მოსალოდნელ უბედურებას. ღვთის წყალობით გადაარჩე-

<sup>1</sup> Подробное историческое известие о всех наводнениях, бывших в Санкт-Петербурге, 1826 г.



ნილებმა ჩამოსვლისას დავინახეთ, რომ ყველაფერი ჩვენი განადგურებული იყო: იატაკი, ავეჯი, ჭურჭელი, ტანსაცმელი, ყველაფერი დამსხვრეული და მიწასთან გასწორებული. ასევე განადგურებული იყო საარსებო პროდუქტები. ყოველივე ამის გამო იძულებული გავხდით ჩემი ოჯახით საცხოვრებლად გადავსულიყავი ჩემს ძმა — ბატონიშვილ თეიმურაზთან. ვიმყოფები სრულ სივაგლახეში, რის გამოც უმორჩილესად გთხოვთ ჩემი მდგომარეობა მოახსენოთ ხელმწიფე იმპერატორს და ზამთრის მოლოდინში არ მომაკლოთ მისი წყალობა“. ხელს აწერს ბატონიშვილი ბაგრატი<sup>1</sup>.

როგორც საქმიდან ჩანს, დეპარტამენტს დაუქმყოფილებია ბაგრატ ბატონიშვილის თხოვნა. საფიქრებელია, სხვა ქართველებსაც უბედურება და ზარალი ეწვია ამ წყალდიდობის დროს. ამავე საქმეში დაცულია იოანე ბატონიშვილის თხოვნაც, მაგრამ იგი შეტანილია წყალდიდობამდე, მასში იოანე დეპარტამენტს აცნობს მის წლიურ შემოსავალს.

„რუსეთში ჩემს გადმოსვლასთან დაკავშირებით ჩემი კუთვნილი მამულების ნაცვლად, რომელიც 4519 სულს ითვლიდა, მეხოძა 150 ათასი მანეთი 1000 სულის საყიდლად და 10 ათასი მანეთი წლიური შემოსავალი პენსიისათვის. ხოლო ჩემს მეუღლეს ქეთევანს 1200 მან. ვერცხლით და საკარო ეკიპაჟი. თავდაპირველად ასეთი თანხა თავის პროცენტებითურთ საკმარისი იყო ჩვენთვის, მაგრამ 24 წლის განმავლობაში თანდათან მომეტებული სიძვირის გამო ჩავვარდი ვალებში, რომელიც იმდენად გაიზარდა, რომ იძულებული ვარ ჩემი შემოსავლის ნახევარი პროცენტში ვიხადო, მით უფრო, რომ მშობლიური მოვალეობის თანახმად დახმარებას ვუწევ ჩემს ვაჟს, რომელსაც ჰყავს ოჯახი“.

აღწერს რა თავის ამ მდგომარეობას, იოანე ბატონიშვილი ითხოვს მიეცეს ვალების დასაფარავად 70 ათასი მანეთი: „თუ ასეთი დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი იქნება, ეთხოვოს სასამართლოს ეს თანხა დაფარონ სანკტ-პეტერბურგში კუთვნილი ჩემი სახლით და ბანკში დარჩენილი ჩემი კაპიტალით“.

<sup>1</sup> ЦГИАЛ, Департамент общих дел, ф. 1824, оп. 483, №97 (ისტორიის ინსტიტუტის ასლების არქივიდან).

დასასრულს, იოანე ბატონიშვილი თხოულობს დასახლებას რუსეთის რომელიმე ისეთ გუბერნიაში, სადაც ცხოვრება ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს!

დეპარტამენტმა დააკმაყოფილა ბაგრატიის, როგორც წყალდიდობისას დაზარალებულის თხოვნა, ხოლო იოანე ბატონიშვილს მიუთითა შექლებისდა მიხედვით განესაზღვრა თავისი ხარჯები.

\* \* \*

1826 წელს პეტერბურგელმა ქართველებმა აღძრეს საქმე „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქციის გამოცემის შესახებ.

როგორც ს. ყუბანეიშვილის გამოკვლევებიდან ჩანს<sup>2</sup>, ქართველებს საცენზურო კომიტეტში წარუდგენიათ ვახტანგის მიერ დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ და უთხოვნიათ მისი გამოცემის ნებართვა.

საქმიდან არ ჩანს, ვინ იყო ამ საქმის ინიციატორი. მაგრამ თუ გადავხედავთ იმ ხანად პეტერბურგში გამოცემულ ქართულ წიგნებს, დავინახავთ, რომ ეს ძირითადად ბატონიშვილთა წრეა: ბაგრატ ბატონიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, გოდერძი ფირალოვი, გრიგოლ მუხრანბატონი, აი ის სახელები, რომელთაც უკავშირდება პეტერბურგში გამოცემული ქართული წიგნები.

საფიქრებელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საქმეც ქართველთა ამ წრეს უნდა ეტვირთა. ქართველთა ეს წრე შესანიშნავად ხედავდა, თუ რაოდენ ჩამკვდარი იყო ქართული წიგნის გამოცემის საქმე. ქართველ მამულიშვილთა შეგნებაში დიდ როლს ასრულებს მეცნიერებისა და ლიტერატურის ცოდნა და საჭიროება. ერთ-ერთ წერილში იონა ხელაშვილი აღნიშნავს: „ადიდა ლეიბნიციოსმა გერმანია, კლარკმან ანგლია, ბასილიონმა ფრანცია, ანსილიონმა პრუსია, კოლუმბმან სპანია“. იონა საგანგებოდ ჩერდება ლომონოსოვის სახელზე, რომელმაც „ადიდა მამული თვისი“ და „რომლისა თხზულნი მზედ რუსეთისა არს, რომელსა შეუდგა რუსეთი სულისა და გონების მელნითა და კალმითა და ბეჭდითა“.

<sup>1</sup> ЦГИАЛ, Департамент общих дел, ф. 1824, оп. 483, № 97 (ისტორიის ინსტიტუტის ასლების არქივიდან).

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVIII — XIX ს-ში, ლიტერატურული ძიებანი, I, 1943.

ამასთან დაკავშირებით, იონა გულისტიკვილით იგონებს ძველ ქართველ წინაპრებს, რომლებმაც „ადიდეს მამული, გარნა დაუბეჭდაობითა არათუ გარეშენი მეცნავ არიან მათნი, არამედ თვით შვილნიცა მამულისანი ბრმანი და ყრუ არიან მათდამი შეცნობად“<sup>1</sup>. ქართული წიგნისა და ქართული წიგნის გამოცემის საკითხი მეტად მტკივნეულად დგას პეტერბურგელ ქართველებში. „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქციის პეტერბურგში გამოცემის ცდაც ამ დიდი ოცნების განხორციელების პრაქტიკული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს დიდი წამოწყება არ განხორციელდა. მას ხელი შეუშალა პეტერბურგის სააზიო დეპარტამენტის თარჯიმანმა, რომელსაც დაევალა აზრი გამოეთქვა პოემის შესახებ. როგორც ს. ყუბანეიშვილის ნაშრომიდან ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის საწინააღმდეგო თარჯიმანს არაფერი ჰქონია (თუმცა არც ისეთი შეფასება მიუცია, როგორსაც „ვეფხისტყაოსანი“ იმსახურებს, — ნ. მ.), მაგრამ მას ყურადღება გაუმახვილებია ვახტანგის კომენტარებზე, — „რაკი ვახტანგის კომენტარებში სასულიერო შინაარსის ადგილები მოიპოვება, ამიტომ უმჯობესი ხომ არ იქნებოდა... «Для вѣщаго в том удостовѣренія, на основаніи 104 листа о цензуре, поручить рассмотрение онаго духовной особе, знающей грузинскій языкъ»<sup>2</sup>.

ამ მოხსენების საფუძველზე მეფის ცენზურამ გამომცემელს ნება არ მისცა დაებეჭდა ვახტანგის კომენტარები; ამან კი თვით პოემის დაბეჭდვის საკითხიც მოხსნა.

ს. ყუბანეიშვილის შეხედულებით ეს თარჯიმანი უნდა ყოფილიყო 1826 წლიდან პეტერბურგის სააზიო დეპარტამენტის თარჯიმანი ნიკოლოზ ჩუბინაშვილი. ს. ყუბანეიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ისეთი მოღვაწე პირისაგან, როგორიც ნ. ჩუბინაშვილი იყო, ვახტანგის კომენტარებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მისი აკრძალვის მიზნით, ერთი შეხედვით, მოსალოდნელი არ იყო, მაგრამ ნიკოლოზ I დროს გამეფებული უსასტიკესი ცენზურის გამო ნიკ. ჩუბინაშვილს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

<sup>1</sup> Н — 2226.

<sup>2</sup> ს. ყუბანეიშვილის დასახ. ნაშრომი. ამავე საკითხზე იხ. ვ. შაღურია, პირველი რუსული სტატია რუსთაველზე. „ლიტერატურული საქართველო“, 1966 წ., N 13.

წინა თავში ჩვენ ლაპარაკი გვქონდა იმის შესახებ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ რუსეთის სხვადასხვა სასწავლებლებისაკენ გზა გაუხსნა ქართველ ახალგაზრდებს. ამიერიდან მოსკოვისა და პეტერბურგის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში სწავლობენ არა მარტო რუსეთში მცხოვრები, არამედ საქართველოდან ჩასული ახალგაზრდებიც.

1824 წელს გ. ავალიშვილის სარეკომენდაციო წერილით პეტერბურგში ჩავიდა მაღაროელი მღვდლის შვილი — სოლომონ დოდაშვილი.

სოლომონის პირველი მასპინძელი პეტერბურგში იონა ხელაშვილი იყო, რომელმაც სწავლისათვის მოწყურებულ სოლომონს არ დააკლო მამაშვილური მზრუნველობა. ამავე წელს სოლომონი პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. იონა, ალტაცებული სოლომონის ნიჭითა და სიბეჯითით, არ ზოგავს არც ცოდნას, არც „წარსაგებელს“, მისი მიზანია სოლომონი ღრმად დაეუფლოს მეცნიერებას და გამოვიდეს „ერისა მოყუარე, მამულისა სამსახურისა მოსურნე“. სოლომონი, თავის მხრივ, თავს არ იზოგავს „სიყვარულისათვის მამულისა, სარგებლად სულისა და კეთილდღეობისათვის მემამულეთასა“.

სოლომონს ხელს უშლის მისი ჯანმრთელობა, რომელიც გაუარესდა პეტერბურგში ყოფნის პერიოდში, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი გატაცებით ეუფლება ისტორიას, ფილოსოფიას, ზუსტ მეცნიერებებსა და ღვთისმეტყველებას. სოლომონ დოდაშვილის და იონა ხელაშვილის დამოკიდებულება მოძღვრისა და შეგირდის ურთიერთობის თავისებური გამოხატულებაა. სოლომონი, ერთი მხრივ, სტუდენტია პეტერბურგის უნივერსიტეტისა, რომელიც ახალ მეცნიერულ სამყაროს უშლის თვალწინ, მეორე მხრივ, კი საყვარელი შეგირდია იონა ხელაშვილისა, რომელიც ფილოსოფიას მხოლოდ საღმრთო სამსახურში აყენებს: „ფილოსოფოსისა სიმდიდრეა მსახურება ღუთისა“, — უქადაგებს იონა სოლომონს და ურჩევს, რომ მას დიდი ადგილი დაუთმოს.

პეტერბურგში ჩასულ სოლომონისათვის მეცნიერების დაუფლება საშუალებაა, „რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია სა-

შეულობითა წერილთა სარწმუნოთა“. ღარიბი სტუდენტი თავის ძალ-ღონეს არ ზოგავს, რომ საარსებო საშუალება იპოვოს, პარალელურად პროფესორებთან დამატებით გაკვეთილებსაც ლებულობს, რათა მისი ცოდნა უფრო საფუძვლიანი გახდეს. სოლომონის გონებრივი ჰორიზონტი თანდათან ფართოვდება, რაც განუზომელ სიხარულს ჰგვრის მას: „მომეცა ცნობა... და იუწყა სულმან ჩემმან გარეგანთა გრძნობათა მიერ გარდაბეჭდვითა სოფელი ესე და მიზეზი ამისი, მდგომარეობა ერთა საზოგადოობისა პოლიტიკებრი, ზნეობითი მოქცევა ურთიერთაშორის, ხარაქტერი სხვისა და სხვისა ნათესავისა, მოქმედებანი მათნი გამობრწყინდებიან უშუალოესსა ხარისხსა შინა სიბრძნისასა, რომელნი აღაშენებენ მეცნიერებასა და განაშუენებენ ენასა დიდითა სიმდიდრითა ლექსათა. ქუხს და სკექს მთასა ზედა მაღალსა ჩინებულება მწერალთა და პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა განითესების ხმა უკვდაებისა მათისა“<sup>1</sup>, — სწერდა იგი ი. ხელაშვილს.

სოლომონი აღტაცებულია უნივერსიტეტით, მისი პროფესორებით, აღსაზრდელებით, უნივერსიტეტის ყოველდღიურობით: „იმპერატორის უნივერსიტეტი საკუთრად წოდებული არს ფრიად მაღალი სასიბრძნო ადგილი, რომელთაცა აქა აღრიცხულ შეუძლებელ არს“. იგი სიამაყით აცხადებს: „ტაძარსა შინა აღნთებულისა სწავლისასა გახლავარ მეძიებელი სიბრძნისა სახელდებით იმპერატორის უნივერსიტეტსა შინა“.

მაგრამ პეტერბურგის მკაცრი ჰავა და სუსტი ჯანმრთელობა სოლომონს იძულებულს ხდის ხშირად გააცდინოს მეცადინეობა. „ამის გამო დაეშთი უკან და მოვცდი საგანთა“, — ჩივის სოლომონი.

1827 წელს ს. დოდაშვილმა დაასრულა უნივერსიტეტის კურსი და სადისერტაციო ნაშრომად „ლოგიკა“ წარადგინა. ნიჭიერად დაწერილი ლოგიკის კურსის დაბეჭდვა საჭიროდ მიიჩნია უნივერსიტეტმა. დაბეჭდვის ხარჯები ისევ სოლომონის მოამაგე იონამ იკისრა. მაღლიერმა სოლომონმა თავის გამოცემაში აღნიშნა იონას ამაგი: «Издатель сего сочинения приятным долгом постав-  
ляет известить благосклонных читателей, что в издании сочи-

<sup>1</sup> ს. დოდაშვილის წერილები, გამოცემული ს. ხუციშვილის მიერ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. II, გვ. 64.

ნენია პრინიმალ ძეაქელნე ეგო პრეპოდბიე გრუზინ-სკიი ნერომახ იონა»<sup>1</sup>.

გამოცემა განხორციელდა ცნობილი გამოცემლის ა. ფ. სმირდინის მიერ<sup>2</sup>.

ცნობილია, თუ რა გამოხმაურება პოვა ს. დოდაშვილის ნაშრომის გამოქვეყნებამ რუსეთში. „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ დაიბეჭდა ცნობილი მოღვაწისა და კრიტიკოსის პოლევოის სტატია. „მოსკოვსკი ვესტნიკში“ გამოქვეყნებული ვ. ტიტოვის სტატია ს. დოდაშვილის წიგნს მიიჩნევდა ბაუმეისტერის სქოლასტიკის შემდეგ წინ წადგმულ ნაბიჯად, წიგნს გამოეხმაურა აგრეთვე „სევერნაია ჰჩელა“.

როგორც თ. კუკავა წერს: „სოლომონმა თავის ნაწერებში არ დატოვა ადგილი რელიგიისათვის, რითაც წინ გაუსწრო არა მხოლოდ თავის კეთილ მასწავლებელ იონას, არამედ ბევრ თავის თანამედროვესაც. მართალია, სოლომონი იონას ყველა რჩევას თავმდაბლურად ისმენდა და ასრულებდა, მაგრამ ლოგიკის გამოქვეყნების შემდეგ იონამ დაინახა თუ რამდენად გაზრდილიყო და რამდენად მაღლა იდგა მასზე მისი „მორჩილი მოწაფე“ სოლომონი. მღვდლის ანაფორაში გახვეულ იდეალისტ იონას და მის ღვთისმეტყველურ შეგონებებს დაუპირისპირდა ძირითადად მატერიალისტურად მოაზროვნე სოლომონი“<sup>3</sup>.

პეტერბურგში მყოფ ს. დოდაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბატონიშვილებთან. მის წერილებში ხშირად ვხვდებით იოანე ბაგრატ, თეიმურაზ, ფარნაოზ და დიმიტრი ბატონიშვილების სახელებს. მისი პირველი პედაგოგიური პრაქტიკა იწყება ბაგრატ ბატონიშვილის ოჯახში, სადაც სოლომონი ბაგრატის სამი შვილის აღმზრდელის როლში გვევლინება. მკაცრი მომთხოვნელობის პედაგოგს ბაგრატ ბატონიშვილის უკმაყოფილება გამოუწვევია, „ჩემი შვილები მოსაკლავად არ მომიბარებიაო“, — უთქვამს ბავ-

<sup>1</sup> ლოგიკის შესახებ იხ. ა. ქუთელიას წინასიტყვაობა წიგნში ს. დოდაშვილის ლოგიკა, 1949 წ.

<sup>2</sup> ს. დოდაშვილის სმირდინთან დამოკიდებულებასზე იხილეთ ს. ხუციშვილის მიერ გამოცემული ს. დოდაშვილის წერილები, შესავალი, გვ. 43.

<sup>3</sup> თ. კუკავა, ნარკვევები, გვ. 126

რატ ბატონიშვილს სოლომონისათვის და დაუთხოვნია. შეურაცხ-  
ყოფილი სოლომონი ყოველივე ამას თავის მოამაგე იონას მოუ-  
თხრობს და დასძენს: „თქვენ უწყით, უკეთუ ამით არარაი იციან,  
რომელ სწავლასა შინა დიდის კაცისა და მცირისა (იგულისხმება  
შვილნი) ერთნი და იგივეი არიან, ე. ი. ერთად შესარაცხ არიან  
მასწავლებლებისათანა“.

1827 წლის ზაფხულში სოლომონმა დატოვა პეტერბურგი და  
სამშობლოსკენ გამოემართა. სოლომონს თან მოჰყვებოდა ი. ხელა-  
შვილის საპროგრამო ხასიათის ეპისტოლე: „აჰა, წახვედ მამულად  
შენდა და ალაგზენ სანთლები და ლამპრები და უფროსლა ცეცხლი  
სიბრძნისანი სულებთა აზნაურთა და მოქალაქეთასა და დასთესე  
იფქლი და მორწყე სულები საკლასო წიგნებითა და აღაორძინე  
კეთილზნეობითა“.

საქართველოსკენ მომავალ სოლომონს მოსკოვში შეჩერება  
მოუხდა. ამით მას საშუალება მიეცა დაეთვალიერებინა უცხო  
ქალაქი. აქვე მას საუბარი ჰქონდა „ჩინებულსა პოეტთან და მწე-  
რალთა, რომელნიცა იქებოდნენ პეტერბურღსა შინა თვისითა  
საქმეებითა და ყოველსა ქვეყანასა ზედა ისმიან პატიოსნებანი  
მათნი“.

როგორც სოლომონი აცნობებს იონას, „ერთი მათგანი მიდის  
ევროპასა შინა უმეტეს განათლებისათვის, მე ვსთხოვე მუნითგან  
მოწერა ავთრათისა და ღირსი ხსოვისა ცნობა, მან აღმითქუა“. ამ  
ბარათიდან ჩანს, რომ სოლომონი მოსკოვში გამოლაპარაკებია და  
გაცნობია რომელიდაც დიდ რუს მწერალს. ძნელი სათქმელია  
ვინ უნდა ყოფილიყო იგი<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ამ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა ვ. შადურის საინტერესო წერილი  
«Что знала о Руставели Россия Пушкинского времени?» (თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებული—შოთა რუსთაველს, 1966, გვ. 415—  
435). წერილში მთელ რიგ სხვა საკითხებთან ერთად განხილულია სა-  
კითხი — იცნობდა თუ არა პუშკინი ს. დოდაშვილს. ამ მხრივ განსა-  
კუთრებით ყურადღების ღირსია ნაშრომში მოტანილი პუშკინის ერთი ფრანგული  
წერილის შინაარსი: „ხვალ მივემგზავრები პეტერბურღს ძვირფასი მშობლებიან  
სანახავად... პეტერბურგიდან გავემგზავრები ან ევროპაში, ანდა ჩვენსკენ, ფსკოვ-  
ში, უფრო კი მგონია — საქართველოში“. წერილი დაწერილია 1827 წ., ე. ი.  
იმ წელს, როდესაც მოხდა ს. დოდაშვილის შეხვედრა მოსკოვში რომელიდაც

იონა ხელაშვილი უკვე თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის პედაგოგს — სოლომონს არ აკლებს თავის რჩევა-დარიგებებს: „დიდი პეტრეს სიტყუანი კინლა დასრულდებიან, რომელ სიბრძნე ივერიასაცა მოეფინებისო და განვალსო აზიასა შინა. რადლა საჭიროდ ვრაცხო გამრჩობლება ხსენებად თქუენდა, რომელს. ვითარცა გონებით, ეგრეთვე გრძნობაებითაცა სვერეტთ ყოველთა ქალაქებთა შინა საჭიროდ არიან სწავლანი“. იონა თხოვს სოლომონს, რომ ყურადღება მიაქციოს ენის სიწმინდეს: „ოდესცა ამეტყუელებდე რუსულად, არა შერიონ ქართულნი და ოდესცა ჩვენსა ენასა ზედა, არა შერიონ რუსულნი, ვითარცა რომელიმე აქაურნი ქართულნი, ე. ი. „პოქალუსტა მიწყალობე“, „მე ვიყავ კუხნაში“, „შენ წადი გოსტინაში“, „ტარელკა პრინეს“, „ნოეიკ დანა ვაზში“, „წავიდეთ გოსტად“, „მე მივალ ცერაკვი“, „შენ სტუპაი სახლში“ და სხვ.

თავის მხრივ, ს. დოდაშვილი სისტემატურ ცნობებს აწვდის ი. ხელაშვილს საქართველოში ახლად ფეხადგმულ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებათა შესახებ. უკვე 1831 წელს ს. დოდაშვილი ი. ხელაშვილს აცნობებს პირველი ქართული ჟურნალის დაარსებას: „გამოიცემა ყოველსა თუეს ჟურნალი ქართული, წელიწადში ათორმეტი წიგნი, გთხოვ ხელი მოაწერინოთ ბატონიშვილებს და ბატონის რძლებს მიღებისათვის ჟურნალთა. ამ ჟურნალში იქმნება მოდაცა ქართველთა. ფასი მთელი წლისა არს ოცი რუბლი ასიგნაცია წარმოგზავნით“.

სოლომონი, რომელიც იცნობს პეტერბურგში მყოფ ქართველთა ლიტერატურულ საქმიანობას, ჟურნალის მომავალ მასალად ითვალისწინებს პეტერბურგში შექმნილ ლიტერატურულ პროდუქციას: „გთხოვთ, რათა ყოველთავე ქართველთა გამოუცხადოთ რომელ თვისი თხზულება ანუ გასჯა რომელსამე საგანსა ზედა სტიხათ, გინა უსტიხოთ, წარმოგზავნონ ჟურნალსა შინა დასაბეჭდად. ეგრეთვე გთხოვთ უმდაბლესად, რათა წარმოგზავნოთ ოდა ღვთისა (ოდა ბოლა), ვგონებ ქართულად ნათარგმნი აქვნდეს ბა-

---

დიდ რუს პოეტთან. წერილის შინაარსიც ემთხვევა მგზავრობის იმ გეგმებს, რომელიც ჰქონია ს. დოდაშვილთან მოსაუბრე პოეტს. ეს წერილი საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ ეს პოეტი ა. ს. პუშკინი იყო.



ტონის შვილს მირიანს, თქვენ არ დაგიპერს, გადააწერინეთ და წარმოგზავნეთ. ეგრეთვე მაცნობეთ სახელნი ქართულთა წიგნთა, რომელნიც მანდ ქართველთაგან შეთხზული ანუ ნათარგმნი იყუნენ<sup>1</sup>.

სოლომონი კავშირს არ წყვეტს მის მოამაგე იონა ხელაშვილთან და წლების მანძილზე გრძელდება საინტერესო მიმოწერა ს. დოდაშვილსა და იონა ხელაშვილს შორის.

პეტერბურგის ქართველთა წრეში 1810 — 1829 წლებში იქმნება ისეთი ლიტერატურული ძეგლი, როგორიც არის იონანე ბატონიშვილის „კალმასობა“. იონანე ბატონიშვილი ქმნის რეალისტურ ნაწარმოებს, რომელიც ისტორიულ სინამდვილეს და თანამედროვე ყოფას ემყარება. მოქმედ პირებად ავტორს გამოყვანილი ჰყავს ისტორიული პირები: თავისი თავი, იონა ხელაშვილი, გიორგი ავალიშვილი, გარსევან ჰავკავაძე, დავით ციციშვილი, დავით რექტორი და სხვები.

თხზულების მთავარი გმირია ი. ხელაშვილი. იგი გვევლინება ყოველი სიუჟეტური სიტუაციის ცენტრალურ ფიგურად. თხზულებას ენციკლოპედიურ ხასიათს აძლევს იონა ხელაშვილის მსჯელობანი სხვადასხვა საკითხზე.

იონანე ბატონიშვილისა და იონა ხელაშვილის ბიოგრაფიული ურთიერთობა შეიქმნა იმის საფუძველი, რომ იონანე ბატონიშვილს „კალმასობის“ მთავარ გმირად იონა ხელაშვილი გამოეყვანა. იონა ხელაშვილი დიდი თავყვანისმცემელია იონანე ბატონიშვილისა, განსაკუთრებით ხიბლავს მისი ზრუნვა რუსეთში მყოფ ქართველებზე: „საკუთარნი თვალნი ჰვირობენ არათუ ჩემზედა წარგებასა უკანასკნელსა საცხოვრებლისა თქუენისასა, არამედ ყოველთავე ივერიისა სახლისა ძეგბთა და ასულებთა ზედა, რომელ აქარე მოსრულთა თავადთა, აზნაურთა, სამღვდლოთა და ერთა ხელნი თქვენნი ზრდიან, რომელნი დიდ ფრიად სარგებლობენ, რომელი არცაღა ერთსა ვისმე ძალელუა აქარე ცხოვრება ჩუენისა ქუეყანისასა, უკეთუ თქვენ არა უღებდეთ კარსა თქუენისა სახლისასა“<sup>2</sup>, — მიმართავს ახლად ჩამოსული იონა იონანე ბატონიშვილს. იონას

1 ს. დოდაშვილის წერილები, გვ. 140.

2 S — 305.

განცვიფრებას იწვევს მისი თავგანწირული შრომა-მოღვაწეობა-  
მამულისათვის: „ღღე და ღამე ათევთ წერითა, რათამცა სარგებ-  
ლობანი შესძინოთ ერსა სიბრძნისა და მამულისა მოყუარეთა“.

წლების მანძილზე გრძელდება ურთიერთპატივისცემა და სიყ-  
ვარული იოანე ბატონიშვილსა და იონა ხელაშვილს შორის. იოანე  
ბატონიშვილიც თავის მხრივ ამკობს იონა ხელაშვილს, როგორც  
სიბრძნისა და ღვთიური ძალის ამქვეყნიურ წარმომადგენელს და  
ყოველი ქართველისათვის თავდადებულ ადამიანს.

იონას ეპისტოლარული მემკვიდრეობით შესაძლო გახდა სი-  
ნათლის შეტანა „კალმასობის“ ავტორობის საკითხში. 1927 წელს  
გამოქვეყნდა დ. კარიჭაშვილის სტატია<sup>1</sup>, რომელშიც მოყვანილი-  
ყო 1825 წლის 4 სექტემბერს დაწერილი იონა ხელაშვილის წერი-  
ლი თავისი ძმებისა და რძლებისადმი. ამ წერილში იონა ლაპარა-  
კობს რა სწავლა-განათლების მნიშვნელობაზე, კმაყოფილებით  
მიუთითებს საკუთარ მაგალითზე და წერს: „მე თუ ისევე მე-  
როტივე ვყოფილიყავ, ჩემი სახელი აქვე მკუდარი იქნებოდა.  
თვითცა მრავალი წიგნები შევთხზე ჩემით საქართველოსთვის  
და დაბადების ოდენი წიგნი დაწერა, თორმეტი წელიწა-  
დია ჰსწერს იოანე ბატონიშვილი ჩემს სახელსა ზედა, ე. ი. მა-  
ლაპარაკებს ყოველსავე სწავლასა სულიერსა და ხორციელსა“.  
ამიერიდან ექვმიუტანელი შეიქნა, რომ ეს „დაბადების ოდენა  
წიგნი“, რომელსაც იოანე ბატონიშვილი წერს, იყო მისი „კალ-  
მასობა“. ამ თხზულების 1936 წ. გამოცემის რედაქცია თავის წი-  
ნასიტყვაობაში შენიშნავს, რომ ამ მედიდური განცხადებით მას  
(ე. ი. იონას) „კინაღამ იოანე ბატონიშვილის თანაავტორად გამოუ-  
ცხადებია თავისი თავი“<sup>2</sup>.

1960 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ გამოვქვეყნეთ  
წერილი, რომელშიც განხილულია, თუ რაში გამოიხატა ი. ხელა-  
შვილის როლი „კალმასობის“ შექმნაში<sup>3</sup>. საკითხის შესწავლამ  
გვიჩვენა, რომ ი. ბატონიშვილს თავის თხზულების მთავარ გმირად

1 საქართველოს არქივი, 1927, II.

2 კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1936, გვ. V.

3 ნ. მახათაძე, იოანე ბატონიშვილისა და იოანე ხელაშვილის ლიტე-  
რატურული ურთიერთობისათვის, საქართველოს მეცნ. აკადემიის, საზოგადოებ-  
რივ მეცნიერებათა განყოფილების შოამბე, 1962, № 1.

:გამოჰყავს ისტორიული იონა ხელაშვილი არა მარტო მისი ბიოგრაფიული მონაცემებით, არამედ მთელი მისი მსოფლმხედველობითაც. ჩვენი ეს გამოკვლევა ერთგვარი გაგრძელებაა პროფ. ვ. ღონდუას მიერ დასმული საკითხისა, რომ იონა ხელაშვილი თვითვე ამარაგებდა „კალმასობის“ ავტორს პირადი ცხოვრების მასალებით<sup>1</sup>.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, იონა ხელაშვილის გამოყვანა თხზულების გმირის პროტოტიპად მრავალნაირად იქნებოდა გამართლებული.

1. ი. ხელაშვილი სასულიერო პირია, რომელსაც ახალგაზრდობაში თვით გამოუცდია საკალმასოდ სიარული. ავტორს კი კალმასობა ესაჭიროება, როგორც ყოველ მოვლენასთან ახლოს მისვლის საშუალება. იმ უამრავი რეალისტური სურათების ჩვენება თანამედროვე ყოფიდან, რომელსაც ჩვენ თხზულებაში ვხვდებით, ხორციელდება კალმასობის საშუალებით. მოკალმასე ბერისათვის ყველგან გზა ხსნილია. კალმასობა იძლევა მოქმედების ფართო სარბიელს.

2. იონა თავის დროისათვის კარგად განათლებული ადამიანია, რომელსაც იცნობენ როგორც ბრძენ მოძღვარს. როგორც რუსეთის სასულიერო აკადემიაში აღზრდილი, იგი დაუფლებულია მეცნიერების სხვადასხვა დარგს. ასეთი პირი ესაჭიროება იოანე ბატონიშვილს იმ უამრავ ცნებათა და მოვლენათა განსამარტავად, რომელსაც „კალმასობაში“ აქვს ადგილი.

3. ავტორი მახვილგონივრულად იყენებს ერთ თვისებას, რომლითაც ხასიათდება რეალური იონა ხელაშვილი. როდესაც ვეცნობით ი. ხელაშვილის შემოქმედებას, ვხედავთ, რომ იონას ახასიათებს გაზვიადებული თხრობა, დაუსრულებელი და აბსტრაქტული მსჯელობა, კონკრეტულის განზოგადება და სხვა. როგორც მთელ მის შემოქმედებას, ასევე მის მრავალრიცხოვან კერძო წერილებს ატყვია კვალი მისი მრავალსიტყვაობისა. ეს ერთ-ერთი თვისებაა ი. ხელაშვილის, რომელიც გამოდგა სწორედ ამ ხასიათის ნაწარმოებში გამოსაყენებლად, რომელმაც სრულიად ბუნებრივად შეათანხმა მოკალმასე ბერის მოგზაურობა და მისი ვრცელი მსჯელობანი სხვადასხვა საკითხზე.

<sup>1</sup> Калмасоба или Хождение по сбору, перевод В. Дондуа, гв. ХХХ.

როგორც ჩანს, იოანე ბატონიშვილისა და იონას ამ ლიტერატურულმა თანამშრომლობამ კიდევ უფრო დაახლოვა ეს ორი მოღვაწე. 1829 წელს იონა ხელაშვილის თხოვნით იოანე ბატონიშვილი ადგენს ქართული ენის გრამატიკას. იოანეს სიტყვით, „თუმცა ახალთა მოსწავლეთა რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა შეეწყოთ ღრამატიკა, გარნა უფრორე მრავალი რუსულს გვარზე დაედოთ, ვითარცა ფირალოვს გოდერძის და სხვათა, და ამით ღრამატიკა ქართულისა ენისა სასწავლებლად არ იყო საკმაო. მე თხოვნისაებრ თქვენისა ჰსწორედ ქართულის გუარზედ შევაწყვე, რომლითაც ადვილშესაძლებელ არს კანონიერად სწავლა ენისა და მოწაფეთათუისცა ადვილ შესამეცნებელი“<sup>1</sup>. ამ გრამატიკის სახელმძღვანელოს ი. ხელაშვილი საქართველოში უგზავნის ს. დოდაშვილს.

ოცდაათიანი წლების შემდეგ იოანეს და იონას ლიტერატურული დამოკიდებულება ნაკლებ ინტენსიური ჩანს. ხოლო მათი ურთიერთობის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს იოანე ბატონიშვილის სიცოცხლის ბოლო დროის წერილი იონა ხელაშვილისადმი, რომელიც საინტერესოა არა მარტო როგორც საბიოგრაფიო მასალა იოანე ბატონიშვილთან დაკავშირებით, არამედ როგორც ემიგრანტული საზოგადოების ხვედრით გამოწვეული გოდება. წერილი დაწერილია როგორც აღსარება მომაკვდავისა სულიერი მოძღვრის წინაშე. მაზიარებელი მოძღვრის როლში იონა ხელაშვილია. წერილი იწყება იოანე ბატონიშვილის ერთგვარი ავტობიოგრაფიული თხრობით: იგი იხსენებს თავის მოღვაწეობას საქართველოში სამეფო კარზე, თავის სიყვარულს უძღურთა და დაერდომილთა, ღვთისა და ეკლესიისადმი და შემდეგ იგონებს რუსეთში გადასვლის ამბავს. ამასთან იოანე ბატონიშვილი წერილის ამ უკანასკნელ სტრიქონებში აქსოვს მთელ იმ სევდას, რომელიც მას გულით უტარებია სამშობლოდან შორს ყოფნის 30 წლის მანძილზე: „კაცი ეული უცხოებათა შინა დაყრუვდების, ვერღა მსმენელი უცხოთა ენისა ხმათა და კინილა დაბრმავდებისცა ვერ მიწთომილი ახალ ახალთა ეპიფანიისა სავსებათა, რომელსა ხელნიცა

<sup>1</sup> I S — 2228, ამ შრომის შესახებ იხ. ნ. გოგუაძე, იოანე ბატონიშვილის გრამატიკა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1962, IV.

გაუუქმდებიან უცხოთა ერისა საქმეთა უსწავლელსა, ხოლო ფერხნი დაუბუჟდებიან უსვლელობითა... და არცაღა უწყოდეს ფერხთა წარსადგმელი ადგილნი, რათამცა იამოვნოს, არამედ მოვლიდეს თვისსა ჩოდოლოსა ღირითა დაკავებულსა შიშით და ძრწოლით სავანისა უფლისათა, რათა არა შეიძრას ჰერი და არა წარიბდალოს იატაკი და კედელნი და არა შეეხოსთ კართა და კლიტეთა და კიბეთა, ხოლო ეზო იყოს დაცულ სალუქად და არა აღიცრცნას სარკმელნი და წყართილნი და შინაგანნი და გარეგანნი ერთბამად აღწერით მობარებული, ვიდრე მიბარებამდე.

აჰა, კაცსა მწირსა ზემო ოცდაათისა წლისასა მისრულსა უცხოებაში კავშიანსა დღისი თვისასა აჩრდილისა ეშინის, ხოლო ღამესა შინა თავგთა ბგერისაგანცა იქნების მძრწოლარე.

მამაო იონა! ესერა ჩემი ყოველივე მოგითხარ... გარე მომადგა სიკუდილი მიუცილებელი და შთახდა გუამსა ჩემსა ვითარცა მლილი განმრყუნელი საუნჯისა... ესერა სამეოცნი დღენი და ღამენი არიან, რომელ მიიწია გულადმდე და აშრობს ფირტვსა, რომლითაცა ვერღარა ვმშვინავ... აჰა ესერა გუამი ჩემი ვიდრე მიმწუხრადმდე დაირღვევის<sup>1</sup>.

წერილი დასრულებული არ არის, არც თარიღი აქვს, მაგრამ გასაგებია როდის შეწყდა იგი<sup>2</sup>.

ამრიგად, ბატონიშვილთა წრეს ამ დროისათვის აღარ ჰყავს ორი ისეთი წარმომადგენელი, როგორც დავითი და იოანე ბატონიონები იყვნენ.

#### 4. გრ. ორბელიანის ჩასვლა პეტერბურგში

1831 წელს საქართველოდან რუსეთისაკენ სამხედრო დავალებით მიემგზავრება პოეტი გრიგოლ ორბელიანი. ნოვგოროდში მიმავალმა გრ. ორბელიანმა რამდენიმე ხანი მოსკოვში, ხოლო შემდეგ პეტერბურგში დაჰყო. პეტერბურგში გრ. ორბელიანი ოთხ

1 ნ. მახათაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

2 ი. ბატონიშვილის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით იხ. ალ. ბარამიძე, იოვანე ბატონიშვილის ბიოგრაფიიდან, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1952, გვ. 372.

თვეს დარჩა, დაესწრო ნათლილებას სასახლეში, იხილა ხელმწიფის გამოსვლის ცერემონიალი, მრავალჯერ დაესწრო წირვას ყაზანის სობოროში, იხილა ორანიენბაუმი, პეტერპოფი, ცარსკოე სელო და ქალაქის მრავალი ღირსშესანიშნავი სანახაობა, „მარამა, — წერს გრ. ორბელიანი ერთ-ერთ წერილში,—ყოველივე ეს ვიხილე ზამთარში, ოდესცა ღრუბელნი და თოვლი ჰფარვიდა თვალთაგან ლამაზთა ადგილებსა, მღებარეობათა. ვის არ უქიენ პეტერბურლი, მარამა საშინელი ყინვა, მარად მოღრუბლული ცა, მზისა დაკარგვა და სიმოკლე დღისა იყუნენ ფრიად შემაწუხებელი ჩემთვის“. თუ მოკლე ხნით პეტერბურგში მყოფი გრ. ორბელიანი უჩივის პეტერბურგის მკაცრ ბუნებას, წარმოსადგენია როგორ უქირდათ იქ ცხოვრება ქართული კოლონიის წევრებს. ამგვარ ჩივილს ხშირად ვხვდებით პეტერბურგელ ქართველთა შორის.

„წამია პეტერბურგისა ზაფხულის სახის ჩვენება,  
ორ თვემდის ნათობს ღამეცა, ყოველ სულს აქვს მისი ქენება,  
თუ წვიმას იწყებს, ძნელდა არს დარი და გამოზზევენება,  
სტანჯავს კაცს რვა თვე ზამთარი, გავს, სვეს ჩვენს ასე ენება“! —

ამბობს რომელიღაც პეტერბურგელი ქართველი.

მცირე იყო გრ. ორბელიანის პეტერბურგში ყოფნის პერიოდი, მაგრამ იქ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ღრმა კვალი გაავლო მის შემოქმედებას.

ქალაქის სიმშვენიერით მოხიბლული გრიგოლი დადიოდა „ოვი-ნიერ ყოვლისა საგნისა“ და სჭვრეტდა ნევის პროსპექტის დიდებულებას. პირველი ქართველი, რომელსაც გრ. ორბელიანი პეტერბურგში შეხვდა, იყო იულონ ბატონიშვილის ვაჟი ლუარსაბი ლუარსაბ იულონის ძე და გრიგოლ ორბელიანი ფარნაოზ ბატონიშვილს ეწვივნენ ფანტანკაზე. საყურადღებოა, რომ პეტერბურგში ახლად ჩასული გრიგოლი ფარნაოზს „პრასკოვია ნიკოლაევენასთან“ წაუყვანია. ეს ის პრასკოვია ნიკოლოზის ასულია, რომლის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი ლიტერატურათმცოდნეების შრომებიდან (ი. გრიშაშვილი, ი. ანდრონიკოვი, ვ. შადური, ი. ენიკოლოპოვი და სხვა).

1 აზიის ხალხთა ინსტ., ხ. E — 23.



პლატონ იოსელიანი



თეიმურაზ ბატონიშვილი



ი. ანდრონიკოვის შრომებიდან ცნობილია, რომ პრასკოვია ნიკოლოზის ასული ახვერდოვა, ნინო ჭავჭავაძის აღწერდელი და ქართული მოწინავე საზოგადოების უახლოესი წევრი, ოცდაათიან წლებში პეტერბურგში იმყოფებოდა. ამასთან დაკავშირებით ი. ანდრონიკოვი წერს:

«...1830 годах, живя в Петербурге, в Царском селе, Ахвердова постоянно встречалась и поддерживала родственные отношения с бабушкой Лермонтова — Елизаветой Алексеевной Арсеньевой. Можно считать доказанным, что Арсеньева и Лермонтов встречались с Ахвердовой и встречались как раз в то время, когда в Петербурге находится Чавчавадзе»<sup>1</sup>.

ამჟამად ჩვენ ვეხებით გრ. ორბელიანის პეტერბურგში ყოფნას. თუ ალ. ჭავჭავაძის შეხვედრები პრასკოვია ნიკოლოზის ასულთან მხოლოდ სავარაუდოა. გრ. ორბელიანის დღიური გვიჩვენებს, რომ ფარნაოზ ბატონიშვილის ოჯახის შემდეგ პირველი ნაცნობი, რომელიც მოუხასულებია პეტერბურგში ახლად ჩასულ გრ. ორბელიანს, ყოფილა პრასკოვია ნიკოლოზის ასული, რომელიც „განკვირდა ფრიად ჩემს ანაზღაურულ მისვლასო“. მოგვითხრობს გრ. ორბელიანი.

პრასკოვია ნიკოლოზის ასულთან დაკავშირებით საინტერესოა ვ. კ. კუხელბეკერის დღიურიც. რომელშიც ამავე პერიოდზეა ლაპარაკი. კუხელბეკერი წერს:

«Получил письмо от матушки, добрая моя старушка! Бесценно для меня то, что она тотчас же посетила друга моего Прасковью Николаевну Ахвердову, как только узнала, что Ахвердова в Петербурге, могу вообразить их разговор, не раз они тут поминали моего Грибоедова, в этом нет сомнений. Десять лет прошло с тех пор, как я с ним жил в Тифлисе. Сколько перемен!»<sup>1</sup>.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, როგორც ჩანს, პრასკოვია ნიკოლოზის ასულს იცნობს ფარნაოზ ბატონიშვილიც. პეტერბურგ-

<sup>1</sup> И р. Андроников, Лермонтов в Грузии, 1955 г., стр. 69.

<sup>2</sup> Дневник В. К. Кухельбекера, Прибой, 1829, კუხელბეკერის შესახებ იხ. ი. ანდრონიკოვის დასახ. ნაშრომი.

ში პირველად ჩასული გრ. ორბელიანი პრასკოვია ნიკოლოზის ასულთან ფარნაოზ ბატონიშვილს მიჰყავს. აქედან სავარაუდოა ისიც, რომ პეტერბურგში მყოფი პრასკოვია ნიკოლოზის ასულის ოჯახის სტუმრები კუნსელბეკერის, ლერმონტოვისა და პეტერბურგის სხვა მოწინავე ოჯახებთან ერთად პეტერბურგელი ქართველებიც ყოფილან.

პეტერბურგელ ქართველებთან კუნსელბეკერის ნაცნობ-მეგობრობასთან დაკავშირებით საინტერესოა ვ. შადურის მიერ აღმოჩენილი ცნობა სამხედრო-ინტორიულ არქივიდან, რომ როდესაც დეკაბრისტა აჯანყების შემდეგ კუნსელბეკერი პეტერბურგიდან გაიქცა და მთელს იმპერიაში დაიგზავნა ბრძანებულებანი მისი დაპატიმრების შესახებ, მეფის ერთ-ერთმა აგენტმა კუნსელბეკერის შესახებ მთავრობას აცნობა, რომ მას პეტერბურგში მალავდნენ მისი ნაცნობი ქართველები და სომხები<sup>1</sup>.

პეტერბურგში ჩასულ გრ. ორბელიანს გულმხურვალე მასპინძლობა გაუწიეს იქაურმა ქართველებმა. პირველ დღესვე ვრ. ორბელიანი იტალიური ოპერის მოსასმენად წაიყვანეს, სადაც პოეტი დაუტყვევებია იტალიელი მომღერალი ქალის მორიკონის ხმას. ასევე ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე ვიოლინოზე შემსრულებელ ბემის. ჩასვლის მეორე დღეს გრ. ორბელიანი მცირე თეატრის სპექტაკლს „კარლოს მეთორმეტს“ სწვევია, მაგრამ სპექტაკლი არ მოსწონებია მას<sup>2</sup>. ფარნაოზ ბატონიშვილის ოჯახში გრ. ორბელიანს ანასტასია და რიფსიმე ბატონიშვილებიც გაუცვნიან, შემდეგ სწვევია მარიამ იმერთა დედოფალს. დასწრებია სპექტაკლს „ვაი ჰეუსიანა“<sup>3</sup>.

ფარნაოზ ბატონიშვილთან სალამოზე მყოფ გრ. ორბელიანს

---

<sup>1</sup> В. Ш а д у р и. Декабристская литература и грузинская общественность, გვ. 42.

<sup>2</sup> გრ. ორბელიანის დღიურების შესახებ იხ. პ. ინგოროყვა, გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები, ქართული მწერლობა, 1928 წ., № 6—7, გვ. 252; ჯ. კუმბურიძე, გრ. ორბელიანის პრაოზა, გრ. ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ.

<sup>3</sup> გრ. ორბელიანის მიერ პეტერბურგში გატარებული დღეების შესახებ იხ. ელ. მაღრაძე — ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა, მნათობი, № 1, 1967, გვ. 103—105.

„შემდგომად სხვადასხვა უბნებათა დიმიტრი ბატონიშვილთან“, ლაპარაკი ჰქონია მოცარტზე, ვებერზე, როსინინზე და მათ მუსიკალურ ქმნილებებზე. მეორე დღეს დიმიტრი ბატონიშვილთან უსაუბრია რაფაელის მადონასა და მიქელ ანჯელოს „ჯვარცმის“ შესახებ. შემდეგი საღამო გეოგრაფიაზე სჯა-ბაასში გასულა, უსაუბრია აგრეთვე საქართველოს სიღარიბეზე, „რომელიცა ჰსწარმოებს მცხოვრებთა უცოდინობისაგან“. გრ. ორბელიანის პეტერბურგში ყოფნა დამთხვევია იმპერატორ ალექსანდრეს ძეგლის გახსნას, რომლის მთელ ცერემონიალსაც დასწრებია იგი.

გრ. ორბელიანს არც თეიმურაზ ბატონიშვილი დავიწყებია და მას პეტერბოგში სწვევია. გრ. ორბელიანის შესანიშნავ დღიურებში მშვენიერად აისახა არა მარტო მის მიერ გატარებული დღეები პეტერბურგში, არამედ თვით ქალაქიც მისი ღირსშესანიშნავი მიდამოებით, დაწყებული კუნსტაკამერის ლაბირინთებით, ვათავებულნი „ზაფხულში სასეირნო ადგილებით“.

მაგრამ სხვადასხვა სანახაობით გართულ გრ. ორბელიანს დრო და დრო სევდა ეუფლებოდა, იგონებს თბილისელ მეგობრებს, აღრეული სიჭაბუკის წლებს, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებს, მანანა ორბელიანს „გახსოვთა დღე იგი, ოდესცა მე, გულითა მწუხარებისაგან შეიწროებულთა, მოვედ რა თქვენდა გამოსასალმებლად, გიხილეთ მოულოდნელად სამნივე ერთად ნ. ე. მ. ვითარცა მშვენიერნი გრაციანი მჯდომარენი მოაჯირზე ფანჯარასთანა“... ასე აყალიბებს მხატვრულ ესკიზად ამ მოგონებას გრ. ორბელიანი.

პეტერბურგშივე გრ. ორბელიანი თარგმნის ჰერდერის არაკს „სამი მეგობარი“. საბასებური მანერით შესრულებული ეს თარგმანი ერთ-ერთ შესანიშნავ ადგილს იჭერს გრ. ორბელიანის შემოქმედებაში. თითქოს სიმბოლურად უღერს გრ. ორბელიანის მიერ 1832 წელს შეთქმულების წინა დღეებში დაწერილი სტრიქონები: „ნუ ერწმუნები მეგობართა შენთა, ვიდრემდის არა გამოცადო იგინი“. რომ სატრფიალო განცდებს პეტერბურგშიაც არ დაუტოვებია პოეტი, ამაზე მეტყველებს იქ დაწერილი ლექსები „ს“, „გამოსალმება“, „ე-სა“. ხოლო კრილოვის არაკების თარგმნით გრ. ორბელიანმა ქართველ საზოგადოებას პირველად გააცნო მისი თანამედროვე დიდი რუსი იგავთმწერალი.

პეტერბურგში არ დაწერილა, მაგრამ პეტერბურგთანაა დაკავშირებული გრ. ორბელიანის შესანიშნავი ლექსი „იარაღის“. იარაღი შანშიაშვილი პეტერბურგს მყოფი ბატონიშვილების კარის მგოსანი იყო<sup>1</sup> (გრ. ბატონიშვილის „ანთოლოგიაში“ დაცულია მისი ერთი ლექსი). იარაღი შანშიაშვილი გრ. ორბელიანს პეტერბურგში, ფარნაოზ ბატონიშვილის ოჯახში გაუცვნია. როგორც ჩანს, იარაღი შანშიაშვილის ლექსებმა და მუხამბაზებმა შორეულ პეტერბურგში მშობლიური მხარე მოაგონა გრ. ორბელიანს. იარაღისაგან მიღებული შთაბეჭდილება პოეტს პეტერბურგიდან ნოვეტოროდს ჩაჰყოლია და იქ ლექსად გადმოღვრილა გულისნაღებში:

„ჩემო იარაღო, ნეტავი ოდეს  
ლხინით აღვსილნი ვსხდეთ ველსა მწვანეს  
ჩვენებურადა, ძველებურადა  
ესვამდეთ, ვიძახდეთ  
იარი-არაღი“.

მხიარული დროსტარების გახსენება ადგილს უთმობს ისტორიული წარსულის ფურცლებს

„როს ერთგულება, სარწმუნოება  
ივერთ თვისებას შეადგინებდნენ,  
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა  
მათსა სახელსა განადიდებდნენ...“

მაგრამ პოეტი გოდებს, რომ

„წარსულთა დროთა, დიდების დროთა ყოვლი კეთილი თანა  
აწ უცხოის ცის ქვეშ, ზოგსა ვჰკერეტ ოხვრით და ცრემლით წარიდეს,  
ზოგის წმიდა სამარეს!“.

ამ წმიდა სამარეთა რიცხვში გრ. ორბელიანი „უცხოის ცის ქვეშ“ დაკრძალული დავითის, იულონის, იოანეს და სხვა ბატონიშვილთა სამარეს გულისხმობს, რომელთა საფლავზე პოეტი ამგვარ ეპიტაფიებს კითხულობს:

---

<sup>1</sup> ბატონიშვილთა კარზე სხვა პოეტებიც ყოფილან. მათ შორის ერთ-ერთია პოეტი იოანე მამუჩაშვილი, იხ. ც. კახაბრიშვილი, იოანე მამუჩაშვილის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა, კრებული „XVIII ს. ქართული მწერლობის საკითხები“, 1965, გვ. 75 — 118.

«Любил отечество, удары претерпел...  
Которыми его судьба обременяла,  
Но вера правого повсюду осеняла!»<sup>1</sup>.

და ბოლოს, ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში გამოხატული ნატვრა:

„ვინ აღჩნდეს გმირი,  
რომ მის ძლიერი  
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?  
რომელ მარჯვენით  
ერთისა დაკვრით  
უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?“.

სრულიად მართალი უნდა იყოს ა. გაწერელიას სიტყვები: „კარგად ჩანს, რომ იარაღი შანშიაშვილი თავისი მფარველი ბატონიშვილის პოლიტიკური იდეალების ერთგული იყო, ამით აიხსნება თანამზრახველობის და განდობის ტონი, რომლითაც პოეტი თავის პატრიოტულ ოცნებას უზიარებს იარაღის“<sup>2</sup>.

ლექსი „იარაღის“ დაწერილია ნოვგოროდში 1832 წელს. ამავე წელს გრ. ორბელიანს ნოვგოროდში აპატიმრებენ, როგორც რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულების წევრს.

თუმცა გრ. ორბელიანი შეთქმულების აქტიურ მონაწილედ არ სცნეს და მისი პატიმრობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ერთი ცხადია, თვით „აქტი გონიურში“ ისე რელიეფურად არ გამოხატულა შეთქმულთა იდეა, როგორი მოწოდებაც ამ ლექსში გაისმა.

## 5. 1832 წლის შემთხვეულება

1832 წლის დეკემბერში რუსეთის მთავრობას ეცნობა, რომ ქართველ თავად-აზნაურთა მიერ მზადდება პოლიტიკური ხასიათის შეთქმულება, შეთქმულების გამცემი იყო ისე ფალავანდიშვილი.

<sup>1</sup> Сантов, Петербургский Некрополь, Москва, 1882 г.

<sup>2</sup> გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული ა. გაწერელიას და ქ. კუშბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1959, გვ. 022.

როგორც ცნობილია, შეთქმულების აზრი საქართველოში არ ჩასახულა. მან სათავე მოსკოვსა და პეტერბურგში მცხოვრებ ბატონიშვილებში ჰპოვა.

პეტერბურგში მცხოვრები ბატონიშვილები ვერ ურიგდებოდნენ სამეფოსა და საკუთარი პრივილეგიების დაკარგვას. დამახასიათებელია თუნდაც თეიმურაზ ბატონიშვილის, ამ დიდად განსწავლული ადამიანის პოზიცია царевич -ის ტიტულთან დაკავშირებით. გავიხსენოთ დავით ბატონიშვილის რამდენიმე თხოვნა-პროექტი, რომელიც მან რუსეთის მთავრობას წარუდგინა. მართალია, პროექტი მის საბრძოლო განწყობილებასა და შეთქმულებაზე არ მიუთითებდა, მაგრამ ოფიციალურად გამოხატავდა მის შეხედულებებს „საქართველოს უკეთ მოწყობის“ საჭიროებისათვის. არაქიევის მუქარამ დავით ბაგრატიონი საბოლოოდ დაადუნა და ხელი აღებინა პოლიტიკურ ილუზიებზე. ორი ათეული წლის შემდეგ იმავე პეტერბურგელ ქართველთა წრის ბატონიშვილთა უმცროსი თაობის წარმომადგენლებში (ოქროპირი, დიმიტრი, ლუარსაბ და ნაწილობრივ ფარნაოზ ბატონიშვილები) კვლავ წარმოიშვა „უკეთ მოწყობის“ პრობლემა, მაგრამ ბევრად უფრო რეაქციული და ვიწრო-ნაციონალისტური ინტერესებით, ვიდრე ამას დავით ბატონიშვილი ითვალისწინებდა. ბატონიშვილთა ეს ჩგუფი ოცნებობდა საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე, რომელსაც კვლავ ბაგრატიონები დაეპატრონებოდნენ. ეს იყო „პატივმოყვარე ახალგაზრდა თავადთა ჩგუფი, რომელიც ქართულ თავადურ პრივილეგიების დაკარგვას ვერ შერიგებოდა და რომლის პოლიტიკური პროგრამა ამ პრივილეგიების აღდგენა იყო“<sup>1</sup>. პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებისათვის ძირითადი ძალა, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა ეს შეთქმულება, საქართველოს თავად-აზნაურობა იყო. ამ მიზნით ისინი კავშირს აბამდნენ რუსეთში სასწავლებლად ჩასულ ქართველ ახალგაზრდობასთან. ალექსანდრე, ლუარსაბ და ივანე ჩოლოყაშვილები, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, დიმიტრი, ელიზბარ და ზაქარია ერისთავები, აი

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ა. კიკვიძე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოზარობა საქართველოში XIX საუკუნეში, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1966, გვ. 478.

ძირითადად ის წრე, რომელმაც თავი მოიყარა პეტერბურგში მცხოვრებ ბატონიშვილების ირგვლივ.

1828 წლის 13 მაისს დიმიტრი, გიორგი და ელიზბარ ერისთავებმა ჩამოაყალიბეს პირველი ხელწერილი, მასში ნათქვამი იყო: „შევკარით კანდრახტი ესე, რო რაც ჩვენი სარგებლობისათვის იყოს და რაც ჩვენ გვიფიქრია, ვინც უმტყუვნოს ამ ამხანაგობაში და ან საერო სარგებლობისათვის, იყოს შეჩვენებული ღვთისაგან“. როგორც გ. გოზალიშვილი წერს: „ეს არის შეთქმულების პირველი ჩამოყალიბება ძალიან ვიწრო წრეში“<sup>1</sup>.

ერთი შეხედვით ის გარემოება, რომ შეთქმულება ჩაისახა იმ წრეში, რომელსაც თავის თვალთ ჰქონდა ნახული დეკაბრისტული მოძრაობის მთელი სიცხადე, მეორე მხრივ, პოლონეთის აჯანყების მაგალითი, ამ შეთქმულებას ეპოქის ერთგვარ გამოძახილად გვაგულენინებს, თუმცა, როგორც გარკვეულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში; „XIX ს. I ნახევარში ქართული თავადაზნაურობის ბრძოლა რუსული მმართველობის წინააღმდეგ. იყო ნაციონალურ-რეაქციული მოძრაობა. ნაციონალურ-რეაქციული იყო იმიტომ, რომ ამ მოძრაობის მიზანი იყო იმ განსაკუთრებული სოციალ-პოლიტიკური წყობილების (თავადურ-ბატონური სისტემის) აღდგენა, რომელმაც საქართველო 1795 წლის კატასტროფამდე მიიყვანა“<sup>2</sup>.

ის გარემოება, რომ საიდუმლო ანბანიც და „აქტი გონიურიც“ პეტერბურგში შეიქნა, საკმარისია იმისათვის, რომ შეთქმულების

<sup>1</sup> გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება. 1935, გვ. 17.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 469. 1832 წლის შეთქმულების შესახებ იხილეთ: გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, თბ., 1935; საისტორიო არქივი, II, მ. პოლიევქტოვი. საარქივო მასალები 1832 წ. შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში; პ. რატიანი, საქართველოს ისტორიის ვაუბრალოების წინააღმდეგ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIV, 1954; ნ. ბერძენიშვილი, ა. კიკვიძე. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, :955; Г. Хаваши-ридзе, К истории Грузии передан в: «История XIX века», 1950; გ. მარგიაანი, XIX—XX საუკუნეთა საქართველოს ისტორიისა და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფალსიფიკაციის ზოგადი ცდის შესახებ უცხოეთში, მოამბე, I. 1962.

ცენტრად პეტერბურგი იყოს აღიარებული, ძაგრამ როგორც აღინიშნა, 1832 წლის შეთქმულების ყველა მონაწილე ერთსა და იმავეს როდი გამოელოდა შეთქმულებიდან. გარკვეულია, რომ ერთნაირი არ ყოფილა შეთქმულების ყოველი მონაწილის იდეურ-პოლიტიკური მრწამსი. თუ მოსკოვ-პეტერბურგში მცხოვრები ბატონიშვილები ძველი, ფეოდალურ-მონარქიული საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდნენ, ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე და გრ. ორბელიანი რესპუბლიკას ან კონსტიტუციურ მონარქიას უჭერდნენ მხარს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. დოდაშვილი. მოსალოდნელია, რომ ს. დოდაშვილს, რომელმაც უმაღლესი განათლება პეტერბურგში მიიღო, პეტერბურგშივე მიეღო ამ მხრივ პირველი ნათლობა. 1825 წელს მის მიერ პეტერბურგში გადაწერილი რილევის წერილი, რომელიც მას იაკობ კრუპსკისაგან მიუღია, საინტერესო ფაქტია დეკაბრისტებისადმი მისი სიმპათიისა. მაგრამ რომ ს. დოდაშვილის თვალსაზრისი არ ეგუება ბატონიშვილთა მონარქისტურ პროგრამას, ამას შესანიშნავად გამოხატავს მისი ერთი ჩვენება:

«Орбелианову я говорил... следующе: царствовать в Грузии, хотя и самое русское правительство хотело, ни один из царевичей не может и Грузия без покровительства России существовать не может: если князья желаете облегчения от притеснения и хотите иметь царевича, то можете предоставить жалобу государю императору и просить одного из царевичей, не царствовать, а присутствовать и входить в дела Грузии по гражданской части, кажется, в заключение я сказал: тогда бы вышло республиканское правление»<sup>1</sup>.

ს. დოდაშვილის ეს შეხედულებები, ისევე როგორც შეთქმულების მრავალი წევრის მსჯელობანი „ქართლის ბედის“ საკითხზე, ყველა შემთხვევაში მიზნად არ ისახავდა რაიმე პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებას. გრ. ორბელიანის და ივ. აფხაზის ცნობილი დიალოგი, რომელიც ორი პატრიოტის სხვადასხვა თვალსაზრისს წარმოადგენს „ქართლის ბედის საკითხზე“, მამულიშვილის განსჯაა

<sup>1</sup> გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX ს. ქართული საზოგადოებრივ-აზროვნების ისტორიიდან, 1959, გვ. 121.



სამშობლოს აწმყოსა და მომავლის შესახებ და არავითარ პრაქტიკულ მიზნებს არ ისახავს. ეჭვი არ არის, ამგვარი საუბრები ხშირი იქნებოდა პეტერბურგში მცხოვრებ ან სასწავლებლად ჩასულ ახალგაზრდებს შორის. ამგვარ საუბრებში ხშირად გასულა პეტერბურგის გრძელი ღამეები. თავდაპირველად ეს საუბრები მხოლოდ სამშობლოს სიმორით გამოწვეულ სევდას აქარწყლებდა, თანდათან ამ მსჯელობის არე გაფართოვდა და 30-იან წლებში შეთქმულებად ჩამოყალიბდა.

ს. დოდაშვილი შეთქმულთა საზოგადოებას საქართველოში დაბრუნების შემდეგ უნდა შეერთებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი პეტერბურგს ტოვებს 1827 წელს: ამ დროს კი პეტერბურგის საღამოების საუბრები შეთქმულებად ჯერ არ იყო გადაქცეული.

შეთქმულებასთან დაკავშირებით საინტერესოა იონა ხელაშვილის ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულება „რონინი“<sup>1</sup>. ი. ხელაშვილის და ს. დოდაშვილის მამაშვილურ სიყვარულს დიდი ჩრდილი მიაყენა იონა ხელაშვილის ლექსიკონის დაკარგვამ, რომელიც იონას თბილისში სოლომონისათვის გაუგზავნია დასაბეჭდად. მიუხედავად ამ ლექსიკონის ისტორიისა, იონას გული არ შესცვლია საყვარელ გაზრდილზე და „რონინის“ ფურცლებზე ცრემლმორეული იონა ასე იგონებს შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დატუსაღებულ ს. დოდაშვილს: „ესერა პესტირ კაცსა მას ს... დ... რომელსა უკეთუ განუზრახავს ბოროტნი დიდნი, არა აღუარებდეს სულიერისა მოძღვრისათვის და მიუღია საიდუმლო ორისა გულისა მქონსა“... (იგულისხმება 1832 წლის შეთქმულება). იონა თხზულების მთელ რიგ საუკეთესო ადგილებს უძღვნის ამ ამბავს: „აჰა, ესერა ვწრტიალებ და ვკრტინავ თქუენთვის. დილეგსა შინა დამდნარნო, ვითარცა ცვილი და ბიცეირი განხმელი ჭაობი... სიზმართაცა მკენესარე. გხედავ თქვენ მგოდებელი წინაშე შესაწირავსა და ვრონინებ აჟა და იჟა მუნ, რათამცა მისმინოს ღმერთმა ღმერთებთამან მადლით ღმრთისა ცხებულისა ჩვენისაგან განხსნა თქუენი“. როგორც ვთქვით, პურობილთა შორის მას ეგულება მისი

1 ნ. მახათაძე, ი. ხელაშვილის „რონინი“, კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი კრებული, 1959.

გაზრდილი ს. დოდაშვილი, რომელსაც თურმე „განუზრახავს ბოროტნი დიდნი და არა აღუარებდეს სულიერისა მოძღვრისათვის“.

როგორც ცნობილია, მთავრობის ხელში მოხვედრილმა შეთქმულების მონაწილეებმა თავიანთი ჩვენებებით ბევრ სრულიად უდანაშაულო ადამიანს მოახვიეს ბრალდება. იონას გულს უკლავს ის გარემოება, რომ „სასტიკთა ტანჯუათაგან ზარტეხილნი გონება შერევნით იქმნენ მრავალთა მიმართ ცილის წამებასა... გონება შერევნითა მათ მპყრობითა იწყეს გაცემა მძინარე მართალთი...“

ისმის კითხვა: რამდენად სწორია ზ. ჭიჭინაძის ცნობა იმის შესახებ, თითქო იონა ხელაშვილი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო?

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იონა ხელაშვილი არათუ არ ყოფილა ფარული საზოგადოების აქტიური წევრი, არამედ არაფერი არ უნდა ცოდნოდა ამ ფარული ორგანიზაციის შესახებ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს შემდეგი:

1. მრავალრიცხოვან მიმოწერაში ი. ხელაშვილსა და ს. დოდაშვილს შორის არც ერთხელ არ იხსენიება, გადაკვერითაც კი, არც შეთქმულების რაიმე სამზადისი და არც რაიმე უკმაყოფილება პოლიტიკურ საკითხში.

2. ს. დოდაშვილზე, როგორც შეთქმულების მონაწილეზე, იონა ლაპარაკობს, რომ მას „განუზრახავს ბოროტნი დიდნი და არა აღუარებდეს სულიერისა მოძღვრისათვის“, რომ (სოლომონმა) „მოძღვრებითა თვისითა ეშმაკისათა და გონებისა თვისითა ქარებისთა რჩევითა და ვერაგთა კაცთა შედგომითა მე დამიტევა და მისცა თავი თვისი საუკუნო დასჯასა და ჟამიერ დილეგსა... თვისიცა როჰიკი წარწყმიდა, მონარხისა წყალობა და ერთბამად ხორციელი ღირსება თვისი და ხარისხი მოძღვრობისა და იმკის წყვილიადა შინა სატუსახელობასა“.

აქედან ჩანს, რომ იონა ხელაშვილს არათუ არ მიუცია იდეა ს. დოდაშვილისათვის, როგორც ზ. ჭიჭინაძე წერს, არამედ მიუხედავად ასეთი ახლობლური დამოკიდებულებისა, ს. დოდაშვილს არ გაუმხელია მისთვის შეთქმულების მზადების ამბავი.

3. რომ ი. ხელაშვილი ფარული საზოგადოების წევრი არ ყოფილა, ამას ადასტურებს ის ჩვენებებიც, რომლებიც მიუციათ შეთქმულ ბრალდებულებს ს. დოდაშვილს, გ. ერისთავს.

ახლა რაც შეეხება თვითონ იონას თვალსაზრისს 1832 წლის შეთქმულებაზე. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პირველ ხანებში იონას საქართველოს მდგომარეობა სატირლად და სავაგლახოდ ეჩვენებოდა. შემდეგ ხანებში მისი პოლიტიკური თვალსაზრისი იცვლება და იგი საქართველოს რუსეთთან შეერთებას ისტორიულ აუცილებლობად თვლის, რუსეთთან საქართველოს კავშირში ხელდასამშობლოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინების პერსპექტივებს: „აჰა აწინდელი ივერიაო, გიხაროდენ, მრავალ ბევრეულისა მხიარულებითარე: 1. განმრავლებითა. 2. ეკლესიების აღყუავებითა, 3. განათლებითა, 4. სულიერისა მშვიდობითა, 5. განმდიდრებითა ცათა შინა, განძლომითა და შემოსვითა და სახლთა აღმართვითა, ვიდრე სამსა და ოთხ ძგიდედ და სართულებად, 6. უშიშროებითა სპარსთა, თურქთა და ლეკთაგან... ახლისა აღთქმითა გიორგიად წოდებულო ივერიაო, აჰა სათნოებითა ღვითასთა აღეშენები მრავალ ბევრეულ ერად, სოფლებად, დაბებად. სანახებად და ქალაქებად, რომელი აღყუაველები სიბრძნითა, მეცნიერებითა განათლებულნი“.

„რონინში“ იონა სვამს კითხვას — შეეძლო თუ არა საქართველოს ეარსება დამოუკიდებლად? ამ საკითხს იგი დიპლომატის თვალთ უდგება და საქართველოს მიმართავს: „არლა მიდრკე მარჯვნივ და მარცხნივ, რომელ მცირე ერი ხარ და არ ძალგძის თავისა თვისისა დაცვა თვინიერ მფარველისა“.

საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის შეუძლებლობა, იონას აზრით, გამოიწვია იმან, რომ „ესერა თვითუე უწყვი (გეორგიავ) არლა ხარ ყოვლადი, ვინათგან სახლისაგან უგუნურისა განვიდა მეფობა ზეგარდმო, ვითარცა წერილ არს. ვინათგან მჟამელ იყავ კაწახისა უუმეტეს სამასისა წლისა... ამისთვის კბილნი შვილთანი მომპალ არიან“...

საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით იონა მსჯელობს იმაზე, თუ ვინ შეიძლებოდა საქართველოს თავის მფარველად ამოერჩია. თუ სპარსეთი გამოგიწვდიდა სამეგობრო ხელს, — ამბობს იონა — „გდანამცა არა მოგცემენ სიყვარულსა და გულსა, რამეთუ სულთა მათთა ბოროტხელოვანთა არა შევალს სიბრძნე საუკუნო ცხოვრებისა“, თურქეთი კი ვერ შეგიწყალებს „თვითცა

დამუსვრილი“ და „უკეთუ კავკასიამან მოგცეს ხელი, აჰა თვითცა უბელო არს“ — ასეთია იონას აზრი<sup>1</sup>.

უნდა ითქვას, რომ იონა საღ პოლიტიკურ თვალსაზრისზე დგას და მის მკვეთრად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ თვალთახედვას მხოლოდ ი. აფხაზის მსჯელობა თუ შეედრება.

პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი თანდათან მცირდებოდა. იონანე ბატონიშვილის შემდეგ 1831 წელს ბაგრატ ბატონიშვილის მეუღლე გარდაიცვალა ხოლერით. 1833 წელს მიიცივალა „მეფის გიორგის ასულის რიფსიმეს ძე ალექსანდრე, თავადი ჩოლოყაშვილი წლისა 29-ისა, სამღთო-საერო სრული და განსწავლული ფრიად ევროპელთა ენათა და წერილთა სრულიად“. 1834 წელს პეტერბურგის მიწას მიაბარეს „მეფის ირაკლის ძე მირიან წლისა 68-ისა, რუსეთის დეისტვიტელნი სოვეტნიკი სენატორი და კავალერი“. 1836 წელს ალ. ნეველია მონასტერში „ქმრისა თვისისა. თანა“ დაიკრძალა მეფის რძალი ელენა აბა მელიქის ასული<sup>2</sup>.

ასე თანდათანობით პეტერბურგის სხვადასხვა ნეკროპოლებს (ძირითადად კი ალ. ნეველის ნეკროპოლს) ემატებოდნენ პეტერბურგში დასახლებულ ბატონიშვილთა უფროსი თაობის წარმომადგენლები. იონა ხელაშვილი კი ერთხანს კიდევ მლოცველი და დამტრეხელია პეტერბურგის ქართველთა მცირე ნაშთისა: „მცირედნი-და რიცხვნი დაკვთით მწირმსხემნი ლმობათა შინა მგლოვარენი გულითა“, — გოდებს იონა ხელაშვილი. „და ვქნები დღე და ღამე მსგავსად თივა-ყვავილთა. რამეთუ განმიგრძდა მწირობა ჩემი წუთიერსა სოფელსა შინა, რომელი ვსურველობ მიწიერისა გუამისა ჩემისა აღსრულებასა მიწათა შინა გიორგისასა... ღმერთო, მომანიჟე აღსასრული“ — ლოცულობს იონა.

1837 წელს, ხელნაწერზე მუშაობისას, ცხვირიდან სისხლის დენით იონა ხელაშვილიც გარდაიცვალა<sup>3</sup>.

1 ნ. შახათაძე, დასახელებული ნაშრომი

2 ხ. H — 2108.

3 ი. ხელაშვილის შესახებ იხ. თ. ენუქიძის, სვ. ტაბიძის ცხოვრება და მოღვაწეობა (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960 წ.) და პროფ. ვ. დონდუას — პეტერბურგის ქართული კოლონიის საისტორიო-სამეცნიერო-მეცნიერება, იონა ხელაშვილის მოსახსენებელი წიგნი, კრ. ქართული წყაროთმცოდნეობა, I, 1965.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის პეტერბურგის საზოგადოება განსაკუთრებით გამოირჩევა ლიტერატურული ინტერესებით. საზოგადოებაში მრავლდება სხვადასხვა ლიტერატურული წრეები და სალონები, ამგვარი ლიტერატურული სალონები ხშირ შემთხვევაში აერთიანებენ რუსული მხატვრული სიტყვის ისეთ ოსტატებს, როგორც არიან პუშკინი, კრილოვი, ვიაზემსკი და სხვანი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ამ სალონთა სტუმრები არიან არა პროფესიონალი პოეტები და მწერლები, არამედ ლიტერატურის მოყვარული ცალკეული პიროვნებები. ლექსობანობები, ექსპრომტები, მოსწრებული ეპიგრამები და მასპინძლის ალბომში ჩაწერილი სამახსოვრო სტრიქონები ამგვარი სალონების ასპარეზია, რომელშიც თავის ლიტერატურულ ინტერესებსა და პოეტურ უნარს ცდიან პეტერბურგის საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები<sup>1</sup>.

კერძო ხასიათის ლიტერატურულმა წრეებმა და სალონებმა XIX საუკუნის 20-იან წლებში დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც მოიპოვეს, როდესაც სალონების წევრებად ოფიცერთა წარმომადგენლებიც გახდნენ. ოფიცერთა ამ წრიდან ოციან წლებში გამოვიდნენ მომავალი დეკაბრისტები. ამ საკითხთან დაკავშირებით მ. არონსონი წერს: «Стоит задуматься над тем, почему декабристы так настойчиво добивались и проводили свое влияние в литературных кружках и салонах. Не литература привлекала их в этом случае, а большая литературная значимость литературных кружков и салонов»<sup>2</sup>.

ჩანს, დეკაბრისტთაგან პეტერბურგელი ქართველებისათვის ყველაზე ნაცნობი რილევი იყო. როგორც ზემოთ ვთქვით, ჯერ კიდევ 1825 წელს ს. დოდაშვილს პეტერბურგში გადაუწერია რილევის წერილი. 1831 წელს გრ. ორბელიანმა შექმნა რილევის «Надпись»-ს ერთ-ერთი თავის მიბაძვა, ხოლო, როგორც რ. ორბელმა მიაქცია ყურადღება, თეიმურაზ ბატონიშვილის ერთ-ერთი

<sup>1</sup> М. Аронсон и С. Рейсер, Литературные кружки и салоны, 1923 г. გვ. 24—25.

<sup>2</sup> იქვე.

კრიპტოგრაფული ჩანაწერი იძლევა რილეევის სიტყვებს: „რასაც დასთეს, იმას მომეცი“<sup>1</sup>.

1832 წლის შეთქმულთა წრეში აღმოჩენილი მხატვრული ნაწარმოებებიც იმის მაჩვენებელია, რომ პეტერბურგის ქართველთა ლიტერატურულმა წრეებმა გარემოსა და დროის შესაფერად პოლიტიკური ელფერი მიიღო.

უნდა ვიფიქროთ, რომ ის უზარმაზარი ლიტერატურული პროდუქცია, რომელიც პეტერბურგის ქართველთა წრემ დატოვა, პირველ ნათლობას იქაური ქართველებისაგან შემდგარ ლიტერატურულ შეკრებებზე იღებდა. ეს შეკრებები ლიტერატურული ინტერესებით შეპყრობილ ქართველთა სულიერი მოთხოვნილება უნდა ყოფილიყო. ერთი მხრივ, ერთმანეთთან ახლოს ყოფნა და ხშირი შეხვედრის სურვილი, რომელიც არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა სამშობლოსა და თავისიანებს მოწყვეტილ ქართველობას და. მეორე მხრივ, დიდი სწრაფვა მოწინავე კულტურისა და მწერლობის გასაცნობად, განაპირობებდა მათ ხშირ თავმოყრას ლიტერატურული საღამოების სახით. იმ რამოდენიმე ლიტერატურული ხასიათის კრებულში, რომელიც ჩვენ შემოგვენახა თეიმურაზ და გრიგოლ ბატონიშვილებისაგან, მკითხველი უთუოდ ამოიკითხავს ქართველთა ლიტერატურული წრის ისტორიას პეტერბურგში, ამ წრის მიზნებსა და ინტერესებს.

XIX საუკუნის ქართველთა ლიტერატურული სალონის წარმომადგენლები პეტერბურგში არიან დავით და იოანე ბატონიშვილები, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, მირიან, ფარნაოზ, ილია, ოქროპირ და თეიმურაზ ბატონიშვილები, გრ. ბატონიშვილი, ს. რაზმაძე, პ. ლარაძე, უფრო მოგვიანებით — გ. ამილახვარი, ა. გეგეჭკორი და სხვანი. საფიქრებელია, რომ ყველა მათგანი ეცნობა ერთმანეთის შემოქმედებას. ამ წრეში თარგმნის თეიმურაზი ვოლტერის ტრაგედიას ალათოკლეს<sup>2</sup>, აქვე იწერება მისი ორიგინალური პიესა „სამსახეობა რაინდისა“<sup>3</sup> და ცნობილი ნაშრომი ქართული ვერსიფიკაციის საკითხებზე: „გვარნი ანუ სა-

<sup>1</sup> Ученые записки института востоковедения, 1958, т. XVI, гл. 395.

<sup>2</sup> გამოაქვეყნა ტრ. რუხაძემ წიგნში „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“

<sup>3</sup> გამოაქვეყნებულია ს. იორდანიშვილის მიერ.

ზომი ქართულისა ენისა სტიხთა“<sup>1</sup>. ამ წრეში ითარგმნება ღერქა-  
ვინის პოეზია, აქ თარგმნის და კითხულობს ს. რაზმაძე პუშკინის  
პოეზიის ნიმუშებს, აქვე იქმნება ქართული ნაწარმოებები, რომელ-  
შიც ასახულია რუსული თემატიკა (ამბავი სლავენის და სონიჩკასი).  
ამ ლიტერატურულ წრეში ვხედავთ მხიარულ გაპაექრებებს, შე-  
ჯიბრებსა და ექსპრომტებს, რომლებიც სვსებენ და იუმორით  
აფერადებენ ყოველდღიური ცხოვრების ეპიზოდებს. მაგალითად:  
გრიგოლ ბატონიშვილი მიხეილ, ილია და ოქროპირ ბატონიშვი-  
ლებს სახუმარო ეპიგრამას უძღვნის იმასთან დაკავშირებით, რომ  
„ვასილის ოსტროვში იდგნენ და იქიდან აიყარნენ და მეშანცკში  
დადგნენ“ (ვასილის კუნძული არისტოკრატიული რაიონი იყო ქა-  
ლაქისა, მეშჩანსკის საპირისპიროდ).

„მეფის ძეს ბიძას მიხეილს ხელს ვკოცნი მოშიშებითა.  
ღმერთმან გცეს ღღენი მრავალნი, სუფეველ განდიდებითა  
ოსტროვით გამობრძანება თქვენი ღღეს ვსცანით შევებითა,  
ოსტროველთ მზენი სკმუნეიან თქვენითა დამორებითა“.

ამ წრეში აქტიურად მონაწილეობს პოეტი პეტრე ლარაძე.  
რომელიც თავის დაბალი წარმოშობის მიუხედავად, გამოირჩევა  
მართლის თქმითა და პირდაპირობით. იგი დაურიდებლად ურჩევს  
დავით ბატონიშვილს „სჯობს მოიშალო, რაცა გკირან საზრახავები“.  
ამავე დროს იგი არა ერთსა და ორ ლექსში იგონებს თეიმურაზ  
ბატონიშვილისადმი საკუთარ თავდადებას და დამსახურებას და  
აღნიშნავს მათ შორის მომხდარ უსიამოვნების ფაქტს:

გული შესცვალა, რომელი ტკბილად მწყალობდა მარადის,  
ეს მიკვირს, ცრემლი თვალთაგან ველს ნილოს მსგავსად არა დის,  
მე მისთვისა მკუდარს რალა მკლა, სურვას ისწრაფდა მარადის  
ოღეს ეს უწყო, ერთგულსა ჩემებრ ვერ პოეებს მარად ის.

იგი სატირულ სტრიქონებს უძღვნის ზაზა ანდრონიკაშვილს,  
რომელსაც ვერ გაუმართლებია ქართველთა იმედი:

---

<sup>1</sup> იხ. გ. იმედაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილის შრომა — ქართული  
ვერსიტიკაციის საკითხებზე, ლიტერატურული ძიებანი, ტ. IV, 1947.

...რა ცეოდა უგუნურმა საქმისა,  
რად გეგონათ მპოვნი თქვენის დრაქმისა,  
რაც აღითქვათ, რა ჰქნა თვისის აღთქმისა!.

3. ლარაძე თვით სამეგრელოს დედოფალ ნინოსაც არ ინდობს. როგორც ცნობილია, გიორგი XII ქალი ნინო, შემდეგში სამეგრელოს დედოფალი, სხვა ბატონიშვილებთან ერთად პეტერბურგში მოხვდა საცხოვრებლად. ნინო ფრეილინათა რიცხვში მოექცა და ყოველდღიურმა ფუფუნებამ და დროსტარებამ მასში წაშალა წარსულის მოგონება. 3. ლარაძის ლექსს დედოფლისადმი ეწოდება „მხილება ნინო დედოფლისა“.

„თუცა იხილავ მრავალთა სხვადასხვა შემკულობათა,  
სხვა საქურთელად ტურფათა, სხვა ტყბილ ხმა-მუსიკობათა,  
ქალთა და ყმათა შემკულთა შეენებით ტანცაობათა,  
მაგრამ ჩვენ მკვიდრთა ნუ გაგვეცლი, ნუ ცუდ გვიქმ მუდარობათა“.

როგორც ცნობილია, ოცდაათიან წლებში პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სასწავლებლად გაემგზავრა პლატონ იოსელიანი. ბუნებრივია, პეტერბურგში პლ. იოსელიანს ახლო ურთიერთობა უნდა დაემყარებინა იქ მცხოვრებ ქართველებთან. პლ. იოსელიანი მალე ჩაება ქართველთა ლიტერატურულ ცხოვრებაში და ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში რამდენიმე თხზულება თარგმნა<sup>2</sup>.

1 ო. პ. მარკოვა თავის წიგნში *Восстание в Кахетии 1812 г.* წერს: ცხადია ხდება ქართველი ფეოდალების უშუალო კავშირი პარიზთან ნაპოლეონის დროს. შესაძლოა ეს კავშირი დამყარებული იყო პარიზში მყოფი ირანის შაჰის ელჩის ასკერ ხანისა და პეტერბურგში მყოფი საფრანგეთის წარმომადგენლის კალენკურის საშუალებით. საგარეო სამინისტროს არქივში არსებული მასალების მიხედვით პეტერბურგში მცხოვრები ზაზა ანდრონიკაშვილი მთელ დამეებს ატარებდა კალენკურთან საუბარში. მათი საუბრის თემა ცნობილი არ არის, მაგრამ თავისთავად მნიშვნელოვანია ქართველ ფეოდალსა და საფრანგეთის წარმომადგენელს შორის ურთიერთობის ფაქტი. უპიკველი: ანდრონიკაშვილს ინფორმაციის როლი უნდა სჭეროდა პეტერბურგში მცხოვრებ ბატონიშვილებსა და საფრანგეთის წარმომადგენლის კალენკურს შორის<sup>2</sup>.

თუ ეს ვარაუდი მისაღებია, ხომ არ შეიძლება პ. ლარაძე, ზემოთყვანილ სტრიქონებში, ამ „აღთქმამზე“ ლაპარაკობდეს?

2 ლენინგრადის საქარო ბიბლიოთეკაში დაცული ი. ბატონიშვილის ფ. ხ. № 15, № 22; აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხ. H—429; ი. ბატონიშვილის ფონდის აღწერა მოცემული აქვს ლ. მეფარიშვილს. იხ. მნათობი, 1954, № 2; აზიის ხალხთა ინსტიტუტის ქართული დოკუმენტები ახლახან გამოსცა ს. კაკაბაძემ.





თეიმურაზ ბატონიშვილის მეუღლე—ელენე ამილახვარი



გრიგოლ ლაღიანი

აკადემიაში სწავლისას პლ. იოსელიანმა თავიდანვე მიიპყრო ყურადღება. როგორც მონდომებულმა და მომზადებულმა პირმა და მიიღო ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხი.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დატულია იმ სტუდენტების სია, რომლებთანაც ერთად დამთავრა კურსი პლ. იოსელიანმა.

პეტერბურგს მყოფი პლ. იოსელიანი, შვილი გიორგი მეცამეტის სასახლესთან დაახლოებული ეგნატე იოსელიანისა, ბუნებრივია, ახლო ურთიერთობაში უნდა აღმოჩენილიყო ერეკლე მეფის შთამომავლებთან. პლ. იოსელიანი პეტერბურგში ხშირად არის მიჩინ. ფარნაოზ. ბაგრატი. თეიმურაზ და მიხეილ ბატონიშვილებთან.

„გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში“ პლ. იოსელიანი გადმოგვცემს პეტერბურგში მცხოვრები ბატონიშვილების ცალკეულ ყოფით დეტალებს. თუმცა პლ. ორბელიანი თავის პოლემიკურ წერილში „პლატონ იოსელიანს“ (S — 1646 გ). „ცხოვრებაში“ მოტანილ რიგ ეპიზოდებს საეჭვოდ სახავს. მაგრამ მთელი ის მასალა, რაც კი ლენინგრადში დატულ თეიმურაზისა და იოანე ბატონიშვილების ფონდებს შემოუნახავს, აგრეთვე პლ. იოსელიანის ადრეული ნაშრომები იმის მაჩვენებელია, რომ პლ. იოსელიანი ამ წრეში იყო და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბატონიშვილებთან ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა.

პლ. ორბელიანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ პლ. იოსელიანს პეტერბურგში მცხოვრებ ბატონიშვილებთან არავითარი ურთიერთობა არ შეიძლებოდა ჰქონოდა, მაგრამ პლ. ორბელიანი წინააღმდეგობაში ვარდება. როდესაც თვითონვე აღიარებს, ახალჩასული პლ. იოსელიანი ბატონიშვილებმა კარგად შიიღესო.

პლ. იოსელიანს „ცხოვრებაში“ მოთხრობილი აქვს, რომ მეფის ძე თეიმურაზს ჰქონდა კარის ეკლესია, სადაც დასვენებული იყო საქართველოდან წამოღებული ღვთისმშობლის ხატი. ეს ხატიო, — ამბობს პლ. იოსელიანი, „შემდგომად გარდაცვალებისა მისისა აქვნდა კვალად მეუღლესა მისსა მეფის რძალს ელენეს“.

ამ ხატთან დაკავშირებით პლ. იოსელიანი იგონებს თავის საუბარს თეიმურაზთან: „ბატონიშვილო! ხატი ეგე ტაძრისა სწუხს ტყვეობასა თვისსა, ტაძრისაგან თვისისა დაწორებასა და უცხოებასა შინა მწირობასა.“

— ამის მაღლი — მეტყობა — შემეწიოს მე, როგორ მოვიშორებ მას, მანამ ცოცხალ ვარ.

ჩემი რჩევაა ბატონიშვილო, წარგზავნოთ თელავსა. არ დაუკარვოთ საუნჯე ქვეყანასა და თვისსა ალაგსა“<sup>1</sup>.

მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოდან წამოღებული ღვთისმშობლის ხატი<sup>2</sup> საკარო ეკლესიაში დასვენება დიდი ხნის ნატვრა იყო პეტერბურგს ჩასული ბატონიშვილებისა. ჯერ კიდევ დავით ბატონიშვილი ოცნებობდა კარის ეკლესიის აგებაზე, სადაც იგი ამ ხატს დაასვენებდა, მაგრამ როგორც ი. ხელაშვილი გადმოგვცემს, დავითის ამ განზრახვისათვის ხელი შეუშლია ნაპოლეონის შემოჭრას რუსეთში. შემდეგ, უფრო მოგვიანებით, თეიმურაზმა ააგო თავისი საკარო ეკლესია, სადაც დაადგინა ქართველი მღვდელი და წირვა-ლოცვას ისმენდა ქართული მრევლი ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი<sup>2</sup>.

ლენინგრადში დაცულ C 48 ხელნაწერიდან ჩანს, რომ თეიმურაზმა ზემოხსენებული ხატი და საკარო ეკლესია საგანგებო ანდერძით თავის საყვარელ მეუღლეს ჩააბარა: „ჩემს მეუღლეს მეფის რძალს უნდა მარადის განუშორებლად თვისთან და ჩვენს სახლის საყდარში ესვენოს და ჩემი საყდარი, როგორც ჩემს დროს იყო მოუშლელი, ჩემს მეუღლესაც ისე უნდა ჰქონდეს მარად მოუშლელი“.

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანის მიერ მოთხრობილი თეიმურაზის დამოკიდებულება ამ ხატისადმი სრულიად დასტურდება ზემომოყვანილი ანდერძით. ასევე არავითარი უფლება არა გვაქვს ეკვი შევიტანოთ იმ პატარ-პატარა ამბებში, რომლებსაც მოგვითხრობს პლ. იოსელიანი ბატონიშვილთა ყოფიდან პეტერბურგში.

სხვა საკითხია ის, რომ პლ. იოსელიანი, როგორც ისტორიკოსი, ბატონიშვილთა ნდობას ვერ იმსახურებს. ამ მხრივ საინტერესოა თეიმურაზის კრებულები, რომლებშიც პლ. იოსელიანი არაერთხელ არის გაბიბრებული, როგორც ისტორიკოსი. ერთ-ერთ ლექსში თეიმურაზი წერს, რომ საქართველოში გამოჩნდა ისტორიკოსი,

<sup>1</sup> ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 177.

<sup>2</sup> ლიტერატურული მუზეუმის ხ. № 19963, ბელარ ბეგ ბასტამოვი — ჩემი თავგადასავალი (ხელნაწერზე მიმითითა ივ. ლოლაშვილმა).

რომელიც ტყუილების გუდას ბერავს. თეიმურაზის ეს ლექსი სრულ თანხმობაშია ალ. ორბელიანის პოზიციასთან. ალ. ორბელიანის ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით სრულიად მართებული შეხედულება აქვს გამოთქმული ა. გაწერელიას:

„ალ. ორბელიანის მსოფლმხედველობა პოლიტიკური რომანტიზმის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება იყო მე-19 ს. I ნახევარში. ის ბოლომდე დარჩა ბაგრატიონთა დინასტიის წარსულ დიდებაზე მეოცნებე არისტოკრატად, პლ. იოსელიანს კი არაერთხელ გამოუთქვამს ხოტბა რუსეთის მმართველობისადმი. პოლიტიკური მსოფლმხედველობის მხრით პლ. იოსელიანი ეკუთვნოდა იმ ჯგუფს, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის საქართველოსათვის ერთადერთ გამოსავლად რუსეთთან შეერთებას სთვლიდა“<sup>1</sup>.

მართლაც, პლ. იოსელიანის მრავალრიცხოვან შრომებში ჩვენ არაერთგზის ვხვდებით მისთვის ჩვეული ექსტაზით გამოთქმულ შეხედულებებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხზე:

«От кавказцев, как апостолов Кавказа, распространявшихся по России, ожидает Кавказ осуществления идей братства и теснейшего соединения с Россиею. В общем ходе прогресса всего человечества Кавказ спешит к объятиям любви великого народа, ищет сердце русского, полное симпатии, полного слияния народного, ключ которого есть любовь сыновняя, любовь братства»<sup>2</sup>.

ბუნებრივია, პეტერბურგში მცხოვრები ბატონიშვილებისათვის. თუმცა რუსეთი იყო „ახალი ათინა“, ქვეყანა. „რომელიცა უპირველესთა ევროპიის განათლებულთა სიბრძნით ქვეყანათა არა მხოლოდ ესწორების ყე, არამედ მოკლესა შინა ჟამსა კინილა წაუსწრობსაცა“, მაგრამ ამავე რუსეთთან იყო დაკავშირებული მათი პირადი პრივილეგიების დაკარგვაც. ამიტომ პლ. იოსელიანი, როგორც ისტორიკოსი, მათი შეხედულებით ვერ ამაღლდა იქამდე, რომ მას გარკვევით დაენახა ქართული სამეფო სახლის ეს „დანგრევა და აოხრება“.

<sup>1</sup> ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილი, რედაქციითა და შენიშვნებით, 1936, გვ. VIII.

<sup>2</sup> Кавказ, 1868 № 5, Отклик кавказца.

პეტერბურგიდან საქართველოში კარგა ხნის დაბრუნებული პლ. იოსელიანი ყოველთვის სიამოვნებით იხსენებდა პეტერბურგში გატარებულ ღლებს: «Вечера ваши на берегах Невы постоянно были вдохновителями для меня...» წერდა იგი.

მთელი სიცოცხლის მანძილზე პლ. იოსელიანს კავშირი არ გაუწყვეტია პეტერბურგსა და მის ქართველ მოზინადრებთან, უშუალოდ პეტერბურგთანაა დაკავშირებული პლ. იოსელიანის და მარი ბროსეს მეცნიერული თანამშრომლობაც.

მარი ბროსემ შთააგონა პლ. იოსელიანი, რომ ყოველივე, რასაც ის საქართველოს შესახებ დაწერდა თუ გამოცემდა, წარმოდგენილი ყოფილიყო ისე, რომ კულტურულ კაცობრიობას მისი გაცნობის საშუალება მისცემოდა... „ვიცი რომ აპირებდით ორთა თამარის დიდის ქებად მიწერილთა შიარად წიგნებისა დაბეჭდვას. კარგი იყო, მაგრამ ჩემის აზრითა საკმაო არ იყოს ქართულის ენით განზოგადობა ამისი. ასრე გაკეთებულსა შრომასა ვინ ეეროპიაში გაიგონოსა. რუსნი თითქმის არ იცოდნენ, რამეთუ დრო არ აქვსთ ქართულის ენისა სწავლად და სულ ყოველს ეეროპიაში ერთი ორი კაცი ქება ზღონ თქვენდა. მაგრამ თუ რუსულად გინა ფრანკიცულად სწეროთ, ძალიან ბევრნი მადლობასა მოგცენენ“<sup>1</sup>. პლ. იოსელიანმა მთლიანად მიიღო და გაიზიარა ბროსეს ეს დარიგება.

1834 წ. პეტერბურგს წავიდნენ სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის შვილები გრიგოლ და დავით დადიანები. როგორც ზემოთ ვთქვით, პეტერბურგში ამ დროს იმყოფებოდა გრიგოლ დადიანის მეუღლე ნინო (გიორგი XIII-ის ქალიშვილი), ე. ი. გრიგოლ და დავით დადიანების დიდედა. ბუნებრივია, რომ დადიანების უახლოესი წრე პეტერბურგში მყოფი გიორგი მეცამეტის შთამომავლობა იყო. მათგან დადიანებმა განსაკუთრებით შეიყვარეს თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელთანაც ბოლო დრომდე (საქართველოში მყოფთაც) არ გაუწყვეტიათ მეგობრული და ნათესაური კავშირი.

ორ ძმას, გრიგოლ და დავით დადიანებს შესანიშნავი განათლება პქონდათ მიღებული. როგორც ი. მეუნარგია მოგვითხრობს, ისინი არა მარტო ქართულ მწერლობას იცნობდნენ, არამედ ფლობდნენ რუსულ და უცხო ენებსაც და კარგად გაცნობილი

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ბროსეს ფ. № 164, დაცულია ბროსეს სტილი.

ჰქონდათ რუსული მწერლობა. თეიმურაზს მეტად მოსწონდა დის შვილიშვილები და აღფრთოვანებული იყო მათი განათლებით. როგორც სოლ. ცაიშვილი წერს: „თეიმურაზს იმდენად მოსწონებია დავითი, რომ ჯერ კიდევ რუსეთში ჩამოუსვლელ მარი ბროსეს მის შესახებ სწერდა პეტერბურგიდან: „აქ კარგი მგზავრი მყვანდა თქვენთვის, ჩემი ღვიძლი დისწულის შვილი, ჩვენი ქვემო საქართველოს მეგრელების სამთავროს მემკვიდრე, თავადი დადიანის შვილი და უცხოთ გაზრდილი შვენიერი, ჯერეთ ყმაწვილი ოცდაერთის წლისა თუ იქნებოდა ხნითა, დიდად სიბრძნის მოყვარეა, სხვა ენებისაც კარგად მცოდნე, რუსულისა, მცირე ფრანგულიც იცის“.

ამავე ხანებს უკავშირდება ალ. ჰავჭავაძის ყოფნაც პეტერბურგში. იონა მეუნარგია იგონებს პეტერბურგში მათი ყოფნის ასეთ ეპიზოდს: „ერთხელ, როცა ალ. ჰავჭავაძე და გრ. დადიანი შევიდნენ ყაზანის სობოროში, პირველმა ჰკითხა უკანასკნელს: როგორ გგონია, გრიგოლ, ეს სობორო უფრო დიდია თუ მცხეთა?

— ეს სობორო.

— არა, ცდები, მცხეთა უფრო დიდია, — უთხრა ჰავჭავაძემ“.

პეტერბურგში ამ დროს იმყოფებიან გურიის მთავრის მამია გურიელის შვილები დავითი და ტერეზია. როგორც იონა მეუნარგია გადმოგვცემს, „ტერეზია სწავლობდა სმოლნის ინსტიტუტში და სარგებლობდა განსაკუთრებული ყურადღებით როგორც მთავრის ობოლი“. შემდეგ ტერეზია ფრეილინებში ჩარიცხეს. სულ მალე გრ. დადიანი ტერეზიას თაყვანისმცემელი შეიქმნა. ტერეზიათი გატაცებულ გრიგოლს აღარ ეცალა პეტერბურგელი მეგობრებისათვის.

სოლ. ცაიშვილს თავის წერილში: „იონე გეგეჰკორისა და კოლხიდელის იგივეობის შესახებ“<sup>1</sup> მოაქვს მეტად საინტერესო მასალა: თეიმურაზი ავად გამხდარა, გრიგოლის ნახვა მონატრებია და მისთვის ამგვარი შაირი მიუწერია:

„გრიგოლ, შეუძლოდ გყავს მეგობარი,  
არცა კითხულობ და არცა იცი,  
ღმერთსა ვიმოწმებ, უმჯობეს შენსა  
არავინ მყავდეს, რად გინდა ფიცი“....

<sup>1</sup> ლაიბეჰა ზუგდიდის მუზეუმის შრომებში, ტ. I.

მას კიდევ დაგვიანებია და კვლავ ამგვარი შაირი მიუწერია:

„გრიგოლ საცალა გარდაგვექაჯა,  
არლა ისმინა მოყვასთა აჯა“.

გრიგოლ დადიანს ამის გამო საბოდიშო შაირი მიუერთმეგვია თეიმურაზისათვის:

„ღმერთო ცოდვილო, მოგვხედე, მიხსენ, ტყვე ვიქმენ გრძნებითა,  
ვსტარ შენდა სინანულითა, მხურვალედ მავედრებითა“.

ეს ის პერიოდი იყო, წერს სოლ. ცაიშვილი, როცა გრ. დადიან-ნი ეტრფოდა გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის ქალს ტერეზიას, მაშინ პეტერბურგში მყოფს ფრეილინად ნიკოლოზ I-ის ცოლთან. გრიგოლი იმ ხანებში პეტერბურგის მახლობელ სოფელში მყოფ ტერეზიას ჰხლებია. თეიმურაზს ასეთი საოხუნჯო ლექსი მიუწერია:

„მე გავიგონე. გრიგოლ მოსულა,  
ვინა ნახავს მას, იქ არის სულა,  
ერთად შეკრულან გული და გულა,  
ამან იგი და მან ესე სწყულულა,  
იგი ვარდობს და ებუღბულა,  
ეუხით სატრფოსი ვინ არ დაბმულა“?

თეიმურაზის კრებულებში, რომლებიც ლენინგრადშია დაცული, თეიმურაზის მიერ შეტანილია გრიგოლ და დავით დადიანებთან დაკავშირებული საინტერესო მასალები, კერძოდ, გრიგოლ დადიანის ლექსები. ცნობილია, რომ თეიმურაზის კრებულში არის ლექსი „სამშობლო“, რომელსაც დიდი პოპულარობა მოუპოვებია ქართველთა შორის. თეიმურაზის კრებულში წარმოდგენილია ამ ლექსის ადრინდელი ვარიანტი:

„ღომი მეყოფა საქმელად, ტილო ტანს გამათბობელი“.

როგორც ჩანს, შემდეგ გრ. დადიანს ეს ვიწრო კუთხური დეტალი უფრო განუზოგადებია და პურიტ შეუტყველია.

თეიმურაზის კრებულში E 23 შემონახულია თეიმურაზის სახუმარო გაბაეჭრობანი დ. დადიანთანაც.



როგორც ცნობილია, დ. დადიანს ეკატერინეს შერთვამდე ცოტა ხნით ადრე უყვარდა ელისაბედ ორბელიანი (ი. მეუნარგია, ე. ვირსალაძე). როგორც ე. ვირსალაძე წერს, „შეიძლება ამით აიხსნებოდეს ჩვენთვის გაუგებარი გულცივობა მშვენიერ ეკატერინე ჭავჭავაძესა და მის მეუღლეს შორის“<sup>1</sup>.

თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც პირადად იცნობდა ეკ. ჭავჭავაძეს. დიდი პატივისმცემელი და მოყვარული იყო თავისი რძლისა. ცნობილია ე. ჭავჭავაძის პირად ალბომში ჩაწერილი თეიმურაზის ორი ლექსი<sup>2</sup>. თეიმურაზს ლექსი დაუწერია აგრეთვე „დადიანის ლეონის ძე დავით მენგრელიის მემკვიდრე რომ დაინიშნა კნიაზ ალექსანდრეს ქალს კატინკაზე. მივწერე და ჩემს დიანულს დავითს გაუფუგზავნე მეფის ძემ თეიმურაზო“, გვაუწყებს თვით თეიმურაზი<sup>3</sup>.

პეტერბურგში დროდადრო მყოფი დავითი ერთობოდა პეტერბურგის ქალთა წრეში და არაერთხელ დავიწყებია ეკატერინე.

როგორც თეიმურაზის კრებულიდან ჩანს, პეტერბურგში მცხოვრებ თეიმურაზს არც თუ ხუმრობით დავითისათვის მიუწერია:

„რ.ღ არ იცი შენი ფასი.  
ვექვ არ გიშვებს შენი ხასი.  
რისთვის კგმე, სხვაზე გაცუალე  
შენ ალერსი კატინკასი“.

თეიმურაზისავე კრებულშია დაცული ლექსი, რომელიც ისევ დავით დადიანისადმი უნდა იყოს მიმართული:

„სკეინჩა უცხოდ მგალობელი, მე რომ მესმის თქვენ გყოლიათ,  
გაგფრენიათ სხვას საეარდეს. გული მასთან წაგყოლიათ,  
დაშთომილხართ მოწყენილად, უმისობით ფერ-მკრთალიად.  
სდევთ და ველარ შეგაპყრიათ, ვერ ჰყოფილხართ ფარხმალიად“.

1 ე. ვირსალაძე, ნ. ბართაშვილის თანამედროვენი, „ლიტერატურული ძიებანი“, III, გვ. 129.

2 ალბომი დაცულია თბილისის კარლ მარქსის სახ. საფ.რო ბიბლიოთეკაში.

3 ლენინგრადის ხ. F — 23.

ეს ლექსი ზუგდიდის მუზეუმის მასალების მიხედვით თავის გამოკვლევაში მოტანილი აქვს სოლ. ცაიშვილს. მაგრამ სოლ. ცაიშვილი ლექსის ადრესატად გრიგოლ დადიანს ვარაუდობს. „მისი (გრიგოლის) ქორწინება შესათანხმებელი იყო ცალკე მეფის კართან, ცალკე დედოფალთან და ცალკე თავის მშობლებთან, რის გამო პეტერბურგსა და ზუგდიდს შუა მიწერ-მოწერა გაჩაღდა. თეიმურაზს გრიგოლისათვის ამგვარი შაირი მიუძღვნია“<sup>1</sup>, — წერს სოლ. ცაიშვილი და მოაქვს ეს ლექსი. ჩვენი აზრით, „უცხოოდ მგალობელ სკვინჩაში“ უნდა ვიგულისხმოთ არა საუცხოოდ მგალობელი, არამედ უცხო, ამ შემთხვევაში არაქართველი. ავტორს რომ „საუცხოოდ მგალობლის“ გამოხატვა უნდოდეს, მაშინ იგი რაიმე სხვა სახელს იხმარდა, ვფიქრობთ, რომ თეიმურაზი გრიგოლ ბატონიშვილის სათაყვანო საგანს „სკვინჩას“ არ შეადარებდა, აქ არაქართველი ქალი უნდა იგულისხმებოდეს, რომელთანაც დავით დადიანს ინტიმური კავშირი ჰქონია გაბმული. ამასთან თუ დავუმატებთ ამასაც, რომ ლენინგრადის თეიმურაზისეულ კრებულში ამ ლექსთან ერთად არის ზემომოყვანილი ლექსი:

„რისთვის ჰგმე, სხვაზე გაცვალე  
შენ ალერსი კატინკასი“.

ვფიქრობთ, ლექსის ადრესატად დავითი წარმოგვიდგება.

მაგრამ მართო ასეთი სამხიარულო გაპაექრებებით როდი წარმოდგება დადიანების და პეტერბურგელ ქართველთა დამოკიდებულება. როგორც ი. მეუნარგია წერს, პეტერბურგიდან დაბრუნებისას 1843 წ. გრ. დადიანმა ჩამოიყვანა პოეტი ბარტდინსკი, იმ მიზნით, რომ „ვეფხისტყაოსანის“ რუსულ თარგმანზე მუშაობა დაეწყოთ. დადიანი ბარტდინსკის ცალკეულ სტროფებს უთარგმნიდა რუსულად, ბარტდინსკი კი ლექსავდა მას. ბარტდინსკიმ თავის თარგმანს გრ. დადიანისადმი მიძღვნილი ლექსი წარუმიძღვარა, რომელშიც ნათქვამი იყო:

---

<sup>1</sup> სოლ. ცაიშვილი, იოანე გეგეკეორისა და კოლხიდელის იგივეობის შესახებ, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, 1947, I, გვ. 117.

«Столетия прошли — и тайнства святыни  
Еще никто народам не раскрыл...»

ბარტდინსკი მოუწოდებდა თანაავტორს გაერღვიათ უკუნი და გასაღები გამოენახათ რუსთაველის პოეზიის კამკამა წყაროს დასწავებლად:

«Дай руку мне, товарищ, песнопения  
Идем к ключу — испить живой воды».

როგორც ცნობილია (ი. მეუნარგია, ს. ჯანაშია, სოლ. ცაიშვილი), ბარტდინსკის თარგმანის ფრაგმენტი 1845 წ. დაიბეჭდა პეტერბურგის გაზ. „ილუსტრაციაში“. ს. ჯანაშიასა და სოლ. ცაიშვილის შეხედულებით, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმნის იდეა პირველად დავით დადიანის სასახლეში უნდა დაბადებულყო<sup>1</sup>. უკანასკნელ ხანში ახალგაზრდა მკვლევარმა ლ. ანდლულაძემ ამ საკითხთან დაკავშირებით წამოაყენა მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობის დროს გრიგოლ დადიანისა და ბარტდინსკის ერთად ყოფნა უფრო პეტერბურგშია მოსალოდნელი, ვიდრე ზუგდიდში. უნდა მოიხსნას საკითხი იმის შესახებ, რომ დადიანების ლიტერატურული სალონი არის კერა „ვეფხისტყაოსნის“ რუსული საზოგადოებისათვის გაცნობის იდეის წარმოშობისა. ასეთი აზრი შეიძლება მათ ჰქონოდათ ისევე, როგორც საქართველოში არსებულ სხვა ლიტერატურული სალონის წევრებსაც, მაგრამ ამ ჩანაფიქრის საქმედ ქცევა, მისი განხორციელება უფრო მოსალოდნელია ვიფიქროთ პეტერბურგის იმ ქართველოლოგთა წრეში, რომელშიც შედიოდნენ ბროსე, ჩუბინაშვილი და თეიმურაზ ბატონიშვილი“<sup>2</sup>.

მართლაც, ის ფაქტი, რომ თარგმანი პეტერბურგში დაიბეჭდა და არა საქართველოში, ლაპარაკობს იმაზე. რომ თარგმანის ინიციატივა პეტერბურგში უნდა წარმომდგარიყო.

<sup>1</sup> ამავე საკითხზე იხ. П. Н. Берков в Шота Руставели в русской литературе. Известия Академии наук СССР (Отд. общ. наук), № 3, 1938, 49—50.

<sup>2</sup> ლ. ანდლულაძე, ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული თარგმანი, ქართული მწერლობის საკითხები, I, 1962, გვ. 213.

დიდად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ი. ბარტდინსკის ჯერ კიდევ 1842 წელს თხოვნა შეუტანია მესამე განყოფილებაში, რათა ნება დაერთოთ პეტერბურგში გამოცემულიყო ქართული ჟურნალი „ივერიის ტელეგრაფის“ სახელწოდებით. ი. ბოგომოლოვი, რომელმაც ამ დოკუმენტს მიაკვლია, მართებულად აღნიშნავს, რომ „ბარტდინსკი ქართული ენის ისეთი მცოდნე არ იყო, რომ მას ქართული ჟურნალის გამოცემა შესძლებოდა, ამიტომ იგი ერთგვარი შუამავალი უნდა ყოფილიყო ამ საქმეში, ხოლო ჟურნალის გამოცემა უნდა ეტვირთა რომელიმე სხვა პირს, დ. ჩუბინაშვილს ან პეტერბურგში მცხოვრებ სხვა ქართველებსო“<sup>1</sup>.

ამ ფაქტიდან კარგად ჩანს, რამდენად ინტენსიური ლიტერატურული საქმიანობა წარმოებდა პეტერბურგელ ქართველთა წრეში და რამდენად ფართო საზოგადოებრივ მიზნებს ისახავდა იგი. როგორც ჟურნალისათვის გათვალისწინებული სათაურიდან ჩანს. იგი უნდა ყოფილიყო კავშირის დამამყარებელი საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებასა და პეტერბურგის ქართველთა ლიტერატურულ საქმიანობას შორის.

გრ. დადიანს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აუცილებლად მიაჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნა. ამ მხრივ საბოლოო ცდას წარმოადგენდა მის მიერ მიწერილი წერილი პეტერბურგში ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვისადმი<sup>2</sup>. წერილში ნათქვამი იყო: «...Вам неизвестно, каким религиозным благоговением окружает грузинский народ это великое произведение времени царицы Тамары. Оно было чуть ли не единственным произведением, уцелевшим вместе с евангелием от опустошительных нашествий разных восточных завоевателей на Грузию. Отличаясь всеми достоинствами произведения классической поэзии, оно изобилует философскими мыслями высокой христианской морали и переполнено массой сведений о домашнем быте, нравах, обычаях и обрядах грузин в той отдален-

---

<sup>1</sup> И. С. Богомолов — Вопросы древне-грузинской литературы на страницах русской периодики, „ლიტერატურული ძიებანი“, XIV, გვ. 34.

<sup>2</sup> ს. ყუბანეიშვილი — „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმანისა და გამოცემის პირველი ცდა, „ზუგდიდის მუზეუმის შრომები“, 1947 წ.

ნოი ეპოხე ისტორიი გრუზიი, კოგა იო ბლო ნაპისანო. გრუზი-  
ნი პოეტო ბლაგოგოეიოტ პერედი ეტიმ პრიოზვედენემ. დია ნიხ  
«ბარსოვა კოჟა» თო ჯე, ჭო დია გრეკოვ «ილიადა». ასე ასაბუ-  
თებდა გრიგოლ დადიანი პოემის რუსულად თარგმნის საჭიროებას.

როგორც ს. ყუბანეიშვილმა გამოარკვია, ვორონცოვ-დაშკოვ-  
მა ეს საქმე განათლების მინისტრს დელიანოვს მიანდო. დელიანოვმა  
ამ საკითხზე იმხანად პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის—  
ცაგარელის დასკვნა მოითხოვა. ა. ცაგარელმა ხაზი გაუსვა თარგ-  
მანის საჭიროების აუცილებლობას, მაგრამ მთარგმნელებად დაა-  
სახელა არა მარტო იონა მეუნარგია, როგორც გრ. დადიანი ასახე-  
ლებდა, არამედ მეუნარგიასთან ერთად რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე,  
თხორევესკი და გრ. დადიანი.

გრ. დადიანის მიერ ხელმეორედ წამოწყებული „ვეფხისტყაო-  
სნის“ თარგმანის საქმე ვერ განხორციელდა, რადგანაც, დელიანოვის  
სიტყვით, განათლების სამინისტროს საჭირო სახსრები არ აღმო-  
აჩნდა.

პეტერბურგის ქართულ სალიტერატურო წრესთან ახლოს  
დგას კორნეტი ივანე ეგორის ძე ამილახვარი. მისი ლექსები და  
თარგმანები არ გამოირჩევა დიდი ნიჭითა და პოეტურობით, მაგ-  
რამ მანც საინტერესოა, როგორც ამ წრეში შექმნილი ნაწარმოე-  
ბები. ივანე ამილახვრის ლექსები უმეტესად ცარსკოე სელოშია  
დაწერილი<sup>1</sup>. როგორც ლექსებიდან ჩანს, ამილახვარი ყველაზე ახ-  
ლოს თეიმურაზ ბაგრატიონის ოჯახთან ყოფილა.

ივ. ამილახვრის ლექსებში გამოირჩევა „სამშობლო“, რომ-  
ლისთვისაც ავტორს გეგეჰკორის ცნობილი სტრიქონები წაუძმძვა-  
რებია ეპიგრაფად:

„უყვარს ყოველსა ცხოველსა სამშობლო თავის სოფელი,  
ვერ გასძლებს გული უმისოდ. თუ ჩემებრ არის გრძნობელი,  
ოქრო არა მაქვს, არ მინდა სუსტ გულთა დამამხობელი,  
პური მეყოფა სანუკვრად, ტილო ტანს გამათობელი“.

ივ. ამილახვარი იგონებს სამშობლოს მშვენიერ ღამეს, მდინარე  
ლიახვის მიდამოების სურნელოვან გარემოს:

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტ., ხ. H — 73.

„უყვარს ყოველსა ცხოვარსა სამშობლო თავის სოფელი,  
დაბეჭდე ბუნებაჲ გულში სიყრმის დღე ჩემი ყოველი,  
სამშობლოს ხილვით ვიხარო, დატკობას ნახვით მოველი,  
ის არის ჩემი სიმდიდრე, სიცოცხლის დამატკობელი“.

ავტორი ამბობს, რომ ვერც ერთი მხარე ვერ შეედრება კავ-  
კასიის მთას, ტირიფონას გაშლილ ველებს, გორის სილამაზეს.  
პოეტის ერთადერთი სწრაფვაა ელირსოს სამშობლოს ხილვა და მას  
თავისი დედა უწოდოს. მაგრამ პოეტს არ ეძლევა ამის საშუალება.  
ამიტომ იგი ნაღვლიანად ლილინებს:

„მე დაესდევდი ჩემსა ბედსა მდინარისა ნევის პირსა,  
ოგი მის გვარად მელტოდა, ვით აჩრდილი ჩვენგან რბისა,  
ესდღე და ვერ მოეწიე მასა ჩემსა განაწირსა,  
მასაცა მოვაკლდებოდი სანუგეშოდ დანაპირსა“.

ივ. ამილახვარი თარგმნის დერჟავინის ლექსს — «Памятник».  
როგორც ცნობილია, პუშკინმა თავისი „ძეგლი“ დერჟავინის  
ამ ლექსის გავლენით შექმნა. ივ. ამილახვარს დერჟავინის ლექსი-  
სათვის მიუცია უპირატესობა. დერჟავინი წერს:

«Я памятник себе воздвиг чудесный, вечный.  
Металлов тверже он, и выше пирамид;  
Ни вихрь его, ни гром не сломит быстротечный  
И времени полет его не сокрушит».

ქართველი პოეტი ასე თარგმნის:

„აღმართე ჩემად სახსოვრად საუკუნისა დიდისა,  
მეტალზედ არის უმაგრეს, უმაღლეს პირამიდისა,  
არცა ეშინის ქარისა, არცა მეხისა რიღისა,  
განვლიან ასნი დროებნი, მომგონებელნი წმიდისა“.

ამილახვარს ტექსტი იმდენად გადმოუქართულებია, რომ ის.  
რის თქმაც დიდ პოეტს თავის თავზე შეეძლო, ამილახვარს საკუ-  
თარ. თავზე გადაუტანია. ამიტომ ერთგვარ ღიმილს იწვევს ასეთი  
პარალელი:

«Так!—весь я не умру, но часть моя большая,  
От тлена убежав, по смерти станет жить,  
И слава возрастет моя, не увядая,  
Дсволь славянов род вселенна будет чтить».

## ამილახვარი წერს:

„მაშ სრულ არა ვარ მოკვდავი, მხოლოდ ვიშორებ სულ ხორცად,  
სორცნი მოესპის, სული ჰსთმობს, იგი არა მწამს საგრძნობლად,  
თუ მე მოკვდები, პატივი დამრჩება ჩემდა სახსოვრად,  
სანამ ქართველთა გვარია, ვგონებ არა მყონ მოსპობად“.

«Слух пройдет обо мне от Белых вод до Черных,  
Где Волга, Дон, Нева, с Рифея льет Урал...»

## ამილახვარი ასე აქართულებს:

„ხმა გავარდება ჩემზედა კასპის ზღვით შავს ზღვა-მდისა,  
სადაცა მტკვარი, ლიახვი, არაგვი სადაც შთართვისა“...

სხვათა შორის, ამგვარსავე გადმოქართულებას ახდენს ს. რაზმაძეც პუშკინის თარგმანებში.

ივ. ამილახვარის ეს თარგმანი, რა თქმა უნდა, სუსტია, მაგრამ მაინც საინტერესო ფაქტია პეტერბურგის ქართველთა ლიტერატურული ცხოვრებისა.

როგორც პეტერბურგში შექმნილი და გადაწერილი ლიტერატურული მემკვიდრეობა გვიჩვენებს, პეტერბურგელი ქართველები ხშირად არიან წევრები პეტერბურგის სხვადასხვა ლიტერატურული სალონებისა. ჭერ კიდევ XVIII საუკუნის ოცდაათიან წლებში დიმიტრი პავლეს ძე ციციშვილი აქტიური წევრია ა. სუმაროკოვის მიერ შექმნილი საზოგადოებისა «Общество любителей российской словесности». XIX საუკუნის პირველ ნახევარში კი ციციშვილების სალონი პეტერბურგის სხვადასხვა სალონებსა და საღამოებთან ერთად ერთ-ერთ წამყვან ადგილს იჭერს საზოგადოებაში და ელაგინის, კარამზინის, ტუტჩევის, ბულგაკოვის, ბულგარინის და სხვათა საღამოებთან ერთად იხსენიება «четверги Цициановых».

რუსეთში ციციშვილების მოღვაწეობის შესახებ საინტერესოა ა. ს. პუშკინის ორიოდე ცნობა, სადაც თავადი ციციშვილები იხსენიებიან.

1884 წელს «Русский архив»-ში გამოქვეყნდა პუშკინის წერილები ველიკოპოლსკისადმი. ივანე ერმალოვის ძე ველიკოპოლსკი იყო ტვერის მემამულის შვილი, პუშკინის თანატოლი,

ლიტერატურის დიდი მოყვარული და ავტორი ელენგიური ლექსებისა, რომლებიც ხშირად იბეჭდებოდა მაშინდელ ალმანახებში. ველიკოპოლსკისადმი მიწერილ პუშკინის წერილში ნათქვამია: „სალამი თავად ციციანოვს, ვნანობ რომ არ წაეართვი მას ჩემი სურათი, რა არის ახალი ჩვენსკენ? ა. პ.“ «Русский архив» -ის კომენტარით თავადი ციციანოვი მიჩნეული იყო სომეხ ოფიცრად. შემდეგში პუშკინის ამ წერილში მოხსენებული ციციანოვის შესახებ საინტერესო ცნობები მოგვცა პუშკინის წერილების ცნობილმა გამომცემელმა და კომენტატორმა ბ. ლ. მოძალევსკიმ. მანვე გაარკვია, რომ წერილში ნახსენები თევდორე ციციშვილი რუსული ლიტერატურის სარბიელზე მოღვაწე პირია.

იმავე «Русский архив»-ში 1884 წელს გამოქვეყნდა «Черные рукописи Пушкина». მათ შორის იყო პუშკინის «Воображаемый разговор с Александром Павловичем»<sup>1</sup>. ეს ნაწარმოები იწყება ასე: „მე რომ ხელმწიფე ვყოფილიყავი, დაეუძახებდი ალექსანდრე პუშკინს და ვეტყვდი: ალექსანდრე სერგეის ძე! თქვენ შესანიშნავ ლექსებს წერთ. მე მათ ვკითხულობ დიდი სიამოვნებით. პუშკინი მორცხვად თავს დახრიდა. მე კი განვაგრძობდი“... ამის შემდეგ ნოდის რას ეტყოდა მეფე პუშკინს და რას უპასუხებდა პუშკინი. ერთ-ერთ ასეთ შეკითხვას ათქმევინებს მეფეს პუშკინი: „როგორ მოხდა, რომ თქვენ მოახერხეთ თანამშრომლობა ინზევთან, ხოლო ვერ შეეგუეთ თავად ვორონცოვს? — თქვენო აღმატებულება, გენერალი ინზევი კეთილი და პატივსაცემი მოხუცია, ის სულით რუსია და ყველა ცნობილ და უცნობ თავის თანამემამულეს არ ანაცვალებს ყოველ შემხვედრ ინგლისელ ვიგინდარას. მას არ ეშინია გაკილვის, რადგან არასოდეს არ იმსახურებს მას“.

გავიხსენოთ ცნობილი პასკვილები გრაფ ვორონცოვზე, რომელთაგან, როგორც ჩანს, ზოგიერთს პუშკინს შეცდომით მიაწერდნენ. ამასთან დაკავშირებით პუშკინი მიმართავს იმპერატორს: „გაიხსენეთ, რომ ყოველ თავისუფალ გამოთქმას, ყოველ აღმაშ-

<sup>1</sup> ციციშვილების შესახებ იხ. В. Шадурн, Декабристская литература и грузинская общественность, გვ. 118.



ფოთებელ თხზულებას მომაწერენ მე, როგორც ყოველგვარ მახვილსიტყვაობას ც-ს.«Русский архив»-ის რედაქცია განმარტავს ვინ არის ეს «ც», რომელსაც, პუშკინის სიტყვით, მიეწერება ყოველგვარი მახვილსიტყვაობა. კომენტარში ნათქვამია: «ც. ე. ი. თავადი დიმიტრი ევსევის ძე ციციანოვი, ალექსანდრა იოსების ასულ სმირნოვას ბიძა. ზოგი მისი ზღაპარი და მოთხრობა ჩაწერილია პუშკინის მიერვე. სხვათა შორის, თავადი ციციანოვი არწმუნებდა მოსკოვულ საფეიქრო მეწარმეებს, რომ მის სამშობლო საქართველოში დიდად მომგებიანია საფეიქრო საქმიანობა, რადგან იქ ცხვრები სხვადასხვა ფერისანი იბადებიან». სხვათა შორის, დასძენდა იგი, მზის ჩასვლისას ასეთი ფარა შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენსო.

ალექსანდრა იოსების ასული სმირნოვა XIX საუკუნის 30-იანი წლების პეტერბურგის საზოგადოების ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია. იგი დაბადებულია 1809 წელს. მისი მამა ყოფილა შვეიცარიის ქვეშევრდომი იოსებ ივანეს ძე როსეტტი, დედა კი, ნადეჟდა ივანეს ასული,—ქართველთა შთამომავალი დედის მხრივ კერძოდ, ა. ი. სმირნოვას დედის დედა ყოფილა ციციშვილის ქალი. შემთხვევითი არ არის, რომ ა. ი. სმირნოვასადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან ლექსებში ხაზი ესმის მის არარუსულ წარმოშობას. მაგალითად, ვიაზემსკი ასე მიმართავს ა. ი. სმირნოვას:

«Южные звезды, черные очи!  
Неба чужого огни».

ამ ლექსს 1828 წელს გამოეხმაურა ა. პუშკინი, რომელმაც სმირნოვას შემდეგი სტრიქონები უძღვნა:

«Она мила, скажу меж нами,  
Придворных витязей гроз.  
И можно с южными звездами  
Сравнить, особенно стихами,  
Ее черкесские глаза».

ა. ი. სმირნოვასადმია მიძღვნილი შემდეგში მეტად ჰოცულარული ლექსი ვ. ი. ტუმანსკისა:

«Любил я очи голубые,  
Теперь влюбился в черные,  
Те были милые такие,  
А эти непокорные!»<sup>1</sup>

როგორც ვთქვით, «Русский архив»-ის ზემოხსენებული კომენტარი გვაცნობს, რომ დიმიტრი ევსევის ძე ციციანოვი არის ა. ი. სმირნოვას ბიძა. სმირნოვას მემუარებში, რომელშიც ავტორმა მკითხველის თვალწინ გააცოცხლა XIX საუკუნის დასაწყისის საზოგადოება. დ. ციციშვილის სახელი ხშირად გვხვდება. მოვესმინოთ ა. ი. სმირნოვას: „ბებიჩიემი — ეკატერინე ევსევის ასული ლორერი — იყო ციციშვილის ქალი. პეტრე პირველის დროს ვახტანგ მეფემ მტრულად განწყობილი სპარსეთისა და თურქეთისაგან ქვეყნის გადაოჩენის მიზნით რუსეთს ქვეშევრდომობა ითხოვა. მასთან ერთად რუსეთს გამოემგზავრნენ ბრწყინვალე თავადები: ციციშვილები. ბაგრატიონები, ერისთავები და სხვანი. თავად ევსევის და მის ცოლს ჰყავდათ ერთადერთი ვაჟი დიმიტრი, რომელიც ცნობილი გახდა თავისი პურმარილით და ხელგამლილობით. მოსკოვში ცხოვრება ანელი შეიქნა დიდი ოჯახისათვის და ისინი გადასახლდნენ სანქარაში. აქ დაიდევს ბინა ევსევი<sup>2</sup> და მატრონა ციციშვილებმა“.

ეს ციციშვილი უნდა იყოს ის იასე ციციშვილი, რომელიც იხსენიება ვახტანგ VI აშალის ცნობილ რეესტრში. ამათი უმცროსი ქალიშვილი ქეთევანი, შემდეგ ეკატერინე, როგორც სმირნოვა მოგვითხრობს. ცოლად გაჰყოლია პრუსიელ პოლკოვნიკს ფონლორერს. ამ ქეთევანის შვილიშვილია ა. ი. სმირნოვა.

ა. ი. სმირნოვას ხსოვნაში ღრმად აღბეჭდილა ციციშვილების ოჯახი, რომელიც იმხანად პეტერბურგში ცხოვრობდა.

„ერთხელ. — მოგვითხრობს ა. სმირნოვა, — ჩემი ტულეტი სავანგებოდ დააუთავეს. ტანთ გადამაცვეს წითელი ჩითის კაბა, გამიკეთეს კულულები, ყურთ ჩამომკიდეს პერცოგის ნაჩუქარი ყურსაკიდები და წამიყვანეს ციციშვილებთან. მათმა სახლმა გამაოცა დიდებულებით. დიდი სვეტებიანი დარბაზები, ავეჯი ღია ცის-

<sup>1</sup> ა. ი. სმირნოვას შესახებ იხ. ბ. ლ. მოძალევსკის კომენტარი პუშკინის წერილებზე, აგრეთვე ვ. შადურის დასახელებული ნაშრომი.

<sup>2</sup> ევსევი — იგივე იასე.



ალექსანდრა, როგორც ასული, სპირნოვა



სოლომონ რაზმაძე

ფერი გადაკრულობით. იმავე ფერისა და ნაჭრის ფარდები და სასტუმრო, აგრეთვე ცისფერი. სავარძელზე იკდა მაღალი გამხდარი ქალი ვარვარა ეგორის ასული. უნდოდა მომფერებოდა, მაგრამ მისმა მკაცრმა გამომეტყველებამ დამაბნია. — მიდი, გენაცვალე, დეიდა ანა ღიმიტრის ასულთან. მომმართა მან. ანა ღიმიტრის ასული, რომელიც მსატყობას მისივედა. იყო შესანიშნავი გარეგნობისა და არისტოკრატიული სილამაზისა“.

აქ უკვე ლაპარაკია ციციშვილის მეორე შტოზე, კერძოდ, პაპუნა ციციშვილის შთამომავლობაზე.

ციციშვილებს ოჯახის წევრები პეტერბურგის ბრწყინვალე საზოგადოების წარმომადგენლები არიან. პუშკინის საზოგადოებაში ტრიალებენ არა მარტო თავადი ციციშვილები. არამედ ამ გვარის ქალთა წარმომადგენლებიც. ასე. მაგალითად, ა. ი. ბულგაკოვის მოგონებებიც ვგებულობთ. რომ ახლად დაქორწინებულ პუშკინების წვეულებაზე და იმ გასეირნებაში, რომელიც პუშკინებს მოუწყვიათ წვეულების მეორე დღეს, სხვა სტუმრებს შორის ყოფილა ქ-ნი ციციშვილი.

დაუბრუნდეთ ღიმიტრი იასეს ძე ციციშვილს. როგორც ვთქვით, ღიმიტრი იასეს ძე ციციშვილი ცნობილი ყოფილა რუსეთის სალიტერატურო წრეებში, როგორც მახვილგონივრული ნაქვესების და მოახრობების ავტორი.

გაიხსენეთ. ეუბნება პუშკინი იმპერატორს. რომ ყოველ თავისუფალ გამოთქმას, ყოველ აღმამუთობებელ თხზულებას მომაწერენ მე. როგორც ყოველგვარ მანჯელსიტყვაობას ციციშვილს. ე. ი. იმდენად პოპულარული ყოფილა ციციშვილის ოხუნჯობანი, რომ, როგორც პუშკინი ამბობს. მას იმასაც კი მიაწერდნენ, რისი ავტორიც იგი არ იყო. სმირნოვას მოგონებებიც ხაზს უსვამენ დ. ციციშვილის არაჩვეულებრივ ენამოსწრებულობას.

საინტერესოა მოგონების ერთი ადგილი. დიალოგი წარმოებს ა. სმირნოვასა და ერთ-ერთ ცნობილ გენერალ კისელიოვს შორის. კისელიოვი საუბარში აღნიშნავს, რომ მისთვის ჩაის დალევა წარმოუდგენელია „სამოვრის“ გარეშე.

— თქვენ ციციშვილივით ყოფილხართ, — ეუბნება სმირნოვა.

— ციციშვილი? ეს ქართული გვარია!

ღიან, ჩემი ბებია იყო ციციშვილის ქალი!

— ჩემი ბებიაც ქართველი იყო, ბაგრატიონის (გრუზინსკის) ასული.

— ოჰო, ბაგრატიონის? თქვენშიც და ჩემშიც ჩქეფს მეფური სისხლი!“

სამწუხაროდ. ვახტანგის კოლონიის ამ შორეულ შთამომავალთ რუსეთში მხოლოდ ისღა აკავშირებთ საქართველოსთან, რომ ას-სოვთ თავიანთი ქართული წარმოშობა.

გენერალი კისელიოვი სთხოვს სმირნოვას კიდევ უამბოს რაიმე მათ თანამემამულეებზე და სმირნოვა მოუთხრობს დიმიტრი ციცი-შვილზე, როგორც არაჩვეულებრივ ენამოსწრებულ ადამი-ანზე:

„ვუბრუნდები ციციშვილს. ის იყო მოხდენილი აღნაგობის და ამავე დროს ორიგინალური. სხვათა შორის. ესეც ქართული და-მახასიათებელი ნიშანია. ერთხელ მას ვხვდები ფრანცესბადეში. მოდის შუა ქუჩაში და მოაქვს თავისი წილი პური, მე მას ვეძახი: თავადო, რისთვის მოდიხართ შუა გზაზე, აქ ბევრად უკეთესია. ის კი მპასუხობს: ექიმისაგან აკრძალული მაქვს მზეცა და ჩრდილიც. ამიტომ შუა გზაზე დავდივარო“.

ციციშვილის ეს მოკლე დახასიათებაც ცხადყოფს მის ენამოსწ-რებულ ოხუნჯობებს. გავისხენოთ «Русский архив»-ის ცნობა. რომ დიმიტრი ციციშვილის მოსწრებული სიტყვები და მოთხრობე-ბი ჩაუწერია პუშკინს და თავის თხზულებებშიც გამოუყენებიაო.

საინტერესოა რუსეთში გავრცელებული ორი ანეკდოტი, რომელთა შინაარსიდან ჩანს, რომ მისი ავტორი მხოლოდ ქართველი შეიძლება ყოფილიყო. ორივე ხუმრობა დაბეჭდილი ყოფილა რუ-სეთში გამოცემულ ანეკდოტების კრებულში.

„ცნობილია, რომ ძველად სენატში საქმეების განხილვისას სუფევდა ერთიანობა, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, ე. ი. ფიქრობდა ერთი ობერსეკრეტარი, ხოლო დანარჩენი სენატორები აწერდნენ ხელს. აი, ერთი ანეკდოტი ქართველ ბატონიშვილზე, რომელიც სენატის სხდომას ესწრებოდა:

ბატონიშვილს ნაცნობმა მიმართა თხოვნით, რომ სენატში ერთ საქმეში დახმარებოდა. ბატონიშვილმა სიტყვა მისცა და დახმარება აღუთქვა. შემდეგში გამოიჩქვა, რომ ეს საქმე სენატს განუხილავს. დასახელებულ პირისთვის უარი უთქვამს და ბატონიშვილსაც

სხვა სენატორებთან ერთად განაჩენზე ხელი მოუწერია. მთხოვნელი გამოცხადდა ბატონიშვილთან. „თქვენო ბრწყინვალეობავ, — ეუბნება იგი, — თქვენ მე დახმარება აღმოთქვით ჩემს საქმეში.“ — „აღგითქვი, ძმაო, აღგითქვი“. — როგორ, თქვენო ბრწყინვალეობავ, თქვენ ხელი მოაწერეთ ჩემს საწინააღმდეგოდ?“. — „არ წამიკითხავს, ძმაო, არ წამიკითხავს“. — როგორ, თქვენო ბრწყინვალეობავ, თქვენ წაუკითხავად აწერთ ხელს? — „უარესიც გამომიცდია ძმაო“.

და მეორე ანეგდოტი:

„ქართველ მეფეთა გენეალოგია ყველაზე უძველესია. ისინი თავის საწყისს ისრაელთა მეფე დავითს უკავშირებენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, დეპარტამენტმა საგვარეულო წიგნების განხილვასთან დაკავშირებით, თავად გრუზინისკისაგანაც მოითხოვა თავადის უფლების დამამტკიცებელი საბუთები. თავადმა წარმოადგინა საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ის არის შვილი ქართველი ბატონიშვილისა, ხოლო ამ ბატონიშვილის მამა იყო ესა და ეს გავლენიანი მეფე საქართველოსი და ა. შ. მიიყვანა თავისი გენეალოგია დავით ისრაელთა მეფემდე. აქ კი, — დაუმატა მან — იხილვ სახარება მათესი, თავი პირველი, ადამამდე.“

ადამისათვის თავადის წოდებაზე უარის თქმა კი სენატს არ ძალუდდა, რადგანაც, როგორც ყველასათვის ცნობილია, ადამი იყო პირველი მიწათმფლობელი ჩვენს პლანეტაზე“.

ჯერჯერობით საამისო საბუთები არ გავვაჩნია. მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ანეკდოტების ავტორი სწორედ დიმიტრი იასეს ძე ციციშვილია.

«Русский архив»-ში ხშირად იხსენიება დიმიტრი ციციშვილი „ცნობილი ენამახვილი და ფანტაზიორი, რომლის ანეკდოტები ჩაწერილი აქვს პუშკინს“.

ყურნალი ხშირად ბეჭდავს ა. ი. სმირნოვას ძმის არკადი იოსების ძე როსეტის (პუშკინის ახლო მეგობრის) არა ერთსა და ორ მოგონებას დ. ციციშვილის შესახებ. მაგ.: «Когда племянники просили у него денег купить дождевые зонтики, он советовал им следовать его примеру: в моей молодости, говорил он, зонтик был мне только лишней обузой и я умел проби-

რატყა მჟღა კაღაყა დოღა ტაკ ჭრეკრასო, ტყო ნიკოღა ნე ჭროკალა»<sup>1</sup>.

ღიმიტრი იასეს ტყ ციციანოვის სახელს ხშირად ვხვდებით სხვა-დასხვა პირთა მიმოწერაშიც: „გუშინ საღიღის შემდეგ ჩემთან მოვიდა გამოსამშვიდობებლად როსეტი, მე იგი სახლამდე მივაცილე. მან მიაშბო პუშკინზე, დელვიგთან მიცკევიჩის იმპროვიზაციისა და ეხლახან გარდაცვლილი თავად ციციანოვის შესახებ. რა ორიგინალური იყო ეს მოხუცი“! წერს ი. კ. გროტი პ. ა. პლეტნევის<sup>2</sup>.

ციციანოვიღების ამ ოჯახთან დაკავშირებულია ცნობილი დეკაბრისტი ნ. ი. ლორერი. იგი შვილი იყო ქეთევან (ეკატერინე) იესეს ასულ ციციშვილისა, რომელიც, როგორც სმირნოვა იუწყება თავის მოგონებებში, ცოლად გაჰყოლია ივანე ივანეს ტყ ლორერს. დეკაბრისტი ნ. ი. ლორერი ღისშვილია ღიმიტრი იასეს ტყ ციციანოვისა, ხოლო ბიძაა (დედის ძმა) ა. ი. სმირნოვასი.

ნ. ი. ლორერი, შემდეგში ცნობილი დეკაბრისტი, ჰერ კიდეც სრულიად ახალგაზრდა დეკაბრისტთა საზოგადოების რესპუბლიკურად განწყობილი ფრთის აქტიური წევრი შეიქნა, რისი შედეგიც იყო მისი კავკასიაში გადასახლება.

ნ. ი. ლორერი თავის მოგონებებში ხშირად იხსენებს ბიძას, ღიმიტრი ციციანოვს, რომლის ოჯახი განთქმული იყო თავისი „ხუთშაბათობებით“. „საღამოები, ვახშმები და ცნობილ აქტიურთა მონაწილეობანი საოჯახო სპექტაკლებზე ღიმიტრი ციციანოვის ოჯახში იზიდავდა მოსკოვისა და პეტერბურგის საზოგადოების სხვა-დასხვა წრეებს“<sup>3</sup>, წერს ნ. ი. ლორერი.

დეკაბრისტების გამოსვლის შემდეგ პეტერბურგში ჩერნიშოვთან დაკითხვაზე დაბარებულმა ლორერმა უკანასკნელად მწუხარედ შეავლო თვალი დ. ე. ციციანოვის სახლს, რომელთანაც მისი ცხოვრების არა ერთი და ორი მხიარული დღე იყო დაკავშირებული.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ციციშვილების მოღვაწეობა რუსეთში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი სპეციალური შესწავლის ღირსია.

<sup>1</sup> Русский архив, 1889, кн. 2, зб. 86.

<sup>2</sup> Переписка Я. К. Грота с П. А. Плетневым.

<sup>3</sup> Записки декабриста Н. И. Лорера, М., 1931, зб. 47.



ერთ-ერთ წერილში ნ. მ. იაზიკოვი სწერს ა. ნ. ვულფს: «Вчера отправились отсюда в Питер князя Цициановы, твои знакомцы. Они могут сказать тебе много нового о нашем Дерпте, о рефракторе, о луне, о нравах и повериях нынешних и т. п. Мое знакомство с ними есть одно из приятнейших душе моей. Старший романист пером и романтик мнениями — покинул бранной славы пустой и гибельный призрак и кажется хочет воцариться на одном из пустопорожних мест нашего Парнасса. Дай бог ему славу трисолнечную! Кланяйся Пушкину и Дельвигу»<sup>1</sup>.

თქმა ძნელია, კონკრეტულად რომელ ციციშვილებზეა ლაპარაკი ამ წერილში, რადგან XVIII—XIX საუკუნეების მანძილზე არა ერთი და ორი ციციშვილი ილტვის რუსული პარნასსაკენ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Русский архив, 1867, т. XII, гв. 737.

<sup>2</sup> ჯერ კიდევ 1793 წ. ჟურნალში «Чтение для вкуса, разума и чувствований» გამოქვეყნდა ციციანოვის ორი ლექსი: «В день рождения Фелиды» და «Сирота». მოვიტანო უკანასკნელს:

«Как скучно жить одной на свете!  
Куда б я ни пошла грущу,  
Томлюся дней своих во цвете,  
Ни в чем отрады не сыщу.  
Цветок краснеет в чистом поле,  
Смеясь любится собой,  
А я у горести в неволе,  
Мой вид противен мне самой.  
Там в роще птичка воспевает,  
Качаясь тихо на сучке,  
А грудь моя лишь вздохн знает,  
Бежала б я себя в тоске.  
Пастухи резвы веселятся  
В лугу зеленом при струях,  
Во мне же мысли все кружатся,  
Веселье все мое в слезах.  
Вы, кои так покойно спите,  
Беспечны, веселы всегда,  
Подружки, сжальтесь и скажите:  
Мне радость будет ли когда?  
Все грустно, что я не мечтаю,

XIX საუკუნის პირველი ნახევრის პეტერბურგის ლიტერატურულ სამყაროში დიდ როლს ასრულებენ წიგნის სავაჭროები (Книжные лавки). წიგნის სავაჭროები წარმოადგენს ერთგვარ საკრებულოს, სადაც თავს იყრის იმ დროს ცნობილი და უცნობი ჟურნალისტები, კრიტიკოსები და მწერლები. ლიტერატურის სიახლენი, ახალი ამბები ქალაქის ცხოვრებიდან, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მხურვალე სჯა-ბაასი; აი ყველა ის, რაც იზიდავს ამ მალაზიებისაკენ ლიტერატურის მოყვარულთ. ამგვარ წიგნის სავაჭროთა შორის განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ლისენკოვის, სლენინის, ზაიკინისა და სხვათა მალაზიები, ხოლო ყველაზე პოპულარულია სმირდინის მალაზია.

სმირდინის სავაჭრო «Лавка Смирдина» მდებარეობდა ნევის პროსპექტზე, ორსართულიან სახლში, სადაც სმირდინს პირველ სართულზე მდიდარი სამკითხველო ჰქონდა გამართული, ხოლო მეორე სართულზე ახალი წიგნების მდიდარი სავაჭრო. პუშკინი თუ დელვიგი, ვოევიკოვი თუ როზენი, ბულგაკოვი, გრეჩი თუ სენკოვსკი, პეტერბურგის ყველა დიდი მწერალი თუ ჟურნალისტი ყოველდღიური სტუმარია სმირდინის მალაზიისა. ცნობილია სმირდინის მალაზიასთან დაკავშირებული ხუმრობა, რომელსაც პუშკინს მიაწერენ:

«К Смирдину как не зайдешь,  
Ничего не купишь,  
Иль Сеньковского найдешь,  
Иль в Булгарина наступишь».

სმირდინი ცნობილია არა მარტო როგორც წიგნის სავაჭროს პატრონი, არამედ როგორც დიდი გამოცემელიც. სხვა მრავალ გამოცემათა შორის სმირდინმა გამოსცა «Сто русских литераторов», რომელშიც შევიდა რუსული ლიტერატურის ასი საუკეთესო წარ-

---

Куда сокрылся мой покой?  
И с кем мне грусть делить? не знаю,  
Как жалко в свете жить одной!»

მომადგენელი. სმირდინმა თავისი მოღვაწეობით არა მარტო პეტერბურგის, არამედ რუსული ლიტერატურის ისტორიაში ღრმა კვალი გაავლო და შემთხვევითი არ იყო, რომ ბელინსკიმ ამ ხანას, არცთუ ხუმრობით, «Смирдинский период» უწოდა.

წვეის პროსპექტზე მდებარეობდა აგრეთვე მეორე დიდად პოპულარული წიგნის სავაჭრო, რომელიც ი. ვ. სლენინს ეკუთვნოდა. როგორც ი. ტ. ლისენკოვის მოგონებიდან ჩანს, სლენინის სავაჭროც, ისევე როგორც სმირდინისა და ლისენკოვისა, თავისკენ იზიდავს ქალაქში სასაიროდ გამოსულ ახალგაზრდობას, სადაც, ახალი ლიტერატურული ამბების გაგებასთან ერთად. ისინი დროს ატარებენ მახვილგონივრული სიტყვებითა და პაექრობებით.

წიგნის სავაჭროთა ასეთი ხასიათი პეტერბურგის ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტია. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ გარემოებაში წიგნის ამგვარ სავაჭრობებთან უნდა იყვნენ დაკავშირებული პეტერბურგის ქართველი ბინადარნიც. ის უამრავა რუსული და დასავლეთ ევროპული ლიტერატურა, რუსული პერიოდიკა, რომელსაც ასე ეწოდებიან ქართველები, ალბათ მათ ხელში ამ წიგნის სავაჭროთა გზით ხვდებოდა. მართლაცდა, ისინი არა ერთხელ მიუთითებენ ამ წიგნის სავაჭრობებზე.

იოანე ბატონიშვილი მის მიერ თარგმნილი „იკონოლოგიის“ წინასიტყვაობაში წერს: „შევხვდი წიგნების გასასყიდ დუქნებსა შინა წიგნსა ამას იკონოლოგიასა“.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც რუსული ლიტერატურის ინსტიტუტშია დაცული, თავადი დადიანი პირად წერილს წერს ლისენკოვს და თხოვს გაუგზავნოს წიგნი, რომელიც მას ესაჭიროება.

როგორც ერთ. ისე მეორე შემთხვევაში, ცხადია, იგულისხმება ერთ-ერთი ამ წიგნის სავაჭროთაგანი.

ამ სავაჭროთაგან ქართველები ყველაზე ახლოს არიან სმირდინთან. ამ მხრივ თუნდა იმის დასახელებაც კმარა, რომ ს. დოლაშვილის „ლოგიკა“ გამოიცა სმირდინის მიერ.

«Роспись российским книгам для чтения из библиотек: Александра Смирдина» მკითხველებს აუწყებდა, რომ ქართველ მწერალთა წიგნებიდან სმირდინის მალაზიაში იყიდებოდა:

1. Краткая история о Грузии со времен во оной населенія, соч. царевича Грузинскаго Давида, СПб в Имп. Ак. н. 1805 г.

2. Обзорение истории груз. народа, соч. груз. царевича Вахтанга, СПб в типогр. Иоаннесовича, 1814 г.

3. История Георгіанская о юноше кн. Амилохорове, 1779 г.

4. Новый ших или переписка на персидскій вкус любования с любовницею, живших при подошве Кавказских гор. Соч. Грузинскаго царевича Давида, пер. с грузинскаго Сергѣй Минтропольскій, типогр. Акад. н., 1804 г.

5. Похождение новомодной красавицы принцессы Гуланданы и храброго принца Барамы. Соч. Дикларгета, перев. с грузинск. Семен Игнатъев, СПб, 1773.

6. Самоучитель, содержащій в себе Грамматику, разговоры, правоучение и лексикон на российском и грузинском языках. Типогр. Иоаннесовича, 1820 г.

7. Цицшанов Д. П. — Завещание... 1786.

8. Краткое математическое изъяснение, СПб, 1757 г.

ის ფაქტი, რომ სმირდინის მალაზიაში იყიდებოდა ყველა ეს ქართულიდან თარგმნილი, ან ქართველის მიერ დაწერილი ნაწარმოები, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სმირდინის სავაჭროში მოსიარულე ლიტერატორებს თავიდან ბოლომდე წაკითხული თუ არა, გაცნობილი მაინც უნდა ჰქონოდათ ლიტერატურის ეს ნიმუშები. ამავე დროს, ისიც საფიქრებელია, რომ ქართველები, რომლებიც ხშირი სტუმარი იყვნენ ამ სავაჭროებისა, ხშირად ხდებოდნენ დამსწრენი (თუ მონაწილე არა) პეტერბურგის დიდ და პატარა ლიტერატორთა და მწერალთა სჯა-ბაასისა სხვადასხვა საკითხზე. ამ წრეებსა და მალაზიაში ეცნობოდნენ ქართველები გარდაცვლილი და თანამედროვე პოეტების ნაწერებს, აქვე აღუძრებოდათ ხოლმე სურვილი მათი ქართულ ენაზე აღედგინათ. თუკი სადმე ხდებოდნენ რუსული პოეზიის მშვენიერებას ა. პუშკინს, ასეთად პირველ რიგში ლიტერატორთა ეს საკრებულოები უნდა მივიჩნიოთ. თუ ფაქტია, რომ პეტერბურგის წიგნთა სავაჭროები წარმოადგენდნენ იმ ადგილს, რომელსაც ყოველდღე შეუვლიდნენ პეტერ-

ბურგის მწერლები და ლიტერატორები, ხოლო მეორე მხრივ, პეტერბურგელი ქართველები დაკავშირებულნი იყვნენ წიგნების ამ სავაჭროებთან, პეტერბურგის წიგნის სავაჭროები უნდა ყოფილიყო ის გზაჯვარედინი, რომელზედაც შეხვედრა უხდებოდათ პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებსა და რუსული მწერლობის გამოჩენილ წარმომადგენლებს.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ი. კ. ენიკლოპოვის თავისთავად საინტერესო მოსაზრებას, რომელსაც შესაძლოდ მიაჩნია, რომ პუშკინს ქართველები ანა აბამელიძის ოჯახში ხვდებოდნენ. რომ დავით ბატონიშვილს ცოლად ჰყავდა ანა აბამელიძის ბიცოლა ელენე, ამის საბუთად არ გამოდგება. ცნობილია, რომ დავითი პეტერბურგში ცხოვრების მთელ მანძილზე ხან ტატიშჩევის ქალთ იყო გატაცებული და ხან სხვა პეტერბურგელი ლამაზმანებით და ოფიციალურადაც ძრავდა საქმეს ელენე აბამელიძთან განქორწინების შესახებ.

ეს გარემოება, ჩვენი აზრით, სწორედ ნაკლებ შესაძლებელს ხდის, რომ დავითსა და მის ნათესაობას ურთიერთობა ჰქონოდა ანა აბამელიძის ოჯახთან, რომლის ხშირი სტუმარი იყო ა. პუშკინი.

საერთოდ კი, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის ქართველებისა და პუშკინის შეხვედრების შესაძლებლობა პეტერბურგის ცალკეულ ოჯახებში. ასეთ ოჯახებად შეიძლება დაგვესახელებინა პეტერბურგში მცხოვრები ციციშვილების ოჯახი, დიმ. ერისთავის. ა. ი. სმირნოვასა და სხვა გარუსებული ქართველების ოჯახები.

მართებულად აღნიშნავს ვ. შადური, რომ პუშკინისათვის საქართველოსადმი ინტერესის გაღვივებაში დიდი როლი უნდა შეესრულებინათ რუსეთში მცხოვრებ ქართველებსაც<sup>1</sup>. ასევე საფიქრებელია, რომ საქართველოდან დაბრუნებული პუშკინი ამავე ოჯახებს მოუთხრობდა სამხრეთში მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

საქართველოში გატარებული დღეების ნიშნად პუშკინის არქივს დიმ. თუმანიშვილის ლექსი „ახალ აღნაგო“ და მისი რუსულ-თარგმანი შემოუნახავს, ხოლო პოეტის ცნობიერებაში დარჩენილ ამ ლექსის სასიძღვრო მელოდიას უკვე პეტერბურგს მყოფი პოეტი-

<sup>1</sup> В. Шадурн, Декабристская литература и грузинская общественность, 1958, გვ. 117.

სათვის საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებული ღრმა ასოციაციები გამოუწვევია. გრიბოედოვის მიერ გლინკასათვის გაცნობილმა „ახალ აღნაგოს“ ქართულმა მელოდიამ და ამ მელოდიის გლინკას მიერ შესრულებამ, როგორც ცნობილია, შორეულ პეტერბურგში საქართველო და ქართული სიმღერა გაახსენა პოეტს, ხოლო ამ განწყობილებამ მისი ერთ-ერთი ლირიკული შედევრი «Не пош, во.тше.ншца, при мне» წარმოშვა<sup>1</sup>.

1835 წელს პუშკინმა პუშოვა დაიწყო თავის ისტორიულ შრომაზე «История Петра». ისტორიული წარსულის დიდი მოტრფიალე პოეტი პეტრე დიდის ისტორიის დაწერას უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა; გულისყურით შეისწავლა მოსკოვისა და პეტერბურგის არქივებში დაცული მასალები, პეტრე პირველის მიმოწერა, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე დაწერილი პეტრე პირველის ისტორიის ამსახველი შრომები, პეტრეს დროს შექმნილი უდიდესი საკანონმდებლო აქტები და ყოველივე ამის საფუძვლიანი დამუშავებით შექმნა ისტორია პეტრე პირველისა.

პუშკინის „პეტრეს ისტორიაში“, აისახა რა პეტრე პირველის ცხოვრებისა და ბრძოლის მთავარი მომენტები, გამოძახილი ჰყოვა

---

<sup>1</sup> ამ საკითხზე იხ. გ. ლეონიძე, აღ. პუშკინი და დიმიტრი თუმანიშვილი, ქართული მწერლობა, 1929 წ. № 8 — 9; Л. Б. Модзалевский и В. Д. Дондуа, Запись грузинской мелодии в архиве Пушкина, Временник Пушкинской комиссии, II; С. Л. Гинзбург, Пушкин и грузинская песня. Пушкин, исследования и материалы, 1953 г.; ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954 წ. დიმიტრი თუმანიშვილი; В. Шадурин, Декабристская литература и грузинская общность, 1958 г.; ლ. ასათიანი, პუშკინი და ქართული კულტურა, რჩეული ნაწერები, ტ. I. 1958.

როგორც ცნობილია, თუმანიშვილმა თავისი ცხოვრების გარკვეული პერიოდი პეტერბურგში გაატარა. რუსეთში გადასახლებულმა დავით ბატონიშვილმა დიმიტრი თუმანიშვილი თან წაიყვანა, რათა მოსაწყენი მგზავრობა გაადვილებოდა. დ. თუმანიშვილის „ახალ აღნაგოს“ დიდად პოპულარული შეიქმნა პეტერბურგის ქართველთა წრეშიც. დ. თუმანიშვილის პეტერბურგში ყოფნის პერიოდს უკავშირდება ლექსი „ქინაზ ნესვიციის ქალზე“.

„...მე ვით გამკე ქუშყანამან! ნეტარ ღომერ მოგსწრებოდა,  
პოლინებთან აღვილ ეცა, სვე მაღალი შეგსწრებოდა,  
ან ვირგილიოსს ენახე, მესტიხობით გმონებოდა,  
ან ვოლტერის და რასინსა, მათი ქება გცერებოდა,  
ცხოველთ წიგნში დაწერეთ, უკვდავბა გქონებოდა“.

არჩილისა და ვახტანგის დროის მშფოთვარე ეპოქის ცალკეულმა ფაქტებმაც. პუშკინი იცნობს «Мелетинский царь Арчил» -ს, ალექსანდრე არჩილის ძის ტრაგიკულ ისტორიას, იცნობს პეტრე პირველის მიმოწერას შვედებთან ალექსანდრე არჩილის ძის თაობაზე. პუშკინი ამის შესახებ წერს: «Царь предписывает сенату через Пипера и Реншильда вытребовать тело царевича имперетинского для препровождения к отцу (дабы его бедную старость потешить), приводя в пример, что принца Виртенбергского тело с честью отпущено его материи».

„პეტრეს ისტორია“ ერთგვარი ჩანაწერებია. ავტორმა იცის ბევრად მეტი. ვიდრე წერს. მის მიერ ლაკონიურად გამოთქმული წინადადებების იქით მოვლენათა მთელი რიგია, თუმცა, ავტორი ვერცლად და დაწვრილებით არ ჩერდება ყველა მათგანზე.

ა. პუშკინი აღწერს სპარსეთის ლაშქრობის ამბავს ზუსტად ისე, როგორც ჩვენს ისტორიოგრაფიაშია ცნობილი. იგი წერს:

«2 июля отправлен в Грузию князь Борис Туркестанов, подписывая Вахтагу: «Напасть на лезгинцев в их земле и дать о том нам знать в Астрахань, к Теркам или Дербенту, где будем и ждать приказа, куда быть. Когда пойдет на соединение, то бы заказал, под смертною казнию, не грабить, не разорять, не обижать»<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, სპარსეთში ლაშქრობის გეგმის შეცვლამ ჩიხში მოამწყვდია ვახტანგ VI. ცნობილია აგრეთვე, რომ პეტრე I სტრატეგიული გეგმის შეცვლა ძირითადად მატერიალურმა და კლიმატურმა პირობებმა გამოიწვია. პუშკინი საგანგებოდ ჩერდება ამ მომენტზე:

«Вдруг сделалась буря. Суда стали течь. Отрубили якоря, дабы сесть на мель, все 13 судов посажены были на мель в течение двух часов. Мука промокла вся, суда разломали на дрова для хлебопечения. Из Астрахани ждали провианта на 30 судах. Петр послал о них наведаться... их не было видно. Тогда получено известие от капитана Вилебоа, что испорченные суда далее идти не могут. Хлеба оказалось только на один

<sup>1</sup> Пушкин, История Петра, Сочинения, т. X, 1936, гл. 263.

месяц. Собран был совет. Положили, оставя гарнизон в Дербенте, возвратиться в Астрахань. Итак, план Петра — овладеть Бакою, заложить город при устье Куры, идти к Тифлису по сей реке, возобновить в Грузии христианство и утвердить Вахтанга в союзе и оттуда идти на Терки — не состоялся<sup>1</sup>.

პუშკინი აღწერს საერთო პოლიტიკურ სიტუაციას და რუსეთის როლს საერთაშორისო ასპარეზზე, მის პოლიტიკურ დამოკიდებულებას სპარსეთთან, ოსმალეთთან, სომხეთსა და საქართველოსთან. პუშკინმა იცის, რომ ვახტანგი გამოუვალ მდგომარეობაში მოექცა, რომ «Вахтанг был согласен на все». პუშკინი იცნობს ამ საკითხზე წარმოებულ მიმოწერას ვახტანგს, ვოლინსკისა და პეტრე I შორის. როგორც ცნობილია, სამეფოდარბეული ვახტანგი რუსეთისაკენ იწვევდა. მას ამ საქმეში სრულიად თანაუგრძნობდა არტემ ვოლინსკი. ვოლინსკიმ პეტრე პირველთან შეთანხმების გარეშე აღუთქვა ვახტანგს დახმარება, რის გამოც პეტრე პირველმა სინანული გამოთქვა და ვახტანგის შესახებ შენიშნა: «Хотя царь в бедствии, но гордости не оставляет».

პუშკინმა იცის ყოველივე ზემოთქმული და აღნიშნავს: «Вахтанг, угнетенный турками, просился в Астрахань. Волынский, к великой досаде Петра, и дозволил ему» (იქვე).

პეტერბურგელ ქართველებს ადრიდანვე იზიდავდა დიდი პოეტი. მათში განსაკუთრებით გამოირჩევა თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელსაც თავის კრებულში თავი მოუყრია პუშკინიდან თარგმნილი ცალკეული ნაწერებისათვის სხვადასხვა ვარიანტებად. როგორც პროფ. კ. ღონდუა წერს: „თუ რამდენად სერიოზული ინტერესი ჰქონდა ამ რუსულის თითქმის უცოდინარ ბატონიშვილს რუსულა ლიტერატურისადმი, ამაზე ღალადებენ მის მიერ შესრულებულ თარგმანები და აგრეთვე მის მიერ სუფთად და გულმოდგინედ გადაწერილი სხვების თარგმანები პუშკინის ლექსებისა“<sup>2</sup>.

თეიმურაზის კრებულს დაუცავს სხვადასხვა გადმოცემანი ა. პუშკინის შესახებ. მაგალითად: „პუშკინისა ყველიერში საგულაოდ

<sup>1</sup> Пушкин, История Петра, Сочинения, т. X, 1938, გვ. 267.

<sup>2</sup> კ. ღონდუა, პუშკინი ქართულ ლიტერატურაში, კრებული — ა. ს. პუშკინი საქართველოში, გვ. 145.



ცხენით წავიდა და მას რაოდენნიმე კავარერი გვარდიის ოფიცერი გაჰყვნენ ცხენებით სახლამდის. შევიდა ცოლი ქმართან და უთხრა ქმარს: რასა იქ ჩემო პოეტოო. ქმარმა ლექსით მიუთგო: «Для твоего поэта настал великий пост, люблю тебя моя комета, но не люблю твои длинные хвост».

თეიმურაზის კრებულში დაცულია ფანქრით შესრულებული ახალგაზრდა მამაკაცის სურათი, რომელიც რ. ორბელს მიაჩნია პუშკინის პორტრეტად. თეიმურაზის კრებულში შეტანილმა თარგმანებმა „ანგელოზი“, „ო ვნებიანო სატირის მუზაე“, „ელეგია“, „წინასწარმეტყველი“, „დემონი“, „მზიარული დრო“, „ძმები ყაჩაღებისა“ და „ევგენი ონეგინის“ ცალკეულმა თავებმა პირველად გააცნო ქართულ ენაზე პუშკინი პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პეტერბურგის ქართველთა წრის პოეტისა და მთარგმნელის ს. რაზმაძის თარგმანები: „ელეგია“, „დემონი“, „ლიშპანური რომანსი“, „განლვიძება“, ნაწყვეტები „ყაჩაღებიდან“, „ევგენი ონეგინიდან“ და სხვ<sup>1</sup>.

პეტერბურგელ ქართველთა წრეშივე ჩაესახა აღ. ჭავჭავაძეს თავისი საუკეთესო თარგმანების შესრულების იდეა. იმ გარემოების ხელისშემწყობი, რომ პუშკინის ლექსები ჯერ კიდევ პუშკინის სიცოცხლეში ითარგმნა და გამოქვეყნდა კიდევ ქართულად, უდავოდ უნდა ყოფილიყო ორი რამ: პუშკინის პოეტურმა გენიამ თვალწინ ჩაუჭროლა როგორც პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებს, ასევე თბილისის საზოგადოებას, რომლის მრავალ წარმომადგენელს წილად ხვდა ბედნიერება პირადად გაეცნო დიდი რუსი პოეტი.

გამოთქმული ვარაუდით (გ. ლეონიძე, ი. ენიკოლოპოვი, ლ. ასათიანი, ი. ანდრონიკოვი), თბილისში იმ დროს მყოფ პუშკინს. როდესაც ძაძით მოსილი ჭავჭავაძის ოჯახი გრიბოედოვის ნეშტს ელოდა, არ შეიძლებოდა თანაგრძნობისათვის არ მოენახულებინა და არ გაეცნო სიმამრი და მეუღლე გრიბოედოვისა.

<sup>1</sup> ს. რაზმაძის შესახებ იხ. ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, პუშკინის პირველი მთარგმნელები, კრებული ა. ს. პუშკინი საქართველოში; კ. დონდუა, პუშკინი ქართულ ლიტერატურაში, იქვე; ი. კ. ენიკოლოპოვი, პუშკინი საქართველოში, 1953; მ. გოცაძე, უნივერსიტეტის შრომები, 1949, XXIV; ნ. ალანია, ს. რაზმაძე მთარგმნელი, ლიტ. ძიებანი, 1963, XIV; И. Богомолов, Из истории грузинско-русских литературных взаимосвязей, 1967.

სამწუხაროა, რომ ალ. ჭავჭავაძესთან დაკავშირებულ დიდძალ ლიტერატურაში, რომელშიც ცალკეული ნაშრომები მის პეტერბურგში ცხოვრებასაც უკავშირდება<sup>1</sup>, არაფერი ჩანს ალ. ჭავჭავაძის პირად ნაცნობობაზე დიდ პოეტთან. ამის შესახებ არაფერია თქმული აგრეთვე ვ. ზავილეისკის იმ საინტერესო ჩანაწერებშიც, რომელიც ი. ანდრონიკოვს მოჰყავს და რომელშიც ზავილეისკი ეხება ალ. ჭავჭავაძის პეტერბურგში ყოფნას 1834—1836 წლებში. ასეთი ცნობების არსებობა კი გამორიცხული არ უნდა იყოს. შესაძლოა იგი შთაინთქა ალ. ჭავჭავაძის მდიდარ არქივთან ერთად.

## 8. ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახი პეტერბურგში

1857 წელს პეტერბურგში პირველად ჩავიდა ეკატერინე ჭავჭავაძე თავისი ოჯახით<sup>2</sup>. ალ. ჭავჭავაძის მშვენიერი ასული ქართული სალონების სული და გული, მრავალი პოეტური შედევრის შთამაგონებელი ეკატერინე ჭავჭავაძე — სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს გაჰყვა ცოლად და მის მრავალგვარ ეპითეტებს დედოფლის ტიტულიც შეემატა.

1853 წელს დავით დადიანი გარდაიცვალა და სრულიად ახალგაზრდა ეკატერინე სამეგრელოს სამთავროს მესაჰის როლში აღმოჩნდა. ეკატერინეს დარჩა ოთხი მცირეწლოვანი შვილი — შვიდი წლის ნიკოლოზი, 6 წლის სალომე, 4 წლის ანდრია და რამოდენიმე თვის თამარი.

1855 წელს გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I და ტახტზე ავიდა ალექსანდრე II. 1856 წლის 26 აგვისტოს მოსკოვი ალექსანდრე მეორის მეფედ კურთხევას დღესასწაულობდა.

<sup>1</sup> Ир. Андроников, Лермонтов, М., 1964; მისივე Лермонтов в Грузии в 1837 г., Тбилиси 1964 г.; В. Шадурн, Декабристская литература и грузинская общественность, 1958 г.; ს. მალაქელიძე, მასალები ა. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, საისტორიო მოამბე, 1946, № 2; ა. კენკოშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძე, 1953; ა. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, ა. ჭავჭავაძე, თბილისი-1960; М. Заверин, Александр Чавчавадзе в Пажеском корпусе, Литературная Грузия, 1958, № 6; И. Богомолов, Александр Чавчавадзе, Тбилиси, 1964.

<sup>2</sup> ე. ჭავჭავაძის პეტერბურგში ყოფნას ეხება ს. კილაია წიგნში — „ეკატერინე ჭავჭავაძე“.

ამ დროისათვის ეკატერინე დადიანს ეცნობა, რომ იგი მიწვეულია მოსკოვს მეფის კურთხევის ცერემონიალზე დასასწრებლად.

რამოდენიმე წლის დაქვრივებული სამეგრელოს დედოფალი თავისი ორი უფროსი შვილისა და დის—ნინოს თანხლებით მოსკოვის გზას გაუდგა. სამეფო კარი და არისტოკრატია გულთბილად შეხვდა 37 წლის მშვენიერ ეკატერინეს, რომელსაც გვირდს უმშვენიებდა რუსეთის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ა. გრაბოდოვის ქვრივი ნინო ჭავჭავაძე-გრიბოდოვისა. ზეიმზე ეკატერინეს მშვენიერ ქალ-ვაჟთან ერთად ყურადღებას იქცევდა აგრეთვე დედოფლის თანხმლები ამაღლა. რომელშიაც შედიოდნენ პეტრე ნიკოლოზის ძე დადიანი, ნიკო მხეიძე და სხვა რჩეული თავადიშვილები. ზეიმის დასასრულს იმპერატორმა ეკატერინე თურქების წინააღმდეგ მამაცური ბრძოლისათვის საბრძოლო მედლით დააჯილდოვა, ათი წლის ნიკო დადიანს უბოძა ფლიგელ-ადიუტანტობა, ხოლო სალომეს სეფე-ქალის პატივი მიენიჭა. მოსკოვის შემდეგ ეკატერინე პეტერბურგს ეწვია, სადაც მან 1857 წლის ზამთარი გაატარა.

პეტერბურგის უმაღლესი არისტოკრატია მოხიბლა ეკ. დადიანმა. როგორც კ. ბოროზდინი გადმოგვცემს, „ეკატერინეს წინაშე მუხლს იდრეკდა მაშინდელი ცნობილი ევროპელი ტუზი, უსაზღვროდ მდიდარი ესპანელი ელჩი ჰერცოგი დ' ოსუნა... დ' ოსუნას ყველაზე მეტ აღტაცებას გვრიდა ის ფაქტი, რომ ქალი, რომელიც შემკული იყო ესდენის სამეფო დიდებულებით, სიმშვენიერით, ჭკუით, წმინდა ქალური სინაზით და სინარნარით, არავითარს გასაჭირს უფრთხოდა და ნაბაღწაჰმობი და ყაბალახით თავწაჯრული წინ მიუძლოდა თავის მილიციას ოსმალებთან ბრძოლაში. ეკატერინე მოაგონებდა პოეტურ-რაინდულ ეპიზოდებით სავსე მისი სამშობლო ისტორიის საშუალო საუკუნეთა ერთ-ერთ ლეგენდარულ მებრძოლს“<sup>1</sup>.

მაგრამ 1857 წლის აპრილში სამეგრელოში დაბრუნებულ ეკატერინეს დიდხანს არ დასცალდა სასიამოვნო დღეების გახსენება. სამშობლოში გლახთა აჯანყება მძინევალებდა. გლახობამ

<sup>1</sup> კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1934, გვ. 71.

ეკატერინეს თავისი მოთხოვნები წაუყენა, ეკატერინე კი უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. აჯანყების ჩაქრობისათვის ეკატერინე იძულებული გახდა ქუთაისის გუბერნატორ კოლუბიაკინისთვის მიემართა, რომელმაც მოკლე ხანში ჩააქრო აჯანყება. რუსეთმა დაინახა რა, რომ სამეგრელოს ხელისუფლებას აღარ შეეძლო გლებობას გამკლავებოდა, გადაწყვიტა სამეგრელოს მემკვიდრის სრულწლოვანობამდის დედოფალი რუსეთში გაეწვია, ხოლო ქვეყნის მართვა „სამეგრელოს მმართველობის საბჭოსათვის“ დაევალა. როგორც ი. მეუნარგია წერს, 1857 წლის აგვისტოში ეკატერინემ შიილო იმპერატორ ალექსანდრე II საკუთარი ხელით დაწერილი ბარათი, რითაც შეფე იწვევდა მას პეტერბურგში 30 ათასი მანეთის დანიშნებით ყოველწლიური ხარჯისათვის. დედოფალიც დიდი ხნით გაემგზავრა რუსეთში და ამით საბოლოოდ და დაუბრუნებლად მოიცილა თავიდან სამეგრელოს სამთავროს მმართველობა<sup>1</sup>.

1858 წლის 29 მარტს პეტერბურგიდან მოწერილ წერილში ახლადჩასული ეკატერინე თავის მეურვეს დ. ყიფიანს ატყობინებდა: „ჩვენ აქ გახლავართ ღვთის შეწევნით ახლა სიმართლით და ჩემი პატარა შვილები ცოტა შეეჩვივნენ აქაურს აერს. ბრწყინვალე კვირაში დიდი ცერემონიები და ვიზიტები იყო სასახლეში, სადაც, რასაკვირველია, მეც გახლდით ჩემის ნიკოთი და ანდრიათი. აღდგომის მესამე დღეს ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა ჩემთან, ისე მოწყალებით და მხიარულად მიგვიალერსა პე და ჩემი შვილები, რომ ყოველივე ჩემი გულის მწუხარება დაამშვიდა“<sup>2</sup>.

ეკატერინე დაბინავდა გენერალ იურკევიჩის ბინაზე, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. საზაფხულო სადგომი კი „ცარსკოე სელოში“ დაიდო „თავად ბაგრატიონის საკუთარ სახლში“. შესაძლოა ეს სახლი გარდაცვლილი თეიმურაზ ბატონიშვილის იყო, რომლის კარი მუდამ ღია იქნებოდა საყვარელი რძლისათვის.


დიმ. ყიფიანისადმი მიწერილი ეკატერინეს წერილებიდან ჩანს ის ხშირი სტუმრობა და წვეულებები, რითაც დაკავებულია პეტერბურგს მყოფი ეკატერინე: „გავცივდი გრაფინია რაზუმოვსკის

1 ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ეკატერინე ქავკაზაძე-დადიანის..

2 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ყიფიანის ფ. ხ. № 8.



მკატერინე ჰავკვიაძე



მარი ბროსე

რაუტში... მეორე დღეს ერთს საღამოზედ ორს ვეჩერში ვიყავი და შემდეგ საშინლად ავად გავხდი...“<sup>1</sup> იწერება იგი 1859 წელს.

დ. ყიფიანის არქივში დაცული წერილები გაკვრით მოგვითხრობს იმ რომანის შესახებაც, რომელიც პეტერბურგში ჰქონია ეკატერინეს. წერილის ავტორი ალექსანდრე ონიკოვი, როგორც ჩანს, ეკატერინესთან დაახლოებული პირია პეტერბურგში. ალ. ონიკოვი დ. ყიფიანს აცნობებს: „ჩვენი მომავალი სიძე ბატონი დაბრუნდა აქა ყველიერის უკანასკნელ დღეებში და რასაკვირველია ჩვეულებრივ პირველი ვიზიტი გაუკეთა ე... პირველს კვრამდის ყოველდღე მოდიოდა სანახავად, შემდეგ მოემზადა საზიარებლად და პირველს კვირას აღარავინ არ მიიღო, მასუკან ავად გახდა და ასე გაჯანჯლდა საქმე, რომ ახლა აღარ ვაციტ, როდის ან რით დასრულდება. ისე კი უნდა მოგახსენო, რომ უფრო, როგორც ჰსჩანს, საქმით იმედი არის, ვიდრე არა. ეს დალოცვილიც თვითონ აბრკოლებს და უარზე დგას, თორემ აქამდის მოხდებოდა. დღესაც დიდხანს ვილაპარაკეთ ამ საქმეზედ და თითქმის დავიყოლიეთ“<sup>2</sup>.

წერილის ავტორი, როგორც ჩანს, შეგნებულად ერიდება, როგორც ეკატერინეს, ისე იმ პირის სახელთა ხსენებას, უცნობს იგი „მომავალ სიძეს“ უწოდებს, თუმცა, როგორც თვითონ წერს: „ეს დალოცვილიც (იგულისხმება ეკატერინე) თვითონ აბრკოლებს და უარზედ დგას, თორემ აქამდის მოხდებოდა“. ძნელია თქმა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს პირი. საფიქრებელია, მასში იგულისხმებოდეს ესპანელი ჰერცოგი დ' ოსუნა, რომელზედაც საგანგებოდ ჩერდება ბოროზდინი. როგორც ჩანს, სამეგრელოს დედოფლის, დავ. დადიანის ქვრივისა და ოთხი შვილის დედისთვის აღვილი არ იყო თავისი ბედი უცხო ქვეყნის წარმომადგენლისათვის დაეკავშირებინა...

თანდათან ეკატერინე პეტერბურგის სხვადასხვა წრეების ყურადღებას იპყრობდა. საინტერესოა პოეტ ტუტჩევის ქალიშვილის ა. თ. ტუტჩევის მოგონებები — «При дворе двух императоров», რომელშიც იგი ალექსანდრე მეორის კართან დაკავშირებულ სხვადასხვა ამბავთან ერთად ეკატერინე დადიანის შესახებაც მოგვითხრობს.

<sup>1</sup> ხელნ. ინსტიტუტის დ. ყიფიანის ფ. № 309. ხ. № 8.

<sup>2</sup> დ. ყიფიანის ფონდი, ა. ონიკაშვილის წერილები, 105, ხ. № 1—4.

ანა თევდორეს ასული ტუტჩევა (1829—1889 წწ.) 1853—1858 წლებში სეფე-ქალი იყო მარია ალექსანდრეს ასულისა. იგი იყო აგრეთვე აღმზრდელი ალექსანდრე ჰეორის შვილებისა. 1866 წელს ანა თევდორეს ასული ცოლად გაჰყვა ი. ს. აქსაკოვს, ცნობილ პუბლიცისტსა და პოეტს, რის შემდეგაც ჩამოსცილდა სამეფო კარს. ტუტჩევას სამეფო კარზე ყოფნა ემთხვევა ეკატერინეს პეტერბურგში ყოფნის წლებს. თავის მემუარებში ტუტჩევა მსჯელობს საკარო არისტოკრატის გარეგნულ და შინაგან თვისებებზე, რომელიც მის თვალწინაა ყოველდღიურად. ტუტჩევას ყურადღება იპყრობს ეკატერინე ჰავჭავაძე, რომლის შესახებაც ის წერს: „ერთი პირი, ვისი ნახვაც მე მსიამოვნებს ბალზე, არის ქალბატონი დადიანი-მინგრელსკაია. იგი, როგორც ჩანს, მთლიანად შეგუებულია თავისი გვირგვინის დაკარგვას და ტკბება მე-19 საუკუნის ცივილიზაციით. პეტერბურგის სალონებმა გადაავიწყვა მას მშვენიერი კავკასიის მთები და ის მხიარულად ფლანგავს იმ ნახევარმილიონს, რომელსაც მას სახელმწიფო უხდის წარსული დიდების სანაცვლოდ“<sup>1</sup>.

მაგრამ პეტერბურგში ცხოვრებას ერთნაირი სიხარული როდღი მოუტანია ეკატერინეს ოჯახის ყველა წევრისთვის. უმცროსი ქალიშვილი თამარი, რომელიც ამ დროს 5—6 წლის უნდა ყოფილიყო, ვერ შეგუებულია უცხო ჰვეყანაში ყოფნას. ტუტჩევას ზემოხსენებულ მოგონებებში თამართან დაკავშირებით ნათქვამია: „მე დღეს სათამაშოდ მოვიწვიე (იგულისხმება — ალექსანდრე II-ის ბავშვებთან სათამაშოდ) ყოფილი დედოფლის ქალიშვილი თამარი. ეს გოგონა ავად გახადა სამშობლოსაგან მოშორებამ. ის მეფის უფროსი ასულის ტოლია, მისი გამხდარი სახე სავსეა დარდით და სევდით. მე ვერაფრით ვერ ვაიძულე იგი ეთამაშა და ორი საათის შემდეგ აცრემლებულმა დამიწყო მუდარა, რომ სახლში გამესტუმრებინა“<sup>2</sup>.

სევდასა და დარდს პატარა ბავშვისთვის თავისი დალი დაუსვამს და მძიმე ავად გამხდარა. ამ ხანში ეკატერინე დ. ყიფიანს წერს: „ჩემი პატარა თამარ მყავს ძალიან ავად. ზალატუხა შიგნიერ

<sup>1</sup> А. Ф. Тютчева. При дворе двух императоров, 1929, гл. 179.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 197.



შეუბრუნა და მთელი დღე და ღამე პასთან მოუშორებლივ ვარ. აქიმები იმედს მაძლევენ, რომ უკეთ შეიქმნებაო, მაგრამ მე კი გული აღარ მაქვს მწუხარებით... უნდა ზაგრანიცაში წავიდე, რადგანაც ტფილი აერი პირველი წამალი იქნება ჩემის თამარისათვის<sup>1</sup>.

შემდეგ წერილში ეკატერინე ისევ თამარზე წერდა: „ჩემი თამარი ცოტათი უკეთ არის, მაგრამ თუ არ თბილი აერი, ისე ამის სრულებით მორჩენა არ შეიძლება“.

1860 წლის 11 იანვარს დაწერილი წერილით კი ეკატერინე დიმიტრი ყიფიანს ატყობინებდა: „აქამდისინ შეტყობილი გექნებათ, ჩემო ძვირფასო დიმიტრი ივანიჩ, ჩემი უბედურება ჩემი პატარა თამარის სიკვდილით. იფიქრე, როგორ შეწუხებულნი და დატანჯულნი ვიქნები. არათუ მშობელი დედა, ვინც კი იცნობდა ჩემს ანგელოზს თამარს ყველანი გულისმტკივნეულად არიან, ვერ აგიწერ რა მონაწილეობა მიიღეს ყოველმა ჩვენმა ნაცნობებმა, მაგრამ ხომ იცი, რომ დამწვარ დედის გულს ვერავინ ანუგეშებს<sup>2</sup>.“

პატარა თამარის დაკრძალვა დიდი სამგლოვიარო ცერემონიალით ჩატარდა. ალ. ნეველის სასაფლაოზე მრავალრიცხოვან ქართველებთან ერთად თამარს მიაცილებდნენ პეტერბურგის უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლები. დაკრძალვისას სიტყვა წარმოუთქვამს ცნობილ რუს საეკლესიო მქვერმეტყველს ა. გომილევის<sup>3</sup>. მოვიტანთ მის სიტყვას:

«Светлейшая княгиня! Тяжкая, болезненная скорбь, в какую повергла вас смерть любимой дочери, обязывает меня, по духовной близости к вашему семейству, сказать несколько слов христианского утешения. Не думайте, чтобы я стал удерживать ваши слезы, не думайте, чтобы я стал требовать от вас совершенной беспечальности. Такое требование было бы жестоко и неестественно.

Мать, которая теряет любимое и прекрасное дитя свое, не может не плакать. Плачьте же, плачьте сколько можете.

1 დ. ყიფიანის ფონდი, ეკ. დადიანის წერილები დ. ყიფიანისადმი, 308, ხ. № 19.

2 დ. ყიფიანის ფ. 309, ხ. 20.

3 სიტყვა ცალკე წიგნადაც დაუბეჭდავს ა. გომილევის, ის აღმოჩნდა მარი ბროსეს არქივში (К 19).

но не предавайтесь безутешной печали и успокойте сердце свое твердою покорностью промыслу Божию, которому угод-но было посетить вас настоящим горем.

...Как ангел Господень она озаряла ваше доброе семейство своею чистотою и привлекала всех своею дивною добротою. Воспитанная в истинно-христианском православном духе, она простою детскою душою усвоила себе этот дух до того, что думала и чувствовала мыслями и утешениями веры. Вспомните тот трогательный случай, когда она, мучимая болезнью, при виде спящей няни напомнила сй евангельский рассказ о скорбящем в саду Гефсиманском Спасителе, укоряющем учеников своих за то, что они одного часа не могли провести без сна со своим страдавшим учителем! Вспомните ту трогательную набожность, с какою она в последние минуты сознания лобызала крестик свой и даже ленточку, на которой в жизни носила на себе этот спасительный символ христианской веры. Как много говорят эти два прекрасные случая о светлости души ея, которая даже среди невыносимых страданий не забывала своего Спасителя.

Утешьтесь же, печальная мать! Ваша Тамара отошла к Господу с чистою, непорочною, светлою, ангельскою душою. Вы могли еще сокрушаться, если бы не употребили в отношении к ней средств, предлагаемых верою и врачевным искусством. Но вы сделали все, что могли. Вы употребили для спасения ея все знания врачей, вы прибегали к небесной помощи; ничто не помогло.

...Оплачьте же лежащую в этом гробе дочь свою: она оставляет вас навсегда, она уже не будет отныне нежными ласками показывать вам любовь свою. Оплачьте, но вместе с тем и растворите слезы свои молитвенными воздыханиями, тем более, что и Тамара будет молиться за вас там, куда идет, так, как вы научили ее.

Оплачьте и вы, дети, прекрасную добрую сестру вашу, вы больше не увидите ее. Она больше не придет к вам раз-

ძეალები დასაწყისიდანვე, მათი დედასთან ერთად, მათი ძმების, როგორც მათი ძმების, როგორც მათი ძმების...  
ძეალები დასაწყისიდანვე, მათი დედასთან ერთად, მათი ძმების, როგორც მათი ძმების, როგორც მათი ძმების...  
ძეალები დასაწყისიდანვე, მათი დედასთან ერთად, მათი ძმების, როგორც მათი ძმების, როგორც მათი ძმების...

თამარის სახით პეტერბურგის მიწამ მიიბარა კიდევ ერთი პატარა ქართველი. ეკატერინეს შვილის ცხედრის პეტერბურგში დატოვება ვერ გადაუწყვეტია და მისი გვამი მარტვილში მიმავალ მოძღვრისთვის—ბესარიონისთვის გაუტანებია, რასაც იგი აცნობებს დ. ყიფიანს: „ჩვენს მოძღვარს არხიმანდრიტ ბესარიონს გამოვატანე ჩემი სიცოცხლე თამარის გვამი, რომელიც მოასვენებს მარტვილს და იქ ჩვენ სასაფლაოში დასაფლავებს. გთხოვთ, რომ საბლთხუცესს უბრძანოთ, როდესაც მოუვა ცნობა არხიმანდრიტს, ქუთაისის დახვდეს ან მარანს და როგორც რიგი და მოვალეობა მოითხოვს, ისე ემსახუროს“.

ეკ. ჭავჭავაძის ოჯახის პეტერბურგში ყოფნასთან დაკავშირებულია ნ. ბარათაშვილის სახელი.

სამოციანი წლების დამდეგს, როგორც ცნობილია, პეტერბურგის უნივერსიტეტში ოცდაათამდე ქართველი სწავლობდა. ქართველი სტუდენტობა პეტერბურგის მთელ სტუდენტობასთან ერთად ახალი ხანის რუსეთის ცხოვრებაში ჩაება. სტუდენტობის სახით „იღვიძებდა პირველად ბუმბერაზი რუსეთი“<sup>1</sup>.

ეკატერინე დადიანის ოჯახში, როგორც ჩანს, ხშირად სტუმრობდნენ ქართველი სტუდენტები.

როგორც კობია აფხაზი წერს, „ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანისას. სამეგრელოს მთავრის ასულს. ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს ბარათაშვილის სახით პეტერბურგის მიწამ მიიბარა კიდევ ერთი პატარა ქართველი. ეკატერინეს შვილის ცხედრის პეტერბურგში დატოვება ვერ გადაუწყვეტია და მისი გვამი მარტვილში მიმავალ მოძღვრისთვის—ბესარიონისთვის გაუტანებია, რასაც იგი აცნობებს დ. ყიფიანს: „ჩვენს მოძღვარს არხიმანდრიტ ბესარიონს გამოვატანე ჩემი სიცოცხლე თამარის გვამი, რომელიც მოასვენებს მარტვილს და იქ ჩვენ სასაფლაოში დასაფლავებს. გთხოვთ, რომ საბლთხუცესს უბრძანოთ, როდესაც მოუვა ცნობა არხიმანდრიტს, ქუთაისის დახვდეს ან მარანს და როგორც რიგი და მოვალეობა მოითხოვს, ისე ემსახუროს“.

---

<sup>1</sup> საკითხი ქართველი სამოციანელების პეტერბურგში ყოფნისა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივშია შენახული. იხ. ნიკოლაი. მოგონებანი, რჩ. ნაწ. ტ. I; ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949; ლ. ასათიანი, — ცხოვრება აკ. წერეთლისა, 1953; კ. მექველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, 1959; დ. გამეზარდაშვილი— ნარკვევები ქართული რელიგიის ისტორიიდან. ტ. I, 1961; ვლ. სიფრაშვილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და თერგდალეულების იდეური ურთიერთობისათვის, 1962; პ. რატანი. თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, 1962, მ. დუღუჩავა, ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა, თბ.—1967 და სხვ.

თაშვილის საკუთარი ხელნაწერი. ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ბოღადა ბარათაშვილით“<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, ნ. ბარათაშვილის ლექსები პირველად 1852 წელს დაიბეჭდა „ცისკარის“ მე-4 ნომერში, მაგრამ ქართულ საზოგადოებაში მას შესაფერი გამოხმაურება არ ჰქონია. პეტერბურგში ეკ. დადიანის ოჯახში სათუთად შენახულმა ნ. ბარათაშვილის ლექსებმა, როგორც გ. ლეონიძე წერს, ნ. ბარათაშვილის სახელის რესტავრაცია მოახდინა.

შემთხვევითი არ არის, რომ ილიამ ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ორივე ლექსი პეტერბურგში შექმნა. პეტერბურგელ სტუდენტთა ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა ბარათაშვილის საკითხმა. 1865 წელს სტუდენტი ნ. ყიფიანი პეტერბურგიდან თავის მამას დიმიტრი ყიფიანს სწერდა: „ათასჯერ გადავიკითხე და კიდევ არ მეყო... ნეტა ვინ იყო ბარათაშვილი, შენ მგონია იცნობდი, სწავლა სად მიიღო, სამსახურში ყოფილა თუ არა, ყოფილა სადმე ან რუსეთში ან იქით სპარსეთში? რა ხასიათისა იყო, საზოგადოებაში რა იყო, საზოგადოება როგორ უყურებდა?“<sup>2</sup>.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსების ორი ავტოგრაფი 1887 წელს ექვთ. თაყაიშვილმა პეტერბურგში ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან შეიძინა.

ყოველივე ამის გაძო შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკ. დადიანის ოჯახმა პეტერბურგში ქართველ საზოგადოებას პირველად გააცნო ნ. ბარათაშვილი და როგორც გ. ლეონიძე წერდა, „თითქმის მეორედ გამოიტანა ბარათაშვილის პოეზია“.

---

<sup>1</sup> გ. ლეონიძე — მასალები ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, კობტა აფხაზის მოგონებანი ჭავჭავაძის შესახებ, ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1935. აგრეთვე გ. ჯიბლაძე — ილია ჭავჭავაძე, 1966, გვ. 193.

<sup>2</sup> გ. ლეონიძე, იქვე. 198.

**მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენება  
კატეორბურბში**

1. თეიმურაზ ბაბრატონი, მარი ბროსა, დ. ჩუბინაშვილი,

**ა. ცაბარელი**

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში მომწიფდა მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენების პირობები. ერთი მხრივ, ევროპასა და რუსეთში გამოცემულმა ცალკეულმა გამოკვლევებმა საქართველოს თუ კავკასიის შესახებ, მეორე მხრივ, ამ დროისათვის დასავლეთის დაინტერესებამ აღმოსავლეთის ქვეყნებით, საქართველოს კულტურული წარსული ორიენტალიტიკის ერთ-ერთ საინტერესო ობიექტად აქცია<sup>1</sup>.

შემთხვევითი როდი იყო, რომ მეცნიერულ ქართველოლოგიას მისი ისტორიის გარიჟრაჟზე ჳირისუფალი გამოუჩნდა იმ სამყაროდან, სადაც ორიენტალისტურ ძიებებს მძლავრი ტრადიცია ჳქონდა. სილვესტრ დე-სასის, სენ-მარტენის, აბელ რემუზასა და სხვათა ინიციატივით 1822 წელს პარიზში დაარსებულმა „სააზიო საზოგადოებამ“ ყურადღების ცენტრში მოაქცია არაბისტიკა, სპარსული, სომხური და ქართული კულტურა და ყოველთვიური „ჟურნალ აზიატიკის“ ფურცლებზე სისტემატური მეცნიერული გაშუქება მისცა ამ ქვეყნებთან დაკავშირებულ საკითხებს.

<sup>1</sup> ამ საკითხზე იხ. შ. ხანთაძე, მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენების ისტორიიდან დასავლეთ ევროპაში, „ცისკარი“. 1963. № 6.

ჯერ კიდევ 1819 წელს გამოცემულმა „მოგზაურობათა ანალები“ მე-12 ტომმა, სადაც ევგ. ბოლხოვიტინოვის შრომის კრიტიკული ანალიზი იყო დაბეჭდილი, შთააგონა მომავალი მეცნიერი მარი ბროსე ღრმად შეესწავლა ქართული ენა. პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები იყო ის პირველი საკვლევი ობიექტი, რომლითაც მან ქართველოლოგიური მუშაობა გაშალა. მაჯიოს, პაოლინისა და გაიოზ რექტორის გრამატიკებით. გოდერძი ფირალოვის თვითმასწავლებლით ბროსე დაეუფლა ქართული ენის გრამატიკულ ნორმებსა და კანონებს, ქართული ენის საკითხავ ტექსტად ბაქარისეული ბიბლია აიღო, ხოლო ცოტა გვიან, ცოცხალი, სასაუბრო ქართულის მოსასმენად პარიზში მყოფ ვახტანგ და ტარიელ — იმერელ ბატონიშვილებს დაუახლოვდა.

1825 წელს მარი ბროსე „სააზიო საზოგადოების“ წევრად აირჩიეს. 1827 წელს ამ საზოგადოების სხდომაზე მან წაიკითხა თავისი პირველი მოხსენება: „Notices sur la langue géorgienne“ რომელიც დაიბეჭდა სააზიო ჟურნალში. ექვთიმე თაყაიშვილი ამ თარიღს მიიჩნევდა საქართველოს შესწავლის დასაწყისად საფრანგეთსა და საზოგადოდ ევროპაში<sup>1</sup>.

როგორც რ. დოდაშვილი წერს: „ოცდაათიან წლებში ბროსე უკვე ავტორი იყო მრავალი წერილისა ქართული ლიტერატურის შესახებ. რაც უფრო წინ მიიწევდა ბროსე ამ გზაზე, მით უფრო მეტად ეუფლებოდა უკმაყოფილება... პარიზის არქივები და ბიბლიოთეკები თითქმის ამოწურული იყო ბროსეს მიერ. საქართველოში გამგზავრებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა ჯერ. რუსეთი წარმოადგენდა ერთადერთ ქვეყანას, სადაც ინახებოდა ქართული დოკუმენტები. პეტერბურგისა და მოსკოვის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში დაცული მასალები აუცილებელი იყო სერიოზული მეცნიერული კვლევის ჩასატარებლად. ბროსე რუსული ენის შესწავლას შეუდგა“<sup>2</sup>.

1830 წელს პეტერბურგში მცხოვრები ფრანგი შარმუას საშუა-

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილი, სისტორიო ასპარეზზე მოღვაწენი XIX ს. ხელნაწერთა ინსტიტუტის ექვთ. თაყაიშვილის ფონდი, ხ. № 646.

<sup>2</sup> რ. დოდაშვილი, მარი ბროსე ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962, გვ. 16.

ლებით ბროსემ კონტაქტი დაამყარა შარბუას ახლო მეგობარ თეიმურაზ ბატონიშვილთან.

1830 წლის 18 აპრილს ბროსემ წერილით მიმართა თეიმურაზ ბატონიშვილს, გააცნო თავისი მიზნები, განზრახვები და მოკრძალებით მისგან ერთგვარი კონსულტაცია ითხოვა. თეიმურაზი აღფრთოვანა უცხო ქვეყნის შვილის ასეთმა თავდადებამ და ინტერესმა ქართული კულტურის მიმართ, სასწრაფოდ გაუგზავნა პასუხი შორით გაცნობილ მარი ბროსეს და თავისი აღფრთოვანება არ დაუმალა: „ფრიად ღირს საქმეელი გულმოდგინება ეგე შენი, რომელმანცა საქმეჲ ეს სრულიად ევროპიისა სწავლულთა შორის აწ შენ იწყე პირუელად და თვნიერ მოძღვრისა და მასწავლებლისა მხოლოდ თავით თვისით მშრომელი მიიწიეს ესეოდენა საზომსა ქართულია ენისა და წერილისა სწავლისა<sup>1</sup>“. ამავე წერილში თეიმურაზმა ბროსეს აღუთქვა: „მე თვთ გექმნები შენ თანამოსაუბრე, ესე იგი კორესპონდენტი ზოგად ყოველთავე ძველთა და ახალთა საეკლესიოთა, გინა საეროთა და სამოქალაქოთა ხელოვნებათა ჩუენის სწავლისათა“-ო. თავის მხრივ, თეიმურაზსაც ჰქონდა სათხოვარი მარი ბროსესადმი: სწავლული ბატონიშვილი სთხოვდა ბროსეს დაწვრილებითი ცნობები მოეწოდებინა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ქართული წიგნებისა და მათი აღმწერლების შესახებ.

როგორც შ. მესხია წერს: „თეიმურაზ ბატონიშვილი საკმაოდ მომზადებული უნდა ყოფილიყო კორესპონდენტობისათვის... წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ იკისრებდა მისი სიტყვით „სიბრძნითა განათლებულ“ პარიზის საზოგადოების კორესპონდენტობას. მას აღებულნი მოვალეობა პირნათლად შეუსრულებია. ამ დროს უნდა გაეგზავნა „პარიზის აზიური საზოგადოებისათვის“ ანტონ I კათალიკოსის და დავით ბატონიშვილის „ქართული გრამატიკა“, რომელიც ბროსეს მიერ თავის დროზე გადათარგმნილი და სათანადო კომენტარებით გამოქვეყნდა „აზიური საზოგადოების“ „ორგანო ქურნალ აზიატიკ-ში“.

1 თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები აკ.დ. შ. ბროსესადმი. თბილისი. :964. ს. ყუბ. ნეიშვილის შენიშვნებით და საძიებლით, გვ. 7.

2 შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1939, I. გვ. 38.

შ. მესხიას აზრით. ამ პერიოდში მოღვაწეობის შედეგი უნდა იყოს თეიმურაზის ჩარიცხვა 1831 წელს სააზიო საზოგადოების წევრად.

1832 წელს პარიზში გარდაიცვალა ორიენტალისტიკის მამამთავარი საფრანგეთში სენ-მარტენი. ბროსემ სენ-მარტენის მიერ დაწყებული ლეზოს ბიზანტიის ისტორიის გამოცემა განაგრძო, პარალელურად მუშაობდა ვახტანგ მეფის სამართალსა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე, აქვეყნებდა წერილებს საქართველოს შესახებ. მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე და სხვ. თუ ადრე. როგორც მ. ბროსე იგონებს, „ჩემი თანამემამულენი გიჟად მიწოდებდნენ, ვითომც ქართული მწერლობა არა ღირსა არაფრისაო“. ამ დროისათვის მარი ბროსეს საქმიანობა განათლებულ ევროპის საზოგადოებას არათუ თვალნათლივ აჩვენებს, რომ ქართული კულტურა ღირსია შესწავლის საგნად იქცეს, არამედ თვით ბროსეც. როგორც მისი მკვლევარი, ევროპელთა ყურადღებას იპყრობს.

1834 წ. მარი ბროსე „სააზიო საზოგადოების“ საბჭოს წევრად იქნა არჩეული, ამ წლებში ბროსე პარიზში ლითოგრაფიული წესით აქვეყნებს თეიმურაზ ბატონიშვილის სამ ისტორიულ თხზულებას „წამება ქეთევან დედოფლისა“, „სიკუდილი დიდის მოურავისა გიორგი სააკაძისა“ და „ცხოვრება და მოღვაწეობა უკანაქნელი მეფის ძის დავითისა“. ამ უკანასკნელის დაბეჭდვამდე თეიმურაზი სწერდა ბროსეს: „ჩემი ძმის მეფის ძის დავითის ისტორია ჩემგან წარმოვლენილი თქვენდამი... ვითარგმნით ფრანციკულის ენაზე და... გსურის რომელ დააბეჭდინოთ... მოგახსენებთ. რომ ღია კარგი იქნება, რომ დაიბეჭდოს. მხოლოდ მაგ წიგნში ინებეთ, რომ ჩემი სახელი არ იყოს და არც ჩემ მიერ შეთხზვა მაგ წიგნისა... იქნება წარმკითხველთ ასე იფიქრონ. რომელ თავის ძმათ სიყვარულით მეტები და მომატებული ქებაები დაუწერიოა“<sup>1</sup>.

ბროსეს მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების ხილვამ ყურნალში. თეიმურაზის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია: „მე ვიხილე დიდისა მის სახელოვნისა ჩვენისა მელექსეთა გმირისა შოთა რუსთაველისა რჩეულნი ლექსნი და შენ მიერ ლამაზად

<sup>1</sup> თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, გვ. 22—23.



თარგმანება მისი ფრანციცულს ენაზედ. ვაშა, ვაშა<sup>1</sup>, სწერდა ბროსეს თეიმურაზ ბატონიშვილი.

ორი სწავლულის გაცხოველებული მიმოწერა (პეტერბურგსა და პარიზს შორის) შუქს ფენს ქართველოლოგიის ისტორიის სათავეებს და ბროსეს ახლად ფეხადგმულ ნაბიჯებს იმ ვრცელ შარაგზაზე, რომელზეც შემდეგ პეტერბურგის მეცნიერულმა სკოლამ საუკუნოვანი გზა განვლო.

თეიმურაზი წერილებში იძლევა ეახტანგ VI, თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის ბეჭდების და მათზე ამოჭრილი სიტყვების განხილვას, შავთელისა და ჩახრუხაძის ტექსტების ახსნას, შენიშვნებს ისტორიისა და გრამატიკის ცალკეულ საკითხებზე, „ვეფხისტყაოსნის“ შაირების კომენტარებს, ქართული საფას-საზომების მიმოხილვას, მსჯელობს ქართული ლექსის საზომებსა და სხვა უამრავ საკითხზე, რომლებიც, როგორც შ. მესხიამ გამოარკვია, ბროსეს არა ერთსა და ორ გამოკვლევას დაედო საფუძვლად<sup>2</sup>.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ბროსესადმი 1834 წლის 17 ოქტომბერს წერილის სახით გაგზავნილი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. როგორც გ. იმედაშვილი აღნიშნავს. „აქ ქართული კულტურისა და მწერლობის ზოგად მიმოხილვაში აღძრულია „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული საკითხებიც. რომლებშიც უკვე ჩანს ვნება და სრული ინტერესი და მასშტაბი, რომელმაც მთლიანად გამოამყლავნა და სრული დამუშავება ჰპოვა მის სპეციალურ მონოგრაფიაში „განმარტება ვეფხისტყაოსნისა“<sup>3</sup>.

ყოველივე ამის გამო შემთხვევითი არ იყო, რომ ბროსე თავის თავს სიკვდილამდე თეიმურაზის მოწათედ თვლიდა და ხაზგასმით აღნიშნავდა მის დამსახურებას.

1834 წელს ბროსემ გამოსცა ქართული ენის გრამატიკა „ხელოვნება აზნაურებითი, გინა ქართულის ენისა თვითმასწავლებელი“, რომელიც საფუძვლად დაედო მის ნაშრომს „ქართული ენის საფუძვლებს“. როგორც აკად. ა. ჩიქობავა წერს: „ქართული გრამატიკა“ (1834) აგებულების მიხედვით არაა ორიგინალური: მას

1 თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები აკად. შ. ბროსესადმი, გვ. 22—23.

2 შ. მესხია, დანახ. ნაშრომი, გვ. 40—41.

3 თეიმურაზ ბატონიშვილი, განმარტება „ვეფხისტყაოსნისა“ გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევით და საძიებლოთ, გვ. 9.

საფუძვლად უდევს ტრადიციული ფილოლოგიური გრამატიკა, მაგრამ მასალას ავტორი ფლობს და ამ მხრივ ეს გრამატიკა გამოირჩევა (მიუხედავად იმისა, რომ რიგი მოვლენის გაგება სადავოა ანდა არასწორი), ბროსეს ეს გრამატიკა და „ქართული ენის ელემენტები“ მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში წარმოდგენდნენ უცხოელთათვის ძირითად წყაროს ქართული ენის გაცნობისათვის... მარი ბროსეს „ქართული გრამატიკა“ (1834) სხვა მხრივაც იყო საყურადღებო: მასში წამოყენებულია დებულება — ქართული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნისო<sup>1</sup>.

1836 წლიდან თეიმურაზი ავადმყოფობდა. ამ ხანებში იგი საქართველოს ისტორიას ამზადებდა გამოსაცემად. ამავე წლის 9 ივნისს თეიმურაზი პეტერბურგიდან გერმანიაში გაემგზავრა და ბერლინიდან ამცნო ბროსეს თავისი ამბავი. ბერლინიდან თეიმურაზი მარიაშადსა და შემდეგ კარლსბადს სწვევია, რეინის მიდამოები შემოუვლია და კვლავ ბერლინში დაბრუნებულა. ამ მოგზაურობის ნაყოფია მისი შესანიშნავი „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვადასხვა ადგილთა“<sup>2</sup>.

1835 წელს ავადმყოფობის გამო პეტერბურგი დატოვა აკადემიკოსმა შარმაძემ, რის გამოც მეცნიერებათა აკადემიაში განფიცისუფლდა ადიუნქტის თანამდებობა. როგორც ვ. ვ. ბარტოლდი წერს: „ორიენტალისტების მსცოვანმა პატრიარქმა ბარონ სილვესტრ დე სასიმ, რომელიც იმხანად საფრანგეთის აღმოსავლურ ენათა სკოლას სათავეში ედგა, ბროსეს შესახებ სარეკომენდაციო წერილი გაუგზავნა მინისტრ უვაროვს. სენ-მარტენისადმი მინისტრის დავალებით დაწერილ პასუხში ფრენი გამოსთქვამდა აკადემიის დიდი ხნის ნატვრას, რომ წარმომადგენელი ჰყოლოდათ ქართულ-სომხური ლიტერატურისა. 1836 წ. ბროსე არჩეულ იქნა ადიუნქტად, ხოლო 1837 წლის ბოლოს ჩამოვიდა რუსეთში“<sup>3</sup>.

1837 წელს მარი ბროსემ და თეიმურაზმა პირველად იხილეს ერთმანეთი... პეტერბურგში ბროსეს დახვდა ქართველთა კოლონია.

<sup>1</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ — ი ბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. 1965, გვ. 138.

<sup>2</sup> გამოცემულია ს. იორდანიშვილის მიერ, თბილისი, 1945.

<sup>3</sup> В. В. Бартольд, Материалы для истории факультета восточных языков, т. IV, СПб, 1909.

რომლის საუკეთესო წარმომადგენლებს უკვე საკმარისად მოემზადებინათ ნიადაგი ქართული კულტურის კვლევისათვის. ბროსეს ხელთ ჰქონდა დავით, იოანე, თეიმურაზ და ბაგრატ ბატონიშვილების მთელი ნაღვაწი, რომელშიც ასახული იყო საქართველოს ისტორიული წარსული და უკანასკნელი ხანის თვალით ნახული გარემოებანი. ქრონიკებსა და მატრიანებში ამოკითხულ ცნობებს ბროსე ქართული კოლონიის წევრებთან სიახლოვით ივსებდა და აღრმავებდა.

ბარტოლდის სიტყვით, ქართულ-სომხური სიტყვიერების წარმომადგენლის სახით აკადემიას შესაძლებლობა ეძლეოდა ფრთები შეესხა პეტერბურგელ ორიენტალისტთა და კავკასიის ადმინისტრატორთა დიდი ხნის ოცნებისათვის<sup>1</sup>. იმავე წელს ბროსემ საგარეო საქმეთა მინისტრს ნესელროდეს წარუდგინა პროექტი ქართული კათედრის დაარსების შესახებ სააზიო დეპარტამენტის აღმოსავლურ ენათა სასწავლო განყოფილებაში.

ამავე წელს ბროსემ აკადემიის ერთ-ერთ სხდომაზე დასახა ღონისძიება ქართული კულტურის კვლევა-ძიების ფართოდ გაშლისათვის. ბროსეს საშუალებით რუსეთის მეცნიერებათა აკადემია უკავშირდება საქართველოს მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლებს: პლ. იოსელიანს, ნიკ. ქუთათელაძეს, თ. ქიქინაძეს, ს. ბარათოვს<sup>2</sup> და სხვებს, რომელთა საშუალებით აკადემია აგროვებდა ქართულ ხელნაწერებს და ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ და არქეოლოგიურ მასალებს. როგორც რ. ორბელი აღნიშნავს, „სააზიო მუზეუმის ხელნაწერთა დიდი ნაწილი წარმოსდგა ცალკეულ პირებთან ბროსეს თანამშრომლობის წყალობით: კოლექციების შემოსვლა ძირითადად ხდებოდა შემდეგ წლებში: პეტრე ქებაძის 1837—1839—1851—1852—1884 წწ.; პლატონ იოსელიანის 1838—1890 წწ.; ნ. ი. ფალავანდიშვილის — 1838 და 1884 წ.; გიორგი ავალიშვილის — 1841 წ.; თეიმურაზ ბაგრატიონის — 1847 წ.“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> В. В. Бартольд, *იქვე*.

<sup>2</sup> ბარათოვის შესახებ, იხ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. I, სოლ. ცაიშვილის შენიშვნა, გვ. 478; მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში, პუშკ. ინსტ. შრ. 1948 წ. ტ. 5.

<sup>3</sup> Р. Р. Орбели, *Грузинские рукописи института востоковедения АН СССР*, 1956, გვ. 5.

ამრიგად, ბროსემ პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე ძირითადი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ქართველოლოგებს პირველ ყოვლისა ხელთ ჰქონოდათ საკვლევეი ობიექტი, საკვლევეი მასალა.

1837 წელსავე ბროსემ აკადემიისაგან მოითხოვა ქართული შრიფტის ჩამოსხმა. შრიფტი ორგვარი უნდა ყოფილიყო: მსხვილი — ტექსტებისათვის, წვრილი კი სქოლიოსათვის.

1839 წელს აკადემიის წინაშე მან საკითხი დასვა საშუალო ზომის შრიფტის ჩამოსხმის თაობაზე, რაც აგრეთვე დაკმაყოფილებულ იქნა. წვრილი შრიფტი აკადემიამ ჩამოასხა იმ მატრიცებზე, რომელიც ბროსემ გააკეთებინა პარიზში თეიმურაზის დაკვეთით<sup>1</sup>.

1838 წელს მ. ბროსე მოსკოვში გაემგზავრა, რათა საკუთარ თვალთ ენახა და გასცნობოდა მოსკოვის ქართული კოლონიის მასალებს. ამ დროს უნდა გასცნობოდა იგი ავალიშვილის ხელნაწერთა კოლექციასაც. როგორც ე. მეტრეველი აღნიშნავს, გ. ავალიშვილს ხელთ ჰქონია ქართველ ემიგრანტთა ლიტერატურული პროდუქცია — მ. ბარათაშვილის, დ. ბაგრატიონის, მ. გურამიშვილის და დ. სააკაძის ნაწერები. მასვე ჩავარდნია ხელთ ვახტანგ VI ხელნაწერთა ერთი ნაწილიც<sup>2</sup>. ბროსემ დიდად შეაფასა გ. ავალიშვილის კოლექციის ღირებულება და აკად. ფრენს აცნობა მისი შეძენის საჭიროებაზე.

მოსკოვსა და პეტერბურგში ყოფნასთანაა დაკავშირებული ბროსეს ორი ნაშრომი: „მოსკოვში მცხოვრები ქართველების შესახებ“ და „მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის ქართული საფლავების წარწერები“.

ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ბროსემ შეადგინა ქართული მწერლობის კატალოგი, რომელიც 1837 წელს გამოაქვეყნა. მასში 100 ძეგლი იყო დასახელებული.

1838 წ. მან ახალი კატალოგი გამოაქვეყნა, რომელიც 300-ზე მეტ ნაწარმოებს ითვლიდა.

<sup>1</sup> რ. დოდაშვილი, შარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, გვ. 29.

<sup>2</sup> ე. მეტრეველი, გ. ავალიშვილი ბიბლიოფილი და კოლექციონერი. კ. ქველიძისადმი მიძღვნილი კრებული, 1955, გვ. 258. გ. ავალიშვილთან დაკავშირებით იხ. ელ. მეტრეველის მიერ ახლახან გამოცემული გ. ავალიშვილის „მგზავრობა“, 1967.

1838 წელს განათლების საპინისტროს ჟურნალში (Ж. М. Н. П.) გამოქვეყნდა მარი ბროსეს ვრცელი წერილი «Взгляд на историю и литературу Грузии». მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი ბროსემ პეტერბურგში ჩამოსვლის მეორე წელს გამოაქვეყნა, ე. ი. მისი ქართველოლოგიური მოღვაწეობის დასაწყისში. წერილში კარგად ჩანდა მარი ბროსეს დიდი სიყვარული საქართველოსა და მისი კულტურის მიმართ და ფაქტიური მასალის ის დიდი ცოდნა, რომლითაც ავტორი უკვე შეიარაღებული ყოფილა.

ამ წერილში ბროსე საქართველოს ისტორიას რამდენიმე პერიოდად ყოფს: პირველ პერიოდს იგი ქართველი ხალხის უძველესი გაღმორცემებით განსაზღვრავს და მას პრეისტორიულ პერიოდს უწოდებს.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ, — ამბობს ბროსე, — ახალი ერა იწყება საქართველოში: მირიანის მეფობის დროიდან ქრისტიანულ დოგმებში თავს იჩენს ფილოსოფია, ხოლო რელიგიური რიტუალების სიდიადე წარმოშობს საეკლესიო არქიტექტურას, მხატვრობას და სწრაფვას მეცნიერული კვლევების შესაცნობად.

ბროსე „დიად საუკუნეებს“ უწოდებს XI—XII საუკუნეებს. ეს ის დროა, როდესაც „დარუბანდიდან ტრაპიზონამდე, აფხაზეთიდან განჯის ჩათვლით ქართველი მეფეები აიძულებდნენ პატივი ეცათ მათი რელიგიისა და კვერთხისათვის. საქართველო ივსება ძეგლებით, ყველგან შენდება ტაძრები, სასახლეები და მეფეთა აკლდამები, რომელთა ნანგრევები ჟამთა სვლას დღემდე დაუცავს. ასეთი ნანგრევებია ვარძია, ქუთაისი, ციხე-დარბაზი. ჩნდებიან გენიოსები, რომელთაც ქართული ენა უმაღლეს სრულყოფამდე აჰყავთ... ეს იყო დიადი საუკუნეები საქართველოსი“.

ამავე წლებში ბროსე ეხებოდა საქართველოს ისტორიის წყაროებს. ისეთ მრავალჯერ აწიოებულ ქვეყანაში, როგორც საქართველო იყო, ამბობს ბროსე, ძნელია გადაარჩინილიყო ის უძველესი აქტები, რომლებიც ქვეყნის ისტორიას მოგვითხრობდაო. თუმცაო, დასძენდა მეცნიერი, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ზოგიერთი მათგანი მაინც გადაურჩებოდა ბობოქარ ისტორიასო. მხოლოდ დღეს, როდესაც სხვადასხვა ხალხების ისტორიის შესასწავლად გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და რუსეთის სახელმწიფო არქივები დაუღალავი მკვლევარების საშუალებით ახდენენ

უძველესი მასალების მოპოვებასა და ანალიზს, შიშვლდება ჩვენს წინ ამ ქვეყნების ისტორიული წარსული მთელი სიცხადით: ეკვი არ არის საქართველოშიც მოიპოვება ამგვარი კოლექციები, რომელთაც თავის კედლებში იცავს მტრის ხელთაგან გადარჩენილი მონასტრებიო. აცხადებდა ბროსე.


როგორც ცნობილია, ევროპელი მეცნიერები (სენ-მარტენი. კლაროტი) და მათ შორის ბროსეც, ქართლის ცხოვრების შედგენას ვახტანგ VI მიაწერდნენ. ამრიგად, ამ ძეგლის წარმოშობის თარიღად მათ XVIII ს-ის დასაწყისი მიაჩნდათ და ასე ნაგვიანევად შექმნილ წყაროს. როგორც წარსულის ამსახველ ძეგლს, ნდობას ვერ უცხადებდნენ.

როგორც კ. გრიგოლია აღნიშნავს, „მარი ბროსეს სასახლოდ უნდა ითქვას, რომ უცხოელი ავტორებიდან ის პირველი იყო, რომელმაც აღნიშნულ თეორიას კრიტიკული თვალთ შეხედა... მისი აზრით ვახტანგ VI ქართლის ცხოვრების შეთხზვა კი არა, მხოლოდ შეკრება-შედგენა შეიძლებოდა მიკუთვნებოდა. ის გულისხმობდა, რომ ცალ-ცალკე საისტორიო თხზულებანი საქართველოში ძველადვე არსებობდა. ვახტანგმა მხოლოდ ერთად შეკრიბა ისინი და კრებულს „ქართლის ცხოვრება“ უწოდა“<sup>1</sup>.

აი რას წერს ზემოდასახელებულ წერილში ბროსე ამ საკითხთან დაკავშირებით: „ვახტანგ მეფე სწორედ იმაზე მიუთითებს თავისი ისტორიის ფურცლებზე, რომ მისი შედგენისას იგი იყენებდა სხვადასხვა წიგნებსა და ქარტიებს. ეს მატრიანეები და ქარტიები არ შეიძლებოდა სრულიად გამქრალიყო, მისი ძიება შეიძლება გელათში, მცხეთაში, ნინოწმინდასა და სხვა უცნობ წიგნთსაცავებში. ისტორია არ გამოიგონება...“ კიდევაც რომ ხელში არ ჩავივარდეს ეს წყაროებიო, ამბობდა ბროსე, საქართველოს ისტორია დაწერილია მის ნანგრევთა ლოდებსა და ქვებზეო. დიდი რუსეთის საპატიო მოვალეობაა დაიცვას ეს ფასდაუდებელი საუნჯე, მასშია დაცული ქართველი ერის ისტორიის გასაღებიო.

დიდი მეცნიერი ამას წერდა 1838 წელს. საქართველოს სიძველეებში, მის ისტორიაში იგი ინტუიციით სკვრეტდა ძველი მატრიანეებისა და ძველი საისტორიო წყაროების არსებობას.

<sup>1</sup> კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 93.



დავით ჩუბინაშვილი



ალექსანდრე ცაგარელი



ამავე 1838 წელს უფრნალში «Библиотека для чтения» გამოქვეყნდა ო. ი. სენკოვსკის წერილი «Некоторые сомнения касательно истории грузинов». სენკოვსკი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი არაბული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. ამავე დროს სენკოვსკი იყო რედაქტორი უფრნალისა «Библиотека для чтения». თანამედროვენი სენკოვსკის ახასიათებენ როგორც ორიგინალურობის პრეტენზიის მქონე პიროვნებას. მის უფრნალში, სადაც სენკოვსკი სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს სხვადასხვა საკითხზე. პეტერბურგის საზოგადოება ეცნობოდა სენკოვსკის თვითნებურ, ხშირად სრულიად დაუსაბუთებელ და ზერელედ გამოთქმულ მოსაზრებებს. ზემოდსახელებული წერილიც საქართველოს ისტორიის შესახებ, წარმოდგენდა ამ საკითხზე სენკოვსკის ზერელე წარმოდგენასა და პარადოქსალური მოსაზრებების გროვას. პირველ რიგში წერილი გამოწვეული იყო ქართული კულტურისადმი იმ დიდი ინტერესით, რომელმაც მარი ბროსეს წყალობით პეტერბურგის სამეცნიერო წრეებში ადგილი მოიპოვა. სენკოვსკის წერილი ფაქტიურად მიმართული იყო მარი ბროსეს წინააღმდეგ. ამ წერილში იგი იმეორებდა მის მიერვე ადრე გამოთქმულ შეხედულებას: მე მგონია ქართველები მე-12 საუკუნემდე არ არსებობდნენო. მარი ბროსე თავისებურ მდგომარეობაშია, — ამბობდა სენკოვსკი, — ბროსეს გარდა ევროპაში არავინ არაფერი იცის ქართული წყაროების შესახებ და არავის არ შეუძლია ბროსეს ნათქვამის შემოწმება. მე თვითონ ერთი სიტყვაც არ მესმის ქართულისო. ამის შემდეგ მაინც ვისწავლიდი, — ნახევრად ხუმრობით განაგრძობდა სენკოვსკი, — მაგრამ ვიცი რა ეპოპეასა, პოემასა და რომანებთან დაკავშირებული მსჯელობის მთელი სამშენიერე და ენთუზიაზმი და არამომგებიანობა ისტორიასთან დაკავშირებული მსჯელობისა, ვშიშობ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიმშენიერით გატაცებულმა მიკერძოება არ გამოვიჩინო ვახტანგისა და ვახუშტის ისტორიის შეფასებაში<sup>1</sup>.

სენკოვსკის ნიჰილიზმი და ირონია კულმინაციურ წერტილს აღწევს „ქართლის ცხოვრებაზე“ მსჯელობისას: აღუქსანდრედან

<sup>1</sup> О. И. Сенковский, Некоторые сомнения касательно истории грузинов, Библиотека для чтения, 1838 г. гл. 133.

ბოყოლებული პეტრე დიდაძე იხინი მშვენიერად გრძნობდნენ თავს უმატიანოდ და მხოლოდ გასულ საუკუნეში, ერთ-ერთმა მეფემ — ვახტანგ VI, შეუდგინა მათ მრავალწლიანი ქრონიკა, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნემდე მოიყვანა, ხოლო მისმა შვილმა ვახუშტიმ შეამოკლა იგი და შეავსო შემდეგი ხანებით, ... სად იყო იბერია, ვინ იყვნენ იბერები და რა უფლება აქვს ქართველებს მიითვისონ ძველი იბერიის მფლობელთა სახელი, რომელსაც ისტორია იხსენიებსო, აცხადებდა სენკოვსკი.

სენკოვსკის ამგვარი დილეტანტური მსჯელობა იმ წრეში, სადაც ამდენი რამ კეთდებოდა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლის ხაზით, არც თუ დიდად დამაჯერებელი შეიძლება ყოფილიყო. როგორც ი. ი. პანაევის მოგონებაში ვკითხულობთ, „ბევრნი „ბიბლიოთეკის“ წარმატებას აწერდნენ მისი რედაქტორის ნიჭიერ ოხუნჯობას, მახვილგონივრულობასა და სითამამეს, მაგრამ მალე სენკოვსკის ოხუნჯობისა და ლაზღანდარობისადმი გაცივდნენ სწავლულები და ლიტერატორები. რედაქტორის აღმოსავლური თვითნებობა მის ყურნალს ყოველწლიურად უმცირებდა ხელისმომწერთა რიცხვს“<sup>1</sup>.

შემორჩენილია ერთი საინტერესო მოგონება სენკოვსკისთან დაკავშირებით: „პირველ ხანებში სენკოვსკის წერილები «Библиотека для чтения»-ში საზოგადოების დიდ გამოცოცხლებას იწვევდა. ენამახვილი არაბისტის სტატიები ხშირად ხდებოდა სხვადასხვა წრეების მსჯელობის საგანი. ერთხელ, ოლენინების ოჯახში, სადაც დიდი მწერალი ი. ა. კრილოვიც იყო, ლაპარაკი ჩამოვარდა «Библиотека для чтения»-ში იმ წელს (1838 წ.) გამოქვეყნებულ სენკოვსკის სტატიაზე. საზოგადოების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ სენკოვსკის ყველა დასკვნა და მოსაზრებები პარადოქსებია და სხვა არაფერი. საზოგადოების მეორე ნაწილი კი გაიძახოდა, რომ სენკოვსკი ჭკვიანი კაცია, თუმც მას არ აკლია პარადოქსალობა. ლაპარაკში ჩაერია კრილოვიც, რომელიც მანამდე ამ საუბარს ჩუმად უსმენდა: „თქვენ ამბობთ ჭკვიანიაო, თქვა კრილოვმა, ჭკვიანი კია, მაგრამ ჭკუა აქვს სულელური“.

<sup>1</sup> И. И. Панаев, Литературные воспоминания, СПб, 1888 г.

როგორც მოგონების ავტორი გადმოგვცემს, „ამის შემდეგ სენკოვ-სკის სახელი იმ წრეში აღარ უხსენებიათ“<sup>1</sup>.

მარი ბროსე იმავე 1838 წლის 2 ნოემბერს ვრცელი მოხსენე-ბით წარსდგა მეცნიერებათა აკადემიის წინაშე და გააბათილა სენ-კოვსკის დაუსაბუთებელი, ნიჰილისტური დებულებები. წერილი დაიბეჭდა „ბიულეტენ საინტიფიკში“ (ტ. 5; 1839 წ.). ხოლო რამო-დენიმე წლის შემდეგ, როდესაც მარი ბროსემ „ქართლის ცხოვ-რების“ ძველი სომხური თარგმანი აღმოაჩინა, სრულიად ნათელი შეიქნა ის გარემოება, რომ თუ „ქართლის ცხოვრება“ უკვე მეთოო-მეტე საუკუნეში სომხურად ითარგმნა, არ შეიძლებოდა იგი XVI!! საუკუნეში წარმოშობილიყო<sup>2</sup>.

ლენინგრადის ხ. E—82, რომელიც თეიმურაზს ეკუთვნის და რომელშიც ავტორი ივერიის გეოგრაფიულ სახელწოდებების გან-ხილვას იძლევა, რ. ორბელის აზრით, დაწერილია სენკოვსკის სტა-ტიის საპასუხოდ<sup>3</sup>.

როგორც თეიმურაზისა და ბროსეს მიმოწერიდან ჩანს, ბრო-სეს ჯერ კიდევ პარიზში ჰქონია სურვილი „ვეფხისტყაოსნის“ გა-მოცემისა, მაგრამ მან ეს ვერ განახორციელა. მოახერხა მხოლოდ რამდენიმე სტროფის თარგმანის დაბეჭდვა და მოკლე შინაარსის გამოქვეყნება.

პეტერბურგში ჩამოსვლის პირველსავე წლებში ბროსე თადა-რიგს იჭერს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემასთან დაკავშირებით. გა-მომცემლებმა წინასწარ შეადგინეს და ქართული კულტურის მოყვარულთ დაუგზავნეს ე. წ. პროგრამა გამოცემისა. პროგრამა

---

<sup>1</sup> В. К е н е в и ч, Рассказы об И. А. Крылове, Литературные кружки... 33. 150.

<sup>2</sup> ე. გ რ ი გ ო ლ ი ა — ახალი ქართლის ცხოვრება. 1954, გვ. 84; ამ სა-კითხთან დაკავშირებით იხ. Цагарели А. Сведения о памятниках грузинской письменности, т. I СПб, 1894. - გვ. XC; დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართვე-ლოსი, 1889 წ. თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, წინასიტყვაობა; ე. თ ა ე ი შ ე ი-ლი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბ., 1890; ი. ჭ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ძველი ქარ-თული საისტორიო მწერლობა, ტფ. 1920; ს. ყ ა უ ხ ი შ ე ი ლ ი, ქართლის ცხოვ-რება და მისი ანასეული ხელნაწერი, „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეუ-ლი ნუსხა, თბ., 1942; ილ. ა ბ ე ლ ა ძ ე, ქართლის ცხოვრება, ძველი სომხური თარ-გმანი, 1953 წ.

<sup>3</sup> რ. ო რ ბ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

მიუთითებდა გამოცემლების მიზანზე: „მიზანი ესე აღგვეპურენ ჩვენ, რათა ახლად აღვბეჭდოთ „ვეფხისტყაოსანი“, რომლისა საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილნი, გარნა მეორედ განმართული, განხილული სწავლულთა ქართველთა მიერ და შემოწმებული, რაოდენთაც შევიძლებთ პოვნასა საქართველოსა, ანუ რუსეთსა შინა და მით მივაახლოებთ ნამდვილსა“<sup>1</sup>.

ამ ღონისძიებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ის გარემოება. რომ ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში „ვეფხისტყაოსნის“ ცხრა ხელნაწერმა მოიყარა თავი<sup>2</sup>.

1841 წელს განხორციელდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა ოცნება — პეტერბურგში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. პოემის გამოცემლები იყვნენ მარი ბროსე, ზაქარია ფალავანი-შვილი და დავით ჩუბინაშვილი. ჯერ კიდევ თეიმურაზის მიერ წინასწარ შედგენილი პროგრამა „იუწყებოდა“, რომ პოემას დაერთვოდა ბროსეს წინასიტყვაობა, სადაც იგი წარმოადგენდა „სალტერატურო უწყებასა წიგნისა აზისა და აჩვენებს ღირსებასა მისსა“. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემა ვახტანგისეული რედაქციის შემდეგ არა მარტო პირველი ბეჭდური გამოცემა იყო, არამედ იგი პირველი რუსთველოლოგიური ხაზრომიც იყო, რომლის წინასიტყვაობაში პირველად იქნა თავმოყრილი და გააზრებული იმ დროს არსებული რუსთველოლოგიური მონაპოვარი. წინასიტყვაობა, ისევე როგორც ტექსტისადმი დამოკიდებულება, წარმოადგენდა „მრავალთა ქართველთა სწავლულთა“ მუშაობისა და შეხედულებათა ნაყოფს. ამ სწავლულთა შორის, როგორც ახალგაზრდა მკვლევარმა გ. შარაძემ დაასაბუთა, ერთ-ერთი საპა-

<sup>1</sup> იხ. ი. მეგრელიძე — „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემის პროგრამა, „ლიტერატურული საქართველო“, 1965. წ. 20-8.

<sup>2</sup> ლენინგრადში დაცული ხელნაწერები აღწერა და შეისწავლა ალ. კობახიძემ. იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1937 წ. № 134 — ლენინგრადის საარქივო მასალები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ალ. კობახიძის მიერ ჩატარებული ლენინგრადული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შედარება (მანქანაზე ნაბეჭდი) გასაცნობად მათხოვა პროფ. ი. მეგრელიძემ.

ტიო ადგილი თეიმურაზ ბატონიშვილს ეკუთვნის<sup>1</sup>. თეიმურაზ ბატონიშვილი რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1341 წლის გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორია, ამაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ მის მიერ გამოქვეყნებული „პროლოგამა“. ამ საქმეში თეიმურაზის უდავო დამსახურებაზე ლაპარაკობს ის მიძღვნაც, რომელიც გამომცემლებს წაუძღვარებიათ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისათვის: „მათს უგანათლებულესობას ბატონი-შვილს თეიმურაზს საქართველოს მეფის გიორგის ძეს უმდაბლესის პატივისცემისა, გულითაღის ჰადლობისა, სამართლისა ერთგულებისა ნიშნად შევაწირეთ“, ნათქვამი იყო მასში.

როგორც ჩანს, გამომცემელთა ეს გულითადი მადლობა თეიმურაზისადმი სწორედ მის უხვ რჩევებსა და კონსულტაციებს გულისხმობდა. ამით აიხსნება გამოცემის წინასიტყვაობაში თეიმურაზის ცალკეულ შეხედულებათა კვალი პოემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. ამიტომ, თუმცა საინტერესოდ და სწორად აქვს მიკვლეული გ. შარაძეს თეიმურაზის წვლილი ბროსეს წინასიტყვაობაში, მაგრამ გადაჯარბებულად მიგვაჩნია თქმა, რომ „დღეიდან „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამომცემელთა სახელებს თეიმურაზ ბაგრატიონის სახელიც უნდა მიემატოს“. იმე გამოდის თითქოს თეიმურაზს მოაქვს გამომცემლის სახელის პატივი. ბროსესა და თეიმურაზის პირადი დამოკიდებულება კი არ იძლევა ამის ფიქრის საშუალებას. გ. შარაძე იმასაც ვარაუდობს, რომ შესაძლოა თეიმურაზმა, როგორც მეფის ძემ, თვითონ არ ისურვა თავისი სახელის მოხსენიება სოციალურად მასზე დაბლა მდგომ პირებთან ერთად. შესაძლოა ეს მართლაც არ იყოს გამორიცხვად.

რაც შეეხება თეიმურაზის ნააზრევის კვალს ბროსეს წინასიტყვაობაში, ალ. ბარამიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აქ შესაძლოა მეცნიერული ეთიკის გარკვეულ საფეხურთანაც გვეკონდეს საქმე. როდესაც მეცნიერული აზრის შენ-ჩემობის მკვეთრად ჩამოყალიბებული ცნება ჯერ კიდევ არ არსებობდა“.

თეიმურაზი ბროსესთვის კონსულტანტი იყო არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებში, არამედ მრავალ სხვა საკითხში. როგორც არაერთხელ აღნიშნავდა თვითონ ბროსე. „ვეფხისტყაოს-

<sup>1</sup> გ. შარაძე — თეიმურაზ ბაგრატიონი და „ვეფხისტყაოსნის“ 1341 წლის გამოცემა, შოთა რუსთაველის, თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, 1966, გვ. 270 — 276.

ნის<sup>1</sup> 1841 წლის გამოცემაშიც, როგორც ჩანს, თეიმურაზს იგივე როლი უნდა ჰქუთენებოდა.

1842 წელს ბროსემ გამოაქვეყნა „ლეონრაფიული აღწერა საქართველომასა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკოსა ბროსეტისაგან“.

1840 წელს პეტერბურგში გამოდის დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი<sup>1</sup>.

დავით ჩუბინაშვილი, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, დასთან ერთად 1825 წ. პეტერბურგში ჩაიყვანა მათმა ბიძამ ნიკო ჩუბინაშვილმა. ბიძას არაფერი დაუშურებია ობოლი ძმისწულებისათვის, დავითი ანას სასწავლებელში განუწესებია, ევგენია კი — პეტერბურგის ერთ-ერთ ქალთა პანსიონში.

1835 წელს დ. ჩუბინაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე შევიდა აღმოსავლური სიტყვიერების განხრით. ზემოხსენებულ ლექსიკონზე მან ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაიწყო მუშაობა. დ. ჩუბინაშვილის მუშაობას ორი დიდი ხელისშემწყობი გარემოება ახლდა: ერთი მხრივ, მისი ბიძის ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკოლოგიური შრომები, რომლებსაც საკმაოდ იყენებდა ახალგაზრდა დავითი, და მეორე მხრივ, ისეთი დიდი სწავლულის კონსულტაციები, როგორც მარი ბროსე იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველად ჩუბინაშვილის ლექსიკონი ქართულ-რუსულ-ლათინურ ლექსიკონს წარმოადგენდა. პირადად ბროსეს რჩევით შემდეგ ჩუბინაშვილმა ლათინური ფრანგულით შესცვალა. ბროსესავე წარდგენით ჩუბინაშვილის ლექსიკონმა დემიდოვის პრემია მიიღო; ამ დროს ჩუბინაშვილი 23 წლის იყო.

1842 წლიდან დ. ჩუბინაშვილი ახლო ურთიერთობაშია პეტერბურგში მცხოვრებ ქართული სამეფო სახლის წევრებთან. როგორც საქმეებიდან ჩანს, ქართული სამეფო სახლის წევრებს

<sup>1</sup> დ. ჩუბინაშვილის ბიოგრაფია, მისი მოღვაწეობის მთავარი მომენტები: ჩვენებით მოცემული აქვს პროფ. ა. ცაგარელს «Сведения» ტ. III, ჩვენ სახელმძღვანელოდ გვაქვს ცაგარელის ეს ნაშრომი და შეძლებისდაგვარად ვავსებთ მას ახლად მოპოვებულ მასალებით. დ. ჩუბინაშვილის შესახებ იხ. აგრეთვე ახლანა გამოაქვეყნებული ნაშრომები: Ц. Каландадзе, Профессора-грузины в Московском и С.-Петербургском университетах. „მაცნე“, 1966, № 2; ი. მეგრელიძე — დავით ჩუბინაშვილი—მეცნიერი და რუსთველოლოგი, „მაცნე“, 1966, № 5.

მიუწვევიათ დ. ჩუბინაშვილი, როგორც ქართულ-რუსული ენების  
კარგი მცოდნე და მასთან ურთიერთობა დაუმყარებიათ. პარალე-  
ლურად დავით ჩუბინაშვილი მუშაობს მთარგმნელად სააზიო დე-  
პარტამენტში.

1844 წლიდან მარი ბროსე იწყებს ქართული ენის ლექციებას  
კითხვას პეტერბურგის უნივერსიტეტში.

1845 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში შემოიღეს ქარ-  
თული ენის სწავლების სისტემატური კურსი, რომელიც ძირი-  
თადადში განკუთვნილი იყო კავკასიელი სტუდენტებისათვის. 1845  
წელს პროფ. ცაგარელი თვლის ქართველოლოგიის განვითარების  
საუკეთესო ხანად. ეს არის ვორონცოვის მთავარმართებლობის  
ხანა საქართველოში. მის დროს დაწესდა 5 კავკასიელი ახალგაზრ-  
დის გაგზავნა პეტერბურგში სასწავლებლად სახელმწიფოს ხარჯზე.  
პეტერბურგის უნივერსიტეტში კავკასიელ სტიპენდიანტებს ამიერ-  
კავკასიური ენების საფუძვლიანი ცოდნა უნდა მიეღოთ. შემდეგში  
(1849 წლიდან) ამიერკავკასიელ სტუდენტთა რიცხვი პეტერბურგის  
უნივერსიტეტში ოცამდე გაიზარდა.

ყველა ამ მოწინავე სასარგებლო საქმიანობას, რომლებიც სა-  
ქართველოში ვორონცოვის მთავარმართებლობის პერიოდს უკავ-  
შირდება, ერთი მხრივ. მისი მოქნილი, მოხერხებული პოლიტიკა-  
ედო საფუძვლად. ხოლო მეორე მხრივ. სიყვარული ჩვენი ქვეყ-  
ნისა (ერთ-ერთ წერილში ვორონცოვი წერს მ. პ. შჩერბინინს:  
თქვენ ვერ წარმოიდგენთ ჩემს დიდ გულისტკივილს იმასთან დაკავ-  
შირებით, რომ ვშორდები ჩემს საყვარელ საქართველოს დროებით.  
და შეიძლება სამუდამოდაც!).

ამრიგად, ერთი მხრივ, საქართველოში გატარებულმა ლონის-  
ძიებამ ქართველ სტუდენტთა პეტერბურგის უნივერსიტეტში გაგ-  
ზავნის შესახებ, მეორე მხრივ, იმ გარემოებამ, რომ, როგორც  
ვთქვით, პეტერბურგში ამ დროს ქართველოლოგიური მუშაობა  
მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დადგა, პეტერბურგის უნივერსიტე-  
ტის აღმოსავლური ფაკულტეტის წინაშე დააყენა ქართული სიტ-  
ყვიერების კათედრის დაარსების აუცილებლობა. აქ სისტემატური

1 Русский архив. 1870 г. т. 4—5, Письма князя М. С. Воронцова к  
М. П. Щербинину, зв. 198.

მეცნიერული დამუშავება და სწავლება უნდა წარმოებულყო ქართული ენის, ლიტერატურისა და მისი მომიჯნავე საკითხებისა.

1845 წლის 24 იანვარს პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა პლეტნიოვმა დ. ჩუბინაშვილს აცნობა ქართული ენის კათედრაზე მისი პედაგოგად დამტკიცება და განათლების მინისტრის სახელით დაავალა ეზრუნა კავკასიელი სტუდენტებისათვის საჭირო სახელმძღვანელოს შედგენაზე. იმავე წელს დ. ჩუბინაშვილმა შეადგინა თავისი ქრესტომათია, რომელშიც გააერთიანა ძველი ქართული მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშები: ამირან-დარეჯანიანი, ვისრამიანი, ქილილა და დამანა, სულხან-საბა ორბელიანის არაკები, იოანეს, ექვთიმეს და გიორგი მთაწმინდელების ცხოვრებანი, ბიბლიური ტექსტები, ანდაზები, ვახტანგ VI კანონები და ცალკეული სიგელ-გუჯრები. კრებულს წინ უძღოდა ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობები.

ქრესტომათია გადაეცა პეტერბურგის უნივერსიტეტს, რომელმაც მისი განხილვა მეცნიერებათა აკადემიას დაავალა. ჩუბინაშვილის ქრესტომათიის განხილვა, როგორც მოსალოდნელი იყო, მარი ბროსეს ხედა წილად.

ბროსემ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა და აუცილებლად სცნო მისი დაბეჭდვა. თავის მხრივ, მან ავტორს რამდენიმე შენიშვნა წარუდგინა: რომ ჩუბინაშვილს ქრესტომათიიდან ამოეღო ცალკეული ადგილები, ბიბლიური ტექსტი დაებეჭდა ხუცური შრიფტით, ქრესტომათიაში შეტანილი რომელიმე ძველი ეთარგმნა რუსულად და რუსულადვე დაერთო ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარებ.

1846 წელს პეტერბურგში გამოვიდა დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიის ორივე ნაწილი.

ამრიგად, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას კავკასიელი სტუდენტებისათვის ხელთ ჰქონდა ისეთი სახელმძღვანელო, როგორც დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათია იყო. ვ. გრიგორაევი თავის წიგნში პეტერბურგის უნივერსიტეტის შესახებ აღნიშნავს, რომ „ჯერ კიდევ 25 წლის ახალგაზრდა ქართველმა შეძლო მშობლიური ქვეყნისა და ხალხისათვის გაეკეთებინა ამდენი რამ, რასაც ცოტა ახერხებს თვით მოხუცებულობის უამს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> В. В. Григорьев, Императорский Санкт-Петербургский университет в течение первых пятидесяти лет его существования, 1870 г.



ჩუბინაშვილის ქრესტომათიის საშუალებით მკითხველს საშუალება აქვს ეძიოს თვალთვლით ეხილოს ქართული მწერლობის თვალსაჩინო ძეგლები. 50-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის კურსს ისმენდნენ: ვასილ სარაჯიშვილი, იოსებ ციციშვილი, გიორგი წინამძღვრიშვილი, იასე ქავკავაძე, ივანე მაყაშვილი და სხვები, ხოლო 60-იან წლიდან პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს ამშვენებენ ჩვენი საამაყო სამოცანელები.

როგორც ზემოთ ვთქვით, თეიმურაზ ბატონიშვილი უკანასკნელ ხანებში კვლავ ივერიის ისტორიის წერით იყო გართული. ოცი წლის განმავლობაში წერდა თეიმურაზი ამ ისტორიას, ახალ-ახალი მასალებით ავსებდა მას, ძველ ვარიანტებს კრიტიკულად უდგებოდა. როგორც გარკვეულია, თეიმურაზის ისტორიის ძირითად წყაროს „ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტის ისტორია წარმოადგენდა. თუმცე ის ხედავდა, რომ „რომელსაც ვახტანგის ისტორიას ეძახიან, ძალიან გაუჩყვნიათ მწერალთა და ამისათვის დიდი შრომა ხამს ქეშმარიტის გამოძიებისათვის“.

თეიმურაზის ისტორიაში პირველად იქნა გამოყენებული ბერძნულ-რომაული წყაროები, რომელთაც სომხურ წყაროებთან ერთად მარჯვედ იყენებდა თეიმურაზი<sup>1</sup>.

1846 წლის 23 ოქტომბერს თეიმურაზ ბატონიშვილი გარდაიცვალა. ქართველებმა ალ. ნეველის სასაფლაოს მიაბარეს დავით და იოანე ბატონიშვილების ძმა—პირველი აწავლული ქართველოლოგი. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოსთქვა დიდად დამწუხრებულმა მარი ბროსემ.

„მოწყალენო ხელმწიფენო, შეკრებლინი ვართ ჩვენ დღეს უკანასკნელისა პატივსაცემად ერთნი მონათესავისა, სხვანი ნაცნობისა, კეთილმყოფელისა, მფარველისა და პატრონისა, მე დიდად პატივცემულისა ოსტატისა და გულით შეყვარებულისა ბატონიშვილის თეიმურაზისა მეფე გიორგის ძისა... ყოველნი აქა მყოფნი ვიცით რაგვარი იყო ბატონიშვილის მოქალაქეობა. ღვთის მოყუარე, მოწყალე გლახაკათავის, ქართველთა ვინ გინდა იყვნენ პატივის მცემელი და კეთილის მყოფელი. დღეები და წელნი ცხოვრებისა თვისისა გაატარებდა მშვიდობიანად მონათესავეთა და ნაცნობთა თარ:

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. შ. მესხიას თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ყოველთა მეგობრულად მიმღებელი, არც ამპარტავნებისა, არც მრისხანებისა და არაფერი ცუდისა ვნებისა სახე აროდეს არ მაჩვენებდა. მსახურნი მორჩილებდნენ თავის მოწყალეს პატრონსა, ნაცნობნი ყოველთვის ახალის სიხარულითა ნახამდნენ პურად კეთილსა მასპინძელსა...

რა მოგახსენო მეუღლე მათი დიდად განვითარებული თავადინა ამილახოროვნა ელენე ოტარის ასული? — მიმართავდა ბროსე თეიმურაზის მეუღლეს. — დროებისა ძლით ექსორია ქმნილ, განშორებული საქართველოდამ ფიქრობდა მარად დღე, როგორ აღადგინოს სახელი თავის ხალხისა და ქვეყანისა. დილიდან საღამომდე მკითხველი საქართველოს მატრიანეთა, ისე ისწავლა ძველი ისტორია მისი, რომ ეხლანდელს დროს ამისთანა მეცნიერებაში არა იპოება სწორი მისი.

არა მხოლოდ კითხულობდა ქართული წიგნები, თვით გადასწერდა, შეასწორებდა უცხო წიგნებსა და თავის აზრები წერილით დაამტკიცებდა. უნდოდა სიკვდილს უკან დაეტოვებია სამარადისო მოსახსენებლად თავის მამულისა. ამის ძლით მეცა მომიხუდა, ბედნიერად ნაცნობობა თეიმურაზ ბატონიშვილთან. ქართულის ენისა მოთხრობათა და სიტყვიერებათა მეძიებელი, უცხო ქვეყანაში მყოფი როგორ ვესაუფი შოვნად ამისთანა მადლისა და მეცნიერის შემწისა და მოძღვრისა! განა თუ როგორმე მოვასწარი და წინ წარვმართე საქართველო სწავლაში, თუ როგორმე მოეწონათ ქართველთა ბეჯითობისა ჩემისა მცირე ნაყოფი. ვაღიარებ მაღალის ხმით, ვემოწმები, ამისი მოვალე ვარ ბატონიშვილის თეიმურაზისა. სასაფლაო მიწის ქვეშე შეგვესმინ ბატონიშვილო ხმა სიყვარულისა ერთგულებისა მადლობისა ჩვენისა. ხორცნი თქვენი აქ დარჩება ადამიანთ გვარობის ვალითა, სული თქვენი ავიდასასუფეველში ნაწილის მისაღებად საუკუნოს სიხარულისა. სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულში ხატი და მოსახსენებელი თქვენი, შეწუხება დაკარგვისა თქვენისა<sup>1</sup>.

მარი ბროსემ ნეკროლოგიც უძღვნა საყვარელი მასწავლებლის ხსოვნას, რომელიც ჯერ „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტში“ და შემდეგ განათლების სამინისტროს ჟურნალში დაიბეჭდა.

<sup>1</sup> P. 18/115—ბროსეს. არქივი, აზიის ხალხთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, დაცულია ბროსეს სტილი.

1848 წელს მარი ბროსესა და დ. ჩუბინაშვილის მეშვეობით პეტერბურგში დაიბეჭდა თეიმურაზ ბატონიშვილის ოცი წლის მუშაობის ნაყოფი — „ისტორია დაწყებიდან ივერიისა, ე. ი. გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველომასა“.

თეიმურაზის მთელი ბიბლიოთეკა თეიმურაზის მეუღლემ ელენე ამილახვრის ასულმა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას შესწირა. თეიმურაზის პირად ბიბლიოთეკაში შედიოდა სასულიერო და საერო ხასიათის 200 და მეტი ქართული ძეგლი, საღვთისმეტყველო, საღმრთო წერილნი, პოლემიკური ხასიათის სხვადასხვა თხზულებები, საეკლესიო ისტორიები, წმიდათა ცხოვრებანი. ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული მასალები, საეკლესიო ქადაგებები, რუსეთში დაბეჭდილი ქართული ძეგლები, საქართველოს და მსოფლიო ისტორიის საკითხების შემცველი ისტორიული თხზულებანი, ქილილა და დამანა, ამირან-დარეჯანიანი, ყარაამანიანი, ვეფხისტყაოსანი, ჩახრუხაძისა და შავთელის პოემები, ბესიკ გაბაშვილის, მამუკა გურამიშვილის, დიმიტრი თუმანიშვილის, საიათნოვას და სხვათა ლექსები; აქვე იყო ქართული საკანონმდებლო ლიტერატურა, გეომეტრიული და გეოგრაფიული ხასიათის თარგმანები და თვით თეიმურაზის ნაღვაწი პეტერბურგში ცხოვრების მთელ მანძილზე.

1846 წელს პეტერბურგში გამოვიდა დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი.

1847 წელს მარი ბროსეს რეალური საშუალება მიეცა განეხორციელებინა თავისი დიდი ხნის ოცნება და ამ წლის 13 აგვისტოს იგი საქართველოში გამოემგზავრა. გაზეთმა „კავკაზმა“ ქართველ საზოგადოებას ამცნო ქართული კულტურის უანგარო მოღვაწის მარი ბროსეს საქართველოში ჩამოსვლა. თავის მხრივ ბროსემ „კავკაზსკი კალენდარში“ გამოაქვეყნა წერილი, რომლითაც ქართველ საზოგადოებას გააცნო თავისი ჩამოსვლის მიზანი და საჭირო მასალების მოწოდება სთხოვა. საქართველოში ბროსე დაუახლოვდა პლ. იოსელიანს, დ. ერისთავს (რ. ერისთავის მამას), გიორგი და ელიზბარ ერისთავებს, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს და სხვებს. ქართველი მეგობრების მეშვეობით ბროსემ თავის ფეხით მოიარა და ინახულა სვანეთში, კახეთში, ქართლში და სხვაგან შემონახული ქართული კულტურის სიძველეები, რომელ-

თაც იგი ჯერ კიდევ 1838 წელს გამოქვეყნებულ წერილში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. საქართველოში შეგროვილ მასალას და ცნობებს ჩატარებული სამუშაოების შესახებ, ბროსე პეტერბურგს აწვდიდა და ბეჭდავდა აკადემიის ორგანოში.

ბროსეს სიკვდილამდე არ დავიწყებია დავით დადიანთან გატარებული დღეები გორდში, სადაც იგი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. ბროსეს არქივში დაცული წერილები პლ. იოსელიანის, რ. ერისთავის, დიმ. ბაქრაძის, დიმიტრი მელვინეთხუცესის-შვილის და სხვ. ცხადად მოგვითხრობენ იმ დიდ და ცხოველ ინტერესზე, რომელიც მოწინავე ქართველებში აღძრა ამ უცხოელი მეცნიერის მოღვაწეობამ ქართული კულტურის სარბიელზე.

ისინი მარი ბროსეში ხედავდნენ ძალას, რომელსაც შეეძლო ქართული კულტურა გაეცნო ცივილიზებული სამყაროსათვის. იოსელიანი ერთ-ერთ წერილში წერს ბროსეს: „განვლო დუმილმან საუკუნეთა და გონებათა განიღვიძეს დასაბამად ამა დიდი ეპოქისა. ვიტყვი პირუთვნელად, გამოსჩნდით თქვენ. რასა იქმოდინ ქართველები, ვისა განაკვირვებდნენ მწერლობასა თვისსა და რომელთა ნაყოფთა მწერლობისათა და რომელთა შორის შეათარებდნენ თავსა წერილითა, უკეთუ არა გამოსჩნდებოდა ღირსებისა მათისა აღმწონი თვით ევროპასა შინა!“<sup>1</sup>. როგორც ზემოთ ვთქვით, ბროსეს საშუალებით ქართველები უკავშირდებოდნენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას და მეცნიერული წრეების ყურადღებას იპყრობდნენ. მაგალითად: ერთ-ერთ განცხადებაში აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილების წინაშე, ბროსე თხოულობს ყურადღება მიაქციონ: «Записки Кавказского отделения Императ. русского Географического общества»-ს ერთ-ერთ წიგნში დაბეჭდილ წერილს თუმ-ფშავ-ხევსურეთის გეოგრაფიულ და ისტორიულ საკითხებზე, რომელიც, ბროსეს სიტყვით, ახალგაზრდა თავად რაფიელ ერისთავს ეკუთვნის. ბროსე აღნიშნავს, რომ იგი იმსახურებს წახალისებას და მხარდაჭერას, რაც საჭიროა ავტორის შემდგომი წარმატებითი მუშაობისათვის. ასევე ბიძგს აძლევს თავის არქეოლოგიურ მოგზაურობათა დაწვეებისათვის მარი ბროსე

---

<sup>1</sup> პლ. იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესთან. ს. ყუბანეიშვილას რედაქციით, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1941, გვ. 150.

დომიტრი მელვინეთხუცესიშვილს, რომელიც აგრეთვე ბროსემ საქართველოში მოგზაურობისას გაიცნო. ბროსეს საქართველოდან გამგზავრების შემდეგ მან განაგრძო არქეოლოგიური ძიებანი და შედეგებს სისტემატურად აცნობდა ბროსეს. მათი მიმოწერაც ამ საკითხებთანაა დაკავშირებული<sup>1</sup>.

მეტად საინტერესოა დიმ. ბაქრაძის წერილებიც მარი ბროსესადმი. სხვადასხვა საკითხთან ერთად დ. ბაქრაძე ბროსესთან საუბრობს თანამედროვე მწერლობაზე. მას აინტერესებს, აპირებს თუ არა ბროსე „კაცია ადამიანის“ თარგმნას ფრანგულად. როგორც წერილიდან ჩანს, დომიტრი ბაქრაძეს თხზულების სათაური სწორად ვერ გაუგია და „კაცი“ საკუთარ სახელად მიუჩნევია. შემდეგ წერილში დ. ბაქრაძე ბროსეს აცნობებს თვით ილიას განმარტებას თხზულების სათაურის შესახებ. რომ უნდა დაიბეჭდოს არა კაცია ადამიანი, არამედ კაცი ა ადამიანი. რომ ავტორს ამ სათაურით უნდა გამოხატოს აზრი „კაცია? ადამიანი?“<sup>2</sup>.

რომ ბროსეს უთარგმნია „კაცია ადამიანი“, ეს ჩანს მის არქივში შემონახული თხზულების ფრანგული ფრავმენტებიდან.

მარი ბროსე ქართული კულტურით დაინტერესებულ ქართველ ახალგაზრდებში აღვივებდა ძიების წყურვილს, შთააგონებდა მათ ეშრომათ თავიანთი ქვეყნის სადიდებლად. „იმედი მაქვს არ დაგავიწყდებათ საქართველოს სიძველეთა მეგობრობის სიყვარული და შემწე იქნებით ამაში არა მხოლოდ სურვილით და შრომისა ჩემისა, ნამეტნავის მამულის თქვენისა დიდებისა და სახელისა“ — სწერდა ბროსე დიმ. ბაქრაძეს.

ყურადღებას იპყრობს რ. ერისთავის ერთი წერილი ბროსესადმი, რომელშიც რაფიელი ვახტანგ VI ერთად რუსეთს გადასახლებული ერთ-ერთი ერისთავის შთამომავლებზე ცნობის მოწოდე-

---

1 იხ. შ. ხანთაძე — დომიტრი მელვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, საისტორიო მოამბე, VI.

2 აღსანიშნავია, რომ „კაცია ადამიანის“ სათაურის ზუსტად ამგვარი გაგება მოცემული აქვს ა. ბარამიძეს თავის წერილში — „ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები“. დ. ბაქრაძის წერილში მოტანილი ილიასეული განმარტება სათაურისა ადასტურებს თხზულების სათაურის ისეთ წაკითხვას, როგორსაც ა. ბარამიძე იძლევა. იხ. საიუბილეო კრებული—ილია ჭავჭავაძე. 1957, „ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, გვ. 27—57.

ბას სთხოვს მარი ბროსეს. რაფიელი წერს: „დავით, ძმა სარიდანისა თავის შვილით სტეფანეთი მეფე ვახტანგს გადაჰყოლიან იმჟამად რუსეთს. დავით იქ შესულა სამსახურში და ოსმალების ბრძოლაში ოჩაკოვის ქალაქთან მოუკლავთ. სტეფანეც, შვილო მისი აღიზარდა რუსეთს, შევიდა სამსახურში და მსახურებდა 44 წელი, ღენერალ-მაიორი იყო და 1800 წ. დაუტოვა სამსახური და ღენერალ-ლეიტენანტი გამოვიდა. 1805 წ. გარდაიცვალა და დარჩა ცოლი სამი ობლითურთ, ხოლო აღარ ვიცი ისინი რა იქნენ და ცოცხლები არიან თუ არა?¹“. ბროსეს რაფიელის თხოვნა დაუქმყოფილებია და მისთვის უცნობებია, რომ ერთი იმ ერისთავთაგანი არის პეტერბურგში მცხოვრები დიმიტრი ერისთავი. ეს ის დიმიტრი ერისთავია, რომელიც პუშკინის ამხანაგი იყო ლიციეიდან. 1836 წელს მან გამოაქვეყნა «Словарь о святых, прославленных в российской церкви, и о некоторых сподвижниках благочестия местночтимых». როგორც გ. ლეონიძე წერს, „თავის დროზე ამ ნაშრომმა დიდი შეფასება მიიღო. აღსანიშნავია, რომ მას რეცენზია მიუძღვნა „სოვრემენიკში“ — თვით ა. პუშკინმა, რომელმაც ნაშრომი დიდად საჭიროდ და მნიშვნელოვნად მიიჩნია. დ. ერისთავი იყო აგრეთვე ენციკლოპედიური ლექსიკონის ერთ-ერთი თანამშრომელი“².

როგორც მოსალოდნელი იყო, დიმიტრი ერისთავი ლიტერატორთა იმ წრეში ტრიალებდა, რომლის დამამშვეენებელი თვით პუშკინი იყო. როგორც რ. ერისთავის წერილიდან ჩანს, ბროსეს საშუალებით რ. ერისთავს უცდია მასთან კონტაქტის დამყარება. ბროსეს თხოვნით დიმიტრი ერისთავს წერილიც გაუგზავნია რაფიელ ერისთავისთვის „რომლითა ვსცან, რომ ჩვენი ნათესავი ყოფილა და მარიამობისთვის წიგნიც მიეწერე, მაგრამ პასუხი არც მაგათ მომწერეს, არ ვიცი რა მიზეზია“; — კითხულობს რაფიელ ერისთავი. შემდეგ წერილში კი უკვე გამოსტყვივის გულისტკივილი და საყვედური გადაგვარებული წინაპრის მიმართ. რაფიელი წერს ბროსეს: „დი-

1 აზიის ხალხთა ინსტიტუტში დაცული ბროსეს არქივიდან. რ. ერისთავის წერილებთან დაკავშირებით იხ. შ. ვაშაყმაძე, რ. ერისთავის წერილები აკადემარი ბროსესადმი, ლიტ. ძიებანი, IX, 1855 წ., გვ. 409—425.

2 გ. ლეონიძე, პუშკინის ახლობელი ქართველები, „ლიტ. საქართველო“, 1937, № 5.

მიტრი ერისთავისას მიზრძანებთ იშვიათად ვხედავო. აქამომდენაც რომ გაწუხებდით იმისიც მრცხვენიან ჰემმარიტათ, ახლა ნულარ შესწუხდებით. მე მაგათ წიგნი მოვწერე და ჩვენი სახლუელი საგვარეულო ქალაღდების პირი გამოუგზავნე, რათა დამემტკიცებინა ჩვენი მაგათთან ნათესაობა და თუ შეეიტყობდე მიუღია თუ არა ის წიგნი, კარგი იქნებოდა. თუ მიუღია და არა ჰსურს ჩვენთან ცნობა და მიწერ-მოწერას თაკილობს, ნება მაგათი იყოს, არც ჩვენთვის არის ძრიელ საჰირო“. ეს დიმიტრი ერისთავი სწორედ ის თაობაა, რომელზედაც წინა თავში ვლაპარაკობდით, მას აღარაფერი აკავშირებს საქართველოსთან.

პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში ბროსე დაუბრუნდა „ქართლის ცხოვრების“ თარგმნისა და გამოცემის საკითხს. 1819 წელს ბროსემ გამოსცა: „ქართლის ცხოვრება, დასაბაროთგან მეათცხრამეტე საუკუნემდის“. მას თან მოჰყვა ამავე ნაწილის ფრანგული თარგმანი. ნაშრომს მესამე ნაწილად ერთვოდა დამატებები და კომენტარები<sup>1</sup>.

პეტერბურგის სამეცნიერო წრეებში დიდი ავტორიტეტის მქონე მარი ბროსე დაკავებულია სხვადასხვა სამეცნიერო შრომების რეცენზიებით და ცალკეული თარგმანებით, რომლებიც მას ბოლომდე არ მიუყვანია.

1855 წელს დაიწერა მისი «Очерк критической истории Грузии» და 1851 წელს გამოიკა «Переписка грузинских царей с российскими государями».

როგორც ცნობილია, 1879 წლის 6 მაისს მოხუცებული და დაავადმყოფებული მარი ბროსე უკანასკნელად დაესწრო აკადემიის სხდომას, ხოლო 1880 წელს 20 მაისს ოჯახითურთ მშობლიური საფრანგეთისაკენ გაემგზავრა. იმავე წელს ქართველ საზოგადოებას „დროებამ“ მწუხარებით აუწყა: „დროების რედაქცია მოიწვევს ყოველთა ქართული მწერლობის ისტორიის მოყვარეთა სიონის სობოროში დღეს, ხუთშაბათს, 4 სექტემბერს 12 საათზე, რათა დაესწრნენ პანაშვიდს მარი ივანეს ძე ბროსესას, რომელიც გარდა-

---

<sup>1</sup> ბროსეს მუშაობაზე „ქართლის ცხოვრების“ საკითხებთან დაკავშირებით იხ. შ. ხანთაძის ახლახან გამოქვეყნებული ისტორიოგრაფიული ნარკვევი „მარი ბროსე“, 1966 წ.

იკვალა ქ. შატერლოში, საფრანგეთს<sup>1</sup>. პანაშვიდზე სიტყვა წარმოთქვა არქიმანდრიტმა გრიგორიმ, რომელიც ბროსეს ცხოვრებას იმ მისიონერთა ცხოვრებას ადარებდა, „რომელნიც სტოვებენ სამშობლო მიწას და მიდიან კიდიდან კიდემდე სოფლისა, რათა აუწყონ სახარება უფლისა. ამანაც, ამ ქვეშარიტების მოციქულმა დაუტევა საფრანგეთი—თავისი სამშობლო. მაგრამ მაცხოვრისაგან იზად დატოვებული ქვეშარიტების გასაფენად კი არა, ისტორიისა დროებისაგან მიფარებული ქვეშარიტების საძიებლად“, ამბობდა არქიმანდრიტი გრიგოლი თავის სიტყვაში.

პანაშვიდი გადაიხადეს ქუთაისშიც, კათოლიკეთა ეკლესიაში. კათოლიკე მრევლი სულგანაბული ისმენდა გიორგი წერეთლის გულმხურვალე სიტყვას: „ვინ არის ეს დიდებული მიცვალებული, რომელმაც თავის კუბოს წინ შეგვაერთა და აგვატირა ორი ღვიძლუ ძმები სარწმუნოების გამო ამდენის ხნით ერთმანეთზე დაშორებული?“

ეს არის სახელ-განთქმული საქართველოს მეისტორიე მარი ბროსე, გვართ ფრანცუზი, სარწმუნოებით კათოლიკე, გულით ქართველი და ქველ-მოქმედებით კაცობრიობის წარჩინებული წარმომადგენელი<sup>2</sup>. ასე იწყებდა თავის სიტყვას გიორგი წერეთელი.

პეტერბურგის, მოსკოვის, პარიზის, ბერლინის, თბილისის სხვადასხვა საზოგადოება გლოვობდა თავიანთ აქტიურ წევრსა და დიდ ორიენტალისტს, ხოლო პეტერბურგში მცხოვრები ქართველები დასტიროდნენ მათ კეთილისმყოფელს და ჭირისუფალს<sup>3</sup>.

თავის ერთ-ერთ წერილში, რომელიც ნ. მარმა ბროსეს დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნა, მან მოგვცა ერთგვარი შეჯამება მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებლის დიდი მოღვაწეობისა და მეცნიერული ქართველოლოგიის ამ ხანის ავ-კარგზედაც თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა. მარმა ხაზგასმით აღნიშნა

<sup>1</sup> „დროება“, 1880, № 186.

<sup>2</sup> „დროება“, 1880, № 192.

<sup>3</sup> ბროსეს არქივში შემორჩენილი მთელი რიგი სამგლოვიარო განცხადებები ლუარსაბ იულიანის ძე ბაგრატიონის, მარიამ კაციას ასულ იმერეთის დედოფლის, ბაგრატ ბატონიშვილის შვილების, ფარნაოზ ბატონიშვილისა და სხვათა მიუთითებენ იმაზე, რომ ბროსე პეტერბურგში გარდაცვლილ ქართველთა მულმივი დამტარებელი იყო.



ბროსეს სიკვარული ქართული კულტურისა, მასი როლი, როგორც პირველი ქართველოლოგიისა და მისი მოღვაწეობის ჩრდილოვან მზარეებსაც შეეხო.

ერთ-ერთ ასეთ ნაკლად მარმა დასახელა ის, რომ ბროსემ ევროპაში ვერ შექმნა სკოლა, მას არ გამოუჩნდნენ ამ საქმის გამგრძელებელნი. აქ მარმა ბოტლინგის მიერ ბროსეს მიმართ გამოთქმული ფრაზაც მოატანა, რომ „ბროსემ ისე გაღმარაყრავა და დასცალა ქართული სელსაწერების საცეე ტომარა, რომ შიგ ალარავერი დასტოვა რაიფე ინტერესის შემცველიო“<sup>1</sup>. რა თქმა უნდა. შ. ძიძიგურის სიტყვები რომ გაეიმეოროთ „ქართული სელსაწერებით აღსაესე ტომარა გაცილებით უფრო ტყეაღია, ვიდრე ეს ქართველმცოდნეობის გარეყრაზე ბოტლინგს წარმოედგინა და მისი დაცლა არ შეეძლო ერთ მეცნიერს, თუნდა ისეთი ღაპანაზონის მკვლევარს, როგორიც აკად. ბროსე იყო“<sup>2</sup>, მაგრამ ერთი რამ მაინც აუცილებლად უნდა აღინიშნოს: მარი ბროსე არ თვლიდა, რომ მან ყველაფერი გააკეთა და გამოიკვლია ქართველმცოდნეობაში. „დარწმუნებული ვარ და ქეშმარიტებით ვაღიარებ, რომ რაც მიქნია იმისი ათასჯერ მეტი დარჩა საქნელად შემდეგთა ჩემთა საქართველოს მოყვარულთა მიერ... ძალიან დაებერდი და ამისათვის მწაღიან. რომ ყმაწვილებმა გაათაონ ჩემგან დაწყებულები<sup>3</sup>, სწერდა ბროსე დ. ბაქრაძეს.

ნ. მარმა ბროსეს მუშაობის მეთოდის ნაკლად მიიჩნია ისიც, რომ ბროსე ქართული კულტურის საკითხებს შეისწავლიდა იზოლირებულად, აღმოსავლეთის და დასავლეთის მეზობელი ქვეყნების წარსულისაგან მოწყვეტით, ამიტომ ნაციონალურ ჩარჩოებში მოქცეული ქართული კულტურის საკითხები ვერ შეიჭრა ევროპელ მეცნიერთა ინტერესებშიო<sup>4</sup>.

ეს კი სწორედ ის ნაკლი იყო, რომელიც ახასიათებდა არა მარტო ბროსეს, არამედ საერთოდ იმ დროის ქართველოლოგიას. ამ მხრივ მხოლოდ ნ. მარმა მოახერხა დასავლეთისა და აღმოსავლეთის

<sup>1</sup> Н. Марр, К столетию со дня рождения М. И. Броссе — З. В. О. И. Р. А. О, 1902 т., XIV, вып. II—III.

<sup>2</sup> შ. ძიძიგური, ნიკო მარი — ქართული კულტურის მკვლევარი, 1964, გვ. 13 — 14.

<sup>3</sup> ბროსეს წერილი დ. ბაქრაძისადმი, ბროსეს არქივიდან.

<sup>4</sup> ამასვე უთვლიდა მთავარ ნაკლად მარი ა. ხახანაშვილსაც.

ქვეყნების მწერლობასთან მკიდრო ურთიერთობაში ქართული ფილოლოგიისათვის თავისი ადგილი მიეკუთვნებინა.

ბროსეს გარდაცვალების დროს პეტერბურგში მეცნიერულ ქართველოლოგიას მხოლოდ ერთადერთი მოამაგე დარჩა, ეს იყო დავით ჩუბინაშვილი. დავით ჩუბინაშვილი 80-იან წლებში უკვე მრავალი მნიშვნელოვანი შრომის ავტორია: ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი (სპბ. 1840 წ.), რუსულ-ქართული ლექსიკონი 1846, სპბ, „ქართული ენის ქრესტომათია ორ წიგნად“, I გამოცემა 1846 წ., II გამოცემა 1863 წ., „ქართლის ცხოვრება დასაბამი-თგან შეათხზარამეტე საუკუნემდის“, II, 1854 წ.: „ქართული ენის მოკლე გრამატიკა“, 1855 წ., „სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე-სი-ცრუისა“, 1859 წ., „ვეფხისტყაოსანი“ — კომენტარებითურთ — 1860 წ., „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, — 1886 წ. (გამეორდა 1854 წლის გამოცემა), „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, 1887 წ., (გამეორდა 1840 წლის გამოცემა. ფრანგული განმარტებების გა-რეშე).

დ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობას პეტერბურგის სამეცნიერო წრეებში დიდი გამოხმაურება ახლდა თან. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წერილები დაიბეჭდა „ისტორიჩესკი ვესტნიკში“, „მოსკოვსკიე ვედომოსტში“, „ნოვოე ვრემიაში“, ბო-ოგრაფიულ ლექსიკონში და სხვა გამოცემებში.

დ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობა იმ დროს დაემთხვა, როდესაც ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეცნიერულ-კრიტიკული აზრის შემუშავება იწყებოდა. ქართული საზოგადოებრიობა დიდად აფასებს დ. ჩუბინაშვილის სასარგებლო საქმიანობას, მის როლს ქართული მწერლობისა და კულტურის შესწავლის საქმეში, მაგრამ არც მთლად უკრიტიკოდ იღებს მის მეცნიერულ პროდუქციას. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ის დისკუსია ქართული ენის საკითხებზე, რომელიც მისმა „ქართული ენის გრამატიკამ“ გამო-იწვია.

დ. ჩუბინაშვილის ზემოაღნიშნული ნაშრომი განკუთვნილი იყო სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ, რის გამოც სახელმძღვა-ნელოთა კომიტეტმა დ. ჩუბინაშვილის ნაშრომის განხილვა ენის განყოფილების თავჯდომარეს დიმიტრი ყიფიანს დაავალა. დიმიტრა ყიფიანი ხაზს უსვამდა რა ჩუბინაშვილის საერთო დამსახურებას,

აღნიშნავდა, რომ ვინაიდან ჩუბინაშვილის გრამატიკა განკუთვნილია სასწავლო სახელმძღვანელოდ, იგი საჭიროდ თვლის გასწორდეს მთელი რიგი დებულებანი, რომელთა მიყენება არ უხერხდება თანამედროვე ქართულ ენასო. მიუხედავად იმ დიდი პატივისცემისა, რომლითაც მე გამსჭვალული ვარ ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერის — მარი ბროსესადმი, — ამბობდა დ. ყიფიანი, — არ მიმაჩნია სწორად მარი ბროსეს მხარდაჭერა დ. ჩუბინაშვილისადმი კერძოდ მოთხრობითი ბრუნვის საკითხთან დაკავშირებითო. დ. ყიფიანი ერთვჯერ გაკვირვებას გამოსთქვამდა ბროსეს მიმართ: ბროსემ პირად საუბარში განაცხადა, რომ დღევანდელ სალაპარაკო ენაში იგი არ უარყოფს მოთხრობითი ბრუნვის არსებობას (უარყოფს მას მხოლოდ ძველ ქართულ ენაში), ხოლო ჩუბინაშვილის გრამატიკაში ჩვენ ხელახლა ვხვდებით მოთხრობითი ბრუნვის უარყოფას, რომელსაც კვლავ ეთანხმება მარი ბროსეო. იქნება გრამატიკის ფილოსოფიის მიხედვით მართლაც სადავო იყოს ეს ბრუნვა, მაგრამ ან ბრუნვის მოსპობით ქართველები ერთმანეთს ველარაფერს გავაგებინებთო: ბატონი მდივანბეგი დაიბარა, თოვლი ზამთარი მოიტანა, ჩაჩანი ლეკი გააპარა, კიკოლა თევდორე გალახა“. — განა ამგვარი წინადადებებით შეიძლება კაცმა გაიგოს რისი თქმა გასურსო?<sup>1</sup>

ა. ცაგარელი თავის წიგნში ვრცლად განიხილავს დ. ჩუბინაშვილის „გრამატიკის“ თაობაზე შექმნილ დისკუსიას და მას თბილისსა და პეტერბურგს შორის ატეხილ პოლემიკას უწოდებს. ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ პაექრობას, როგორც გარკვეულ საფეხურს გრამატიკული აზროვნების განვითარებაში, ხოლო დ. ჩუბინაშვილის მოკლე „ქართული ენის გრამატიკას“ ახალი ქართული ენის საუკეთესო სახელმძღვანელოდ თვლის. შემონახულია ბროსეს მიერ 1855 წელს დაწერილი რეცენზია ჩუბინაშვილის გრამატიკაზე. მკვლევარი ლაპარაკობს, რომ ჩუბინაშვილის გრამატიკა თუმცა არ არის მიღებული როგორც სასწავლო სახელმძღვანელო, საყურადღებოა როგორც ყოველმხრივი გამოკვლევა ქართული ენისა, შეფარდებულია ქართველების დღევანდელ სასაუბრო ენასთან და დაზღვეულია იმ „ზედმეტობისაგან, რომლითაც ხასიათდებოდა ადრინდელი გრამატიკები“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> А. Цагарели, Сведения, I, вып. III, гл. 98-99.

<sup>2</sup> Л. Отд. Архива Академии наук СССР, разр. оп. I—Б — № 39.

ჩუბინაშვილის გრამატიკას, როგორც იმდროინდელი პრესა გვიჩვენებს, არაერთი მოწინააღმდეგე გამოსჩენია არასპეციალისტ მკითხველთა წრეშიც. მაგალითად: 1857 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა უცნობი ავტორის რეცენზია დ. ჩუბინაშვილის გრამატიკის შესახებ. ავტორი, შეიძლება ითქვას, ვერ ერკვევა გრამატიკის საკითხებში. ჩუბინაშვილის თვალსაზრისის მოთხრობითი და სახელობითი ბრუნვის ერთი და იგივეობის შესახებ და სხვა მთელ რიგ ჩუბინაშვილისეულ ინტერპრეტაციებს იგი იმით ხსნის, რომ ჩუბინაშვილს ოცდაათი წელია საერთო არა აქვს ქართულ ენასთან. ამის საპასუხოდ ვაზ. «Кавказ»-ის 1857 წლის № 48-ში დაიბეჭდა დ. ჩუბინაშვილის წერილი, რომელშიც ავტორმა კონკრეტული პასუხი გასცა მისადმი წამოყენებულ ბრალდებებს. დ. ჩუბინაშვილის ამ წერილს უდავოდ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მისი გრამატიკული აზროვნების გასათვალისწინებლად<sup>1</sup>.

„ცისკრის“ 1865 წლის № 7-ში დაიბეჭდა მღვიმელის წერილი „ჩვენი დროის მწერლები“. ავტორი ლაპარაკობს ძველი და ახალი სალიტერატურო ენის შესახებ. წერილში ერთგვარად იგრძნობა მამათა და შვილთა ბრძოლის გამოძახილი. ავტორი აკრიტიკებს დ. ჩუბინაშვილს, რომლის მიმართ ნათქვამია: „ენის სიმდიდრე და განსაზღვრა ახალს მოთხოვნილებასთან ზოგიერთებს ენის დაკარგვად მიაჩნია. როცა პირველი კაცი იყო ქვეყანაზედ გაჩენილი. მაშინ იმან ის ორიოდ სიტყვა იცოდა, რაც მხოლოდ მისი ცხოვრებისთვის უფრო საჭირო იყო. მაგრამ როცა იმის ცხოვრებამ უფრო და უფრო საჭიროება მოითხოვა და ამ საჭიროების გამოთქმისთვის აზრი და ენა იყო საჭირო, მაშინ ენამაც უფრო და უფრო სივრცელე მიიღო, ასე რომ ეს ჩვენი ნამდვილი ქართული ენა, როგორც დაიბადა ჩვენი მამა-პაპები, დედის მუცლიდგან კი არ გამოყოლიათ, მერმეთ ისწავლეს ჩემო ძმებო და ბატონებო! ასე რომ, პირველი კაცის ენის ცოდნა, თუმცაღა გამოსადეგი იყო შვი-

---

<sup>1</sup> ამ პოლემიკისა და დ. ჩუბინაშვილის გრამატიკის მეცნიერული ანალიზი მოცემულია აკად. ა. ჩიქობავას წიგნში იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, 1965 წ. იხ. აგრეთვე ახალგაზრდა მკვლევარის თ. ღვინაძის წერილი — დავით ჩუბინაშვილი გრამატიკოსი, დაბეჭდილია თეზისები.

ლისთვის, მაგრამ სურვილის დამაკმაყოფილებელი კი არ იყო შვილის-შვილისშვილისათვის და ასე ჩვენამდის, როცა ჩვენი აზრი და მოთხოვნები ვრცელდება, მაშინ ჩვენი ენაც მდიდრდებაო“, წერს ავტორი. ამის შემდეგ ავტორი გადადის საკითხზე „რატომ დ. ჩუბინაშვილმა თავის ქრესტომათიაში ადგილი არ მისცა ახალ დროის მწერლებს“ — ამ საკითხზე მსჯელობისას ავტორი მეორე უკიდურესობაში ვარდება და ძველი ქართული მწერლობის განქიქებამდე მიდის<sup>1</sup>.

1865 წლის „ცისკრის“ მე-9 ნომერში მოთავსებული ბიბლიოგრაფიული ცნობები ეხებოდა უკანასკნელ ხანებში გამოსულ წიგნებს და მათ შორის ჩუბინაშვილის ქრესტომათიასაც. როგორც წინა რეცენზენტი, ეს უკანასკნელიც ქრესტომათიის ავტორს დიდ ნაკლად უთვლიდა, რომ მასში გ. ერისთავის „შეშლილის“ გარდა შეტანილი არ იყო არც ერთი ახალი დროის მწერლის ნაწარმოები. „დავიჭერთ ისე წახნა და დაეცა ჩვენი დროების ქართული ენა. რომ არავინ ამ დროების მწერალი ღირსი არ არის იმის ენა დედნად იხმარონ რომელიმე ახალ მოზარდ მწერლებმაო“? — კითხვლობდა ავტორი. ახალი თაობისადმი და მწერლობისადმი უყურადღებობას სწამებს დ. ჩუბინაშვილს 1811 წლის „შრომის“ მე-8 ნომერში დაბეჭდილი წერილის ავტორი ა-ს. იგი აღწერს 80-იან წლებში მისი პარიზიდან პეტერბურგში ჩასვლის ამბავს, ჩუბინაშვილთან და ბროსესთან მისვლას. ავტორი უპირისპირებს ჩუბინაშვილისა და ბროსეს თვალსაზრისს ახალი ქართული მწერლობის შესახებ: „პირველად მივედ ბატონ დ. ჩუბინაშვილთან, როგორც ჩვენებურს კაცთან. მან სწორედ ქართულის გულწრფელობით და სტუმრის მოყვარეობით მიმიღო. დიდათ საინტერესო იყო მისი მუსაიფი მისს კაბინეტში ჩვენის თვითარსებობის დროის სხვადასხვა მწერლებზედ და ისტორიულს პირებზედ: ანტონ კათალიკოსზედ, დ. რექტორზედ, ბ. გაბაშვილზედ და სხვ... რამდენად სასიამოვნო და საინტერესო იყო ბატ. ჩუბინოვის საუბარი უწინდელს დროზედ, ვერ წარმოიდგენს კაცი რა სასოწარკვეთილება და უიმედობა იხატებოდა ბატ. ჩუბინოვის სიტყვებში, როცა იგა

<sup>1</sup> მღვიმელის ამ წერილის შესახებ იხ. ლ. ასათიანი — ცხოვრება ა. წერეთლისა, გვ. 215; ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, თბ., 1966, გვ. 358 — 372.

ახლანდელს ჩვენს მდგომარეობაზედ და მწერლობაზედ ლაპარაკობდა“, წერს ავტორი. ჩუბინაშვილის შემდეგ მას ბროსე მოუნახულებია: „ეს კაცი პირველის შეხედვით სრულიად უძლურს გავადა მოხუცებულობისაგან, მაგრამ როცა ეს მოხუცი თავის საგანზედ დაიწყებდა ლაპარაკს, ისე გამოცოცხლებოდა და იმნაირს აღტაცებაში შედიოდა, კაცს ეგონებოდა თითქოს ოცი წლის კაცთან ვმუხაიფობო... საკვირველი კიდეც ის იყო ჩემთვის, რომ ბროსესა და ჩუბინოვის აზრები დღე და ღამესავეთ მეჩვენა. ბროსე დიდის ინტერესით და იმედით ხედავდა ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას: მე დიდად მოხარული ვარო, — მითხრა მან, — რომ ქართველები ნელ-ნელა იღვიძებენ და თავის უწინდელის ცხოვრების შესწავლას და თან ახლანდელის გაუმჯობესებას სცდილობენო. თქვენ ახლა თქვენში გყავთო იმისთანა კაცები, რომელნიც თქვენს უწინდელს ცხოვრებას მეცნიერულად იძიებენო. მაგალითად მოიყვანა დიმ. ბაქრაძე, რომლის არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აქარაში იბეჭდებოდა მაშინ... ბევრი რამ მელაპარაკა კიდეც ბროსემ ჩვენს ახლანდელ მდგომარეობაზედ. მის სახლიდან მე სასიამოვნოდ აღვლევებული გამოვედი... ვფიქრობდი გუნებაში თუ რად უნდა ჰქონდესთ ამ ორს ჩვენის ისტორიის მცოდნეს ბ. ბ. ჩუბინოვს და ბროსეს ეგრე სხვადასხვა აზრი ახლანდელს ჩვენს მდგომარეობაზედ მეთქი. რატომ ბ. ჩუბინოვი და არა ბროსე შეჰყურებს ასე სასოწარკვეთილებით ჩვენს აწმყოსა და მომავალს მეთქი?“ როგორც წერილის ავტორი წერს: „გავიდა რამდენიმე წელიწადი და მე კიდეც ენახე ბ. ჩუბინოვი აქ, ქუთაისში, მისდა საპატიოდ გამართულს ნადიმზედ... ჩემს კითხვაზედ ახლა კი უფრო ცხადი პასუხი გავიგონე ბ. ჩუბინოვისაგან. მის სიტყვებს ყოველივე მონადიმე უნდა დაერწმუნებინა თუ რად უყურებს იგი ასე სასოწარკვეთით ახლანდელს ჩვენს მწერლობას: ჩვენს ენას გრამატიკული ფორმები ძლიერ კარგად აქვს შემუშავებულიო—თქვა ჩუბინოვმა ნადიმზედ; ამ ფორმების შეცვლა და გასწორება საჭირო არ არისო, ქართულ ენას ახალს სიტყვებს თუ შევემატებთ საჭიროების დაგვარად, თორემ სხვაფრივ არავითარი ცვლილება არ ესაჭიროებაო“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „შრომა, 1881, № 4.

წერილიდან არ ჩანს რაში მდგომარეობს ჩუბინაშვილის „სასოწარ-კვეთა ეხლანდელი ჩვენი მწერლობით“.

ამრიგად, ერთი მხრივ, 60-იან წლებში სპეციალისტებს შორის ატეხილი პოლემიკა ჩუბინაშვილის გრამატიკის თაობაზე, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ხშირად პოულობს გამოხატულებას 60 — 70-იანი წლების ქართული პრესის ფურცლებზე, ჩუბინაშვილს, მიუხედავად მისი დამსახურებისა, ბრალს დებდა, ერთი მხრივ, ცოცხალი სასაუბრო ენის კანონების გაუთვალისწინებლობაში და, მეორე მხრივ, გულგრილობაში, რომელსაც თითქოს იჩენდა მსცოვანი პროფესორი თანამედროვე ქართული მწერლობის მიმართ. მაგრამ ამგვარ შეხედულებათა საპირისპიროდ იმავე ხანებში იბეჭდება და წარმოითქმის მრავალი სიტყვა, რომლებშიც განხილულია დ. ჩუბინაშვილის დეაწლი სამშობლო ქვეყნის მიმართ. ამ ავტორთა რიცხვში არიან ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვანი, რომელთა პირად ნაცნობობას დ. ჩუბინაშვილთან საფუძველი ჰერ კიდევ პეტერბურგში ჩაეყარა.

ა. წერეთელი სიამოვნებით იგონებდა „ცისკარში“ ლექსის „საიდუმლო ბარათის“ გამოქვეყნების ისტორიას მისი პეტერბურგში ყოფნის დროს. როგორც თვით გვიამბობს. რუსეთში მყოფი ახალგაზრდა აკაკი დ. ჩუბინაშვილმა სახლში მიიწვია და შთაბეჭდილება გაუზიარა, რამაც დიდად გაამხნევა მომავალი პოეტი.

ცნობილია, რომ დ. ჩუბინაშვილის ხელიდან პეტერბურგის ქართველებმა გარდაცვლილი სალომე ბატონიშვილის ქართული წიგნებისა და ხელნაწერთა მთელი კოლექცია<sup>1</sup> მიიღეს, რომელიც თავიანთი ქვეყნიდან დაშორებულ ქართველ სტუდენტობას საშუალებას აძლევდა გაეღრმავებია თავისი ცოდნა ძველ ქართულ მწერლობაში. ძირითადად ეს კოლექცია დაედო საფუძვლად სამოციანელთა ქართულ ბიბლიოთეკას, რომელიც პეტერბურგელმა სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს.

უკვე ღრმად მოხუცი დ. ჩუბინაშვილი დიდი მეგობარი და ხშირი დამსწრე იყო ახალგაზრდა ქართველთა შეკრებისა პეტერბურგში. „ეხლაც თვალწინ მიდგას ეს პატარა ტანის მრგვალი კაცი,

<sup>1</sup> А. Цагарели, Сведения, гл. 186—187.

გაუქრობელი პაპიროსით ხელში და ტკბილად მამაშვილურად მოსაუბრე“<sup>1</sup>. იგონებს ი. მანსვეტაშვილი.

ამ წრეში დ. ჩუბინაშვილი ხშირად საუბრობდა ქართული მწერლობის სხვადასხვა საკითხზე, ქართველთა მოქცევის ისტორიასა და წმ. ნინოზე, ამ წრეში იგი დაუსრულებლად ჰყვებოდა სულხან-საბა ორბელიანის არაკებს, სიცილით იმეორებდა „იერუსალიმს მიმავალი მელის“ არაკს და აქვე გამოთქვამდა თავის აღტაცებას ქართული კულტურის სასარგებლო წამოწყებების გამო. არაერთი და ორი საგულისხმო მოსაზრებები გამოუთქვამს მას ქართულ ახალგაზრდათა ამ საკრებულოში. ი. მანსვეტაშვილი თავის „ზოგონებებში“ იხსენებს ა. ცაგარელის თარგმნილი „სიბრძნე სიცრუის“ გამოცემას. ჩუბინაშვილს უბრალო საუბარშივე აღუნიშნავს საბას გენიალური სათაურის ცაგარლისეული არასწორი გაგება და სწორი თარგმანი მიუცია მისი: „უკეთესი იქნებოდა «Книга мудрости во .ИЖИ», უთქვამს დ. ჩუბინაშვილს

შემდეგშიაც პეტერბურგში დროდადრო ჩასული ქართველები როლი იცნობდნენ თავიანთ უფროს მეგობარს; „აქ პეტერბურგში მე დავდივარ ჩვენ ძველ პროფესორ ჩუბინოვთანო“, ატყობინებდა 1873 წ. ი. ჭავჭავაძე თავის მეუღლეს. თავის მხრივ არც ჩუბინაშვილი ივიწყებდა მათ და თავის ახალ გამოცემებს თბილისში გზავნიდა.

რა თქმა უნდა, ქართულ პრესაში გამოთქმული შეხედულებები დ. ჩუბინაშვილის შესახებ, საკითხის ფაქტიური უცოდინარობით უნდა აიხსნას. ახალი მწერლების ქრესტომათიაში შეუტანლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ისე გავიგოთ, რომ „იმას სასირცხლოდ მიაჩნდა, თუ როგორ უნდა დაბეჭდოს თავის ქრესტომათიაში ბავშვების მწერლების ლექსები“, როგორც მღვიმელი წერდა. არც დ. ჯანაშვილის პასუხი უნდა იყოს მართებული მღვიმელის მიმართ: „ჩუბინოვს შენს გენიოსებთან ვგონებ არაფერია მტრობა და სიშურე არ უნდა ჰქონდეს, იმას მხოლოდ არ მოსწონებია და ამისთვის არ დაუბეჭდავსო“<sup>2</sup>.

ჯერ ერთი, დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათია გამოიცა 1846

1 ი. მანსვეტაშვილი, ზოგონებები, 1936. გვ. 73.

2 „ცისკარი“, 1863, № 11.



წელს, როდესაც ილიასა და აკაკის მწერლობაზე ლაპარაკიც არ იყო, ქრესტომათიის მეორე გამოცემის დროს კი ახალი მწერლობის მტკიცე საფუძველის არსებობა არ შეიძლებოდა არ შეემჩნია და დაუფასებინა დ. ჩუბინაშვილს. ამის მაგალითია თუნდაც ეს გულთბილი შეგობრობა, რომელიც აკავშირებდა დ. ჩუბინაშვილს ილიასა და აკაკისთან. და თუ ქრესტომათიაში მან ადგილი არ დაუთმო ახალ მწერლობას, ეს მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს, რომ დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათია გარკვეულად ძველ ქართულ მწერლობას ტოვებდა თავის ფარგალში და ამით ძველსა და ახალ მწერლობას შორის ერთგვარ საზღვარს დებდა. ეს კი არ ნიშნავს ახლისადრე მტრულ განწყობილებას ან მის დაუფასებლობას.

რაც შეეხება ახალი ქართული ენისადმი დამოკიდებულების საკითხს, ბუნებრივია. დ. ჩუბინაშვილის სიშორემ სალაპარაკო ქართულ ენასთან, მის ცალკეულ წარმოდგენებს ახალი ქართული ენის კანონებზე თავისი დადი დაასვა და მისი ცოდნა მწიგნობრული ქართული ენის ფარგლებში მოამწყვდია. ეს მეტ-ნაკლებად იგრძნობოდა მის ქართულ-რუსულ ლექსიკონშიც. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში (რომლის უკანასკნელი რედაქცია 80-იან წლებში დასრულდა და რომლის ავტორიც მომსწრე იყო გ. ერისთავის, დ. ქონჭაძის, ილია და აკაკისა, ი. გოგებაშვილისა და სხვათა, მომსწრე იყო ქართული პერიოდიკისა და პრესის აყვავებისა. მდიდარი ქართული ხალხური მასალის ნაწილობრივი ფიქსაციისა) სხვა პირობებში მოსალოდნელია უფრო მდიდრად ანახულიყო ცოცხალი მეტყველების ლექსიკა. ა. ღლონტი, რომელიც ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის შესავალში ვრცლად განიხილავს დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონსაც, აღნიშნავს, რომ ეს მდიდარი მასალა (ლაპარაკია ზემოდასახელებულ ახალი ქართული ენის ნიმუშებზე) „ასე თუ ისე თავის ასახვას პოულობს დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში“<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში მხოლოდ „ასე თუ ისე“ აისახა ცოცხალი ლექსიკა, ი. ჭავჭავაძე ხაზა

---

<sup>1</sup> ნ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი, ა. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, 1967, გვ. 87 — 88.

უსვამდა, რომ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონმა „ჩვენს სიტყვიერებას სამუდამო სალარო აუშენა, ჩვენი ჭკუისა და გულის მონაგარს, ჩვენს სულიერ განძს ბინა დაუღდა“<sup>1</sup>.

იგივე ილია კარგად ხედავდა, რომ „ჩუბინაშვილის ლექსიკონი დიდი ღვაწლია ქართულ მწერლობისათვის, დიდი სიმდიდრეა ქართულის ენისათვის, მაგრამ ამ ლექსიკონებს ჯერ კიდევ დიდი შრომა სჭირია, რომ დღევანდელი საჭიროება და მოთხოვნილება ამ მხრივ დაკმაყოფილებულ იქნას... ლექსიკონებში მოქცეულ სიტყვებს უფრო გარკვეულად დაწყობა და გარჩევა სჭირია, აგრეთვე ხალხის ცოცხალი ენის სიტყვებით, სხვადასხვა ცნებათა გამომხატველი სიტყვებით მეცნიერებათა ყოველ ნაწილში: ზოოლოგიაში, ბოტანიკაში, ქიმიკაში და სხვ. ყველა ამას კაცები სჭირია და საშუალება და თუ ჩვენ კერძო თაოსნობას ვუყურეთ, მეორე ჩუბინაშვილს ვუცადეთ, საქმე ერთობ გვიან გაკეთდება“. ილია ხედავდა, რომ სრულყოფილი ლექსიკონის შედგენა ერთი ადამიანის ძალღონეს აღემატება, ამიტომ დ. ჩუბინაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ასეთ წინადადებას აყენებდა: „მაშ დავაარსოთ თანხა დავით იესეს ძე ჩუბინაშვილის სახელობაზე ქართული ლექსიკონის შესავსებად და როცა ეს თანხა ცოტა გაიზრდება, იქიდგან მივცეთ სასყიდელი მცოდნე კაცებს და ვამუშაოთ, ვაშრომოთ ამ სასარგებლო საქმისათვის. როცა ფული გვექნება ხელთ, შეგვეძლება გავგზავნოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ენის მცოდნე კაცი და შევაკრებინოთ წინდაწინვე შემუშავებულ პროგრამით სიტყვები, სახალხო ლექსები და სხვა მასალა ლექსიკონისთვის“<sup>2</sup>.

ასეთი იყო მეცნიერული მიდგომა დ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობისადმი ახალი თაობის პროგრესულ ნაწილში. ამიტომაც ეს საზოგადოება დიდი სიხარულით ხვდებოდა დ. ჩუბინაშვილის ყოველ ჩამოსვლას საქართველოში. 1881 წელს ვერის ბაღში დ. ჩუბინაშვილის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე მსცოვან მეცნიერს ილია ასე მიმართავდა:

„თქვენ საპართლიანი საბუთი მოგვეცით ხელში, რომ ჩვენც

---

<sup>1</sup> ი. კ ა ე კ ვ ა ძ ე. სიტყვა თქმული დ. ჩუბინაშვილის პატივსაცემად, თხზულებათა სრული კრებ., 1957: გვ. 260.

<sup>2</sup> „ივერია“, 1891. № 124.

ოდესმე ვყოფილვართ, ჭკუით და გულით გვიცხოვრია. ღმერთმა ქნას არც ერთი და არც მეორე ღვაწლი თქვენი (ლაპარაკია ლექსი-კოლოგიურ მოღვაწეობასა და ბიბლიოთეკის წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შეწირვაზე), არ დაეკარგოს საქართველოს, რომელიც თქვენ გიყვართ და რომელიც დღეს თავის გულითადს პატივისცემას ჩვენის პირით მოგახსენებს“<sup>1</sup>.

ილიას შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ა. წერეთელმა: „ობოლ ნაკვერცხალივით დაფარული არიან იქა-აქ დღეს ჩვენი მამულის-შვილები. დროთა ვითარება ცივ ნაცარს აყრის მათ თავზე... ისინი არიან ნასკვი ჩვენი წარსულისა და მომავლის შემაერთებელი. მათი მაგალითის მიძეგმი და მამამთავარი არის დღეს აქ მყოფი ჩვენი სასურველი სტუმარი დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი. ხანგრძლივი იყოს მისი სიცოცხლე, რომ მოესწრას ჩვენი სამშობლოს აყვავებასა და დაგვირგვინებას“<sup>2</sup>.

„დროება“ აცნობს მკითხველს დ. ჩუბინაშვილის სამადლობელ სიტყვასაც: „მე რაც შემეძლო ვიშრომე და ვილუაწე ჩვენი ქართული ენის აღსადგენად და გასამდიდრებლად და ახლა ის იმედო მანუგეშებს, რომ ჩემს შემდეგაც რჩებიან ყმაწვილი კაცები. რომელნიც განაგრძობენ ჩემს მცირე შრომას და ეცდებიან მკვიდრ საძირკველზე დააყენონ ჩვენი მწერლობისა და მწიგნობრობის საქმე. მე დაედგი ბოძები და თქვენი, ახალ თაობისა, მოვალეობა არის, რომ ამ ბოძებზე ააგოთ მაგარი შენობა სამშობლო ლიტერატურისა“<sup>3</sup>.

1890 წლის 13 მაისს პეტერბურგის უნივერსიტეტის ენააზა ფაკულტეტმა აღნიშნა დ. ჩუბინაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავი. მეტად გულთბილ, ვრცელ ადრესში ჯერ ლაპარაკი იყო მისი დამსახურების და ცალკეული გამოცემების შესახებ. ხაზი ესმოდა იმ გარემოებას, რომ სიბერის წლებმა ვერ შეანელა დ. ჩუბინაშვილის ენერგია და მისი ახალგაზრდული გატაცება მეცნიერებით. ადრესი მთავრდებოდა ასე: „თქვენი ძველი კოლეგები ახალგაზრდებთან ერთად გიგულებენ რა თქვენ კვლავ თავიანთ

1 „დროება“, 1881, № 195.

2 იქვე.

3 იქვე.

ოჯახის წევრად, გულმხურვალე სურვილს გამოსთქვამენ, რომ დიდ-ხანს შეგენარჩუნებით სულიერი და ფიზიკური მხნეობა იმ საქმის სასარგებლოდ, რომლისთვისაც თქვენ არასოდეს გიღალატინათ, დეე, თქვენი საქმიანობა მაგალითი იყოს ახალი დროის მოღვაწეთათვის<sup>1</sup>.

როგორც ალ. ცაგარელი წერს, იუბილის დღეს დ. ჩუბინაშვილის ოჯახში თავი მოიყარეს პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანმა და წევრებმა, არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა, მრავალმა ნაცნობ-მეგობარმა და პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველმა სტუდენტებმა. გვიანობამდე გაგრძელდა ოჯახური ზეიმი, რომელზედაც ისმებოდა სადღეგრძელოები იუბილარის სამშობლო — საქართველოსი და ისინოდა ქართული მრავალყამიერი?

ერთი წლის შემდეგ 1891 წელს დ. ჩუბინაშვილი გარდაიცვალა. მისი პირუთენელი ბიოგრაფი აღწერს მისი სიცოცხლის ბოლო დღეებს: „გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მე მოვიხანხულე ავადმყოფი და ჩემი ახლად გამოსული წიგნი «Грамоты и другие исторические документы» შევუტანე. დავით იესეს ძე მიუხედავად დიდი ტანჯვისა წამოდგა და მაგიდას მიუჯდა, რომელსაც მისი ოჯახის წევრები და ახლობლები ვუსხედით. ერთხანს ლაპარაკშიც იღებდა მონაწილეობას, შემდეგ ადგა და ისევ თავის დივანზე წამოწვა. „მეორე დღეს მის შვილს ნიკოლოზ დავითის ძეს უამბნია ა. ცაგარელისთვის, რომ დილით ადრე ავადმყოფ დავითს ხელში ეჭირა მისი ხსენებული ნაშრომი და ცაგარელისეულ რუქას უდარებდა საქართველოს ადრინდელ რუქას.

დ. ჩუბინაშვილის გარდაცვალებას დაემთხვა ა. წერეთლის პეტერბურგში ყოფნა. ა. ცაგარელი დ. ჩუბინაშვილის ბიოგრაფიას ამთავრებს იმ სიტყვით, რომელიც აკაკიმ წარმოთქვა დ. ჩუბინაშვილის საფლავზე: «На нашу долю выпала печальная обязанность — возложить венок на гроб того, кто горячо любил свою родину и в то же время взаимно был ею любим. Мало здесь нас, его соотечественников, но нет сомнения, что в на-

<sup>1</sup> А. Цагарели, Сведения т. I, вып. III, LXXXIII—LXXXIV.

<sup>2</sup> იქვე.

стоящий момент мысленно вся Грузия с нами, чтобы отдать последний долг тому, кто так много потрудился для нея и тем оказал ей несомненные услуги. Услуги эти слишком очевидны и всем известны, чтобы указывать на них и снова перечислять их. Но независимо от кабинетных трудов, покойный был человеком живого слова, и слово его было плодотворно. Приведем несколько примеров: ровно 30 лет тому назад, напутствуя нас, молодых грузин, отъезжающих на родину, он между прочим сказал: господа, прежде всего любите всею душою родину свою, изучайте ее и служите ей по мере сил ваших, и только тогда сумеете понять, оценить и полюбить и других; кто отрывается от своих родных, близких, от своей собственной семьи, тот не может с чистым сердцем войти в чужую семью, а если войдет, то не иначе, как лукавый раб, или как гнусный фарисей — а ведь и то и другое чуждо природе грузина» Слова эти не нуждаются, кажется, в доказательствах. В этом духе наставлял Давид Исеевич не только наше, но и последующие за нами поколения грузин, и сам служил живым примером этого. Другой раз я видел его в Тифлисе, во время съезда там археологов, окруженного тысячною толпой почитателей, с венком на голове, когда он держал им речь и в то же время слезы вместе со словами росой западали в сердца юных его слушателей.

Мы видели его, наконец, за несколько дней перед смертью, почти полуживого и предпоследняя слова его были слова любви и пожелания процветания его родине. Вот за все это, за его многочисленные труды, за любовь к родине и родина его не забудет никогда и причтет к сонму тех лучших сынов своих, которые в многострадальной жизни ее оставили лучшие следы.

Мир праху твоему, честный труженик!..

Незабвенный наставник, вечная память тебе!»<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ცაგარლის დასახელებული ნაშრომი, გვ. LXXXIV—LXXXV.

აკაკის სიტყვებს ხმას უერთებდა მთელი საქართველო. „განსვენებული ღვაწლი სამშობლო ქვეყნის წინაშე საყოველთაოდ ცნობილი. ფრიად დიდი და მრავალგვარია: მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრება გამუდმებული შრომა იყო ქართულის ენისა. მწერლობის და ისტორიის სასარგებლოდ. იშვიათია მისთანა ქართველი, რომელსაც ისე ჰყვარებოდა დედა-ენა, ქართული მწერლობა და ისტორია თავისი სამშობლოსი, როგორც განსვენებულს უყვარდა“ — წერდა „ივერია“.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, „ივერიის“ რედაქციამ და ი. ჭავჭავაძემ დებეშით სთხოვეს ა. ცაგარელს, რომ კუბო შეემკო სამი გვირგვინით.

მრავალრიცხოვან გვირგვინთა შორის სამი წარწერა ასე იკითხებოდა: „...საპატიო წევრ დავით იესეს ძე ჩუბინაშვილს — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“; „სახელოვან მოღვაწეს სამშობლოს ლიტერატურისა და ისტორიისას — ივერიის რედაქციისაგან“ და „ღრმა მოხუცებულ მასწავლებელს და დამრიგებელს დ. იესეს ძე ჩუბინაშვილს — მისის მადლობელის შეგირდის თავ. ი. ჭავჭავაძისაგან“.

აღ. ცაგარელი ქართული მწერლობის მკვლევართა უმცროს ლაზარს მიეკუთვნება. მისი მეცნიერული მუშაობა დაიწყო პეტერბურგში იქ, სადაც მეცნიერული ქართველოლოგიის ყამირ გზაზე ის-ის იყო გაეგლო მარი ბროსესა და დ. ჩუბინაშვილს.

ა. ცაგარელი დაიბადა კასპში 1844 წელს<sup>1</sup>. მამამისი მღვდელი ყოფილა, ხოლო დედა თავის დროისათვის საკმაოდ განათლებული ქალი.

პირველდაწყებითი განათლება ა. ცაგარელმა თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, ხოლო შემდეგ სააულიერო აემინარიში განაგრძო სწავლა. სემინარიის დამთავრების წელსავე (1865 წ.) შევიდა იგი კლასიკურ გიმნაზიაში, ხოლო გიმნაზიის დას-

<sup>1</sup> ა. ცაგარელის მოღვაწეობის ამსახველი პირველი მეცნიერული ნაშრომი არის პროფ. ა. შანიძის „პროფ. ა. ცაგარელი“. ტფილისის უნივერსიტეტის მომხმე, 1930. X, იხ. აგრეთვე თ. ჭყონია. აღ. ცაგარელი და იველი ქართული ლიტერატურა, „ლიტ. ძიებანი“. 1948 წ. IV: კ. კინწურაშვილი, პროფ. ა. ცაგარელი. „ცისკარი“. 1965. № 3, ა. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების ისტორია. 1965.

რკულების შემდეგ პეტერბურგში გაემგზავრა და ჯერ მედიკო-ქირურგიულ ფაკულტეტზე, შემდეგ კი უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ა. ცაგარელს ჯანმრთელობამ საშუალება არ მისცა პეტერბურგში დარჩენილიყო, ამიტომ იგი ჯერ გერმანიაში, შემდეგ კი ავსტრიაში გაემგზავრა. 1871 წელს იგი კვლავ პეტერბურგში დაბრუნდა და იმავე წელს ქართული ენის კათედრაზე ჩუბინაშვილის ადგილი დაიკავა. პირველი მისი შრომა, რომელსაც მისთვის ლექციების კითხვის უფლება უნდა მოეპოვებინა, იყო «Сравнительный обзор морфологии Иберийской группы Кавказских языков», რომელიც 1872 წელს პეტერბურგში გამოიცა.

1880 წელს პეტერბურგშივე დაიბეჭდა ა. ცაგარლის «Мингрельские этюды», რომელშიც შედიოდა მეგრული ტექსტები თარგმანითურთ და განმარტებებით და მისი მეორე ნაკვეთი — «Опыт фонетики мингрельского языка». ...მეგრული ეტიუდებით“ ა. ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტის წინაშე სადოქტორო ხარისხის მისაღებად წარსდგა.

როგორც პროფ. ა. ჩიქობავა წერს: „აღ. ცაგარლის მეგრული ტექსტების სახით პირველად არის ჩაწერილი ქართველურ ენათა მასალა საენათმეცნიერო მიზნით... ხოლო ა. ცაგარლის მეგრული ფონეტიკის ნარკვევი ყველა საკითხს სვამს, რაც კი მეტყველებას ფონეტიკური დახასიათებისათვის არის საჭირო. პასუხი ხშირად სადაო და უმართებულოც კი ჩანს, მაგრამ საკითხების დაყენების მხრივ აღ. ცაგარლის ეს ნაშრომი სანიმუშოა“<sup>1</sup>.

ე. თაყაიშვილი თავის „მოგონებებში“ ა. ცაგარლის ამ ნაშრომთან დაკავშირებით წერდა: «Мингрельские этюды» ძალიან კარგი ნაშრომია. შემდგომ ი. ყიფშიძე რომ იკვლევდა მეგრულს, თითქმის გაიმეორა მისი დებულებანი. ცაგარელი მეცნიერულ ნიადაგზე იდგა თავის კვლევით მუშაობაში, მაგრამ მისი დასკვნები რამდენადმე არ შეესაბამებოდა ქართული ეროვნული მოძრაობის ინტერესებს. ქართველობა ჩვეულებრივ ისე უყურებდა მეგრულს, როგორც კილოკავს, ცაგარელი კი ამტკიცებდა, რომ მეგრული არის ენა, ქართულთან ძალიან ახლოს მდგარი, მაგრამ დამოუკიდებელი.

<sup>1</sup> ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, 1965, გვ. 312—320.

ახლა ვილას მოუვა აზრად ამ დებულების წინააღმდეგობა მარის, ყიფშიძისა და სხვა ქართველ ენათმეცნიერთა ნაშრომების შემდეგ. მაგრამ მაშინ კი ცაგარლის დებულება ხელზე დაიხვია რუსეთის რეაქციულმა მთავრობამ, დასაყრდენად გაიხადა თავისი პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა მეგრელების ქართველთაგან სავსებით გათიშვას სპეციალური მეგრული სკოლების დაარსებისა და მეგრულად სწავლების, სამღვთო წერილის მეგრულად თარგმნისა და ეკლესიაში მეგრული წირვა-ლოცვის შემოღების გზით. ამიტომ იყო, რომ ქართველობამ ცაგარელი ქართული ინტერესების მოღალატედ გამოაცხადა და ჩვენს პრესაში მის წინააღმდეგ დიდი კამპანია იყო გამართული<sup>1</sup>. მართლაც, „დროების“ 1880 წლის 22<sup>9</sup>-ე ნომერში დაიბეჭდა ვრცელი წერილი, რომელშიც ავტორი მკითხველს მოუთხრობდა ალ. ცაგარლის დისერტაციის დაცვის ამბავს. ავტორი ლაპარაკობდა „მეგრულ ეტიუდებზე“, რომელმაც თითქოს და მისი უვარგისობის გამო ოპონენტთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია.

1881 წლის „დროების“ მე-13 ნომერში დაიბეჭდა საპასუხო წერილი. ავტორი ილაშქრებდა ზემოხსენებულ წერილის წინააღმდეგ, აღნიშნავდა ცაგარლის ნაშრომის ღირსებას და აბათილებდა ავტორის ნათქვამს დისერტაციის უვარგისობის შესახებ: „დისერტაციის დაცვის დროს ოპონენტებმა ბ. კოსოვიჩმა (სანსკრიტული ენის პროფესორი) და ბ. პატკანოვმა (სომხური ენის პროფესორი) განუცხადეს ბ. ცაგარელს: თუმცა შრომაც დიდი მიგიღიათ თავის თავზეო, ენათმეცნიერებისათვისაც გამოსადეგი და ქართული ენის გამოსაკვლევადაც საჭირო შრომა დაგიწერიათ და შემდეგშიც თქვენი დიდი იმედი გვაქვსო, მაგრამ ჩვენ მეგრული ენის უცოდინარობისა გამო პირველი ნაწილით ვერ ვისარგებლეთო და ამისგანაო მეორე ნაწილიც ვერ დავაფასეთ რიგიანადო. კოსოვიჩის შეკითხვაზე: „თქვენ შეგეძლოთ გაგერჩიათ მაგალითად, ენების რომელ ოჯახობას ეკუთვნის ქართული ენა“? ცაგარელს, როგორც წერილის ავტორი გადმოგვცემს, ასეთი პასუხი გაუცია: „მე დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ თითონ მაგ კითხვის გარდასაწყვეტად საჭიროა მეგრულის, სვანური და ჭანურის ენის ქართულთან შედარებით შესწავლა. ახლავე, პირდაპირ მაგ საზოგადო კითხვის

<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი, მოგონებანი, „მნათობი“, 1958, № 4, გვ. 185—186.



გადაწყვეტას რომ შეეღგომოდი, ეს იმას ემგვანებოდა, რომ კაცმა სახლის შენება სახურავიდან დაიწყოსო<sup>1</sup>. ავტორი აკრიტიკებს პატ-კანოვს: „პატკანიანმა მოინდომა დაემტკიცებინა, რომ ცაგარელს ეს შრომა არ უნდა წარმოედგინა დოქტორის ხარისხის მისაღებად, რადგან კარგად იცოდა, რომ ჩვენ, მაგის ამხანაგებმა არამც თუ მეგრული, ქართულიც არ ვიცოდით, თქვენ უნდა დაგეწერათ რაიმე ქართული ისტორიიდან ან საზოგადოდ ქართულ ლიტერატურაზე, მაშინ ჩვენც კარგად გავიგებდით და მაყურებელ პუბლიკასაც ინტერესი ექნებოდაო“. ავტორი ასკვნის: „თქვენმა მზემ, კარგი რეპეტიციაა, კაცს თავისი მოქმედების მიზნად აუღია ქართული ენის მეცნიერულად გამოკვლევა, ამისთვის უსაჭიროესად დაუნახავს გამოიკვლიოს ქართულთან შედარებით მეგრული, სვანური და ჭანური ენები, მიუყვია ხელი ამ მძიმე შრომისათვის და პირველი ნაბიჯიც გადაუდგამს და ამ დროს ეუბნებიან, რადგან ჩვენ არ ვიცით და საზოგადოებასაც არ ეინტერესება რაღაც მეგრული ენააო, ამიტომ ლიტერატურაზე უნდა დაგეწერაო... თითქოს დისერტაციები მარტო ოპონენტებისთვის იწერებოდეს... დარწმუნებული ვარ, რომ ოპონენტებს ქართული და მეგრული ენები სცოდნოდათ, ცაგარლის შრომა ამით არამც თუ წააგებდა, არამედ მოიგებდა კიდევც, რადგან მაშინ ეს ოპონენტები შრომის კარგ მხარეს უფრო ადვილად დაინახავდნენ და იმ წერილმანს „ნება-უნებლიათ“ შეცდომებს აღარ გამოეკიდებოდნენ“, ასკვნის თვითმხილველი ავტორი<sup>1</sup>.

როგორც არნ. ჩიქობავა წერს: „ალ. ცაგარელს, რომ თუნდაც მხოლოდ ფონეტიკა დაემუშავებინა ქართულის, სვანურისა და ლაზურისა, როგორადაც მან მეგრულის ფონეტიკის ძირითადი საკითხები მეთოდური თანმიმდევრობით განიხილა, ქართველურ ენათა შესწავლა უკვე გასული საუკუნის მეოთხმოცე წლებში იმ მეცნიერულ დონეზე აღმოჩნდებოდა, რასაც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პრინციპები მოითხოვდა“<sup>2</sup>. მაგრამ ცაგარლის ენათმეცნიერული მოღვაწეობა 1880 წლის შემდეგ აღარ გაგრძელებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1881 წ. მის მიერ ზურაბ შანშოვანის გრამატიკის გამოქვეყნებას პეტერბურგში.

<sup>1</sup> „დროება“, 1881, № 13.

<sup>2</sup> ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 320 — 321.

რაც შეეხება ლიტერატურის დარგს, სრულიად სამართლიანად პროფ. ა. შანიძე ა. ცაგარლის მოღვაწეობის დაწყების თარიღად ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში 1881 წელს ასახელებს<sup>1</sup>.

1883 წელს რუსეთის პალესტინის საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია რა იმ გარემოებას, რომ ჯვრის მონასტერში დაკრულია მთელი რიგი ქართული წარწერები და ხელნაწერები, წინადადება მისცა ა. ცაგარელს პალესტინაში გამგზავრებულიყო.

„დროებამ“ ქართველ საზოგადოებას აცნობა ა. ცაგარლის გამგზავრების გეგმა და მიზანი. მაგრამ ყველა ერთნაირი ინტერესით როდი შეხვდა ამას. იგივე „დროება“ იუწყებოდა, რომ „ცაგარლისთვის წმინდა ადგილების აღწერა დაუვალებიათ, მაგრამ მას არა თავისი საქმისათვის მოუკიდებია ხელიო“<sup>2</sup>.

1883 წელს ა. ცაგარელმა მოიარა სინას მთა, პალესტინა და ათონი. „დროების“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციაში ათონის მთის მოღვაწე ქართველი ბენედიქტე იტყობინებოდა: „აქ ათონში ბ. ცაგარელმა დაჰყო სამ კვირამდინ, რომლის უმეტესი ნაწილი გაატარა ჩვენს ივერიის მონასტერში, სადაც განიხილა არქეოლოგიური ნაშთნი ჩვენთა შრომის მოყვარე წინაპართა... ნახა მან ჩვენი ქართველი ბერები, მათი ნამუშევარი, გვითხრა მადლობა და გასამხნევებელი სიტყვები მისთვის, რომ მამა-პაპათაგან მრავლის შრომით მოპოვებულ ძველ ადგილებს არა ჰკარგავთ და არ ივიწყებთო. დიდი სიხარულით მივიღეთ და გავაცილეთ ეს შორიდან მოსული ქართველი მეცნიერი“<sup>3</sup>.

შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებული ა. ცაგარელი 1884 წელს წინასწარი ცნობებით წარსდგა პალესტინის საზოგადოების სხდომაზე; საზოგადოებამ ა. ცაგარელს მადლობა გამოუცხადა ჩატარებული მუშაობის გამო.

ა. ცაგარელი არაერთხელ მიუთითებდა, რომ ჩვენი კულტურული წარსულის შესწავლა ჯერ მხოლოდ სტატისტიკის, დაგროვების ხანაში იმყოფება და იმისათვის, რომ მოხერხდეს ქართული

1 ა. შანიძე, პროფ. ა. ცაგარელი, გვ. X.

2 „დროება“, 1883, № 54.

3 იქვე, № 176.

მწერლობის სისტემატური შიმოხილვის შედგენა, ჯერ საჭიროა გამოვლინდეს და აღირიცხოს ყველა ის ძეგლი, რომელთა ერთიანობა ჩვენს მდიდარ მწერლობას შეადგენსო. ამ ნაბიჯის პირველი პრაქტიკული განხორციელება ა. ცაგარელმა მის მიერ 1886 წ. გამოცემულ წიგნში სცადა. ეს იყო მისი ცნობილი სამტომეულის— «Сведения о памятниках грузинской письменности» პირველი წიგნი.

წიგნში ავტორი ჯერ მიმოიხილავდა არსებულ კატალოგებს ძველი ქართული ძეგლებისას (იოანე ათონელის ცნობებს ექვთიმე მთაწმინდელის მოღვაწეობაზე, გიორგი მთაწმინდელის ცნობებს. „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიოგრაფიული ხასიათის სტროფს. არჩილის ცნობებს, ანტონ I „წყობილსიტყვაობას“, მღვდელ კეყერაშვილის და დ. რექტორის კატალოგებს, ალტერის ცნობებს ვენაში დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ, ბროსეს კატალოგებს, დ. ჩუბინაშვილის ცნობებს, ილარიონ ქართველის კატალოგს, ეხებოდა პლ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, დ. ფურცელაძის შრომებს) და შემდეგ აქლეთა აღწერას იოანე გრუზინსკის, ნ. დადიანის, სალომე ბატონიშვილის წიგნების, ათონზე და პალესტინაში მის მიერ შედგენილ კატალოგებისას. ამავე წიგნში ა. ცაგარელი პირდებოდა მკითხველს, რომ ცალკე წიგნად გამოსცემდასინასა და პალესტინაში მოგზაურობისას მოპოვებულ მდიდარ მასალას. შემდეგ ავტორი მიმოიხილავდა მწიგნობრობის ცენტრებს, ქართული დამწერლობის საკითხებს, ხელნაწერთა შემკულობებსა და მხატვრობას, ეხებოდა ქართული ისტორიოგრაფიის საკითხებსაც. იგი აღნიშნავდა, რომ ქართული ისტორიოგრაფია არ არის მდიდარი საკუთრივ ისტორიული ხასიათის თხზულებებით, მაგრამ განა ისტორიას მარტო მათიანები და ქრონიკები ქმნიან? რა გვეცოდინებოდა ჩვენ დღეს ეგვიპტის, ძველი სპარსეთის, სირიისა და ბაბილონის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებდით მის ღარიბ მწიგნობრულ ცნობებს და მათი ცხოვრების ამსახველ სხვადასხვა ძეგლებსო. მეორე მხრივ, თუნდაც თუკიდრე, ან ტაციტი შესძლებდნენ მოეცათ ყოველმხრივი წარმოდგენა იმ ეპოქის ბერძნულ-რომაული ცხოვრებისა და კულტურის შესახებ, რომ ჩვენ მას არ ვივსებდეთ მათი მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი სხვა საბუთებითო? ასევეა საქართველოს ისტორიაშიც: რაზედაც

მისი მატრიანეები ღუმან, მასზე ხმაბაღლა ღაღადებს მისი მდიდარი სასულიერო და საერო მწერლობაო, მისი ეპიგრაფიკული და ნუმისმატიკური ძეგლები, მისი სასულიერო და საერო ხასიათის მდიდარი ხელოვნებაო.

ამ კატალოგების საერთო სურათმა და ანალიზმა მკვლევარს საშუალება მისცა მოეცა ცდა ქართული მწერლობის პერიოდიზაციისა, რომელსაც დღესაც არ დაუქარგავს თავისი მნიშვნელობა.

ა. ცაგარლის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს გამოეხმაურნენ აკად. ვიქტორ როზენი და ნიკოლოზ ვესელოვსკი, ხოლო „ივერია“ ქართველ მკითხველს აუწყებდა, რომ: „ჩვენმა თანამემამულემ, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალ. ცაგარელმა ცალკე წიგნად დაბეჭდა ყოველი მხრით შესანიშნავი ცნობანი ჩვენს მწერლობაზე საზოგადოდ და სასულიეროზე განსაკუთრებით“.

1888 წელს ა. ცაგარელმა დაპირებისამებრ ცალკე წიგნად გამოსცა «Памятники грузинской старины в святой земле и на Синае». ნაშრომი დაიბეჭდა პალესტინის საზოგადოების ორგანოში — «Православный палестинский сборник».

წიგნში ავტორი მიუთითებდა იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც ენიჭება საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის კერების შესწავლას და გადაუღებელ ამოცანად აყენებდა არაქართული წყაროების შესწავლა-დამუშავებას. როდესაც შეგროვდება სხვადასხვა სიგელები, იერუსალიმის საპატრიარქოში დაცული სხვადასხვა საბუთები, აღმოსავლეთის პატრიარქთა მიმოწერა ქართველ მეფეებთან და სასულიერო წრეებთან, როდესაც გამოიცემა სხვადასხვა უცხოელ მოგზაურთა ცნობები, გაირკვევა პალესტინაში დაცული ქართული ხელოვნების ძეგლების ხასიათი, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი გაშუქდეს ქართველთა თხუთმეტსაუკუნოვანი ურთიერთობა სინაა და პალესტინასთან. ჩვენ ჯერ მხოლოდ მასალის დაგროვების ფაზაში ვიმყოფებით და მათ კრიტიკულ აღქმასა და განზოგადებაზე ლაპარაკიც ადრეაო. წიგნის მეორე ნახევარი დათმობილი ჰქონდა ჯერის მონასტრისა და სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კატალოგებს, პალესტინის წარწერებს, ერეკლე მეფის წერილს იერუსალიმის სომეხ პატრიარქთან.

თუ „დროებამ“, როგორც ზემოთ ვთქვით, ეჭვით შეხედა ა. ცაგარლის გადაწყვეტილებას პალესტინაში მოგზაურობის შესახებ,

„ივერია“ (1888 წ.) მკითხველს ჯერ პალესტინის საზოგადოებაზე ა. ცაგარლის წაკითხული წინასწარი მოხსენების ქართული თარგმანი გააცნო, ხოლო შემდეგ სინარულით აცნობა „ფრიად ძნელი, მაგრამ საქართველოს ისტორიისათვის მეტად ძვირფასი შრომა“ ა. ცაგარლისა. „ივერია“ მკითხველს აცნობდა აგრეთვე ინგლისურ ჟურნალში დაბეჭდილ მორფილის რეცენზიას ა. ცაგარლის წიგნზე.

1889 წელს სტოკჰოლმში მოწვეულ ორიენტალისტთა VIII კონგრესზე ა. ცაგარელიც იყო მიწვეული. კონგრესს ა. ცაგარელმა გერმანულ ენაზე მოახსენა სინასა და პალესტინაში ჩატარებული მუშაობის შედეგები<sup>1</sup>.

1889 წ. დაიბეჭდა ა. ცაგარლის «Сведения» -ს მეორე ნაწილი. ამ წიგნსაც ავტორი მასალების კრებულს უწოდებდა. მასში ავტორმა კვლავ სინასა და პალესტინაში მოპოვებული მასალები გააერთიანა.

«Сведения»-ს მესამე წიგნი გამოიცა 1895 წელს. ამ მესამე ნაკვეთში ა. ცაგარელმა წარმოადგინა დიდძალი მასალა ქართული მწერლობისა, სხვადასხვა სიგელები ვახტანგ მეექვსესთან, ერეკლე მეორესთან, დავით ბატონიშვილთან, ანტონ კათალიკოსთან დაკავშირებული ცალკეული ისტორიული ხასიათის საბუთები, ძველი ქართული მწერლობის კატალოგები, დ. ჩოლოყაშვილის მიერ თარგმნილი „იფილენია“ და სხვ. მიმოხილვაში ა. ცაგარელმა, პირველმა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, მეცნიერულად შეისწავლა ნ. ჩუბინაშვილის და განსაკუთრებით დ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობა. ა. ცაგარელმა ვრცლად განიხილა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის ისტორია, ქართველოლოგიის განვითარების საფეხურები პეტერბურგში, ჩუბინაშვილის „გრამატიკასთან“ დაკავშირებული დისკუსია XIX საუკუნის 50-იან წლებში და მთელი რიგი საკითხები. შეიძლება ითქვას, რომ დ. ჩუბინაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერით ალ. ცაგარელმა შთამომავლობას პირუთვნელი ისტორია დაუტოვა თავისი აღმზარდელისა და მასწავლებლის შესახებ.

ალ. ცაგარელმა დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე ისტორიული დოკუმენტების გამოქვეყნების საქმეში. ჯერ კიდევ 1883 წ. იგი აქ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1889 წ. № 139. იხ. თ. ჭყონია, ალ. ცაგარელი და ძველი ქართული ლიტერატურა.

ვეყნებს ნაშრომს: «Новые архивные материалы для истории Грузии XVIII столетия». 1891 წლის 8 თებერვალს უნივერსიტეტის წლიურ სხდომაზე პროფ. პოზდნევა ა. ცაგარელის ავადმყოფობის გამო წაიკითხა მისი მოხსენება თემაზე «Сношения России с Кавказом в XVI—XVIII столетиях».

„წელს სრულდება 50 წელი, ნათქვამი იყო მოხსენებაში, რაც პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში გაისმა პირველი ლექცია ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის საკითხებზე, რაც აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამაში შევიდა ამ ერთ-ერთი უძველესი ქვეყნის შესწავლად“. ავტორი ლაპარაკობდა საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ, კულტურულ-სამეცნიერო და სავაჭრო ურთიერთობაზე. ამავე წელს ა. ცაგარელი სცემს წიგნს: «Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии», т. I.

როგორც პროფ. ა. შანიძემ აღნიშნა, „ერთი ნაწილი აქ გამოქვეყნებული დოკუმენტებისა, რომლებიც 1768—1770 წლებს ეკუთვნის, ცალკე წიგნადაც გამოვიდა ერთი წლით ადრე მერვე საარქეოლოგიო კრების გამო რამდენიმე ცალად და სხვა სათაურით: «Переписка грузинских царей и владетельных князей с государями Российскими в XVIII столетии»<sup>1</sup>, სიგელებისა და ისტორიული საბუთების მეორე წიგნი დაიბეჭდა 1902 წელს.

ა. ცაგარლის მიერ რუსულად თარგმნილმა და გამოცემულმა „სიბრძნე-სიცრუისამ“ რუს მკითხველს გააცნო სულხან-საბა ორბელიანის მადლიანი სიტყვა და როგორც „დროება“ წერდა, მეცნიერებს საშუალება მისცა ამ კრებულის მეოხებით ქართულ ცხოველთა ეპოსზეც ემსჯელათ.

1905 წლიდან ქართული ეკლესიის მესვეურებმა რუსეთის უწმინდესი სინოდის წინაშე დააყენეს საკითხი ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის უფლების მოსაპოვებლად. ისინი გამოსთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ქართული ეკლესიის რუსულ ეკლესიასთან 100-წლიანმა კავშირმა, მასთან ურთიერთობამ, ქართული ეკლესია გაამაგრა, გააძლიერა და მასში ნაციონალური თვითშეგნება განავითარა. ასი წლის განმავლობაში ქრისტიანობის გადარჩენის ერთადერთ

<sup>1</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. XI.

სამუშაოებად ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიასთან კავშირს მიიჩნევდა, ახლა კი ბუნებრივად ისმის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ეს საეკლესიო დამოუკიდებლობის სწრაფვა სხვა არა არის რა, თუ არა ახალი, საინტერესო ეტაპი ქართულ-რუსული ეკლესიის ურთიერთობის ისტორიისა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხი სადისკუსიო საგნად იქცა, რომელიც წლების მანძილზე განიხილებოდა სინოდის სხდომებზე, საეკლესიო კრებებზე და სასულიერო აკადემიების კედლებში. დისკუსია თავის ასახვას პოუვებდა „სანაქტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“, „ეკერკოვნიე ვედომოსტის“ და სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ყველა რუსი იერარქი ერთნაირად როდი უყურებდა ქართული ეკლესიის მოთხოვნას. რუსული ეკლესიის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ავტოკეფალობის საკითხში ხედავდა „სეპარატიზმისა და ავტონომიის“ ფარულ მიზნებს, მეორე, პროგრესული ნაწილი ეკლესიას, საეკლესიო საქმიანობას განასხვავებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობიდან, საჭიროდ მიიჩნევდა, რომ საერთოდ მართლმადიდებლური ეკლესია თავისუფალი ყოფილიყო სახელმწიფო-პოლიტიკური მისიიდან და აუცრლებლად თვლიდა ქართულ-რუსული ეკლესიების სრულ თანხმობასა და ურთიერთგაგებას. ქართული ეკლესიის ისტორიაში კარგად ცნობილი ავტოკეფალობის საკითხი XIX საუკუნეში ახალი ფორმით, ახალი მოთხოვნით იჩენდა თავს. უკიდურეს მოწინააღმდეგეთა შორის გამოირჩეოდნენ ვოსტორგოვი და ბუტკევიჩი.

როგორც გიორგი ათონელი ბერძნებს ქართული ქრისტიანობის კანონიერებას ბერძნულ წყაროთა მოშველებით უსაბუთებდა, ასევე ქართული ეკლესია თავისი ავტოკეფალობის უფლების დასაბუთებისას რუს საეკლესიო მოღვაწეთა შრომებზე მიუთითებდა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხებზე გამოწვეულ დისკუსიაში ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა გარდა მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის ლაზარევის უნივერსიტეტის პროფ. ა. ხახანაშვილი, იმ დროს უკვე სახელმწიფოეკილი პროფესორი ნიკო მარი, და პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ცაგარელი. ა. ცაგარელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილი უძღვნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხს, რომლებიც 1912 წელს ერთ

წიგნად გამოსცა: «Статьи из заметки по грузинскому церковному вопросу».

თავის წერილებში ა. ცაგარელი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოთხოვნა არ ნიშნავს საეკლესიო რეფორმების გატარებას, ახალ დოგმატებსა და კანონებზე ლაპარაკს, პოლიტიკურ სეპარატიზმს, როგორც ვასტორგოვი და ბუტკევიჩი წერენ. ცაგარელს მოჰყავდა მოსკოვის მიტროპოლიტის სიტყვა, რომელიც აღნიშნავდა, რომ რუსული ეკლესიის მართლმადიდებელთა უმეტესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს არსებული ეკლესიური წყობის შეუსაბამობის გამო მის კანონიკურ სამართალთან. რომ მოწესრიგდეს რუსულ და ქართულ ეკლესიათა ზღვრები. ჩვენს ეკლესიაში საჭიროა დამყარდეს სრული კანონიკური წყობილება. ვოსტორგოვის ექვები ცაგარელს ტოტლებენის საქციელს აგონებს, რომელიც ერეკლე მეორეს, სოლომონ მეფეს და მთელ ქართველობას ეკატერინე მეორესთან საექვო მოლაპარაკებად სახავედა. მისი დაბეზღებებით მოთმინებადაკარგულმა ეკატერინემ მოკლედ აცნობა პანინს: არ მომწონს ტოტლებენის არსებული ექვიანობა. მოიხსნასო. როგორ გავს ზოგიერთი რუსი სასულიერო პირის დამოკიდებულება ქართული ეკლესიისადმი ტოტლებენის საქციელს, რომელთაც სულ „ღალატი“ და „სეპარატიზმი“ აკერიათ პირზეო. მეორე მხრივ, ა. ცაგარელი ლაპარაკობს რუსეთის მოწინავე სასულიერო საზოგადოებაზე, იმ რუს პატრიოტებზე. რომელთაც ესმით რა საეკლესიო საკითხები, აშკარად ხედავენ ქართული ეკლესიის მოთხოვნის კანონიერებას. მთრიცხვში ა. ცაგარელი ასახელებს ფადეევს და დურნოვოს. იმ კომისიის წევრებად, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხი, ა. ცაგარელი საჭიროდ მიიჩნევდა შეყვანილიყვენენ პროფ. ი. სოკოლოვი, პროფ. ნ. ზაოზერსკი და პროფ. პალმოვი.

ასეთი იყო მოკლედ ქართველი ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხის ისტორია XIX საუკუნის დასაწყისში. აღ. ცაგარლის წერილები საეკლესიო საკითხებზე ავსებს მის მდიდარ სამეცნიერო ბიოგრაფიას.

1. ეს ის ზაოზერსკია, რომელთანაც დაკავშირებულია პროფ. ხახანაშვილია მეცნიერული თანამშრომლობა.



ექვთიმე თაყაიშვილი თავის „მოგონებებში“ იხსენიებს რა ცაგარლის პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ალ. ცაგარელი სტუდენტებს ძირითადად ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტებით ავარჯიშებდა.

როგორც ჩანს, ნ. მარის ან ექვთიმე თაყაიშვილის განათლების სიმაღლეზე მდგომ ახალგაზრდობისათვის, მათი საერთო განათლების წყალობით, ძირითადი საკითხები, რომლებზედაც ცაგარელი ლაპარაკობდა, მართლაც ცნობილი იყო. საერთოდ კი მოსალოდნელია, რომ ცაგარელი ქართული ლიტერატურის ისტორიის ლექციებში იმავე თვალსაზრისს ავითარებდა, რაც მის წიგნებშია გამოხატული. მეტად საყურადღებოა ცაგარელის ლექციების ერთი მსმენელის წერილი, რომელიც დაიბეჭდა „დროებაში“ 1882 წელს: „თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია ჯერ არ არის შემუშავებული, რადგან ბ. ცაგარელი მგონი მესამე კაცია, რომ შეუდგა ჩვენი ლიტერატურული მოძრაობის გამორკვევას... არავითარი საფუძველი არ გვექნება, რომ მოვთხოვთ ჩვენს პროფესორს ისეთნაირად ლექციების კითხვა, როგორც კითხულობენ ინგლისური ლიტერატურის ისტორიას, ან თუნდა რუსულისას. ჩვენთვის ჯერ ისიც სასიამოვნოა, ცნობებს რომ გვაძლევს და სხვადასხვა ლიტერატურასთან შედარებით განგვიმარტებს რა და რა პირობების და გავლენის წყალობით, რა და რა სახის განვითარებით მოსულა ჩვენამდე ქართული ლიტერატურა.

ბ-მა ცაგარელმა თავის ლექციების კითხვით აშკარად დაგვანახა, რომ მეოთხე საუკუნის დასაწყისიდანვე რა ზნეობითი და გონებითი გავლენა ჰქონდათ ჩვენს ხალხზე და ლიტერატურაზედ ბიზანტიას და სირიას. შემდეგ კი არაბეთს და სპარსეთს“<sup>1</sup>.

ავტორი აღტაცებული დარჩენილა ცაგარლის მსჯელობით ქართული „სამწიგნობრო ადგილების“ შესახებ. „მონასტერი თავის მოღვაწეებით წარმოადგენდაო სამეცნიერო დაწესებულებასა, სადაც დაუცხრომლად შრომობდნენ ერთ დროს ჩვენი ლიტერატურის დამბადებელნიო“. როგორც ავტორი აღნიშნავს, ცაგარელს ბევრი უსაუბრია იმხანად ახლად გავრცელებულ შედარებით ის-

<sup>1</sup> „დროება“, 1882, № 273.

ტორიულ მეთოდზე და ამ მეთოდის მიყენებაზე ქართულ ხალხურ ზღაპრებსა და სიუჟეტებთან. თუნდაც ამ ერთი მსმენელის მონაყოლიდან ჩანს, რა საკითხებს იხილავდა ა. ცაგარელი ლექციების დროს. ამავე თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ლენინგრადის საოლქო არქივში დაცული ერთი ხელნაწერი. ეს არის ა. ცაგარლის ავტოგრაფი — ქართული გრამატიკის, ლიტერატურისა და ისტორიის სასწავლო პროგრამა, რომელიც დაცულია პეტერბურგის უნივერსიტეტის საქმეებში. აქედან ჩანს: პირველ კურსზე ისწავლებოდა ფონეტიკა და მორფოლოგია. ამისათვის ავტორი სტუდენტებს აკითხებდა, ათარგმნიებდა და არჩევინებდა ქართველ მწერალთა ცალკეულ ძეგლებს თავისი ისტორიულ-ლიტერატურული შენიშვნებით.

მეორე კურსზე ფონეტიკასა და მორფოლოგიასთან ერთად დამატებით ისწავლებოდა სინტაქსი, იკითხებოდა, ითარგმნებოდა და ირჩეოდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, ისწავლებოდა საქართველოს ისტორია XV საუკუნემდე.

მესამე კურსზე სტუდენტებს აწვდიდნენ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებს ძველი ქართული მწერლობისა და მათი ნაწარმოებების შესახებ. სტუდენტები კითხულობდნენ და არჩევდნენ ყველაზე ძნელად გასაგებ ქართველ ავტორთა ნაწარმოებებს (როგორც პოეტურს, ასევე პროზაულს). იკითხებოდა საქართველოს ისტორია XV-დან XVIII საუკუნემდე.

მეოთხე კურსზე ისწავლებოდა ქართული გრამატიკა ლაზურ, მეგრულსა და სვანურთან შეპირისპირებით, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სადავო და ძნელად გასარკვევ საკითხებს. კვლავ გრძელდებოდა ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ძნელად გასაგები ადგილების გარჩევა; ისწავლებოდა საქართველოს სამეფოს შინაური ყოფის და საგარეო პოლიტიკის საკითხები XVIII საუკუნემდე. ქართული მწერლობის შესწავლისას ლექტორი ეხებოდა ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებს ქართველი მწერლებისა და ძეგლების შესახებ, ქართული მწერლობის დასაწყისს, დაწვრილებით განიხილავდა „ოქროს ხანის“ მწერლობას (XI — XII), ამ ხანის პოეზიის თავისებურებებს. XIII-დან XVII საუკუნემდე პერიოდს განიხილავდა, როგორც დაცემის ხანას; XVII ს-ის მიწურულს აღორძინების ხანის დასა-

წყისად მიიჩნევედა და აპირისპირებდა მას XI — XII სს-ის მწერლობასთან.

ცაგარელი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქართული მწერლობის შესწავლის ძირითადი წყაროა თვით ხელნაწერებზე დართული ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნები და კომენტარები, გრამატიკის შესწავლისას—სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ანტონ კათალიკოსის გრამატიკა, ბროსესა და ჩუბინაშვილის გრამატიკები, ასახელებდა აგრეთვე თავის ნაშრომს გრამატიკული ლიტერატურის შესახებ. ისტორიის შესწავლის წყაროდ მიუთითებდა ქართლის ცხოვრებაზე<sup>1</sup>.

ამავე საქმეში დაცულია არანაკლებ საინტერესო საქმე ცაგარლის თხოვნის სახით. როგორც ცნობილია, 40-იანი წლებიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში საქართველოდან ყოველწლიურად იზიარებოდა 5 სტიპენდიანტი სახელმწიფოს ხარჯზე. ეს დიდი ღონისძიება მ. ვორონცოვის სახელთანაა დაკავშირებული. 1871 წელს აღმოსავლური ფაკულტეტის კუთვნილი ეს 5 სტიპენდია გადაუციათ ისტორიულ-ფილოლოგიური ინსტიტუტისათვის. შემონახულია ამ წელს დაწერილი დ. ჩუბინაშვილის განცხადება რექტორის სახელზე, რომელშიც იგი აღშფოთებას გამოთქვამს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, აღნიშნავს რა ამით გამოწვეულ დიდ სიძნელეს ქართველი სტუდენტებისათვის. ეს გარემოება მაიძულებს მე უარი ვთქვა ჩემს სამსახურებრივ მოვალეობაზე პეტერბურგის უნივერსიტეტში, აცხადებს დ. ჩუბინაშვილი. მართლაც, იმავე წელს დ. ჩუბინაშვილი ტოვებს ქართული სიტყვიერების კათედრას. ზემოთხსენებული თხოვნა ა. ცაგარლისა ამავე აკითხს უკავშირებდა. ცაგარელი ლაპარაკობს იმ სამართლიან ინტერესზე, რომელსაც ამ ზოლო დროს საქართველო და მისი კულტურა იმსახურებს, ორთაგან ერთადერთ დაწესებულებას. სადაც ქართველი ახალგაზრდები ცოდნას იძენენ მათი სამშობლოს კულტურული წარსულის შესახებ, წარმოადგენს პეტერბურგის უნივერსიტეტი, აქ კი აღარ არის უწინ არსებული სტიპენდიები კავკასიელი სტუდენტებისათვის. ცაგარელი თხოულობს. რომ ფაკულტეტმა იშუამდგომლოს კავკასიის სასწავლო ოლქის წინაშე ამ სტიპენდიების აღსადგენად.

<sup>1</sup> ГИАЛ, ф. 14, оп. 1, ед. хр. 7520.

დინჯი, აუჩქარებელი და დიდი პასუხისმგებლობის მქონე მეცნიერი, რომელმაც მთელი სიცოცხლე ქართული კულტურის კვლევას შეაღია, დააგროვა უმდიდრესი მასალა, გამოსცა რამდენიმე სქელტანიანი წიგნი, რომელთაც იგი მხოლოდ „ცნობებს“, „ძეგლებს“, „სიგელებს“ და „მასალებს“ უწოდებდა, თვლიდა, რომ მის დროს ჯერ კიდევ ადრე იყო ერთიანი ქართული ლიტერატურის ისტორიის შექმნაზე ლაპარაკი და რომ მთელი მისი დიდი ნაღვაწი მხოლოდ ერთი აგური იყო დიდი შენობის აგების საქმისათვის.

1920 წელს ა. ცაგარელი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს (რის ინიციატორიც ივ. ჯავახიშვილი იყო), 1922 წელს კი ივანე ჯავახიშვილი, როგორც უნივერსიტეტის რექტორი, აღნიშნავდა: „პატივი გვაქვს გაუწყოთ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში გადახდილი იქნება საიუბილეო დღესასწაული დამსახურებული პროფესორის ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარლის ორმოცდაათი წლის სამეცნიერო მოღვაწეობის აღსანიშნავად. ვინაიდან ცაგარელს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წარსულის საქმეში, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ თქვენ პატივს სცემთ იუბილარის ღვაწლს და ამაგს დასდებთ აღნიშნულ იუბილეზე დასწრებით“<sup>1</sup>.

თუ XIX საუკუნის 70—80-იან წლებში ჩვენი პრესის ფურცლებზე ხშირად ისმოდა ერთგვარი საყვედური რუსეთში მოღვაწე ქართველი პროფესორების მიმართ (ა. ცაგარელზე, ვ. პეტრიაშვილზე, ი. თარხნიშვილზე), რატომ ისინი საქართველოში არ მოღვაწეობენო და წერილის ავტორები არ ითვალისწინებდნენ მაშინ ჩვენში სამეცნიერო ბაზისა და სარბიელის უქონლობას, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამ (1918 წ.) როგორც თვით ცაგარელს, ისე მისი მოწაფეების მთელ პლეადას საშუალება მისცა ქართული კულტურის კვლევის საუკეთესო ტრადიციები პეტერბურგის უნივერსიტეტიდან თბილისის უნივერსიტეტში გადმოეტანათ.

<sup>1</sup> საქ. ც. არქ. წ. კ. საზ-ის ფ. № 2086, მიწერ-მოწერა.

## დასკვნა

ქართველთა პირველი მასობრივი ჩასვლა პეტერბურგში პოლიტიკური ფაქტორით იყო გაპირობებული. XVIII საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან კი პეტერბურგში მცხოვრები ქართველები კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას ჰკიდებენ ხელს. მათ: მიზანი საქართველოს კულტურული ცხოვრების აღორძინება იყო. სწორედ ამ ხანიდან ეყრება საფუძველი ქართული კულტურის კერას პეტერბურგში.

ვახტანგ მეფემ და მისი ამაღლის მოწინავე წარმომადგენლებმა, რომლებიც იმდროინდელი რუსული კულტურისა და მეცნიერების დონემდე ამაღლდნენ, დიდად შეუწყვეს ხელი საქართველოში ევროპული კულტურის დანერგვას. ელ. მეტრეველის შენიშვნით, „ემიგრანტი მწერლების მართო მთარგმნელობითი საქმიანობაც ვერ შექმნის ამ კოლონიის მუშაობის სრულ სურათს. ხშირად ამ მოღვაწეთა ორიგინალური შემოქმედებაც გაპირობებული იყო რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების მოთხოვნილებებით“<sup>1</sup>.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული რუსეთის სასწავლებლებში აღზრდილმა ქართველთა ახალგაზრდა თაობამ რუსული ეროვნული იერი მიიღო, რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებით განიმსკვეალა და სამოღვაწეო ასპარეზიც იქვე ჰპოვა. ამ თაობიდან არაერთმა გამოიჩინა თავი და იმდროინდელი რუსული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა.

---

<sup>1</sup> ელ. მეტრეველი, ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (რეცენზია), ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, გვ. 226.

XVIII — XIX საუკუნეთა მანძილზე პეტერბურგში ქართველთა რამდენიმე თაობა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამ თაობათა ყველა წარმომადგენელს როდი შეეძლო რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ქართული კულტურის აღორძინების საქმეში. ამიტომ, პეტერბურგის ქართული კულტურის კერის ისტორიის მკვლევარმა ყურადღება უმთავრესად იმ პირებს უნდა დაუთმოს, რომლებმაც შეძლეს გარკვეული ადგილი დაეკავებინათ ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების სარბიელზე<sup>1</sup>.

ნ. ბერძენიშვილის მართებული შენიშვნით, „საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის ქართველთა კოლონია კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობას ვერ ქმნიდა“<sup>2</sup>. პეტერბურგის ქართული კულტურის კერის ისტორიის შესწავლამ ნათელყო, რომ მსგავსი სურათი გვაქვს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის პეტერბურგშიც. მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი ქართველი კოლონისტებისათვის ამ დროს ეროვნული მისწრაფებები სრულიადაც აღარ წარმოადგენს ძირითად მამოძრავებელ ძალას. მიუხედავად ამისა, ქართველთა ეს ჯგუფი ის რგოლი იყო, რომელიც ორი ხალხის მოწინავე აზრს აკავშირებდა. ამიტომ გასაგებია, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის პეტერბურგელი ქართველები, რომლებსაც ეროვნული ელფერი უკვე საგრძნობლად ჰქონდათ დაკარგული, მაინც დიდ როლს ასრულებდნენ პეტერბურგში ჩასული თანამემამულეების რუსულ ყოფასთან დაახლოებისა და შეგუების საქმეში.

XIX საუკუნის დამდეგს პეტერბურგის ქართული კულტურის კერას შეუერთდა ახალი წყება ერეკლე მეფის მრავალრიცხოვან მთამომავალთა და იმერელ ბაგრატიონთა სახით, რომელიც ისევე იყო გამსჭვალული ეროვნული სულისკვეთებით, როგორც თავის დროზე პეტერბურგს ჩასული ვახტანგის ამალის წევრები. ამ ჯგუფის კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში ყველაზე ადრე ისტორიულმა თემატიკამ იჩინა თავი. ქართველ მოღვაწეთა ერთ-ერთი მიზანი რუსი ხალხისათვის ქართული ეროვნული კულტურისა და საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის გაცნობა იყო.

<sup>1</sup> იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები IV, გვ. 348.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი — XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1844, ნაკვ. I, გვ. 184.

დიდი ადგილი დაიკავა ლექსიკოგრაფიულმა და საგამომცემლო საქმიანობამაც.

XIX საუკუნის პირველი ნახევარი პეტერბურგის ქართული კულტურის კერის აყვავების ხანაა. ამას დიდად შეუწყობდა იმდროინდელი პეტერბურგელი ქართველების საკმაოდ მჭიდრო კონტაქტმა მშობლიურ ქვეყანასთან. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ქართველი ახალგაზრდობის ნაწილს საშუალება მიეცა განათლება რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მიეღო. პეტერბურგში განათლების მისაღებად ჩაღიან ჩვენი იმდროინდელი ახალგაზრდობის ისეთი მოწინავე წარმომადგენლები, როგორც იყვნენ ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი და სხვები. დაახლოებით ამავე ხანებში უხდებათ პეტერბურგში ყოფნა გრ. ორბელიანს, ალ. ჭავჭავაძეს, დავით და გრიგოლ დადიანებს. თითოეულ მათგანს კარგად ჰქონდა შეგნებული საკუთარი ქვეყნის საჭიროებანი, მისწრაფებები და მოთხოვნილებები. ხოლო მათი ურთიერთობა პეტერბურგის ქართული კულტურის კერის წარმომადგენლებთან, ამ უკანასკნელებს საქართველოს ყოველდღიურობასთან აკავშირებდა და მათ მოღვაწეობას რეალურ, ეროვნულ ნიადაგს უქმნიდა. ყოველივე ამან განაპირობა პეტერბურგის ქართული კულტურის კერის სიცოცხლისუნარიანობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი მეცნიერული ქართველოლოგიის საწყისებსაც.

---

## პირთა სპივნებელი

### ბ

აბაშელიქი ანა 185  
 აბაშელიქი ელენე 156, 185  
 აბზიანიძე გიორგი 152  
 აბრამიშვილი ა. 50, 71, 108  
 აბულაძე ილია 211  
 ავალიშვილი გიორგი 79, 134, 139, 205, 206  
 ავალიშვილი ზაალ 62  
 ავთანდილი 53  
 Аврамов Иван 48  
 აკაკი, იხ. წერეთელი აკაკი  
 აკოფაშვილი გ. 68, 69  
 აკსაკოვი ი. ს. 194  
 ალანია ნ. 189  
 Александр Павлович, იხ. ალექსანდრე პირველი  
 ალექსანდრე გიორგის ძე (ბაგრატიონ-იფსიშეს ძე) 156  
 ალექსანდრე გიორგის ძე (ბაგრატიონ-იმერეტინსკი) 96, 101, 102  
 ალექსანდრე (მეხუთე, იმერთა მეფე) 11, 26, 27  
 ალექსანდრე არჩილის ძე 7—9, 36  
 ალექსანდრე ბაქარის ძე 58  
 ალექსანდრე მაკედონელი 209  
 ალექსანდრე მეორე 190, 192-194  
 ალექსანდრე პირველი 89, 93, 116, 117, 147, 174  
 ალექსი-მესხიშვილი ტარასი 119  
 ამბროსი (მიტროპოლიტი) 113

ამილახვარი (მრჩეველი) 60, 62, 68  
 ამილახვარი ათანასე 58  
 ამილახვარი ალ. 68—70, 73, 184  
 ამილახვარი გ. 158  
 ამილახვარი ევგენი 42—44  
 ამილახვარი ვახტანგ 18  
 ამილახვარი ელენე 162, 218, 219  
 ამილახვარი ივანე გიორგის ძე 171—173  
 ამილახვარი ნიკოლოზ 126  
 Амилыхоров, იხ. ამილახვარი (მრჩეველი)  
 ამილახოროვი გიორგი 42  
 ამილახოროვი ევგენი, იხ. ამილახვარი ევგენი  
 ამილახოროვნა ელენე ოტარის ასული, იხ. ამილახვარი ელენე  
 ანა დიმიტრის ასული (ციციანოვა) 177  
 ანა იოანეს ასული 11, 27, 30, 32, 33, 35, 41, 52, 54, 58  
 ანა შამუკას ასული 96, 98, 101  
 ანანია (არქიერი) 13  
 ანდრონიკაშვილი ზაზა 159, 160  
 ანდრონიკაშვილი მელქისედეგ 97  
 ანდრონიკოვი ი. 144, 145, 189, 190  
 ანდლულაძე ლ. 169  
 ანთელაჟა ი. 113  
 Анна Матвеевна, იხ. ანა შამუკას ასული  
 ანსილიონი 132  
 ანტონი (ერეკლეს ძე) 78, 91, 103  
 ანტონ პირველი (კათალიკოსი) 9, 75, 76, 201, 229, 243, 245, 251



ანტროპოვი ა. 61  
არაქნევევი გრ. 124, 150  
არეშოვი რ. 126  
Аронсон М. 157  
Арсеньева Элизавета Алексеевна 145  
არუთინა 40  
არჩილი (მეფე) 7, 47, 49, 64, 187  
ასათიანი ლ. 120, 186, 189, 197, 229  
ასკერ-ხანი 160  
აფხაზი ივ. 152, 156  
აფხაზი კობია 197, 198  
აღა მამად-ხანი 82, 98  
აბვერდოვა პრასკოვია ნიკოლოზის  
ასული 144—146

## ბ

ბაადუოი (ელჩი), იხ. თურქესტანიშვი-  
ლი ბაადუოი  
ბაგრატ გიორგის ძე, იხ. ბატონიშვილი  
ბაგრატ  
ბაგრატიონები 176  
ბაგრატიონი გიორგი ალექსანდრეს ძე  
96, 101, 106  
ბაგრატიონი გრიგოლ იოანეს ძე, იხ.  
ბატონიშვილი გრიგოლ  
ბაგრატიონი დავით, იხ. ბატონიშვილ-  
დავით  
ბაგრატიონი დიმიტრი გიორგის ძე 80.  
128, 129  
ბაგრატიონი თეიმურაზ, იხ. ბატონიშვი-  
ლი თეიმურაზ  
ბაგრატიონი იოანე, იხ. ბატონიშვილი  
იონე  
ბაგრატიონი პეტრე 88, 113, 114  
ბაგრატიონი რომან 113  
ბაგრატიონ-იმერეტინსკი ალექსანდრე  
გიორგის ძე 96, 99, 101, 102  
ბაგრატიონ-იმერეტინსკი დიმიტრი გი-  
ორგის ძე 96, 99, 101, 102  
Багратионы-Имеретинские 97  
ბანტოშ-კამენსკი 94  
ბარათაშვილი მ. 206

ბარათაშვილი ნ. 167, 197, 198  
ბარათოვი გივი 42  
ბარათოვი ს. 205  
ბარათოვი სტრევი 42  
ბარამიძე ალ. 51, 62, 64, 70, 108, 125,  
140, 143, 213, 221, 254  
ბარამიძე არჩ. 116  
ბარდტინსკი 168—170  
ბარტოლდი 204, 205  
ბასილიონი 132  
ბასტამოვი ბეგლარ ბეგ 162  
ბატონიშვილი ალექსანდრე, იხ. ალექსან-  
დრე არჩილის ძე  
ბატონიშვილი ანასტასია 146  
ბატონიშვილი ბაგრატ 92, 95, 97, 106,  
110, 113, 119, 125, 130—132, 136,  
137, 156, 161, 205, 224  
ბატონიშვილი ბაქარ, იხ. ბაქარ ვახტან-  
გის ძე  
ბატონიშვილი გიორგი, იხ. გიორგი  
ვახტანგის ძე  
ბატონიშვილი გრიგოლ 99, 102, 107,  
108, 110, 113, 129, 158, 159, 168  
ბატონიშვილი დავით 4, 92, 95, 99, 102,  
108, 110, 111, 114—117, 119, 120—  
—124, 127, 143, 148, 150, 158, 159,  
162, 184—186, 192, 201, 202, 205,  
206, 217, 245  
ბატონიშვილი დიმიტრი 136, 147, 150  
ბატონიშვილი ვახტანგ ერეკლეს ძე 95.  
112, 117, 184, 214  
ბატონიშვილი ვახუშტი 38, 39, 53, 209,  
217  
ბატონიშვილი თეიმურაზ 4, 96, 102, 111,  
112, 122, 123, 131, 132, 136, 150,  
157—159, 161—169, 171, 188, 189,  
192, 201—206, 211—213, 217—219  
ბატონიშვილი ილია 108, 113, 158, 159  
ბატონიშვილი იოანე 4, 76, 92, 94, 97,  
102, 105, 107, 119, 123, 130—132,  
136, 139, 143, 148, 156, 158, 160,  
161, 183, 205, 217

ბატონიშვილი იულონ 96, 99, 148  
ბატონიშვილი ლუარსაბ 150, 224  
ბატონიშვილი მირიან 78, 91, 92, 103,  
110, 111, 116, 129, 139, 156, 158, 161  
ბატონიშვილი მიხეილ 92, 159, 161  
ბატონიშვილი ოქროპირ 111, 150, 159,  
159  
ბატონიშვილი პაატა 39—41, 58  
ბატონიშვილი რიფსიმე 146  
ბატონიშვილი სალომე 98, 231, 243  
ბატონიშვილი სვიმონ 3, 19, 35, 65  
ბატონიშვილი ფარნაოზ 96, 97, 129, 136,  
144—146, 148, 150, 158, 161, 224  
ბატონიშვილი ქეთევან 129  
ბაქარ ვახტანგის ძე 19, 21, 22, 28—30,  
32, 33, 39, 41, 49, 58, 59, 75  
ბაქრაძე დიმ. 211, 220, 221, 225, 230,  
243  
ბებურიშვილი სვიმონ 110  
ბელინსკი 183  
ბემი 146  
ბენედიქტე (ათონის მთის მოღვაწე)  
242  
Берков П. Н. 67, 68, 129, 169  
ბერძენიშვილი ნ. 16, 29, 30, 64, 65, 150,  
151, 254  
ბესარიონი (არქიმანდრიტი) 197  
ბესარიონი (კათალიკოსი) 21  
ბიბილური ლაზარე გრიგოლის ძე 77  
ბიბილური ჰავლე სერგის ძე 113  
ბოგომოლოვი ი. 170, 189, 190  
ბოლხოვიტინოვი ვვგ. 200  
ბოროზდინი კ. 191, 193  
ბოტლინგი 225  
ბრეგაძე დ. 25, 26, 51, 53  
ბრეველე 1:1  
ბრიუსი ი. ვ. 24  
ბროსე მარი 14, 31, 32, 58, 111, 164, 165,  
169, 195, 200—209, 211—214, 216—  
—227, 229, 230, 238, 243, 251  
ბულგაკოვი ა. ი. 173, 177, 182  
ბულგარინი 92, 173

Булиц С. К. 150  
ბუტკევიჩი 247, 248  
ბუტკოვი 23  
ბუტურლინა ვარვარა 61, 62  
ბუტურლინი ალ. 61  
ბუხნიკაშვილი გ. 124

## გ

გაბაშვილი ბესიკ 219, 229  
გაბაშვილი ოსე 125  
გაბაშვილი ტიმოთე 27  
გაბრიელი (არქიმანდრიტი) 13  
გაბრიელი 14  
გავრილოვი ივანე 84, 85  
გამეზარდაშვილი დ. 197  
გაიოზ რექტორი 200  
გაწერელია ა. 149, 163  
გეგეჰკორი ი. იხ. დადიანი გრ.  
გეიკსიუსი 74  
გელერტი 74  
გელოვანი გაბრიელ 21, 24  
გვინჩიძე თ. 66  
გვრიტიშვილი დ. 31  
Гинзбург 186  
გიორგი ათონელი, იხ. გიორგი მთაწმი-  
დელი  
გიორგი ალექსანდრეს ძე, იხ. ბაგრატიო-  
ნი გიორგი ალექსანდრეს ძე  
გიორგი ვახტანგის ძე 22, 36—39, 41, 45  
გიორგი მეცამეტე (მეთორმეტე) 95, 96,  
161—164  
გიორგი (მღვდელი) 44  
გიორგი მთაწმიდელი 216, 243, 247  
გიორგი (პროტოპოპი) 19  
გლინკა 186  
გოგეზაშვილი ი. 233  
გოგუაძე ნ. 142  
გოზალიშვილი გ. 151  
გოლიკოვი 23  
გომილევსკი ა. 195  
გოცაძე მ. 189  
გრეკოვი ა. 61

გრეჩი 182  
გრიბოედოვი ა. 145, 186, 189, 191  
გრიგოლ კათალიკოსი 11  
გრიგოლ იოანეს ძე, იხ. ბატონიშვილი  
გრიგოლ  
გრიგოლი (არქიმანდრიტი) 224  
გრიგოლი (კონსტანტინოპოლელი პატრი-  
არქი) 112  
გრიგოლია კ. 208, 211  
გრიგორიევი ანისიმ 23  
გრიგორიევი ვ. 216  
გრიშაშვილი ი. 144, 189  
გროტი 180  
Грузинская 88  
გრუზინსკი 179  
გრუზინსკი იოანე 243  
Грузинский Парнеоз Ираклиевич, იხ.  
ბატონიშვილი ფარნაოზ  
გუდოიჩი 85  
გურამიშვილი დავით 19, 28, 33, 41, 45  
გურამიშვილი მამუკა 206, 219  
გურამიშვილი ქრისტეფორე 50  
გურიევი 90  
გურიელი მამია 165, 166  
გურიელი ქაიხოსრო 43

## დ

დადიანი 19, 183  
დადიანი ანდრია 190, 192  
დადიანი გიორგი 7  
დადიანი გრიგოლ 96, 112, 158, 164—  
—166, 168—171, 255  
დადიანი დავით 164—167, 169, 190, 193,  
220, 225  
დადიანი ეკატერინე 147, 167, 168, 190—  
195, 197, 198  
დადიანი თამარ 190, 194—197  
დადიანი ლევან 164  
დადიანი მარიამ კაციას ასული, იხ. მარი-  
ამ კაციას ასული  
დადიანი ნიკო 190—192, 243  
დადიანი პეტრე ნიკოლოზის ძე 191

დადიანი სალომე 190, 191  
დავითი, იხ. ბატონიშვილი დავითი  
დავითი (ერისთავი) 222  
დავითი (იმერთა მეფის ძე) 115  
დავითი (იზრაელთა მეფე) 179  
დავითი (მამია გურიელის შვილი) 165  
Давид Иисеевич, იხ. ჩუბინაშვილი და-  
ვით  
დავით რექტორი 139, 229, 243  
დალაშხერი 56  
დარეჯან არჩილის ასული 15, 17, 20 22,  
24  
დარეჯან (გიორგი ალექსანდრეს ძის მე-  
ულლე) 96, 101  
დარეჯან დედოფალი (ერეკლე მეფის მე-  
ულლე) 79, 99, 106  
დელევი 180—182  
დელიანოვი 171  
დელილი ჟოზეფ ნიკოლა 53  
დერეჟინი 86, 123, 159, 172  
დევჯილინი სერგეი 84, 85  
დიდრა 56  
Диларет 184  
დიმიტრი, იხ. ბაგრატიონ-იმერეტინს-  
კი დიმიტრი გიორგის ძე  
დიმიტრი თავდადებული 112  
დიმიტრი იოანეს ძე, იხ. ცოციანოვი დ-  
მიტრი ივანეს ძე  
დიმიტრი (სემონ ბატონიშვილის ძე) 65  
ლოდაშვილი რ. 200, 206  
ლოდაშვილი სოლ. 134—138, 142, 152—  
—154, 157, 183, 255  
ლოლოგორუკოვი თერი 90  
ლოშენტი (პატრიარქი) 11  
ლონდუა ვ. 3, 33, 35, 47, 65, 141, 157,  
186, 188, 189  
ლონდუა კ. 188, 189  
ლოსითეოსი (იერუსალიმის პატრიარქა)  
123  
დ'ოსუნა (პერცოვი) 191, 193  
დუდუჩავა მ. 197  
დურნოვო 248

მ

- ევნატაშვილი ნიკო 71  
 ევნატაშვილი სიმონ, იხ. ივანტყევი სი-  
 მონ  
 ევგოროვი ვასილ, იხ. ბატონიშვილი პაა-  
 ტა  
 ელიშვილი (თავადი) 19  
 ევგენია (ნუბინაშვილი) 214  
 ევსტატე (მღვდელი) 34  
 ეკატერინე, იხ. დადიანი ეკატერინე  
 ეკატერინე ალექსის ასული 20, 31, 36,  
 99, 173, 176  
 ეკატერინე იოანეს ასული 12, 15, 35  
 ეკატერინე მეროე 54—57, 71, 72, 77,  
 91, 93, 121, 248  
 ელენე მელიქის ასული, იხ. აბემელიკი  
 ელენე  
 ელიზავეტა მიხეილის ასული (ციციშვი-  
 ლი) 76  
 ელისაბედ პეტრეს ასული 37, 39, 54,  
 61, 93  
 ელისე, იხ. ამილახვარი ევგენი  
 ენიკოლოპოვი ი., 124, 144, 185, 189  
 ენუქიძე თ. 157  
 ერეკლე მეროე 39, 59, 68—71, 73, 79,  
 98, 99, 101, 102, 106, 128, 203, 244,  
 245, 248, 254  
 ერისთავები 176  
 ერისთავი ბარძიმ 32  
 ერისთავი გიორგი 151, 154, 219, 229,  
 233  
 ერისთავი დ. (რ. ერისთავის მამა) 219  
 ერისთავი დიმიტრი 150, 151, 185, 222,  
 223  
 ერისთავი ელიზბარ 150, 151, 219  
 ერისთავი ვარლამ 103  
 ერისთავი ზაქარია 150  
 ერისთავი იორამ 42  
 ერისთავი რაფიელ 171, 220—222  
 ერისთავი რომანოზ 10—13, 34  
 ერისთავი შაჰშე 47  
 ერისთავი შოშიტა 18, 32

- ერმოლოვი 104, 111, 116  
 ექეთიმე 9, 12  
 ექეთიმე მთაწმინდელი 216, 243

3

- ვანდამი 89, 90  
 ვარვარა, იხ. ბუტურლინა ვარვარა  
 ვარვარა ეგორის ასული (ციციანოვა)  
 177  
 ვაშაყმაძე შ. 222  
 ვახტანგ ერეკლეს ძე, იხ. ბატონიშვილი  
 ვახტანგ  
 ვახტანგ იმერელ ბატონიშვილი 200  
 ვახტანგ მეექვსე 3, 7, 10, 12—24, 26—  
 28, 30—36, 39, 41, 46—51, 53, 57,  
 58, 62, 64, 65, 73—75, 77, 87, 96,  
 98, 99, 128, 133, 176, 178, 187, 188,  
 202, 203, 206, 208—210, 212, 216,  
 221, 245, 253, 254  
 ვახუშტი, იხ. ბატონიშვილი ვახუშტი  
 ვებერი 147  
 ველიკოპოლსკი ი. ე. 173, 174  
 ვესელოვსკი ნიკოლოზ 244  
 ვიანეშკაია პ. ა. 90  
 ვიანეშკი ა. ა. 75  
 ვიანეშკი (პეტრე ანდრიას ძე) 104, 157,  
 175  
 Вилетина 187  
 ვინგეიმი 74  
 ვინოგრადოვი ე. 61  
 ვირსალაძე ე. 167  
 Виртенбергский (პრინცი) 187  
 ვისკოვატოვი ალ. 81—83  
 ვოევიკოვი 182  
 ვოლინსკი არტემ 16, 189  
 ვოლტერი 56, 121, 158  
 ვორონინი პ. ი. 198  
 ვორონცოვ-დაშკოვი ი. 170, 171  
 ვორონცოვი (ყანცლერი) 60  
 ვორონცოვი მ. 174, 215, 251  
 ვოსტოროგოვი 247, 248  
 ვულფი ხ. 181

**ზ**

ზავადარსკი პ. 71  
 Заверин М. 190.  
 ზავილეისკი ვ. 190  
 ზაიკინი 182  
 ზაოზერსკი ნ. 248  
 ზებედე ზებედეს ძე 7—9, 12  
 ზუბოვი პლ. 81

**თ**

თამაზ ხანი 33  
 თამარ მეფე 164, 170  
 თამარი, იხ. დადიანი თამარ  
 თამარი (ვახტანგ მეექვსის ასული) 58  
 თარხნიშვილი თ. 252  
 თაყაიშვილი ექვთიმე 198, 200, 211, 240,  
 249  
 თეიმურაზ შეორე 58—63, 68, 70, 102,  
 203  
 თეიმურაზი, იხ. ბატონიშვილი თეიმურაზ  
 თინათინი 53, 61  
 თუკიდიდე 243  
 თულაევი ერასტი 42  
 თუმანიშვილი ავთანდილ 124—126  
 თუმანიშვილი დიმიტრი 124, 185, 186,  
 219  
 თუმანიშვილი მიხეილ ბირთველის ძე 124  
 თურქესტანიშვილები 87  
 თურქესტანიშვილი ბაადურ 14—16, 19,  
 87, 187  
 თურქესტანიშვილი ბორის, იხ. თურქეს-  
 ტანიშვილი ბაადურ  
 თურქესტანიშვილი ეკატერინე ილიას  
 ასული 87  
 თურქესტანიშვილი ვარვარა ილიას  
 ასული, იხ. თურქესტანოვა ვარვარა  
 თურქესტანიშვილი ნიკოლოზ 87  
 თურქესტანიშვილი სოფიო ილიას ასუ-  
 ლი 87  
 თურქესტანიშვილი ფრანგისტან 18, 19,  
 42

თურქესტანოვა ვარვარა 87—90  
 თურქესტანოვი ბორის, იხ. თურქესტა-  
 ნიშვილი ბაადურ  
 თურქესტანოვი თურქესტან 19  
 თურქესტანოვი ფრანგისტან, იხ. თურ-  
 ქესტანიშვილი ფრანგისტან  
 თხორევესკი 171

**ო**

ოაზიკოვი ნ. მ. 191  
 იგნატიევი სიმონ 70—73, 184  
 იესე (ვახტანგ VI ძმა) 16  
 Иван Егорович 98  
 ილარიონ ქართველი 243  
 ილია, იხ. კაუკეაძე ილია  
 იმედაშვილი გ. 159, 203  
 ინგოროყვა პ. 146  
 ინზუევი 174  
 იოაკიმე (არქიმანდრიტი) 8  
 იოანე ათონელი 216, 243  
 იოანე მთაწმინდელი, იხ. იოანე ათონელი  
 იოანე ღვთისმეტყველი 9  
 იოანესოვი იოანე 129, 184  
 იონა, იხ. ხელაშვილი იონა  
 იორდანიშვილი ს. 158, 204  
 იოსებ სამებელი 12, 34, 49, 58  
 იოსელიანი ეგნატე 161  
 იოსელიანი პლატონ 110, 160—164,  
 205, 219, 220, 243, 255  
 იულონ ერეკლეს ძე, იხ. ბატონიშვილი  
 იულონ  
 იურკევიჩი 192  
 იუფეროვი 67

**კ**

კაკეასიძე მელქისედეგ 19, 51, 66  
 კაკაბაძე ს. 160  
 Каландадзе Ц. 214  
 კალენკური 160  
 კარაშინი 173  
 კარიკაშვილი დ. 140

კატონკა. იხ. დადიანი ეკატერინე  
კახაბრიშვილი ც. 148  
კეკელიძე კ. 9, 21, 27, 30, 140, 161,  
192  
კელენჯერიძე მ. 106  
Кеневич В. 211  
კენჭოშვილი ა. 190  
კევერაშვილი 243  
კიკვიძე ა. 103, 150, 151  
კინწურაშვილი კ. 238  
კირილე (არქიმანდრიტი) 9  
კისელიძე 177, 178  
კლაპროტი 208  
კლარკი 132  
კნორინგი 79, 80, 94  
კობახიძე ალ. 212  
კოლუბიაკინი 192  
კოლუმბი 132  
კოლხიდელი, იხ. დადიანი გრიგოლ  
კონსტანტინე დავითის ძე (იმერელი ბა-  
ტონიშვილი) 96, 98, 102, 113  
კოსოვიჩი ბ. 240  
კრაფტი 74  
კრილოვი 147, 157, 210, 211  
კროსტინი ფერდინანდ .88—90  
კრუპსკი იაკობ 152  
კუკავა თ. 120, 122, 136  
კურაკინი ალექსანდრე 79, 94  
კუხელბეკერი 145, 146

## ლ

ლაზარევი 95  
ლარაძე პეტრე 113, 117, 127, 158—160  
ლაშქაროვი სერგეი ლაზარეს ძე 77—80,  
92—94, 112  
ლებო 202  
ლეიბნიცი 132  
ლეონიძე გ. 186, 189, 198, 202  
ლერმონტოვი 145, 146, 190  
ლისენკოვი 182, 183  
ლოლაშვილი ივ. 162  
ლომონოსოვი 132

ლომოური თ. 120  
ლორერი ეკატერინე ვესევის ასული 176  
ლორერი ივანე ივანეს ძე 176, 180  
ლორერი ნ. ი. 180  
ლორთქიფანიძე ი. 40, 59, 62  
ლუტკოვსკი 22, 23

## მ

მამუჩაშვილი ი. 150  
მანსვეტაშვილი ი. 232  
მარგანი გ. 151  
მარია ალექსანდრეს ასული 194  
მარი ნ. 224, 225, 239, 247, 249  
მარიამ დედოფალი (გიორგი მეცამეტის  
მეუღლე) 79, 82, 95  
მარიამ კაციას ასული (იმერთა დედო-  
ფალი) 97, 101, 146, 224  
Маркова О. П. 160  
მარკოზაშვილი 39  
მარმონტელი 56  
მალაყელიძე ს. 190  
მალრაძე ელ. 146  
მაყაშვილი ივანე 217  
მაყაშვილი სეიმონ 58  
მახათაძე ნ. 140, 143, 153, 156  
მახარაძე ა. 190  
მაჯიო 200  
მეგრელიძე ი. 212, 214  
მელისინი ვ. ნ. 75  
მელქისედეგი. იხ. კავკასიძე მელქისედეგ  
მენაბდე ლ. 103  
მესხია შ. 111, 112, 123, 201—203, 217,  
მეტრეველი ელ. 27, 206, 253  
მეუნარგია ი. 164, 165, 167—169, 171,  
192, 205  
მეფარიშვილი ლ. 160  
მელვინეთხუცესისშვილი დიმიტრი 219—  
221  
მეჩიტოვი გიორგი 126  
მეძველია კ. 197  
მინიატი 13

მინიხი 84

მირიან მეფე 207

მირიან, იხ. ბატონიშვილი მირიან

მიქაძე გ. 83, 120, 123

მიქელ ანჯელი 147

მიცკევიჩი 180

მიხეილი, იხ. ბატონიშვილი მიხეილ

Модзалевский Л. Б. 186

მონტესკიე 120

მორიკონი 146

მორო 89

მორფილი 245

მოსე გიორგის ძე (მღვდელი) 35

მოყარტი 147

მოძალევსკი ბ. ლ. 174, 176

მუხრანბატონი გრ. 129, 132

მღვიმელი 228, 232

მხეიძე ნიკო 191

## ნ

ნადირი (შაჰი) 31, 33

ნაკაშიძე ნ. 113

ნაპოლეონი 89, 90, 114, 123, 162

ნარიშკინი ლ. ა. 91, 92

ნესელოვ 205

ნესვიცი 186

ნესტანდარეჯანი 52, 61

ნიკიტინი შარკ 22, 23

ნიკოლაძე ნ. 197

ნიკოლოზ დავითის ძე (ჩუბინაშვილი)

236

ნიკოლოზ პირველი 101, 166, 190

ნინო (ოდიშის დედოფალი) 96, 160.

164

ნინო, იხ. ჭავჭავაძე ნინო

## ო

ოლენინები 210

ონიკოვი ალექსანდრე 193

ონიკოვი ნიკოლოზ 92

ორბელი რ. 51, 189, 205, 211

ორბელიანი ალექსანდრე 161, 163

ორბელიანი ანა მამუკას ასული 102

ორბელიანი გრ. 143—149, 152, 157  
255

ორბელიანი დიმიტრი 150

ორბელიანი ელისაბედ 167

ორბელიანი ვახტანგ ვახუშტის ძე 51, 52

ორბელიანი ვახტანგ 150

ორბელიანი მანანა 147

ორბელიანი ნ. 25

ორბელიანი პაპუნა 17, 20

ორბელიანი სულხან-საბა 8, 32, 51, 53,  
66, 202, 216, 232, 246, 251

ოსტერმანი 90

## პ

პაატა, იხ. ბატონიშვილი პაატა

პავლე პირველი 60, 93

პაისი, იხ. პეტროვი პავლე

პაიჭაძე გ. 8, 14

პანაევი ი. ა. 210

პანინი 248

პაოლინი 200

პატკანოვი 240, 241

პაულოჩი 106, 107, 117

პეტრე თეოდორეს ძე 60

პეტრე (მოციქული) 5

პეტრე პირველი 5—7, 14—17, 19, 20,

23—26, 36, 37, 44, 46, 47, 54—56,

92, 93, 176, 186—188, 209

პეტრიაშვილი ვ. 252

Петров П. И. 24

პეტროვი პავლე 13, 14

Писаревский Г. 55

Питер, იხ. პეტრე პირველი

პლატონი (მოსკოვის ეპისკოპოსი) 37

პლეტნიოვი 180, 216

პოზდნევი 246

პოლევი 136

პოლიევტოვი 151

პოლიკარპოვი თეოდორე 49

პოპოვი ვ. ს. 92

პორტნიაგინი 106

პოტიომკინი გრ. 70, 71, 73, 84, 86, 92  
პოტიომკინი პავლე 71, 91  
პრასკოვია ნიკოლაევნა, იხ. ახვერდოვა  
პრასკოვია ნიკოლოზის ასული

Предтеченский А. В. 6

პროკოპოვიჩი თეოდანე 47

პუშკინი ა. 46, 76, 104, 137, 138, 157,  
159, 173—175, 177—180, 182, 184—  
189, 222

## შ

შორღანია თ. 211

## რ

რანძამე სოლომონ 4, 152, 158, 159, 173,  
189

რანზუოქსკია 192

რანზუოქსკი 71

რამიშვილი დ. 124

რამიშვილი კრისტეფორე 49

რატიანი პ. 124, 151, 197

რავიშვილი გაბრიელ 92—94

რაფაელი 147

Рейсер С. 157

რემუზა აბელ 199

Реншильд 187

რეპნინი ვ. 37, 84

რილევი 152, 157, 158

როგავა აბ. 115

როზავენი 89

როზენი ვიქტორ 182, 244

რომანო (მიტროპოლიტი), იხ. ერასთავი  
რომანოზ

როსეთი არკადი იოსების ძე 179, 180

როსეთი იოსებ ივანეს ძე 175

როსინი 147

როსტოვი (თავადი) 19

რუმინსკე-ზადუნისკი 75, 84

რუმინსკევი ნ. 111

რუსანოვი თეოფილაქტე 103

რუსთაველი შოთა 61, 202

რუსუდანი (ვახტანგ VI მეუღლე) 21

რუხაძე ტრ. 68, 70, 75—77, 85, 108,  
113, 120, 123, 124, 158

## ს

სააკაძე გიორგი 202

სააკაძე დ. 206

სააკაძე რ. 42

საბა, იხ. ორბელიანი სულხან-საბა

საიათნოვა 219

Саптов 149

სარაფიანი კლეობატრა 105

სარაჭიშვილი ვასილ 217

Семенников В. П. 57

სენკოვსკი ო. ი. 182, 209, 211

სენ-მარტენი 199, 202, 204, 208

Сергей Митропольский 184

სეიმონ ლეონის ძე, იხ. ბატონ-შვილი

სეიმონ

სილვესტრ დე-სასი 199, 204

სიმონი (დეკანოზი) 63

სიმონოვიჩი 101

სიფრაშვილი ვლ. 197

სიხარულიძე კს. 128

სლენინი ი. ვ. 182, 183

სმირდინი ა. ფ. 136, 182—184

სმირნოვა ალექსანდრა იოსების ასული  
175, 176, 178—180, 185

სოკოლოვი ი. 248

სოლოვიოვი ს. პ. 46

სოლომონი, იხ. დოდაშვილი სოლომონ

სოლომონ მეორე 96, 99, 101

სოლომონ პირველი 134

სოფიო 125

სტატნი სტეფანე 84

სტეფანე 222

სტეფანე (სეიმონ ბატონიშვილის ძე) 65

სტრათემანი ვილჰელმ 53

სტროგანოვი 90

სუეგოროვი 84

სუმაროკოვი ა. 51, 75, 173



**ბ**

ტაბიძე სვ. 157  
 ტამარა 71, 72  
 Тамара, იხ. დადიანი თამარ  
 ტარასი (მღვდელი) 130  
 ტარიელი (იმერელი ბატონიშვილი) 207  
 Тарсаидзе Н. 66  
 ტატიშვილი 185  
 ტატიშვილი ვლ. 7  
 ტაყიტი 243  
 Теймураз, იხ. თეიმურაზ მეორე  
 ტერეზია (შამია გურიელის ასული) 165, 166  
 Терков В. 82  
 ტიტოვი ვ. 136  
 ტლაშაძე იესე 17  
 ტოლსტოი ივ. 16  
 ტოტლებენი 248  
 ტუმანსკი ვ. ი. 175  
 ტურგენევი ნ. ი. 90, 104  
 Туркестанов 98  
 Туркестанов Борис, იხ. თურქესტანი-  
 შვილი ბაადურ  
 ტუტჩევა ა. თ. 193, 194  
 ტუტჩევი (პოეტი) 173, 193

**უ**

უეაროვი 204  
 Усім (хупец Анатолийский) 68  
 უსტრიალოვი ნ. 7

**ფ**

ფადეევი 248  
 ფალავანდიშვილი ე. 79  
 ფალავანდიშვილი ზაქარია 212  
 ფალავანდიშვილი იასე 149  
 ფალავანდიშვილი ნ. ი. 205  
 ფალავანდოვი 19  
 ფარნაოზ ერეკლეს ძე, იხ. ბატონიშვი-  
 ლი ფარნაოზ  
 ფეოდორი (არქიმანდრიტი) 9

ფეოდოსი გუქარელი 34  
 ფერმორი 37  
 ფირალოვი გოდერძი 111, 129, 132, 142, 200  
 ფირცხალაიშვილი ალ. 36, 37  
 ფირენი 204, 206  
 ფურცელაძე დ. 115, 120, 121, 243

**ჭ**

ჭავთარაევი დიმიტრი 42  
 ჭებაძე პეტრე 205  
 ჭეთევან დედოფალი 202  
 ჭეთევანი (ვახტანგ ერეკლეს ძის მეულ-  
 ლე) 106  
 ჭიქოძე გ. 73, 117, 120  
 ჭრისტეფორე 8  
 ჭრისტეფორე (ილუმენი) 34  
 ჭუთათელაძე ლ. 105, 106, 119  
 ჭუთათელაძე ნ. 205  
 ჭუთელია ა. 136

**ღ**

ღლონტი ა. 105, 233

**ყ**

ყაუხჩიშვილი ს. 211  
 ყიფიანი დიმ. 192—195, 197, 198, 226, 227  
 ყიფიანი ნ. 198  
 ყიფშიძე ი. 239, 240  
 ყუბანეიშვილი სოლ. 27, 28, 42, 43, 45, 49, 132, 133, 170, 201, 220

**შ**

შადური ე. 93, 133, 137, 144, 146, 176, 185, 186, 190  
 შავთელი 203, 219  
 Шалников К. П. 74  
 შანიძე ა. 238, 242, 246  
 შანშიაშვილი იარალი 148, 149  
 შანშოვანი ზურაბ 241

შარაშიძე ქრ. 50, 53  
შარაძე გ. 212, 213  
შარაშვილი 200, 201, 204  
შაპინგირი 77  
შევირიძე ს. 38  
შერეშვილი 92  
შირინი 52  
შპილევსკი 36  
შჩერბინინი მ. პ. 215

## ჩ

ჩახრუხაძე 203, 219  
ჩერნიშოვი 180  
ჩიკობავა არნ. 203—205, 238, 259, 241.  
ჩოლოყაშვილი ალექსანდრე 150, 156  
ჩოლოყაშვილი დავით 116, 245  
ჩოლოყაშვილი ივანე 150  
ჩოლოყაშვილი ლუარსაბ 150  
ჩუბინაშვილი დავით 169, 170, 212.  
214—217, 219, 226—239, 243, 245,  
251  
ჩუბინაშვილი ნიკო 133, 214  
ჩხეიძე სეხნია 17, 19, 20, 25

## ც

ცაგარელი ა. 111, 129, 171, 211, 214,  
215, 227, 231, 232, 236—252  
ციციშვილი სოლ. 165, 166, 168, 169, 205  
ცანავა გივი 42  
ცინცაძე ი. 70, 78  
Цицианов Д. П., იხ. ციციშვილი დიმი-  
ტრი პავლეს ძე  
ციციანოვი დიმიტრი ევსევის ძე 98,  
174—180  
ციციანოვი დიმიტრი ივანეს ძე 77, 98  
ციციანოვი ეგორ 80, 83  
ციციანოვი პავლე დიმიტრის ძე 57, 74,  
80—86, 94—96, 128  
Цициановы 181  
ციციშვილები 173, 176, 181  
ციციშვილი გიორგი, იხ. ციციანოვი  
ეგორ

ციციშვილი დავით 139  
ციციშვილი დიმიტრი იასეს ძე. იხ. ცი-  
ციანოვი დიმიტრი ევსევის ძე  
ციციშვილი დიმიტრი პავლეს ძე. 59, 66.  
74—77, 80, 83, 179, 180  
ციციშვილი ზაქარია 44  
ციციშვილი თეოდორე 174  
ციციშვილი იასე 73, 176  
ციციშვილი იოანე დიმიტრის ძე 80  
ციციშვილი იოსებ 217  
ციციშვილი მატრონა 176  
ციციშვილი მიხეილ დიმიტრის ძე 80  
ციციშვილი ნიკოლოზ დიმიტრის ძე 80  
ციციშვილი პავლე დიმიტრის ძე. იხ.  
ციციანოვი პავლე დიმიტრის ძე  
ციციშვილი პაპუნა (პავლე) 42—44, 73,  
177  
ციციშვილი პეტრე დიმიტრის ძე 80  
ციციშვილი ქეთევან იასეს ასული 176.  
180  
ეკიტიშვილი ზ. 78—80

## ძ

ძიძიგური შ. 225

## წ

წერეთელი აკაკი 229, 231, 233, 235, 238  
წერეთელი გიორგი 224  
წინამძღვრიშვილი გიორგი 217  
წმიდა ნინო 232

## ჭ

ჭავჭავაძე ალ. 107, 113, 145, 165, 189,  
190, 255  
ჭავჭავაძე გარსევან 70, 78, 79, 92. 139  
ჭავჭავაძე ეკატერინე, იხ. დლიანი ეკა-  
ტერინე  
ჭავჭავაძე იასე 217

კავკავაძე ილია 171, 198, 221, 231—235  
238

კავკავაძე ნინო 145, 147, 191

კილაია ს. 190

კიკინაძე ზ. 154

კიკინაძე თ. 205

კონჭაძე დ. 233

კუმბურიძე ქ. 146, 149, 229

კუონია თ. 61, 245

## ს

სანთაძე შ. 199, 221, 223

საკაპურიძე გ. 151

სახანაშვილი ა. 225, 247, 248

ხელაშვილი იონა 96, 118, 119, 121, 122.

132, 134—142, 153—157, 162

ხელთუბნელი მ. 125, 126

ხერსაკოევი მ. 74

ხიმშიაშვილი 95

ხმელაძე იოსებ 42

ხოვენი 116

ხოსროვი 52

ხულეფა მირზა 33

ხუნდაძე ს. 197

ხუციშვილი ს. 135, 136, 183

## ჯ

ჯაეახიშვილი ივანე 15, 18, 22, 150, 151,  
211, 252

ჯანაშვილი დ. 232

ჯანაშვილი მ. 120

ჯანაშია ს. 169

ჯიბლაძე გ. 198

## ჰ

ჰერდერი 147

## შ ი ნ ა პ რ ს ი

შესავალი

3

### თ ა ვ ი I XVIII საუკუნის მეორე ნახევარი

1. პეტერბურგის დაარსების ისტორიიდან	5
2. პეტერბურგში მყოფი ქართველები ვახტანგის ამაღლის ჩასვლამდე	7
3. ვახტანგის პირველი წარმომადგენელი პეტერბურგის სამეფო კარზე	14
4. რუსეთისაკენ	16
5. ვახტანგისა და მისი მცირე ამაღლის პირველი ჩასვლა პეტერბურგს	19
6. დახმარების ლოდინში	21
7. ვახტანგის ამაღლ წევრები პეტერბურგში	24
ა. სასულიერო წოდება	31
ბ. სვიმონ ბატონიშვილი	35
გ. გიორგი ბატონიშვილი	36
დ. პაატა ბატონიშვილი	39
ე. ქართველი ჰუსარები პეტერბურგში	41
8. კულტურულ-ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი პეტერბურგის ქართულ კოლონიისა	46

### თ ა ვ ი II. XVIII საუკუნის მეორე ნახევარი

1. პეტერბურგელ ქართველთა ასიმილაცია	54
2. თეიმურაზ მეორის ჩასვლა პეტერბურგში	58
3. ქართველები რუსეთის პოლიტიკურ და კულტურულ ასპარეზზე	63
ა. ს. იგნატიევი	63
ბ. დიმიტრი პავლეს ძე ციციშვილი	73
გ. სერგეი ლაზარეს ძე ლაშქაროვი	77
დ. პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი	80
ე. ვარვარა ილიას ასული თურქესტანოვა	87

თ ა ვ ი III XIX საუკუნის პირველი ნახევარი

1. ერეკლე II შთამომავალთა პირველი წარმომადგენლები პეტერბურგში	91
2. რუსეთისაყენ	94
3. კულტურულ-სალიტერატურო სარბიელზე	102
4. გრ. ორბელიანის ჩასვლა პეტერბურგში	143
5. 1832 წლის შეთქმულება	149
6. წრეები და სალონები პეტერბურგში	157
7. წიგნების მალაზიები და გამომცემლები	182
8. ეკატერინე ქავეჭავაძის ოჯახი პეტერბურგში	190

თ ა ვ ი IV მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენება  
პეტერბურგში

1. თენიერაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი . დასკვნა	99
პირთა საძიებელი	253
	256